

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამა

გიორგი ალადაშვილი

ალტერ ეგოს დოქტრინის გავლენა თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების, როგორც
იურიდიული პირის, სამართლებრივ კონსტრუქციაზე

სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, პროფესორი ირაკლი ბურდული

თბილისი 2021

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო თემის – „ალტერ ეგოს დოქტრინის გავლენა თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, სამართლებრივ კონსტრუქციაზე“ – აქტუალურობა გამომდინარეობს თვით ასეთი კაპიტალური საზოგადოებების მნიშვნელობიდან დღევანდელ სამყაროში, რომელიც სცილდება მკაცრად განსაზღვრულ იურიდიულ თუ ეკონომიკურ საზღვრებს და ჭეშმარიტად გლობალურ ხასიათს ატარებს. კორპორაციების ამგვარი ზეგავლენა მეტწილად სწორედ მათივე ცენტრალური ინსტიტუტებით, განსაკუთრებით კი მასში შემავალი პარტნიორების შეზღუდული პასუხისმგებლობით, არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, იურიდიული, ეკონომიკური თუ სოციალური კუთხით აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება იმ მეტად საინტერესო და ზოგჯერ ბუნდოვანი სამართლებრივი წინაპირობების კვლევა და დადგენა, რომელთაც შესაძლოა ასეთი ინსტიტუტების უგულებელყოფა მოჰყვეს და საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა საზოგადოების წევრებს დაეკისროთ. კვლევის ინოვაციურობა მდგომარეობს მის ყოვლისმომცველ მიდგომაში, რომელიც მარტოოდენ სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების მიმოხილვით არ შემოიფარგლება და კაპიტალური საზოგადოებისა და ზოგადად იურიდიული პირის შინაარსის განხილვისას მოიხმობს მაგალითებს სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა სფეროებიდან, რათა უფრო სრული სურათი შექმნას ამ კომპლექსური ფენომენის შესახებ. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ისტორიული, ასევე შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

სადისერტაციო თემის მიზანია იმ ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების კვლევა, რომელთაც შესაძლოა მოჰყვეს კაპიტალური საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, ძირითადი, პრინციპულად მნიშვნელოვანი მახასიათებლის – შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ამგვარად კორპორაციული პიროვნულობის უგულებელყოფა. ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც შესავლისა და დასკვნის ჩათვლით შედგება ხუთი თავისგან, ემსახურება დასახული მიზნის შესრულებას საკითხის თანმიმდევრული, საფეხუროვანი მიმოხილვის გზით. უპირველეს ყოვლისა, შესავლის შემდგომ

განხილულია იურიდიული პირის ონტოლოგიური არსი მრავალი პერსპექტივიდან (მათ შორის სოციოლოგიური და ფილოსოფიური) და მოცემულია იურიდიული პირის კონცეფციის განვითარების გზა, უძველესი პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე. შემდგომ თავში საფუძვლიანადაა გამოკვლეული კაპიტალური საზოგადოების ძირეული ნიშანი – შეზღუდული პასუხისმგებლობა და რაც მთავარია, მისი უგულვებელყოფის ასპექტები, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში მხატვრულად „კორპორაციული საფარვლის გაჭოლვად“ არის მოხსენიებული. ზემოაღნიშნული ანალიზისას შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში განხილულია ის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა შედეგადაც კორპორაციის საფარველი შესაძლოა გაიჭოლოს – ალტერ ეგოსა და მისი მომიჯნავე (მაგ. ინსტრუმენტალურობის) დოქტრინები. ბოლოს, ნაშრომში მიმოხილულია ის დამატებითი ასპექტებიც, რომლებმაც შესაძლოა საფარვლის გაჭოლვაზე ზეგავლენა მოახდინონ და რომლებიც ასევე რელევანტურია (მაგ. დელიქტი, შრომითი ურთიერთობები და ა.შ.). ამგვარი საფეხუროვანი, თანდათანობითი და ყოვლისმომცველი სტრუქტურა აუცილებელი იყო, რათა კომპლექსურ ჭრილში განხილული ყოფილიყო თვით ასეთივე კომპლექსური მოვლენა. ისტორიული წინაპირობების გარეშე რთული იქნებოდა კაპიტალურ საზოგადოებასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტზე სრული წარმოდგენის შექმნა, ისევე როგორც შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში უცხოური დოქტრინისა თუ სასამართლო პრაქტიკის დეტალური ანალიზის გარეშე, დასახული ყოვლისმომცველობის მიზანი მიღწეული ვერ იქნებოდა.

საქართველოში საკორპორაციო სამართალი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია და შესაბამისად აღმოცენებული პრობლემური სამართლებრივი საკითხების (მაგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება უსამართლო ან უკანონო მიზნებისათვის) გადასაჭრელად შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სიღრმისეული ცოდნა, დამყარებული ისტორიულ თუ შედარებით-სამართლებრივ კვლევის მეთოდებზე, ძალიან მნიშვნელოვანია.

წინამდებარე კვლევით ქართულ იურისპრუდენციაში წარმოდგენილი იქნება ახალი და აქტუალური მეცნიერული ხედვა იურიდიული პირებისა და კაპიტალური საზოგადოებების არსის, ასევე კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძვლების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს როგორც ეროვნულ დოქტრინას, ასევე სასამართლო პრაქტიკას, მხედველობაში მიიღოს ისტორიული თუ შედარებით-სამართლებრივი ასპექტები.

Abstract

The relevance of the present PhD thesis – *The Impact of Alter Ego Doctrine on the Legal Construction of Contemporary Corporation as a Legal Entity* – is derived from the significance of such capital associations (corporations) in modern world, which goes beyond strictly defined legal or economical boundaries and takes up a truly global scale. Such influence of corporations is mainly effectuated by its central institutions, in particular, limited liability of its constituent members. Based on foregoing, study and determination of those quite interesting and sometimes vague legal preconditions leading to disregard of such institutions (i.e. members of entity being liable for corporation's debts), gains relevance and importance from legal, economic and social standpoints. The innovation of present research lays in its comprehensive approach, not limited it to a mere survey of legal and economical aspects and when discussing corporations and legal persons in general, invoking examples from sociology, philosophy and other fields, in order to create a more complete picture of this complex phenomenon. Both historical and comparative legal study methods are utilized in the thesis.

The aim of PhD thesis is to investigate general legal grounds possibly entailing disregard of crucial characteristic of corporation as a legal entity – limited liability and hence corporate personality. The structure of the thesis, consisting of five chapters including, Introduction and Conclusion, serves the purpose of accomplishing this objective through consistent, step-by-step analysis. First, following Introduction, ontological nature of legal entity is discussed from

multiple perspectives (including sociological and philosophical) and includes development of the concept of legal entity, from earliest to modern times. Next Chapter fundamentally surveys corporation's core element – the limited liability and, most importantly, conditions for its disregard, figuratively referred to as “piercing the corporate veil” in legal literature. During analysis principal legal grounds possibly leading to veil piercing – “alter ego” and adjacent doctrines (e.g. “instrumentality”), are reviewed in comparative legal perspective. Finally, work also touches on additional aspects that may impact veil-piercing, similarly quite relevant (e.g. torts, labor relations, etc.). Such a step-by-step, gradual and thorough structure was necessary to dissect a complex phenomenon through equally complex prism. Without historical preconditions it would have been hard to fully picture corporations and limited liability institution and without detailed analysis of foreign legal doctrine and case law through comparative legal perspective, comprehensiveness stated as the goal would not have been achieved.

In Georgia corporate law is still in its phase of development and therefore, to solve emerging problematic legal questions (e.g. misuse of limited liability for unfair or illegal purposes), a thorough knowledge of limited liability and corporate veil-piercing, predicated on historical or comparative legal research methods, shall be quite important.

With the present study a new and relevant scientific perspective shall be presented to Georgian jurisprudence, concerning the nature of legal entities and corporations as well as basis for discarding corporate veil, which shall allow both national legal doctrine and case law to take into account historical and comparative legal aspects.

სარჩევი

აბრევიატურები და შემოკლებანი.....	x
I. შესავალი	1
II. კორპორაციის არსი ონტოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში.....	5
2.1. იურიდიული პირის არსი იურიდიული, სოციალური და ფილოსოფიური თვალსაზრისით.....	5
2.2. სამართლებრივი ფიქცია, მისი მნიშვნელობა და როლი.....	13
2.3. ცალკე კორპორაციული პიროვნულობა.....	14
2.3.1. პირისა და პიროვნულობის ცნება	18
2.3.2. იურიდიული პირის განცალკევებული პიროვნულობა, როგორც მისი ანთროპომორფიზაციის შემთხვევა.....	25
2.4. იურიდიული პირის კონცეფციის განვითარება.....	29
2.4.1. იურიდიული პირის საფუძვლები რომაულ სამართალში	32
2.4.1.1. რომაული კომერციული (კაპიტალური) საზოგადოებები	38
2.4.1.1.1. <i>Societas</i> და მისი ქვესახეობები.....	39
2.4.1.1.2. <i>Societas publicanorum</i> – რომაული სააქციო საზოგადოება?	43
2.4.1.1.3. <i>Peculium</i>	47
2.4.1.2. რომაული არაკაპიტალური (არასამეწარმეო) საზოგადოებები	48
2.4.1.2.1. <i>Collegia</i>	49
2.4.1.2.2. <i>Universitas</i>	51
2.4.1.2.3. <i>Sodalitates (Sodalicia)</i>	53
2.4.2. იურიდიული პირის ცნების განვითარება შუა საუკუნეებში.....	55
2.4.3. იურიდიული პირის ჩამოყალიბება თანამედროვე ეპოქაში	61
2.4.3.1. სააქციო საზოგადოების დაბადება.....	61
2.4.3.2. კაპიტალური საზოგადოებების კონცეფციის განვითარება გერმანულ და ინგლისურ სამართალში.....	67
2.4.3.3. კორპორაციული პიროვნულობის ცნების განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში	71
2.4.3.4. იურიდიული პირის განვითარება საქართველოში	79

III. კორპორაციული საფარვლის გაქოლვა კაპიტალურ საზოგადოებაში.....	82
3.1. კაპიტალური საზოგადოების ძირითადი ნიშანი: შეზღუდული პასუხისმგებლობა	83
3.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის რაობა.....	87
3.1.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფუნქციები კაპიტალურ საზოგადოებაში	90
3.1.2.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის ეკონომიკური ფუნქციები: ინვესტიციების მოზიდვა და რისკის ექსტერნალიზაცია.....	91
3.1.2.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველობითი ფუნქციები: მექანიზმი კონტროლისა და საქმიანობის გასამართლებლად	93
3.2. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის ზოგადი არსი, მიზანი და ელემენტები	96
3.2.1. კორპორაციული საფარვლის გაქოლვა თელეოლოგიურ ჭრილში	102
3.2.2. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის შემადგენელი ელემენტები	104
3.2.2.1. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის ობიექტური მხარე.....	104
3.2.2.2. პასუხისმგებელი პირი	106
3.2.2.3. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის სუბიექტური ელემენტი	107
3.2.3. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის ურთიერთმიმართება კორპორაციული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტებთან	109
3.2.3.1. კორპორაციული საფარვლის გაქოლვა. როგორც პრინციპიდან გამონაკლისი	112
3.2.3.2. კორპორაციული საფარვლის გაქოლვა, როგორც ისტორიული მიდგომის გაგრძელება	115
3.2.3.3. კორპორაციული საფარვლის გაქოლვა, როგორც გამოწვევა რეალური კავშირის თეორიისადმი.....	116
3.2.4. ემპირიული მონაცემები კორპორაციული საფარვლის გაქოლვაზე	118
3.2.5. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის დოქტრინის კრიტიკა.....	121
IV. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის პრაქტიკა კონკრეტულ იურიდიულ სფეროებში	124
4.1. საფარვლის გაქოლვა გერმანულ სამართალში	124
4.1.1. ისტორიული მიმოხილვა და ტიპოლოგია	129
4.1.2. თეორიები კორპორაციული საფარვლის გაქოლვის თაობაზე გერმანულ საკორპორაციო სამართალში	131
4.1.2.1. მოძღვრება ბოროტად გამოყენების შესახებ (<i>Missbrauchslehre</i>).....	132

4.1.2.2 ნორმის გამოყენების (მიზნის) მოძღვრება (<i>Normanwendungslehre</i>) და ვალდებულების დარღვევის მოძღვრება (<i>Pflichtverletzungslehre</i>).....	136
4.1.3. საკორპორაციო საფარვლის გაჭოლვის კონკრეტული გარემოებები.....	138
4.1.3.1. არასათანადო კაპიტალიზაცია (<i>Unterkapitalisierung</i>).....	138
4.1.3.2. არსებობის გამანადგურებელი ჩარევა (<i>existenzvernichtender Eingriff</i>).....	142
4.1.3.3. აქტივების ან/და სფეროთა აღრევა (<i>Vermögens- und Sphärenvermischung</i>)..	147
4.1.3.4 პარტნიორის მიერ მფლობელობა (<i>Beherrschung des Gesellshafter</i>)	152
4.1.4. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა გერმანიის საკონცერნო სამართალში .	153
4.1.4.1. სახელშეკრულებო კონცერნი (<i>Vertragskonzern</i>).....	156
4.1.4.2. დე-ფაქტო კონცერნი.....	157
4.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისადმი მიდგომები გაერთიანებულ სამეფოში	161
4.2.1. თავის არიდება (<i>Evasion</i>) და დამალვა (<i>Concealment</i>).....	165
4.2.2. ერთიანი ეკონომიკური ერთეულის დოქტრინა.....	166
4.2.3. სხვა მიდგომები	169
4.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ამერიკის შეერთებულ შტატებში	172
4.3.1. „ალტერ ეგოს“ დოქტრინა	179
4.3.1.1. ინდივიდუალურობის (განცალკევებულობის) არარსებობა	182
4.3.1.1.1. პირის ზეგავლენა	182
4.3.1.1.2. ინტერესისა და საკუთრების ერთიანობა	184
4.3.1.2. ფიქციისადმი ერთგულება.....	186
4.3.1.3. „ალტერ ეგოს“ დოქტრინის პრობლემური ასპექტები	188
4.3.2. ინსტრუმენტალურობის დოქტრინა	189
4.3.2.1. ინსტრუმენტალურობის დოქტრინის ელემენტები	191
4.3.2.1.1. დომინანტობა და კონტროლი	191
4.3.2.1.2. უსამართლო, უკანონო მოქმედება.....	194
4.3.2.1.3. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.....	195
4.3.2.2. ინსტრუმენტალურობის დოქტრინის პრობლემური საკითხები	198
4.3.3. ურთიერთმიმართება ალტერ ეგოს დოქტრინასა და ინსტრუმენტალურობის დოქტრინას შორის.....	200
4.3.4. საფარვლის გაჭოლვის სხვა მეთოდები	205

4.3.4.1. ცარიელი კორპორაცია (<i>Dummy, Shell Corporation</i>) და თვალთმაქცური კორპორაცია (<i>Sham Corporation</i>)	205
4.3.4.2. იდენტურობისა (<i>Identity</i>) და წარმომადგენლობის (<i>Agency</i>) თეორიები .	207
4.3.5. კერძო საფუძვლები და ფაქტორები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის.....	211
4.3.5.1. დავის საფუძვლის მნიშვნელობა: დელიქტი და ხელშეკრულება.....	212
4.3.5.2. არასათანადო კაპიტალიზაცია	214
4.3.5.3. კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა	221
4.3.5.4. თაღლითური ქმედება, კანონდარღვევა და შეცდომაში შეყვანა (<i>Misrepresentation</i>)	225
4.4. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა საქართველოში	227
4.4.1. საფარვლის გაჭოლვის საკანონმდებლო საფუძვლები	227
4.4.2. საფარვლის გაჭოლვის სასამართლო პრაქტიკა	233
4.4.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სამართლებრივი პოლიტიკა და მომავალი საქართველოში	235
4.5. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დამატებითი ასპექტები	237
4.5.1. საფარვლის შებრუნებული და ნებაყოფლობითი გაჭოლვა	237
4.5.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა მშობელ-შვილობილ კორპორაციათა კონტექსტში	242
4.5.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა შრომით დავებში	246
4.5.4. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა საერთაშორისო კონტექსტში.....	247
V. დასკვნა.....	249
ბიბლიოგრაფია.....	253

აბრევიატურები და შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

ა.შ.	ასე შემდეგ
ახ.წ.	ახალი წელთაღრიცხვით
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
თსუ	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინგ.	ინგლისურად
გერმ.	გერმანულად
იხ.	იხილეთ
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
ჩვ.წ.	ჩვენი წელთაღრიცხვით

უცხოურ ენებზე:

AktG	Aktiengesetz
BGB	Das Bürgerliche Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
Ca.	Circa
D.	Digesta
Ed.	Editor
f.	folgende

ff.	mehrere folgende
Fn.	Fußnote
fn.	Footnote
GmbHG	Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung
MBCA	Model Business Corporation Act
s.	Seite
Rn.	Randnummer
v.	versus
Vol.	Volume

I. შესავალი

სუვერენს შესაძლოა სურდეს, აღიაროს მრავალი სხვადასხვა დაჯგუფება, ისევე როგორც ჰქონდეს სურვილი, აღიაროს მრავალი გონივრული წეს-ჩვეულება კანონად. მაგრამ ცივილიზებული სახელმწიფო ვერ იტყვის უარს ვერც ასეთი აღიარების აუცილებლობაზე, ვერც შესაბამისი წინაპირობების დადგენის უფლებამოსილებაზე, ისევე როგორც ის ვერ იტყვის უარს რომელიმე ტესტზე იმ ჩვეულებათა გონივრულობასთან მიმართებაში, რომლებსაც ის კანონებად აღიარებს.¹

ადამიანის ქმედება აუცილებლად დგას ყოველი კორპორაციული ქმედებისა თუ უმოქმედობის უკან.²

თანამედროვე კორპორაციების ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სცენაზე მართლაც-და განუზომელია. ისინი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების იმდენად განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, რომ საშუალო ადამიანი არც კი ფიქრობს მათზე და მისი ყურადღების ცენტრში შესაძლებელია მხოლოდ რომელიმე მსხვილმასშტაბიანი საწარმო მოექცეს, ისიც რაიმე გახმაურებული საქმის ან მისი სრული გაკოტრების შემთხვევაში. ამავდროულად, დღესდღეობით საერთაშორისო კორპორაციათა გავლენა იზრდება არა მარტო ეკონომიკურ თუ ფინანსურ, არამედ

¹ “The sovereign may be willing to recognise many various groups, just as he may be willing to recognise as law many reasonable customs. But a civilized state cannot dispense either with the need for that recognition or with the power to impose conditions, any more than it can dispense with some test as to the reasonableness of the customs which it admits as laws“. ციტირებულია: *Holdsworth W.S.*, English Corporation Law in the 16th and 17th Centuries, The Yale Law Journal, Volume 31, No. 4, February, 1922, 384.

² „Human agency necessarily lies behind all corporate action or inaction.“ ციტირებულია: *Millon D.*, Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, Emory Law Journal, Volume 56, Number 5, 2007, 1333.

პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებშიც.³ „ცნობიერი ძალაუფლების კუნძულები გაუცნობიერებული თანამშრომლობის ოკეანეში, როგორც კარაქის გუნდები, რომლებიც კოაგულირდება დოს სათლში“ - ასე მხატვრულად ახასიათებდა მას წინა საუკუნის ერთ-ერთი ბრიტანელი ეკონომისტი კორპორაციებს.⁴

კორპორაციების ასეთი ძალაუფლება არ უნდა იქნას აღქმული, როგორც რაღაც აბსოლუტური. იგი შეზღუდულია ბაზრის მუდმივი ცვლილებებითა და კაპრიზებით, სახელმწიფო რეგულაციებითა და საზოგადოებრივი აზრით. ამის მიუხედავად კორპორაციებს მართლაც აქვთ ასეთი ძალაუფლება და ძალუმთ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ სოციალური შედეგები მოჰყვეს.⁵

თავისი ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე, განცალკევებული პიროვნულობის ფიქციისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მინიჭებით, სამართლებრივ განზომილებაში კორპორაცია გაუთანაბრდა ფიზიკურ პირს. დღეს იგი სარგებლობს თითქმის ყველა იმ უფლებით, რომლებითაც ინდივიდს შეუძლია ისარგებლოს, თუ არ ჩავთვლით ზოგ აშკარა გამონაკლისსა და შეზღუდვას, რაც იურიდიული პირის ბუნებითაა განპირობებული. აღნიშნული სამართლებრივი ფიქციის არსებობის მიუხედავად, სამართალი უბრალოდ ვერ დახუჭავს თვალს იმაზე, რომ კორპორაცია არ წარმოადგენს ფიზიკური, ნატურალური პირის სრულ ანალოგს. იგი სულ სხვა არსებაა, ორგანიზებული და სტრუქტურირებული, რომლის ხელშიც შესაძლებელია დიდი ძალაც იყოს აკუმულირებული. წმინდა ნატურალისტური კუთხით, კორპორაცია როგორც რაღაც განცალკევებული საერთოდ არც არსებობს, ის იქმნება ადამიანთა მოქმედებების შედეგად და შესაბამისად მიზანშეწონილი იქნებოდა იმის თქმა, რომ იგი საჭიროებს სხვაგვარ, განსაკუთრებულ მიდგომას.

³ *Bottomley S.*, *The Constitutional Corporation: Rethinking Corporate Governance*, Ashgate Publishing, Aldershot, 2007, 1-3.

⁴ *Robertson D.H.*, *Control of Industry*, Nisbet and Co., Ltd., London, 1923, 85. ("*Islands of conscious power in this ocean of unconscious co-operation like lumps of butter coagulating in a pail of buttermilk.*")

⁵ *Parkinson J.E.*, *Corporate Power and Responsibility: Issues in the Theory of Company Law*, Clarendon Press, Oxford, 1993, 10.

კორპორაციათა რეგულირება არასოდეს არ ყოფილა მარტივი საკითხი. თუ კანონისა და სამართლის თვალში დღეს იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან, მაშინ მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული, თუ ამისათვის შესაბამისი საფუძველი არ არსებობს. მაგრამ რადგანაც კორპორაცია რეალურად არ წარმოადგენს ინდივიდს ნატურალისტური და სოციალური თვალსაზრისით, მის მიმართ მოქმედი რეგულაციები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ფიზიკური პირის შემთხვევაში. განსაკუთრებით კი ეს ეხება მსხვილი კაპიტალის მოზიდვისათვის შექმნილ სამართლებრივ ფორმას – სააქციო საზოგადოებას, რომელსაც თვით ყველაზე ლიბერალური სამართლებრივი რეჟიმიც მკაცრად არეგულირებს ამ უკანასკნელის ეკონომიკური და სოციალური დატვირთვიდან გამომდინარე.

შესაბამისად იმის ნაცვლად, რომ კორპორაცია განხილულ იქნას წმინდა სამართლებრივად, როგორც უბრალოდ სამართლის სუბიექტი, პირი გათანაბრებული ინდივიდთან, არასწორი იქნებოდა, იურიდიული პირის, როგორც სოციალური მოვლენის, იგნორირება და სამართლებრივი მოწესრიგებისას აღნიშნული სოციალური მხარეც უნდა იქნას გათვალისწინებული. ეს გამომდინარეობს იმ მარტივი აქსიომიდან, რომ თვით სამართალია სოციალური მოვლენა, წარმოშობილი სოციუმის წიაღში. ასეთი ინტერპრეტაციით რომელიმე დიდი კორპორაცია გარკვეული თვალსაზრისით ხდება ე.წ. „სოციალური საწარმო“, რომლის გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება შეზღუდულია საჯარო თუ სოციალური ინტერესებით.⁶

აღსანიშნავია, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში შედარებით დეტალურად დამუშავებული და განხილული საკითხია,⁷ რაც კონტრასტს ქმნის ძალიან მწირ სასამართლო პრაქტიკასთან და საკმაოდ ზოგად სამართლებრივ დებულებებთან. ამავდროულად აღნიშნული, უთოუდ მნიშვნელოვანი და საჭირო ნაშრომები საფარვლის გაჭოლვას განიხილავენ იმ კონკრეტული ფაქტორების, შემთხვევებისა და პრეცედენტების ჭრილში, რომლებიც დაკავშირებულია დირექტორის გულისხმიერებისა და ერთგულების

⁶ *Parkinson J.E., Corporate Power and Responsibility: Issues in the Theory of Company Law, Clarendon Press, Oxford, 1993, 23.*

⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ წინამდებარე ნაშრომის ბიბლიოგრაფია.

ვალდებულებებთან, აქციონერის უფლებებთან და ა.შ. წინამდებარე ნაშრომი, თუმცა კი ზოგადად შეეხება ამ საკითხებსაც, მიზნად ისახავს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ფენომენის შესწავლასა და განხილვას იურიდიული პირისა და კორპორაციის ონტოლოგიური არსისა და ბუნების ჭრილში, უმეტესწილად სწორედ „ალტერ ეგოსა“ და მომიჯნავე დოქტრინებისა თუ მიდგომების საფუძველზე. ამ მიზნით ფართოდ იქნება განხილული იურიდიული პირი, როგორც სამართლებრივი, სოციოლოგიური და ფილოსოფიური ფენომენი, ისტორიულ და შედარებით-სამართლებრივ ჭრილში.

ნაშრომის შესავლის შემდეგ მეორე თავში მოცემული იქნება კორპორაციის, როგორც კომპლექსური ფენომენის ონტოლოგიური ანალიზი, განსაკუთრებით კი მისი ისტორიული განვითარების ჭრილში. მესამე თავში მიმოხილული იქნება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, უპირველეს ყოვლისა, კორპორაციის ძირითადი ნიშან-თვისების – შეზღუდული პასუხისმგებლობის დეტალური განხილვის გზით, რასაც შემდგომ მოჰყვება სწორედ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისა და გაჭოლვის საფუძვლების, მათ შორის „ალტერ ეგოსა“ და მისი მომიჯნავე, თუმცა არა იდენტური ინსტრუმენტალობის დოქტრინის ანალიზი. მეოთხე თავში მოცემული იქნება ფართო მსჯელობა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე სხვადასხვა იურისდიქციაში, ძირითადი ყურადღება გამახვილდება რა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე.⁸ ნაშრომში ასევე განხილული იქნება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თაობაზე არსებული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა საქართველოშიც, განსაკუთრებით კი უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების ფონზე. ბოლოს მოცემული იქნება წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული საკითხების შემაჯამებელი დასკვნა.

⁸ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკითხთან მიმართებაში ზემოაღნიშნულ ქვეყნებსა და ასევე საფრანგეთსა და იაპონიაში არსებული სამართლებრივი მიდგომების შესახებ ქართულ ენაზე მოკლე მიმოხილვა იხ: *ზუბიტაშვილი ნ.*, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2014, 37-52.

II. კორპორაციის არსი ონტოლოგიურ და ისტორიულ ჭრილში

2.1. იურიდიული პირის არსი იურიდიული, სოციალური და ფილოსოფიური თვალსაზრისით

იურიდიული პირის რაობის ასახსნელად ავტორთა ნაწილი იმ სპეციფიკურ ნიშნებს მოუხმობს, რომელიც დღევანდელ სამართლებრივ სისტემაში ახასიათებს ასეთ პირს: უფლებაუნარიანობა დადოს ხელშეკრულებები და ფლობდეს ქონებას; შესაძლებლობა იმისა, მოახდინოს უფლებამოსილებათა დელეგირება წარმომადგენლებზე; შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე.⁹ თანამედროვე იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით, ასეთი განმარტება ტექნიკურად სწორია, თუმცა ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა ნიშნები აქვს იურიდიულ პირად წოდებულ ფენომენს, თუმცა კი არ იძლევა დეტალურ განმარტებას იმისა, თუ კერძოდ რას წარმოადგენს იგი.

იურიდიული პირის არსის შესახებ სამართლებრივ დოქტრინაში არაერთი თეორია გაჟღერდა. გერმანული კერძო სამართლის წიაღში, რომელიც სამართლის მნიშვნელოვანი ზეგავლენით, ჩამოყალიბდა სამი ძირითადი თეორია: *კარლ ფრიდრიხ ფონ სავინის* ფიქციის თეორია,¹⁰ *ოტო ფონ გირკეს* რეალური კავშირის თეორია¹¹ და *ბრინცის* მიზნობრივი ქონების თეორია.¹² ამ სამი თეორიის მსგავსად არსებობდა სხვა

⁹ *Armour J., Hansmann H., Kraakman R., Pargendler M., What Is Corporate Law?* წიგნში: *Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E., The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach*, 3rd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 8. თუმცა ავტორები იქვე დასძენენ, რომ შესაძლებელია სუბიექტს ჰქონდეს ყველა ზემოაღნიშნული უფლება, მაგრამ არ ითვლებოდეს იურიდიულ პირად. მაგალითად, პარტნიორული საზოგადოება (*partnership*) საერთო სამართლის ქვეყნებში სრულად სარგებლობს ამ უფლებებით, მაგრამ სამართალმცოდნეების უმრავლესობა მას ცალკე, მასში შემავალი ინდივიდებისგან განცალკევებულ და პიროვნულობის მქონე სუბიექტად არ მიიჩნევს. იქვე, fn.27.

¹⁰ *Fiktionslehre*.

¹¹ *Reale Verbandstheorie*.

¹² *Zweckvermögen. Wolf/Neuner., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016, §16, Rn.13, s.167. აღნიშნული, უკვე კლასიკად ქცეული თეორიათა ტრადის შესახებ მეტად ინფორმატიული მოკლე მიმოხილვა იხ: *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 224-228. ზოგიერთი ავტორი ამ სამეულს მეოთხესაც

თეორიებიც, რომელთაგან აღსანიშნავია ფიქციის თეორიის მსგავსი (თუმცა არა იდენტური) კონცესიის თეორია, რომელიც იურიდიული პირის მთლიან არსებობას სუვერენის (სახელმწიფოს) მიერ მინიჭებულ ნებართვას (კონცესიას) უკავშირებდა და რომელმაც იურიდიული პირის დაფუძნების თავისუფლების პრინციპის შემოღებასთან ერთად აქტუალურობა დაკარგა. აღნიშნულთან ერთად საერთო სამართალში სხვა თეორიებიც განვითარდა, რომელთაგან ყურადსაღებია აგრეგატის თეორია, რომლისთვისაც საზოგადოება მასში შემავალი პირების გაერთიანებას წარმოადგენს და ხელშეკრულებათა კავშირის (*Nexus of Contracts*) თეორია, რომელიც კორპორაციასა და მასში არსებულ ურთიერთობებს კონკრეტული დადებული ხელშეკრულებების ქრილში განიხილავს.

იურიდიული პირის ზოგადი ცნებიდან მის ტოპოლოგიაზე გადასვლისას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ ტერმინის ქვეშ რამდენიმე სხვადასხვა სახის პირი იგულისხმება. არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირებზე მსჯელობა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება. საკმარისია ითქვას, რომ განცალკევებული პიროვნულობის, კომერციული საქმიანობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ნაწილები მათზეც ვრცელდება, თუმცა იგივე ამ უკანასკნელი პრინციპიდან გამონაკლისები ძირითადად რელევანტურია იურიდიული პირის იმ კომპლექსური ტიპებისათვის, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთებად გვევლინებიან კორპორაციები, იგივე კაპიტალური საზოგადოებები.¹³

უმატებს: *იერინგის* სიმბოლისტური თეორიით იურიდიული პირი წარმოადგენს მხოლოდ მოსახერხებელ სიმბოლოს, აბრევიატურას, რომელსაც მასში შემავალი პირები იყენებენ. აღნიშნულმა თეორიამ დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა და მისი დეტალური განხილვა სცდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს.

¹³ ინგლისურ ენაში სიტყვა “*corporation*”-ის ქვეშ აღინიშნება ძირითადად სააქციო საზოგადოების ფორმა (*JSC – Joint Stock Company*) და არ მოიცავს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას (*Limited Liability Company*). ამავდროულად, უფრო ფართო განმარტებით, იგი ხშირად გამოიყენება ნებისმიერი იურიდიული პირის აღსანიშნავად. გერმანულ სამართალში კაპიტალური საზოგადოების ქვეშ მარტივად მოიაზრება ორი ძირითადი სუბიექტი: სააქციო საზოგადოება (სს) (*Aktiengesellschaft*) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) (*GmbH – Gesellschaft mit beschränkter Haftung*). მესამე – რეგისტრირებული კოოპერატივი (*eingetragene Genossenschaft*) ასევე მიიჩნევა კაპიტალურ საზოგადოებად, თუმცა ამ ფორმის შედარებით იშვიათობისა და გარკვეულ თავისებურებათა გამო, წინამდებარე ნაშრომში „კაპიტალური საზოგადოების“ ტერმინის გამოყენებისას ნაგულისმხევი იქნება

თეორიები იურიდიული პირის შესახებ პირობითად შესაძლებელია ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ავტორები განასხვავებენ კორპორაციული რეალიზმისა და კორპორაციული ნომინალიზმის თეორიებს. თუ პირველისათვის კორპორაცია არის რეალური მოვლენა და მისი კორპორაციული პიროვნულობა უბრალოდ მის ადგილს ასახავს თანამედროვე საზოგადოებაში (იგივე *გირკეს* რეალური კავშირის თეორია), ნომინალისტებისათვის კორპორაცია არსობრივად რჩება, როგორც პირთა გაერთიანება და კორპორაციული პიროვნულობა სხვა არაფერია თუ არა მათი სახელების შემოკლება, აბრევიატურა მოქნილობისა და სიმარტივისათვის.¹⁴ ამ ორი თეორიის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების მიჩნევა ნამდვილ პირად, თავისი განცალკევებული არსით (*გირკეს* რეალური კავშირის თეორია ან რეალისტური მიდგომა ზოგადად) ან მისი განხილვა მხოლოდ როგორც მასში შემავალ წევრებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებად (კონტრაქტული, იგივე აგრეგატული თეორია).¹⁵

იურიდიული პირის შესახებ აღნიშნული თეორიები მარტო სამართლებრივი ან ფილოსოფიური¹⁶ მნიშვნელობის როდია – ისინი სხვაგვარ, უფრო მნიშვნელოვან დატვირთვასაც ატარებენ და ხშირად გავლენას ახდენენ სახელმწიფო და საკანონმდებლო პოლიტიკაზე.¹⁷ მაგალითად, იმავე რეალისტური კავშირის თეორიით,

ძირითადად სწორედ შპს და სს. იხ: *Wolf/Neuner.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016, §16, Rn.23-28, s.169-170.

¹⁴ *Iwai K.*, Persons, Things and Corporations: The Corporate Personality Controversy and Comparative Corporate Governance, *The American Journal of Comparative Law*, Volume 47, No. 4, Autumn, 1999, 583-584. იქვე ავტორი აღნიშნავს სხვა ალტერნატივებს, რომლებიც, განსხვავებული დასახელებების მიუხედავად, ძირითადად იმავე პოზიციებზე დგანან კორპორაციებთან მიმართებაში. იგივე ფიქციის თეორია, მიუხედავად დიდი ისტორიული მნიშვნელობისა, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით უკვე აქტუალურობას მოკლებულია.

¹⁵ *Iwai K.*, What Is Corporation?, *The Corporate Personality Controversy and the Fiduciary Principle in Corporate Governance*, წიგნში: *Legal Orderings and Economic Institutions*, Ed. *Cafaggi F., Nicita A., Pagano U.*, Routledge, London, 2007, 243.

¹⁶ აღსანიშნავია, რომ სამართლის ფილოსოფიაში და ფილოსოფიაში ზოგადად, იურიდიული პირისა და კორპორაციის რაობის პრობლემას ბევრი ავტორი არ ეხება და მიუხედავად დღევანდელ ცხოვრებაში კორპორაციათა მნიშვნელობისა, მისი ფილოსოფიურ (და არა სოციოლოგიურ) ჭრილში განხილვა, როგორც ჩანს, ბევრი ცნობილი ფილოსოფოსისთვისაც ნაკლებად აქტუალური იყო. აქ მნიშვნელოვან გამონაკლისს რამდენიმე პოლიტიკური ფილოსოფოსი, მათ შორის, *ჰეგელი* წარმოადგენს. იხ: *Goedecke W.R.*, Corporations and the Philosophy of Law, *The Journal of Value Inquiry*, Volume 10, Issue 2, June 1976, 81-82.

¹⁷ *Blumberg P.I.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, *The American Journal of Comparative Law*, Volume 38, Supplement. U. S. Law in an Era of Democratization, 1990, 51-52.

რაიმე გაერთიანება ფლობს ცალკე კორპორაციულ პიროვნულობას ან არა, იმ დროს როდესაც საერთო სამართლის სისტემაში მეოცე საუკუნემდე კორპორაციული პიროვნულობის საკითხი ხშირად კონკრეტულ *ad hoc* შემთხვევაზე იყო დამოკიდებული, რადგანაც იმავე აგრეგატის ან ფიქციის თეორიით კორპორაციის განცალკევებულობა მასში შემავალი პირებისგან მყარად არასოდეს არ მიიჩნეოდა.¹⁸ სხვაგვარი შედეგი მოჰყვება, მაგალითად, კონცესიის თეორიის საყოველთაო რეცეფციას – კორპორაციის უბრალოდ კანონისა და სახელმწიფოს ქმნილებად მიჩნევას თავისთავად მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ ამ კორპორაციების მარეგულირებელი ნორმები აუცილებლად საზოგადოებრივი ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდნენ.¹⁹ თუმცა დღესდღეობით შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ იურიდიული პირი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ხელოვნურად შექმნილი ფიქცია. იგი არის სოციალური რეალობა, რომელიც უთანაბრდება ფიზიკურ პირს, სამართლის თვალში მანც. მას უფლებები და ვალდებულებები მიეწერება ქონების არსებობისა თუ არარსებობის მიუხედავად.²⁰

გარდა სამართლებრივი განზომილებისა, იურიდიული პირები ატარებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვასაც. ეკონომიკური სფეროში იურიდიული პირი (და განსაკუთრებით კაპიტალური საზოგადოება) არის მექანიზმი, ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ადამიანი ან ადამიანები თავიანთ საქმიანობას (მათ შორის სამეწარმეოს) ახორციელებენ. იმავე სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, აქციონერსა და უშუალოდ სამეწარმეო საქმიანობის შორის დგება მესამე პირი, რეალურად არსებული, თუმცა უდავოდ ხელოვნური ერთეული.²¹ იმავე განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობის იდეის უკან რომ ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა დგას, ეს არაერთხელ აღინიშნა ლიტერატურაში. უფრო და უფრო მზარდი ეკონომიკური მოქმედებების განსახორციელებლად საჭიროა უფრო მეტი კაპიტალისა და ინვესტიციის მოზიდვა. საჭირო ხდება უფრო და უფრო მეტი ადამიანის ჩართვა, რაც უფრო მარტივია

¹⁸ *French D., Mayson S., Ryan C.*, Mayson, French & Ryan on Company Law, 33rd Ed., Oxford, Oxford University Press, 2016, 154.

¹⁹ *Ripken S.K.*, Corporations Are People Too: A Multi-dimensional Approach to the Corporate Personhood Puzzle, *Fordham Journal of Corporate & Financial Law*, Vol. 15, No. 1, 2009, 101.

²⁰ *Wolf/Neuner.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016, §16, Rn.14, s.167.

²¹ *Gas Lighting Improvement Co Ltd v Inland Revenue Commissioners*, (1923) AC 723 at 740 – 741.

თუ ისინი, პირადი შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ნაცვლად, პასუხს აგებენ მხოლოდ შეზღუდულად, შეტანილი შენატანით. საბოლოოდ ეს მზარდი კაპიტალი ეფექტური მართვის მიზნით, გადადის რამდენიმე პირის ხელში. კორპორაციული პიროვნულობა ამ კუთხით არის ლოგიკური ინსტრუმენტი იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა შეზღუდულ იქნას პარტნიორების მიერ შეტანილი შენატანებით.²² შენატანი იქნება არა ამ კერძო აქციონერის ქონება, არამედ ცალკე იურიდიული პირის, რომელსაც საკუთარი პიროვნულობა გააჩნია. ინვესტორებიც უფრო მეტად თამამ და სარისკო პროექტებზე წავლენ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს.²³

როგორც ფილოსოფიურად, ასევე სოციალურად, იურიდიული პირის ბუნებაზე მრავალგვარი კუთხიდან შეიძლება მსჯელობა. თუ ჩვენ მარტო მის არსობრივ, ფიზიკურ მხარეს ჩავუღრმავდებით, მის ონტოლოგიურ სუბსტანციას, მაშინ შესაძლებელია იმაზე საუბარი, რომ იურიდიული პირი რეალურად მართლა ფიქციაა.²⁴ ფიზიკური პირისგან განსხვავებით, იურიდიულ პირს არ აქვს შესაძლებლობა, გააცნობიეროს საკუთარი მოქმედებები და იმოქმედოს თვითონ, მასში შემავალი ფიზიკური პირების გარეშე. ეს თვითგაცნობიერების ელემენტი უმნიშვნელოვანესია ადამიანის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის, ცნებაში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იურიდიული პირის ფიქციად მოხსენიებისას იგულისხმება მისი არა *სამართლებრივი* ფიქცია, როგორც ამას *სავინი* აღნიშნავდა თავის თეორიაში, არამედ ფიქცია *სოციალური, ადამიანის გონით მინიჭებული*. როდესაც საუბარია იმაზე, რომ რომელიმე სააქციო საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიულმა პირმა თავისი საკუთარი გონით გააცნობიერა არსებული გარემოებები და ალტერნატივები და

²² *Radin M.*, The Endless Problem of Corporate Personality, Columbia Law Review, Volume 32, No. 4, April 1932, 654.

²³ *Bainbridge S.M.*, Abolishing Veil Piercing, Journal of Corporation Law, Volume 26, No. 3, Spring 2001, 488-489.

²⁴ *Demos R.*, Legal Fictions, International Journal of Ethics, Volume 34, No. 1, October, 1923, 44. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, „ფუნქციონალური“ გაგებით, ნებისმიერი აგენტი (აქტორი), რომელსაც ძალუძს იმოქმედოს როგორც პირი არსებულ სოციალურ გარემოში, ითვლება კიდევ ასეთად. მათ შორის იგულისხმება კორპორაციებიც. ამ მიდგომით ისინი სრულიად არ არიან „ფიქციები“. იხ: *List C., Pettit P.*, Group Agency: The Possibility, Design, and Status of Corporate Agents, Oxford University Press, Oxford, 2011, 176. სხვა კომენტატორები მიუთითებენ, და სწორადაც, რომ იმისათვის რომ საზოგადოებამ პასუხი აგოს საკუთარ მოქმედებებზე საჭიროა, რომ მას გარკვეული რეალური ფიზიკური განზომილებაც გააჩნდეს და მხოლოდ და მხოლოდ ფიქცია არ იყოს: *Tuomela R.*, Social Ontology: Collective Intentionality and Group Agents, Oxford University Press, Oxford, 2013, 236.

ამგვარად მივიდა გადაწყვეტილებამდე. ასეთ გადაწყვეტილებას რეალურად იღებენ ამ საზოგადოების მმართველი ორგანოები, რომლებიც ყოველთვის ფიზიკური პირებისგან შედგებიან. არც ერთ კორპორაციას არ შეუძლია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, „თავისით“, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.²⁵ თუ იურიდიული პირის პარტნიორი სხვა იურიდიული პირია, ამ უკანასკნელი იურიდიული პირის უკანაც საბოლოო ჯამში ფიზიკურ პირებს განვჭვრეტთ. რამდენად გრძელიც არ უნდა იყოს იურიდიული პირების ფლობის ეს ჯაჭვი, საბოლოო ჯამში ჩვენ მივალთ ისევ ფიზიკურ პირებამდე, რომლებიც საზოგადოების სახელით იღებენ გადაწყვეტილებას.²⁶ რეალური ნებელობა, შესაძლებლობა იმისა, რომ სუბიექტმა განჭვრიტოს მდგომარეობა და საკუთარი გონებრივი პროცესებით მიიღოს გადაწყვეტილება – აღნიშნული არც ერთ იურიდიულ პირს არ ახასიათებს საკუთარი ბუნებიდანვე გამომდინარე.²⁷ საკუთარი ინტერესიც, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, მას არ აქვს და ლიტერატურაში აბსოლუტურად ნორმალურად მიიჩნევა ისეთი სიტუაცია, როდესაც იურიდიული პირი შექმნილია, როგორც მასში მონაწილე ფიზიკური პირების მიზნების მიღწევის საშუალება, როგორც ინსტრუმენტი.²⁸

არასამართლებრივი თვალსაზრისით, ხშირია კორპორაციული იდენტობის გაიგივებაც იმ ორგანოსთან ან პირთან, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს ან რომელთანაც იგი დაკავშირებულია ამა თუ იმ მიზეზის გამო. ეს შეიძლება იყოს დამფუძნებელი, მენეჯერი, დირექტორთა საბჭო, დომინანტი აქციონერი და ა.შ. ასეთი გაიგივება არ უნდა ჩაითვალოს უბრალო დამთხვევად – ჩვეულებრივი ადამიანის თვალშიც კორპორაციის უკან დგანან ფიზიკური ადამიანები.

²⁵ იხ. მაგ. *Ripken S.K.*, Corporations Are People Too: A Multi-dimensional Approach to the Corporate Personhood Puzzle, *Fordham Journal of Corporate & Financial Law*, Vol. 15, No. 1, 2009, 100.

²⁶ აღნიშნული არ ნიშნავს *ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის* მიერ ჩამოყალიბებული ფიქციის თეორიის მხარდაჭერას. „ფიქციის თეორია“ არსობრივად განსაზღვრავს თვითონ კანონმდებლობისა და ზოგადად სამართლის მიდგომას ასეთი იურიდიული პირებისადმი, როგორც ფიქციებისადმი. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში აღიარებულია იურიდიული პირის განცალკევებულობა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ის, როგორც ბუნებრივად არსებული რაღაც, არ არსებობს. იგი მაინც ფიქციად რჩება იმ კუთხით, რომ მას საკუთარი რაობა, სიცოცხლე და საზრისი უბრალოდ არ გააჩნია. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ თეზისიდან გამოდის.

²⁷ *Gierke O.*, Political Theories of the Middle Age, Tran. *Maitland F.W.*, Cambridge, Cambridge University Press, 1900, xx-xxi.

²⁸ *Grigoleit H.*, Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes, C.H.Beck, München, 2006, 6-7.

სხვანაირად რომ ვთქვათ, რომ არა ფიზიკური პირები, იურიდიული პირები უბრალოდ არ იარსებებდნენ, საპირისპირო კი სიმართლეს არ შეესაბამება – ფიზიკური პირი დღევანდელ სამყაროში ისედაც არსებობს და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ იურიდიული პირი საერთოდ მოევლინა სამყაროს.²⁹ ფიზიკური პირი ონტოლოგიური თვალსაზრისით უპირველესია³⁰ და იურიდიული პირები ფუნდამენტალურად მხოლოდ ინდივიდთა ჯგუფებსა და აგრეგატებს წარმოადგენენ.³¹

თუ იურიდიული პირის, როგორც სამართლებრივი ფიქციის, თეორია დღეს ნაკლებად აქტუალურია და ფართოდაა აღიარებული გირკეს რეალისტური კავშირის თეორია, იურიდიული პირის, როგორც *სოციალური* ან *ფილოსოფიური* ფიქციის თემა გარკვეულწილად მაინც დავას იწვევს. იურიდიული პირის ფიქციად მიჩნევის მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ ხელოვნური აუცილებლად არ ნიშნავს ფიქტიურს. ხელოვნური ტბა ან ჩანჩქერი რეალურად არსებობს და ფიქცია ან ილუზია სულაც არ არის.³² სხვები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ იმავე კორპორაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, ცალკეულ ინდივიდთა ზუსტი როლის განსაზღვრა მარტივი პროცესი არ არის. უთანხმოებები და განსხვავებული აზრი ხშირია და კორპორაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არსობრივად განსხვავდება მასში შემავალი ინდივიდების გადაწყვეტილებების უბრალო მათემატიკური ჯამისგან.³³ სრულიად შესაძლებელია იურიდიული პირისგან მოცილდეს ყველანაირი

²⁹ „აბსურდული იქნებოდა გვეთქვა, რომ კორპორაციებს შეეძლებოდათ მოქმედება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ყველა ადამიანი გაქრებოდა“ („it would be absurd to say that corporations could act even though all human beings have perished“). აღნიშნული ფრაზა ფილოსოფოსს ირვინგ თალბერგ უმცროსს (*Irving Grant Thalberg Jr.* 1930 – 1987) ეკუთვნის და მითითებულია: *Held V., Shame, Responsibility and the Corporation*, Ed. Cutler H., Haven, New York, 1986, 170.

³⁰ *Scruton R., Finnis J., Corporate Persons*, Proceedings of the Aristotelian Society, Supplementary Volumes, Volume 63, 1989, 254.

³¹ *Dan-Cohen M., Rights, Persons and Organizations: A Legal Theory for Bureaucratic Society*, University of California Press, Berkeley, 1986, 15-16. ავტორი მიუთითებს, რომ იმავე „ატომისტური“ თეორიისგან განსხვავებით, რომელიც კორპორაციას წარმოადგენს როგორც ინდივიდთა უბრალოდ გაერთიანებას, ჰოლისტური მიდგომით კორპორაცია რეალურად არსებული ერთეულია.

³² *Machen A. W., Corporate Personality*, Harvard Law Review, Volume 24, No. 4, February 1911, 257.

³³ შესაძლებელია მიღებული გადაწყვეტილება იყოს ისეთი, რომელიც კორპორაციის მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს არ სურდა, მაგრამ როგორც „კოლექტიური“ გადაწყვეტილება ისე იქნა მიღებული, ერთობლივი ბჭობისა და განხილვის შემდგომ. სხვანაირად რომ ვთქვათ, კორპორაცია იღებს გარკვეული *შენატანის* სახით ინდივიდთა მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებს, მაგრამ საბოლოო *შედეგი* შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს. იხ: *Kim S.M., Characteristics of Soulless Persons: The Applicability of the Character Evidence Rule to Corporations*, University of Illinois Law Review, Volume 2000, Issue 3, 2000, 790-791.

ინდივიდუალური ელემენტი, ჩამოშორდეს ყველა ფიზიკური პირი და მან მაინც შეინარჩუნოს, კონცეპტუალურადაც და ლეგალურადაც, საკუთარი არსი, როგორც „საზრიანმა მანქანამ“ (*intelligent machine*).³⁴

ფილოსოფიურად მეტად საყურადღებოა იურიდიული პირის, როგორც პირთა სუბსტანციის მოდიფიცირებულ მდგომარეობად აღქმა. თანამედროვე ფილოსოფიის დამფუძნებლად წოდებული *რენე დეკარტი*³⁵ განასხვავებდა სუბსტანციის ძირითად უცვლელ მახასიათებლებს მისი მოდიფიკაციებისგან, შეცვლილი მდგომარეობებისგან, რომლებიც სუბსტანციას ეკუთვნოდნენ.³⁶ იურიდიული პირი, რომელიც ფიზიკურად ვერ იარსებებდა, რომ არა მასში შემავალი ფიზიკური ინდივიდები, შესაბამისად ვერ განახორციელებდა ვერანაირ მოქმედებასაც. ამგვარად იურიდიული პირი, კარტეზიანული ფილოსოფიით, სწორედ ამ ინდივიდუალური პირების სუბსტანციის მოდიფიცირებულ ვარიანტად, მის გაგრძელებად შეიძლება იყოს განხილული.³⁷

საუკუნეების განმავლობაში, როგორც სამართალმცოდნეები, ასევე პრაქტიკოსი იურისტები, დიდი ორჭოფობით საუბრობდნენ განცალკევებულ იურიდიულ პირზე, როგორც ფიზიკური პირის იდენტური (ან თითქმის იდენტური) უფლებაუნარიანობის მქონე ერთეულზე. როგორც შემდგომში დავინახავთ, იურიდიული პირის ამგვარ აღქმაში ზოგიერთი უკვე ხედავდა საშიშროებას, რომ პასუხისმგებლობა ბოროტად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.

იურიდიული პირის, როგორც არსობრივი ფიქციის, განხილვამდე, უნდა აღინიშნოს, თუ რას ნიშნავს ფიქცია, რა როლს ასრულებს ის დღევანდელ სამართალში

³⁴ *Dan-Cohen M.*, Rights, Persons and Organizations: A Legal Theory for Bureaucratic Society, University of California Press, Berkeley, 1986, 49.

³⁵ *René Descartes* (1596–1650).

³⁶ *Descartes R.*, Principles of Philosophy, Tran., *Miller V.R., Miller R.P.*, Kluwer Academic Publishers, Dordrecht, 1982, 23-25. *Williams B.*, Descartes: The Project of Pure Inquiry, Routledge, London, 2005, 108.

³⁷ *დეკარტის* ფილოსოფიაზე დაყრდნობით *ბარუხ სპინოზამ* (*Baruch Spinoza*, 1632–1677) აღნიშნული განსხვავება მახასიათებლებსა და მოდიფიცირებულ მდგომარეობებს შორის უფრო განავითარა და ეს უკანასკნელი იმ „რადაცად“ მონათლა, რომელშიც სუბსტანცია საკუთარ გამოხატულებას ჰპოვებს. მაგალითად, პირები თუ კლუბს დააფუძნებენ და ეს კლუბი სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოქმედებებს შეასრულებს (შეისყიდის ქონებას, წარსდგება სასამართლოში და ა.შ.), რეალურად, ამ თვალსაზრისით, ეს კლუბი ამ პირების *კოლექტიური ექსტენცია* ანუ *განვრცობა* გამოდის, რადგან ამ პირების გარეშე ეს კლუბი ვერანაირ მოქმედებას თავისით ვერ განახორციელებდა. იხ: *Scruton R.*, A Short History of Modern Philosophy, 2nd Ed., Routledge, London, 2002, 51.

და რამდენად მნიშვნელოვანია იგი. იურიდიული პირის ფიქცია მხოლოდ ერთ-ერთია სხვადასხვა იურიდიული ფიქციებიდან, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მათგანისგან განსხვავებით, ამ ფიქციის გავლენა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ თუ სოციალურ მდგომარეობაზე განუზომლად უფრო დიდია.

2.2. სამართლებრივი ფიქცია, მისი მნიშვნელობა და როლი

სამართლებრივი ფიქცია, როგორც ასეთი, წარმოადგენს პრეზუმფციას სამართალში, რომ გარკვეული მოვლენა რეალურია ან სინამდვილეს შეესაბამება იმ დროს, როდესაც ეს ასე არ არის ან შესაძლებელია არ იყოს. თეორიულად ჩამოუყალიბებელი სახით, ის უკვე რომაულ სამართალშიც ფართოდ იყო აპრობირებული³⁸ და დღემდე მოყოლებული მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამართლებრივ მეცნიერებაში. *ბლექსტონი*³⁹ აღნიშნავდა სამართლებრივი ფიქციის მნიშვნელობასა და მის სარგებელს, როგორც საშუალებას უკანონობის ან მავნებლობის აღსაკვეთად ან სამართლებრივი სირთულეების გადასალახავად.⁴⁰ სამართლებრივ ინსტიტუტთა არც თუ ისე მცირე ნაწილი რეალურად სწორედ ფიქციას წარმოადგენს. აღნიშნული მოიცავს არა მარტო იურიდიულ პირსა და პიროვნულობას, არამედ თვით პიროვნულობის ცნებასაც.⁴¹ თვით ფიქციები ან სხვა მეტაფორები უნდა გამოყენებულ იქნას გადაწყვეტილების მისაღებად, ისინი მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენენ და ამიტომ არასწორი იქნებოდა მათდამი ბრმა, უსიტყვო დამორჩილება.⁴²

ფიქცია ზოგადად შეიძლება არსებობდეს: ა) დადებითი (პოზიტიური) – ანუ ადგილი აქვს იმის არსებობის პრეზუმფციას, რაც სინამდვილეში არ არსებობს; 2)

³⁸ მაგალითები იხ: *Ando C.*, *Law, Language, and Empire in the Roman Tradition*, Philadelphia, University of Pennsylvania Press, 2011, 115-131.

³⁹ *Sir William Blackstone* (1723-1780).

⁴⁰ *Blackstone W.*, *Commentaries on the Laws of England, Book III: Of Private Wrongs.*, Ed. *Prest W.*, Oxford University Press, Oxford, 2016, 28.

⁴¹ *Note – What We Talk about When We Talk about Persons: The Language of a Legal Fiction*, *Harvard Law Review*, Volume 114, No. 6, April 2001, 1745-1747.

⁴² *Berger R.*, "Disregarding the Corporate Entity" for Stockholders' Benefit, *Columbia Law Review*, Volume 55, No. 6, June, 1955, 814.

უარყოფითი – რაც სინამდვილეში მართლა არსებობს, სამართლებრივად მისი უგულებელყოფა ხდება და 3) როდესაც ერთი პირის მოქმედება მეორე პირის მოქმედებად ითვლება.⁴³ ამ სამიდან ლოგიკური იქნება, თუ იურიდიული პირის ფიქციას პირველ კატეგორიას მივაკუთვნებთ. რეალურად იურიდიული პირი არ არსებობს, მაგრამ სამართალი აკეთებს საპირისპიროს პრეზუმფციას.

არსებობს ფიქციათა სხვა კატეგორიზაციებიც, მაგალითად, ისტორიულ და დოგმატურ ფიქციებად.⁴⁴ თუ ისტორიული ფიქციები სამართლის შეცვლის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, დოგმატური ფიქციები ერთი ნაბიჯით წინ მიდიან და ცდილობენ, არსებული ფიქციები ერთიან დოგმატურ ჩარჩოში მოაქციონ.⁴⁵ რეალურად იურიდიული პირი ყველაზე კომპლექსურ ფიქციას წარმოადგენს დღევანდელ იურისპრუდენციაში – მას საძირკველშივე უდევს რთული დოგმატური საფუძველი, რომელიც ამყარებს მის პოზიციას, ათანასწორებს მას ფიზიკურ ინდივიდთან და აძლევს მას საშუალებას მონაწილეობა მიიღოს სამართლებრივ, ეკონომიკურ თუ ყოფით სოციალურ ურთიერთობებში.

2.3. ცალკე კორპორაციული პიროვნულობა⁴⁶

ყოველდღიურ საუბარში „პიროვნებასა“ და „პიროვნულობაზე“ საუბრისას იგულისხმება რომელიმე კერძო ადამიანი და ამ სიტყვის ქვეშ მისი პირადი, ინდივიდუალური მახასიათებლები და ქცევები მოიაზრება, რომელიც ვლინდება მის „პიროვნულობაში“. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის “კორპორაციულ პიროვნულობაში” მხოლოდ სამართლებრივი და არა სოციოლოგიური თუ

⁴³ *Miller S.T.*, The Reasons for Some Legal Fictions, Michigan Law Review, Volume 8, No. 8, June, 1910, 624-625.

⁴⁴ *Demos R.*, Legal Fictions, International Journal of Ethics, Volume 34, No. 1, October, 1923, 44.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ ცალკე კორპორაციული პიროვნულობის შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს. მაგალითის სახით იხილეთ ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალი: *Iwai K.*, Persons, Things and Corporations: The Corporate Personality Controversy and Comparative Corporate Governance, The American Journal of Comparative Law, Volume 47, No. 4, Autumn, 1999, 583-584, fn. 2.

კულტურული განზომილება იგულისხმება.⁴⁷ თვით სამართლებრივ ლიტერატურაში ცალკე კორპორაციული პიროვნულობა, ისევე როგორც მისგან ლოგიკურად გამომდინარე შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, მიიჩნევა საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტალურ პრინციპად ანუ იმ სტანდარტად, რომელიც შემდგომში იძლევა რეგულირების საფუძველს.⁴⁸

დღესდღეობით, ცალკეული კორპორაციული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი გამჯდარია თვითონ სამართლის სტრუქტურაში. ის აღიქმება როგორც თავისთავადი, აშკარა, ეჭვგარეშე⁴⁹ და კაპიტალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან ცენტრალურ ადგილს იკავებს.⁵⁰

სამართლებრივად, “პირად” აღიარება თავის მხრივ ნიშნავს საზოგადოების წევრად გახდომას, იმ უფლებებითა და ვალდებულებებით შემოსვას, რომლებითაც სარგებლობს ფიზიკური პირი დღევანდელ საზოგადოებაში.⁵¹ იურიდიული თვალსაზრისით პირი არ უნდა იქნას პირდაპირ გაიგივებული ამ სიტყვის ეთიკურ

⁴⁷ სოციოლოგიური თვალსაზრისით არ არსებობს რომელიღაც ერთიანი კორპორაციული პიროვნულობა, (რომელიც არ ერწყმის კორპორაციის იმიჯსა და სახეს), რადგან მასში მოქმედი ძირითადი აქტორები – აქციონერები, დასაქმებულები და ა.შ. – კორპორაციას თავისებურად, საკუთარი განსხვავებული თვალსაწიერიდან ხედავენ. იხ: *Martineau P.*, *Sharper Focus for Corporate Image*, წიგნში: *Revealing the Corporation: Perspectives on Identity, Image, Reputation, Corporate Branding, and Corporate-level Marketing*, Ed. *Balmer J.M.T., Greyser S.A.*, Routledge, London, 2003, 203.

⁴⁸ მაგალითისათვის იხ: *Blumberg P.I.*, *The Multinational Challenge to Corporation Law: The Search for a New Corporate Personality*, Oxford University Press, Oxford, 1993, 153. *Bourne N.*, *Bourne on Company Law*, 6th Ed., Routledge, London, 2013, 19. *Talbot L.*, *Critical Company Law*, Routledge-Cavendish, New York, 2007, 29.

⁴⁹ როგორც აღნიშნულია კანადის საკორპორაციო სამართლის შესახებ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში: „სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში, კორპორაციების იურიდიული პიროვნულობა უდავოა; სამართლებრივი ანალიზის ფარგლებს გარეთ საეჭვოა კორპორაციების იურიდიული პიროვნულობა საერთოდ წარმოადგენდეს ინტერესის საგანს“. („[w]ithin the realm of legal analysis, corporate legal personality is unquestionable; outside the realm of legal analysis it is doubtful whether corporate legal personality is of any interest at all“. ციტირებულია: *Hamilton S.N.*, *Impersonations: Troubling the Person in Law and Culture*, University of Toronto Press, Toronto, 2009, 33. დღესდღეობით აღნიშნული წინადადების მეორე ნაწილი აშკარად არ შეესაბამება სიმართლეს, რაც კარგად ჩანს კორპორაციებისა და განსაკუთრებით კორპორაციული პასუხისმგებლობისადმი საზოგადოებრივი ინტერესის ზრდის ფაქტიდან.

⁵⁰ *Armour J., Hansmann H., Kraakman R., Pargendler M.*, *What Is Corporate Law?* წიგნში: *Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E.*, *The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach*, 3rd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 1.

⁵¹ *Hoffmann D.N.*, *Personhood and Rights, Polity*, Volume 19, No. 1, Autumn, 1986, 74-76.

დატვირთვასთან, არამედ მხოლოდ მის ფორმალურ მხარესთან.⁵² ცალკე კორპორაციული პიროვნულობის დოქტრინა საშუალებას იძლევა, რომ იურიდიული პირი, რომელიც ფილოსოფიური და ნატურალური თვალსაზრისით ფიქციაა, სამართლის თვალში განიხილებოდეს როგორც ნამდვილი პირი, საკუთარი ნებითა და მოქმედებებით, იმ დონემდე რომ განცალკევებულად მიიჩნეოდეს, თუნდაც მასში მონაწილე ერთადერთი პირისგან.⁵³

ისტორიულად ეს ყოველთვის ასე არ იყო. იურიდიული პირის გაიგივება მასში შემავალ ინდივიდებთან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ძირითად დოქტრინად. ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაშიც მე-19 საუკუნის დასასრულამდეც, თვით ისეთი კომპლექსური ორგანიზაციული წარმონაქმნები, როგორებიც იყვნენ სააქციო საზოგადოებები, არ განიხილებოდნენ თავიანთი პარტნიორებისგან მთლიანად განცალკევებულ პირებად.⁵⁴ კორპორაციებისათვის იგივე უფლებების მინიჭება, რასაც ტრადიციულად ფიზიკური პირები სარგებლობდნენ, ბევრი სამართალმცოდნესათვის საეჭვო და საშიშ აზრადაც კი მიიჩნეოდა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პირის სამართლებრივი განმარტება არ ემთხვევა მის ფილოსოფიურ თუ სოციალურ განმარტებას. იურისპრუდენციაში პირი არის სამართლებრივი ვალდებულებებისა და უფლებების მატარებელი სუბიექტი.⁵⁵ პიროვნულობის ასეთ სამართლებრივ ცნებას თავისი კრიტიკოსები აკლია, რომელთა

⁵² *Wolf/Neuner*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016, §16, Rn.14, s.167.

⁵³ აღნიშნული შემთხვევის საილუსტრაციოდ კარგად გამოდგება ახალი ზელანდიის საქმე *Lee v Lee's Air Farming Ltd.*, [1960] UKPC 33, რომელზეც გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ, რადგანაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ცალკე იურიდიულ პირს წარმოადგენდა, ამ საზოგადოების ერთადერთ პარტნიორს, რომელიც ამავდროულად მისი დირექტორიც იყო, შეეძლო შრომის ხელშეკრულების დადება ასეთ საზოგადოებასთან და კორპორაციული პიროვნულობის „ჯადოქრობით“ შეეძლო ყოფილიყო როგორც „ბატონი“, ასევე „მოსამსახურე“. იხ. აგრეთვე: *Davies P.L.*, Gower and Davies' Principles of Modern Company Law, 8th Edition, Sweet and Maxwell Ltd., London, 2008, 202.

⁵⁴ *Ireland P.*, Capitalism without the Capitalist: The Joint Stock Company Share and the Emergence of the Modern Doctrine of Separate Corporate Personality, *The Journal of Legal History*, Volume 17, Issue 1, 1996, 45-46. *Angell J.K.*, *Ames S.*, *Treatise on the Law of Private Corporations Aggregate*, 8th Ed., Little, Brown, and Company, Boston, 1866, 764.

⁵⁵ *Gray G.C.*, *The Nature and the Sources of Law*, 2 Ed., The Macmillan Company, New York, 1921, 27.

აზრითაც, ამ შემთხვევაში ადამიანის, როგორც ცალკე არსებული ინდივიდის, ფილოსოფიურ და ლინგვისტურ ცნებაზე გარკვეულ “პარაზიტობას” ადგილი აქვს.⁵⁶

ცალკე კორპორაციულ პიროვნულობაში საფუძველშივე უდევს პარადოქსული ფაქტი: საკუთრების – ამ კრიტიკული ელემენტის – მფლობელობა კორპორაციაში გაორებულია. ქონებას ოფიციალურად ფლობს კაპიტალური საზოგადოება, მაგრამ ამავე კაპიტალურ საზოგადოებაში წილებსა და აქციებს ფლობენ აქციონერები. შეუძლებელია საკითხი დანახულ იქნას მხოლოდ ერთ-ერთი მხრიდან, რადგან ასეთ შემთხვევაში პოლარულად საწინააღმდეგო შედეგებამდე მივალთ. თუ ქონებისა და აქტივების მესაკუთრეებად ჩავთვლით საზოგადოებას, მაშინ მისი ცალკე კორპორაციული პიროვნულობის განმტკიცება და დასაბუთება მარტივი იქნება, მეორეს მხრივ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ თვით ამ კაპიტალურ საზოგადოებაში წილებს ან აქციებს სხვა პირები ფლობენ, მაშინ ამ თეორიის სიმყარე ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს.⁵⁷

პიროვნულობის ფიქცია, თუმცა წარმოადგენს სამართლებრივ პრინციპს, მისდამი ბრმა მორჩილება, როგორც უკვე აღინიშნა, დაუშვებელია. როდესაც საუბარია იმავე კორპორაციისა და მასში შემავალი პირების (პარტნიორი, დირექტორი და ა.შ.) განცალკევებაზე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის, რომ მათი სრული განცალკევება, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებისა და უსამართლო ან უკანონო შედეგის შეთხვევაშიც კი, რაციონალურად არასწორი და შეუძღარი პოზიცია იქნებოდა – ნებისმიერ შემთხვევაში სამართლიანობის ინტერესი, თუ იგი განსაკუთრებით მწვავედ დგება, ამარცხებს (ან უნდა ამარცხებდეს) კორპორაციული პიროვნულობის ფიქციას.⁵⁸

⁵⁶ *Teichmann J.*, The Definition of Person, *Philosophy*, Volume 60, No. 232, April, 1985, 179.

⁵⁷ *Iwai K.*, What Is Corporation?, The Corporate Personality Controversy and the Fiduciary Principle in Corporate Governance, წიგნში: *Legal Orderings and Economic Institutions*, Ed. *Cafaggi F., Nicita A., Pagano U.*, Routledge, London, 2007, 244-249.

⁵⁸ *Berger R.*, "Disregarding the Corporate Entity" for Stockholders' Benefit, *Columbia Law Review*, Volume 55, No. 6, June, 1955, 814.

2.3.1. პირისა და პიროვნულობის ცნება

საკითხი იმის თაობაზე, თუ არსობრივად რას წარმოადგენს „პირი“ ან „პიროვნულობა“, უფრო ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე რაიმე კონკრეტულ სამართლებრივ კატეგორიას. ბუნებრივია, სიტყვა „პირსა“ და განსაკუთრებით კი „პიროვნულობას“ მრავალი განზომილება აქვს: კულტურული, ფილოსოფიური, სოციალური თუ იურიდიული და ამგვარად მისი ყოვლისმომცველი ანალიზი სირთულეებთან არის დაკავშირებული.

იურიდიული თვალსაზრისით, ზოგადად „პირის“ ცნება დაკავშირებულია სამართლებრივი უფლებების ტარების კონცეფციასთან.⁵⁹ როგორც უკვე აღინიშნა, იურიდიული პირის სამართლებრივ ცნებას ხშირად უფრო აღწერილობითი ხასიათი აქვს, ვიდრე განმარტებითი: იგი ხაზს უსვამს იმ ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გააჩნიათ იურიდიულ პირებს, თუმცა არ უღრმავდება თვითონ ცნებას, ხსნის რა იურიდიული პირის არსს „სამართლებრივი სუბიექტის“ ფორმულირებით. ამავდროულად, პიროვნების სხვა (მაგ. სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური) განმარტებები შესაძლოა უფრო ზუსტად განსაზღვრავდნენ ამ ცნების შინაარსს, მაგრამ ამ უკანასკნელთა განვრცობაც იურიდიულ პირებზე შესაძლოა პრობლემური იყოს, რადგანაც ისინიც ამოსავალ წერტილად იღებენ ძირითადად ფიზიკურად არსებულ ინდივიდს, მაგალითად, „პირის“ თანამედროვე ფსიქოლოგიური კონცეფცია, როგორც *„სტაბილური სისტემა, რომელიც შუამავლობის ფუნქციას ასრულებს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ არჩევს, განმარტავს ან ამუშავებს ინდივიდი სოციალურ ინფორმაციას და ახორციელებს სოციალურ ქცევებს“*,⁶⁰ შესანიშნავად ერგება ფიზიკურ პირს, თუმცა მისი ზუსტი მორგება, თუნდაც ანალოგიის სახით იურიდიულ პირზე, შეიძლება რთული იყოს.

⁵⁹ *Teichmann J.*, The Definition of Person, *Philosophy*, Volume 60, No. 232, April, 1985, 177-180.

⁶⁰ *“a stable system that mediates how the individual selects, construes, and processes social information and generates social behaviors”*. ციტირებულია: *Mischel W., Schoda Y.*, A Cognitive-Affective System Theory of Personality: Reconceptualizing Situations, Dispositions, Dynamics, and Invariance in Personality Structure, *Psychological Review*, Volume 102, No. 2, April 1995, 246.

აქ მიზანშეწონილი იქნება, თუ ჩავუღრმავდებით თვით „პიროვნებისა“ და „პიროვნულობის“ ცნებებს და ისტორიულ და ფილოსოფიურ ჭრილში განვიხილავთ იმ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რაც იარსებებს მათი ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ გამოყენების შემთხვევაში.

ისტორიულად „პირის“ ასოციაცია ხდებოდა ფიზიკურ (ბუნებრივ, ნატურალურ) პირთან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ „იურიდიული პირის“ ცნების მიახლოებითი კონცეფციაც კი არ არსებობდა და ის მხოლოდ შუა საუკუნეებში „*persona ficta*“-ს თანდათანობითი განვითარებისა და მეთვრამეტე–მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე თეორიული მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა. სხვა მხრივ, აღნიშნული ტერმინის გამოყენება სხვა სულიერი თუ უსულო საგნების მიმართ (ცხოველები, ბუნება) უმეტესწილად მხოლოდ აბსტრაქტულ ფილოსოფიურ თუ მხატვრულ შინაარსს ატარებდა. გარკვეული ისტორიული გამონაკლისები საყურადღებოა. მაგალითად, ადრეული შუა საუკუნეების ფილოსოფოს *ბოეციუსისათვის*⁶¹ პირი არის „რაციონალური ბუნების მქონე *ინდივიდუალური* სუბსტანცია.“⁶² აღნიშნული განმარტება საკმაოდ მოქნილია და შეუძლია მოიცვას არა მარტო ფიზიკური, არამედ დღევანდელი იურიდიული პირებიც. ნიშანდობლივია, რომ სწორედ *ბოეციუსის* ამ განმარტებას მოჰყვა მეტაფიზიკური ნიშან-თვისებების მიწერა პირებისათვის.⁶³ ზემოთ უკვე ნახსენები კარტეზიანული სისტემა გამოირჩეოდა იმით, რომ პირის გონებასა და სხეულს ერთმანეთისგან აცალკევებდა და დუალისტურ სისტემაში ათავსებდა, სადაც პიროვნების ადგილი მკაცრად გონებრივ და არა სხეულეებრივ სფეროში იყო მოქცეული.⁶⁴ დღესდღეობით ასეთ დუალისტურ სისტემა ნაკლებად პოპულარულია და იგი სხვა თეორიული კონსტრუქციებით ჩანაცვლდა. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა პიროვნებასა და

⁶¹ *Anicius Manlius Torquatus Severinus Boethius* (c. 480-524).

⁶² *Boethius.*, *The Theological Tractates, The Consolation of Philosophy, The Loeb Classical Library*, Tran. *Stewart H.F., Rand E.K.*, Harvard University Press, Cambridge, 1968, 85.

⁶³ *French P.A.*, *The Corporation as a Moral Person*, *American Philosophical Quarterly*, Volume 16, No. 3, July, 1979, 208.

⁶⁴ *Burr V.*, *The Person in Social Psychology*, Psychology Press, Hove, 2002, 7.

იდენტობაზე, ინგლისელი ფილოსოფოსი *ჯონ ლოკი*⁶⁵ იყო. იგი არა მარტო განასხვავებდა ადამიანსა და პირს ერთმანეთისგან, არამედ საკმაოდ ორიგინალურად პიროვნებად თვლიდა გონების მქონე, მოაზროვნე არსებას, რომელსაც შეეძლო საკუთარი „მეობის“ აღქმა სხვადასხვა ადგილას და დროში და ამგვარად ახასიათებდა მუდმივობა და განგრძობადობა.⁶⁶ ამ სახით პიროვნულობის ცნების სათავეში ექცეოდა ცნობიერება და პირის მეხსიერება.

პირისა და პიროვნულობას დღევანდელი ფილოსოფიური განმარტებები უფრო შეზღუდულია და დამყარებულია რომელიმე ობიექტისათვის ცნობიერებისა და სხეულებრივი მახასიათებლების მიკუთვნების შესაძლებლობაზე.⁶⁷ დღესდღეობით პირი შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც აგენტი, შემოქმედი პირი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ისეთ ურთიერთობებში, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ ზუსტად გაცნობიერებული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობასთან (*Agency-regarding relations*).⁶⁸

თვით „პიროვნულობაც“ შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც რაიმე იმანენტური თვისება, იმ ნიშან-მახასიათებელთა *ერთობლიობა*, რომლებიც თავისი არსით განასხვავებენ სუბიექტთა ერთ რიგს მეორესგან და ამავდროულად შეიძლება გაგებულ იქნას ფუნქციონალურადაც: რაც ხდის მას მოქმედ პირს, აგენტს (ფილოსოფიური გაგებით). ამგვარად პიროვნულობის მატარებლად გვევლინება არა ის, რაც ეს უკანასკნელი არსობრივად *არის*, არსებობს თავისთავად როგორც პირი, არამედ ასეთს

⁶⁵ *John Locke* (1632—1704)

⁶⁶ *Locke J.*, *An Essay Concerning Human Understanding*, Volume I, Clarendon Press, Oxford, 1894, 448-449.

⁶⁷ პიროვნებაზე საუბრისას ყურადღების გამახვილება სწორედ ამ ორი ელემენტის – ცნობიერებისა და სხეულის – არსებობაზე ხდება. იხ: *Strawson P.F.*, *Individuals: An Essay in Descriptive Metaphysics*, Routledge, London, 1990, 101-102. *Ayer A.J.*, *The Concept of Person and Other Essays*, Macmillan Education, London, 1963, 82.

⁶⁸ *Rovane C.*, *The Bounds of Agency: An Essay in Revisionary Metaphysics*, Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1998, 5, 72. აქ მნიშვნელოვანია სიტყვა „*Agency*“-ს ფილოსოფიური განმარტება, რომელიც აღნიშნავს უნარს, შესაძლებლობას, პირმა თუ სხვა სუბიექტმა, განახორციელოს ქმედებები, ჰქონდეს საკუთარი ცნობიერება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სუბიექტის თვალთ, მის მიერ „*Agency*“-ს ქონა ნიშნავს გრძნობას, განცდას, რომ ის ამა თუ იმ მოქმედების ან მოძრაობის ავტორი ან მიზეზია. იხ: *Gallagher S.*, *The Natural Philosophy of Agency*, *Philosophy Compass*, Volume 2, Issue 2, 2007, 348.

იგი წარმოადგენს, რადგანაც ის *მოქმედებს, აკეთებს*.⁶⁹ თუ პირველი ახსნა დიდი ხნის განმავლობაში ფილოსოფოსების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების თავსატეხს წარმოადგენდა, მეორე განმარტება უფრო პრაქტიკულია და საკითხს უფრო პრაგმატულ ჭრილში განიხილავს. განცალკევებული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კაპიტალური საზოგადოების ფუნქციონალურ დანიშნულებაზე კომენტატორთა უმრავლესობა თანხმდება: მას აქვს ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სხვა სარგებელი. შესაბამისად, ამ ბოლო მიდგომით შესაძლებელია მისი მიჩნევა „პირად“ ყოველგვარი ღრმა ფილოსოფიური თუ მეტაფიზიკური ანალიზის გარეშე.

ზემოაღნიშნული მიდგომა საკმაოდ გამოსადეგია, რადგანაც ყურადღებას ამახვილებს იმ კერძო ფაქტორებზე, რომელთა მიზეზით მოხდა კიდევ იურიდიული პირის ჩამოყალიბება პრაქტიკაში, კერძოდ კი, მის ფუნქციონალურ (კაპიტალური საზოგადოების შემთხვევაში – ეკონომიკური) მხარეებზე. ისტორიულად იურიდიული პირის განმარტებებიც ძირითადად სწორედ ამ კუთხიდან ცდილობდნენ კორპორაციის გამოცანის ამოხსნას: აღწერდნენ რა საკუთრების ქონის ან სასამართლოში გამოსვლის უფლებებს, დეტალური განხილვის გარეშე, ღიად ტოვებდნენ მის ონტოლოგიურ ბუნებას. თუმცა აღნიშნული მიდგომა დღესდღეობით, როდესაც იურიდიულ პირთა და, განსაკუთრებით კი, კაპიტალურ საზოგადოებათა მნიშვნელობა და როლი მსოფლიოში განუზომლად არის გაზრდილი, შესაძლოა არასაკმარისად და არადამაკმაყოფილებლად იყოს მიჩნეული. თუნდაც ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა, იურიდიული პირისა და კორპორაციის ცნებისა და არსის მიახლოებითი კონტურების დადგენა აუცილებელია, რათა განისაზღვროს, თუ კერძოდ როგორ სამართლებრივ, სოციალურ თუ ფილოსოფიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ფიზიკური პირის „პიროვნულობის“ ცნების განმარტების მიუხედავად, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება ამ ცნების სრულად მისადაგება იურიდიული პირისადმი. თუ პიროვნულობის განმსაზღვრელ ფაქტორად

⁶⁹ List C., Pettit P., Group Agency: The Possibility, Design, and Status of Corporate Agents, Oxford University Press, Oxford, 2011, 171.

ჩვენ მივიჩნევთ პირის უნარს, მიიღოს წინდახედული და გონივრული გადაწყვეტილებები (როგორც ამას აღნიშნავს პიროვნულობის ცნების არაერთი განმარტება), მაშინ გაუგებარი იქნება, რატომ არ შეიძლება ასეთი იურიდიული პირის მიჩნევა ნამდვილ პირად, რადგან ამ უკანასკნელს სრულიად შეუძლია დაგეგმოს საკუთარი მოქმედებები და იზრუნოს „საკუთარ“ კეთილდღეობაზე.⁷⁰

თვით კორპორაციული იდენტობაც მრავალმხრივია და ის რაიმე რეფლექსური თვითწარმოდგენებით არ შემოიფარგლება: თუ მისი იდენტობა შესაძლოა განისაზღვროს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებითა და ელემენტებით (როგორცაა სტრუქტურა, საქმიანობის სტილი, ფინანსური მდგომარეობა და ა.შ.), სოციოლოგიურად იდენტობა შესაძლოა უკავშირდებოდეს კორპორაციის იმიჯსაც, რეპუტაციას, მის ადგილს სოციუმსა და ბაზარზე.⁷¹

ზოგადი თვალსაზრისით ქმედებების განხორციელების ასეთი თვითგაცნობიერების მიწერა იურიდიული პირებისათვის შესაძლებელია სადავოდ ჩაითვალოს. როგორც უკვე აღინიშნა, იურიდიული პირის უკან, საბოლოო ჯამში, ყოველთვის ფიზიკურ პირები დგანან. კითხვა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ამ შემავალი პირების მიერ გამოვლენილი ნება, მათი „კოლექტიური ცნობიერება“ ჩაითვალოს კორპორაციის ცნობიერებად და ნებად მაინც უფრო თეორიული და ფილოსოფიური კუთხითაა აქტუალური.⁷²

ამ შემთხვევაში მაინც შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს ჯგუფის *პერსონიფიცირებას*, მის გადაქცევას ერთ პირად, რომელიც არის კიდევ საბოლოო ჯამში კორპორაცია. იმისათვის რომ მონაწილეობა მიიღონ მოქმედებების განხორციელებაში და მიაღწიონ ერთ დასახულ მიზანს, პირები ვალდებულნი არიან გადაწყვეტილების მიღების დროს სიტუაციას შეხედონ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა პირების

⁷⁰ *Rovane C.*, *The Bounds of Agency: An Essay in Revisionary Metaphysics*, Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1998, 71-72.

⁷¹ *Balmer J.M.T., Greyser S.A.*, *Managing the Multiple Identities of Corporation*, წიგნი: *Revealing the Corporation: Perspectives on Identity, Image, Reputation, Corporate Branding, and Corporate-level Marketing*, Ed. *Balmer J.M.T., Greyser S.A.*, Routledge, London, 2003, 16-17.

⁷² აქ იგულისხმება არასამართლებრივი, ფილოსოფიური თვალსაზრისით. სამართლებრივად პარტნიორებისა თუ აქციონერების მიერ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ბუნებრივია ითვლება თვითონ საზოგადოების ნების გამოვლენად.

გადმოსახედიდან და ამგვარად გარკვეული ანგარიში გაუწიონ ამ სხვათა პერსპექტივას.⁷³ შესაბამისად პიროვნების თვალსაწიერი ფართოვდება და მისი საზრისის მდგომარეობა იცვლება „მე“-დან „ჩვენ“-ზე, რასაც „კოლექტიური მიზნობრიობა“ (*Collective Intentionality*) ეწოდება.⁷⁴ აქ შესაძლოა განვიხილოთ ის საინტერესო შემთხვევა, როდესაც ინდივიდუალური წევრების მიერ გამოხატულ ნებაზე დაყრდნობით ხდება ცალკე ერთობლივი ნების (*Gesamtwille*) წარმოშობა და ამის საფუძველზე მოქმედებების განხორციელება.⁷⁵ ასეთი „ჯგუფური აგენტების“ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მათთვის პიროვნულობის მინიჭება, ოღონდ ეს იქნება, რა თქმა უნდა, არა ბიოლოგიური, არამედ ინსტიტუციონალური, ორგანიზაციული პიროვნულობა იმის გათვალისწინებით, რომ კორპორაციებს არ გააჩნიათ გრძნობები, ემოციები, შექმნების შესაძლებლობა და შესაბამისად მათ მიმართ დამოკიდებულება მაინც სხვანაირი უნდა იყოს – ისინი ბოლომდე ვერ გაუთანაბრდებიან ფიზიკურ პირებს.⁷⁶

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ცნობიერება და სხეულებრივი მახასიათებლების ქონა მართო ადამიანებისათვის არაა დამახასიათებელი. დღესაც პიროვნებისა და პიროვნულობის გარკვეული ასპექტების მიწერა ხდება ცხოველებისადმი, რომლებსაც აგრეთვე გააჩნიათ ცნობიერება (თუნდაც შეზღუდულ ფარგლებში) და ამის გამო ისინი გაადამიანურების (ანთროპომორფიზაციის) მთავარი სუბიექტები იყვნენ და დღესაც არიან.⁷⁷ რეალურად, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რაც ადამიანის პიროვნულობას ახასიათებს და გამოარჩევს მას სხვა ცხოველებისგან, არის მისი უნარი, მოახდინოს საკუთარი თავის სიღრმისეული შეფასება, გაიაზროს საკუთარი არსებობა, ჰქონდეს სხვა საბაზისო ინსტინქტური წადილისგან

⁷³ *Rovane C.*, *The Bounds of Agency: An Essay in Revisionary Metaphysics*, Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1998, 138.

⁷⁴ *Tuomela R.*, *Social Ontology: Collective Intentionality and Group Agents*, Oxford University Press, Oxford, 2013, 5-6.

⁷⁵ *Wolf/Neuner.*, *Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016, §16, Rn.14, s.167. „ჯგუფური პიროვნების“ თაობაზე იხილეთ: *Rovane C.*, *The Bounds of Agency: An Essay in Revisionary Metaphysics*, Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1998, 137-141.

⁷⁶ *List C., Pettit P.*, *Group Agency: The Possibility, Design, and Status of Corporate Agents*, Oxford University Press, Oxford, 2011, 176-185.

⁷⁷ აღნიშნული მოვლენა უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული.

განსხვავებული სურვილები და გააჩნდეს უნარი, ზოგადად მოთოკოს, გააკონტროლოს ან შეზღუდოს ისინი საკუთარი თავისუფალი ქცევის ფარგლებში.⁷⁸

რა თქმა უნდა, მეორეს მხრივ, თუ პირის ცნება შეზღუდული იქნება მარტოდენ ფიზიკურად არსებული ინდივიდით, ასეთი ინდივიდუალური განმარტება ადგილს არ ტოვებს იურიდიული პირისა და კაპიტალური საზოგადოებებისათვის, რადგან, რამდენადაც არ უნდა გაფართოვდეს პიროვნულობის ფარგლები, კორპორაცია ვერ იქნება აღქმული, როგორც ცალკე ცნობიერების მქონე *ინდივიდი*. ეს მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალურ საზოგადოებას ნამდვილად ახასიათებს გარკვეული ინდივიდუალური თვისებები: სამართლის თვალში იგი განცალკევებულია მასში შემავალი პირებისაგან, ის შეიძლება ფლობდეს ქონებას, იყოს მხარე სასამართლოში. სამართლის ფუნქციაც აქ სწორედ ის არის, რომ ის გარკვეული სახით ფიზიკურ პირს გაუთანაბროს, თუმცა არ აქციოს იგი ინდივიდად, რადგან ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელ ცალკე ყოფიერებას იურიდიული პირი ნატურალისტური თვალსაზრისით მოკლებულია.

ზოგადად პიროვნულობასთან დაკავშირებით, სამართლის თეორია სვამს ლოგიკურ შეკითხვას იმის თაობაზე, არის თუ არა ნებისმიერი სახის სამართლებრივი პიროვნულობა, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირის, სამართლის ქმნილება?⁷⁹ კორპორაციული პიროვნულობის აღიარების უკან შეიძლება დავინახოთ არა მარტო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტრუმენტი, აბრევიატურა და მოქნილი სიმბოლო, რომელიც ამარტივებს კომუნიკაციას (მაგალითად, ვსაუბრობთ არა ათასობით აქციონერსა და რთულ კომპლექსურ ორგანიზაციულ ურთიერთობებზე, არამედ უბრალოდ „კომპანიაზე“), არამედ ფინანსურადაც და ბუღალტრული თვალსაზრისით საჭირო მოვლენა, რომელიც მთლიანად ჩამოშორებულია სამართლის განზომილებას.⁸⁰

ზემოაღნიშნული ანალიზის მიუხედავად, უნდა ითქვას რომ იურიდიული პირის პიროვნულობის თეორიულმა წიაღსვლებმა არ უნდა გადაგვატანინოს ყურადღება ამ ინსტიტუტის პრაქტიკული ელემენტიდან. ფილოსოფიური თუ სოციალური

⁷⁸ *Frankfurt H.G.*, Freedom of the Will and the Concept of a Person, the Journal of Philosophy, Volume. 68, No. 1, January 14, 1971, 7.

⁷⁹ *Radin M.*, The Endless Problem of Corporate Personality, Columbia Law Review, Volume 32, No. 4, April 1932, 647.

⁸⁰ იქვე, 652-653.

თვალსაზრისით მეტად საინტერესო ნიშნების მიუხედავად, უდავოა ცალკე კორპორაციული პიროვნულობის თეორიაში ეკონომიკური ფაქტორის ცენტრალური მნიშვნელობა. რეალურად კაპიტალური საზოგადოება არსობრივად ეკონომიკურია, ის ეკონომიკური მიზნებისათვის შეიქმნა და აღნიშნული ფონად გასდევს მთლიანად ინსტიტუტს.

2.3.2. იურიდიული პირის განცალკევებული პიროვნულობა, როგორც მისი ანთროპომორფიზაციის შემთხვევა

თანამედროვე იურიდიული პირისათვის ადამიანური თვისებების მინიჭება და მისი „გაადამიანურება“ წარმოადგენს სამართლებრივი ანთროპომორფიზმის ერთ-ერთ საინტერესო გამოვლინებას.⁸¹ ანთროპომორფიზმი არის ფენომენი, როდესაც ადამიანის მიერ ადამიანისათვისვე დამახასიათებელი თვისებების მიწერა ხდება არაადამიანებისათვის, მაგ. ცხოველებისათვის, სხვა სულიერი თუ უსულო საგნებისათვის და ა.შ. როგორც წესი, ანთროპომორფიზმზე საუბრისას უპირველეს მაგალითებად სწორედ ცხოველები მოჰყავთ – ცოცხალი არსებები, რომლებსაც შეუძლიათ მოქმედება და შეზღუდულ ფარგლებში, მათ შესაძლებელია გააჩნდეთ ცნობიერებაც, რაც ამარტივებს ადამიანების მხრიდან მათთვის უფრო მეტი ადამიანური ნიშან-თვისებების მიწერასაც. სამართალიც ამგვარადვე, იურიდიული პირისნაირ ფიქციურ წარმონაქმნს ანიჭებს ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშნებს. რეალურად ხდება კორპორაციის *გაადამიანურება*, მისთვის იმავე უფლებების, ვალდებულებებისა და შესაძლებლობების მინიჭება, რაც ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებს გააჩნიათ.

ფილოსოფიაში მოვლენების ან საგნების ანთროპომორფიზაცია ან ყოველ შემთხვევაში, მათი იმავე სისტემაში მოქცევა, რომელშიც ადამიანებს მათი გააზრება ძალუმთ, სხვადასხვანაირად განიხილება. ამგვარი კომპლექსური მოვლენების ახსნას ზოგი ავტორი ე.წ. მიზანმიმართულ სისტემებში⁸² ეძებს, რომელთა მიხედვითაც რაიმე ფენომენის განჭვრეტა ხდება მათთვის ადამიანის გონებაში უკვე ჩამოყალიბებული

⁸¹ *Wormser I.M.*, Piercing the Veil of Corporate Entity, *Columbia Law Review*, Volume 12, No. 6, June 1912, 496.

⁸² *Intentional Systems*.

ფიქრების, მსოფლმხედველობისა და სურვილების მიწერით.⁸³ კორპორაციაც შეიძლება ასეთ ანთროპომორფიზირებულ სისტემად ჩაითვალოს. იმისათვის რომ უკეთ გავიაზროთ მისი ფუნქციები, ჩვენ ვიყენებთ ჩვენთვის უფრო ნაცნობ ცნებებსა და კონცეფციებს, როგორცაა პიროვნულობა, პასუხისმგებლობა, სახელის ქონა და შესაბამისად განხორციელებულ მოქმედებებსაც მათ მივაწერთ (“კორპორაციამ შეისყიდა”, “კორპორაციამ დასაქმებულები გაათავისუფლა” და ა.შ.).⁸⁴ თუმცა ასეთი ანთროპომორფისტული აღქმა სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ კორპორაციას აღვიქვამთ როგორც მეტაფორას.

კორპორაციის ანთროპომორფისტული დახასიათება კარგად ჩანს ერთ-ერთ ინგლისურ საქმეზე⁸⁵ მიღებულ გადაწყვეტილებაში:

კომპანია ბევრი რამით შესაძლოა მიმსგავსებულ იქნას ადამიანის სხეულს. მას აქვს ტვინი და ნერვული ცენტრი, რომელიც აკონტროლებს იმას, რასაც ის აკეთებს. მას აგრეთვე აქვს ხელები, რომლითაც იგი იჭერს ინსტრუმენტებს და მოქმედებს ცენტრიდან მიღებული მითითებებით. ზოგიერთი კომპანიაში მხოლოდ მსახური და აგენტია, რომლებიც სხვა არაფერს წარმოადგენენ გარდა იმ ხელებისა, რომლებიც მუშაობენ და ამგვარად, არ წარმოადგენენ გონებას ან ნებას. სხვები კი არიან დირექტორები და მენეჯერები, რომლებიც წარმოადგენენ კიდევ კომპანიის ამ გონსა და ნებას და აკონტროლებენ იმას, რასაც ეს კომპანია აკეთებს. ამ მენეჯერთა გონება არის კომპანიის გონება და სამართალიც [მას] ამგვარად განიხილავს.⁸⁶

⁸³ *Dennett D.C.*, *Brainstorms: Philosophical Essays on Mind and Psychology*, The MIT Press, Cambridge, Massachussets, 1981, 3.

⁸⁴ *Werhane P.H.*, *Freeman R.E.*, *Corporate Responsibility*, წიგნში: *The Oxford Handbook of Practical Ethics*, Ed. *Lafollette H.*, Oxford University Press, Oxford, 2005, 521.

⁸⁵ *HL Bolton (Engineering) Ltd v TJ Graham & Sons Ltd*, [1957] 1 QB 159.

⁸⁶ („A company may in many ways be likened to a human body. It has a brain and a nerve centre which controls what it does. It also has hands which hold the tools and act in accordance with directions from the centre. Some of the people in the company are mere servants and agents who are nothing more than the hands to do the work and cannot be said to represent the mind or will. Others are directors and managers who represent the directing mind and will of the company and control what it does. The state of mind of these managers is the state of mind of the

როდესაც საუბარია კორპორაციისა გაადამიანურებაზე, აღნიშნული, რა თქმა უნდა, იგულისხმება იმ გონივრულ ფარგლებში, რომლებშიც მიენიჭა ასეთ პირს. ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელიც ვრცელდება ფიზიკურ პირზე, ავტომატურად არ გადადის კორპორაციაზე. მაგალითად, ბუნებრივი და თავისთავად ცხადია, რომ იგივე კაპიტალური საზოგადოება ვერ დაქორწინდება და ვერ შექმნის ოჯახს.⁸⁷ შეუძლებელია იურიდიულ პირს ჰქონდეს გრძნობები, მართავდეს ავტომობილს ან იყოს დაკავებული და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა, რადგან საბოლოო ჯამში, ფიქცია რეალობის ფარგლებს ვერ გასცდება და ვერ მიანიჭებს მას ფიზიკური პირის იდენტურ თვისებებს.⁸⁸ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც უაღრესად სადავო და არაერთმნიშვნელოვანი საკითხია. ფილოსოფიურად იურიდიულ პირს არ გააჩნია ისეთი გონებრივი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება „გრძნობა“ დაერქვას, ისინი არ არიან ცნობიერების სუბიექტები მკაცრი გაგებით.⁸⁹ განთქმულ გერმანელ სამართალმცოდნე *კელზენსაც*⁹⁰ აღნიშნული ანთროპომორფისტული მეტაფორის არასწორად გაგება და მისი უკიდურესობაში გადაყვანა დაუშვებლად მიაჩნდა და იგი მას იურისპრუდენციის მიერ მოფიქრებულ უბრალო დამხმარე კონცეფციად („*Hilfsbegriff*“) წარმოაჩენდა.⁹¹

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება რაც არსებობს იმავე ფიზიკურ და იურიდიულ პირს შორის არის მათი არსებობის წარმოშობა და დასრულება. ფიზიკური (ხშირად მოხსენიებული როგორც „ნატურალური“, „ბუნებრივი“) პირი იბადება, იზრდება და კვდება. ფიზიკური პირი არსებობს, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი. ანალოგიის გამოყენებით შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ითქვას, რომ იურიდიული

company and is treated by law as such.“). *HL Bolton (Engineering) Ltd v TJ Graham & Sons Ltd*, [1957] 1 QB 159, p 172. ციტირებულია: *Talbot L.*, *Critical Company Law*, Routledge-Cavendish, New York, 2007, 38.

⁸⁷ *Maitland F.W.*, *Moral Personality and Legal Personality*, *Journal of the Society of Comparative Legislation*, Volume 6, No. 2, 1905, 193.

⁸⁸ *French D., Mayson S., Ryan C.*, *Mayson, French & Ryan on Company Law*, 33rd Ed., Oxford, Oxford University Press, 2016, 5.

⁸⁹ *Scruton R., Finnis J.*, *Corporate Persons*, *Proceedings of the Aristotelian Society*, Supplementary Volumes, Volume 63, 1989, 253.

⁹⁰ *Hans Kelsen* (1881-1973).

⁹¹ *Kelsen H.*, *Reine Rechtslehre*, 2.Auflage, Österreichische Staatsdruckerei, Wien, 1992, 182.

პირიც „იბადება“ და „კვდება“, მაგრამ ეს მხოლოდ მიახლოებითი მეტაფორა თუ იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კონცესიის თეორია დღეს ფაქტობრივად უარყოფილია, დღესაც კი აბსოლუტურად ყველა ქვეყანა, ყველა სამართლებრივი რეჟიმი მოითხოვს, რომ იურიდიული პირი სახელმწიფო ორგანოში დარეგისტრირდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძენს იგი განცალკევებულ პიროვნულობას, გახდება ნამდვილი სუბიექტი სამართლის თვალში.⁹² იურიდიული პირი და კორპორაცია ფიზიკურად იმგვარადვე ვერასოდეს ვერ „დაიბადება“ და ვერ „მოკვდება“, როგორც ადამიანი ან სხვა ბუნებრივი ორგანიზმი.

იურიდიული პირის არსისა და რაობის დეტალური თეორიული განხილვა, როგორც სამართლებრივი, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისით ძალიან ვრცელი თემაა და სცილდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის თვალში იურიდიული პირი აღიარებულია სრულყოფილ პირად, რომელიც, გარკვეული სახეცვლილებებით, ყველა იმ უფლებითა და ვალდებულებით სარგებლობს რაც ფიზიკური პირი, სოციოლოგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით, იგი კერძო ინდივიდების ქმნილებას, მათი გონებრივი შრომის განყენებულ აბსტრაქციას წარმოადგენს. სწორედ აქ უნდა გაესვას ხაზი იურიდიული პირის სოციალურ ხასიათს: რომ არა ინდივიდები, ფიზიკურად არსებული ადამიანები, იგი ვერ შეიქმნებოდა, ვერ განახორციელებდა მოქმედებებს და ვერ დაასრულებდა (ზოგიერთ შემთხვევაში) თავის არსებობას.

დასკვნის სახით, მიზანშეწონილი იქნებოდა იურიდიული პირის განმარტების ერთგვარი შეჯამება: იურიდიული პირი არის დამოუკიდებელი სოციალური ერთეული (*Einheit*),⁹³ სამართლის მიერ ფიზიკურ პირების ანალოგიის სახით ცალკე პირად და სუბიექტად აღიარებული.

⁹² ბუნებრივია არსებობს „წინარესაზოგადოების“ ცნება (*Vorgessellschaft*), რომელსაც საკორპორაციო სამართალი გარკვეულ რეგულაციებსა და ნორმებს უკავშირებს, თუმცა სრული იურიდიული პიროვნულობა ასეთ საზოგადოებას მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ ენიჭება. იხ: *Andenas M., Wooldridge F., European Comparative Company Law, Cambridge University Press, Cambridge, 2009, 77.*

⁹³ *Wolf/Neuner., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016, §16, Rn.14, s.167.*

2.4. იურიდიული პირის კონცეფციის განვითარება

კომერციული გაერთიანებების ისტორიას უძველეს პერიოდამდე მივყავართ. იდეა იმისა, რომ ადამიანს შეეძლოთ ეთანამშრომლათ, თავი მოეყარათ ქონებისათვის და ასე ეწარმოებინათ თავიანთი საქმიანობა, ჯერ კიდევ ყველაზე ადრეულ საზოგადოებებში არსებობდა.⁹⁴ უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი წარმონაქმნების ორგანიზაცია მარტივი იყო და დღევანდელი ამხანაგური საზოგადოებების ნაირსახეობას წარმოადგენდა. რამდენიმე პირი, ხშირად ნათესავები, აერთიანებდნენ კაპიტალს და ახორციელებდნენ ინვესტიციას. ამ წევრების რაოდენობა იშვიათად ცდებოდა რამდენიმე ადამიანს, თუმცა ისტორიის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საინტერესო გამონაკლისებსაც.

ერთ-ერთი უძველესი ასეთი საზოგადოება იყო ასირიული *ნარუქუმი*, რომელშიც გაწევრიანება არა რამდენიმე, არამედ ათეულობით ადამიანს შეეძლო და რომელიც, როგორც წესი, ათი წლის ვადით იდებოდა.⁹⁵ ვაჭრები თავიანთ კაპიტალს აგროვებდნენ და აბარებდნენ მმართველს, რომელიც შემდგომში ამ თანხას იმგვარად განაგებდა, რომ მოგროვებული კაპიტალი მის პირად ქონებაში არ აღრეულიყო.⁹⁶ ზოგიერთ ძველ ტექსტში საუბარი იყო იმაზეც, რომ თანხის ნაწილი ეკუთვნოდა „სახლს“ და არა კონკრეტულ ინდივიდს, რაც ნიშნავდა იმას, რომ ეს თანხები შესაძლოა განხილულიყო, როგორც გაერთიანების საკუთრება და არა ინდივიდის.⁹⁷ არსობრივად *ნარუქუმი* საერთო ფონდს წარმოადგენდა და ორგანიზაციული თვალსაზრისით მაინც უბრალო ოჯახური ამხანაგობა იყო, თუნდაც უფრო ვრცელი და კომპლექსური.⁹⁸

⁹⁴ *Seymour E.B., Jr.*, The Historical Development of the Common-Law Conception of a Corporation, The American Law Register (1898-1907), Volume 51, No. 9, Volume 42 New Series, September, 1903, 530-531.

⁹⁵ *Hawk B.*, Law in Commerce in Pre-Industrial Societies, Brill – Nijhoff, Leiden, 2015, 230-231. უფრო კონკრეტულად იხ: *Aubet M.A.*, Commerce and Colonization in the Ancient Near East, Cambridge University Press, Cambridge, 2013, 339.

⁹⁶ *Hawk B.*, Law in Commerce in Pre-Industrial Societies, Brill – Nijhoff, Leiden, 2015, 230.

⁹⁷ *Larsen M.T.*, Individual and Family in Old Assyrian Society, Journal of Cuneiform Studies, Volume 59, 2007, 101.

⁹⁸ აქვე აღსანიშნავია, რომ თვითონ სიტყვა *ნარუქუმი*, გარდა სამეწარმეო საქმიანობისა, აღნიშნავდა აგრეთვე ჩვეულებრივ ჩანთას, რომელშიც სავაჭრო ნივთები გადაიტანებოდა, „ტომარას“, მარცვლეულის გასაზომ ერთეულს და სპეციალურ შესანახ ქისას. ამ ბოლო მნიშვნელობიდან სავარაუდოდ განვითარდა კიდევ სიტყვის, როგორც „კაპიტალისა“ და შემდგომში, როგორც „ამხანაგობის“, „საწარმოს“ მნიშვნელობა, იხ: *Veenhof K.R.*, Aspects of Old Assyrian Trade and Its Terminology, Brill, Leiden, 1972, 37.

ამგვარადვე ძველ ინდურ სამართალში არსებული საზოგადოებებიდან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა *სრენი*, რომელიც თითქმის ათასი წლის განმავლობაში⁹⁹ არსებობდა. *სრენის* შესაძლოა ჰყოლოდა ასობით წევრი, არჩეული (ზოგიერთ შემთხვევაში მემკვიდრეობით გადასული) მმართველი და იგი გამოირჩეოდა საკმაოდ კომპლექსური ორგანიზაციით.¹⁰⁰

ამავდროულად აშკარაა, რომ ეს უძველესი გაერთიანებები არანაირ განცალკევებულ კორპორაციულ პიროვნულობას არ ატარებდნენ, რადგან ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე თვითონ საზოგადოების ცნებაც კი მხოლოდ ჩანასახის ფაზაში იყო. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ კაპიტალური საზოგადოებების პირველად პროტო-ფორმებსა და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისა და განვითარებული საკორპორაციო-სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის პირდაპირი პარალელები არ იქნება გავლებული.¹⁰¹

ზოგადად საზოგადოებებისა და კორპორაციების განვითარების ისტორიის რამდენიმე ფაზად დაყოფა შესაძლებელია. მაგალითად, იმავე გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოყოფენ საზოგადოებებს 1807 წლამდე (აქედან

⁹⁹ ძვ.წ. 800-ახ.წ. 1000 წ.

¹⁰⁰ *Khanna V.*, *Business Organizations in India Prior to the British East India*, წიგნში: *Research Handbook on the History of Corporate and Company Law*, Ed. *Wells H.*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018, 33-64. ავტორი *სრენის* ცალკე იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებს, იმის საფუძველზე, რომ *სრენის* შექმნის საკუთარი ქონების ფლობა, სასამართლოში საკუთარი სახელით სარჩელის შეტანა და წევრებისათვის ქცევის წესების დადგენა. იხ: *Khanna V.*, *The Economic History of Organizational Entities in Ancient India*, Michigan Law and Economics Research Paper № 05-014, Updated Version, University of Michigan, 9-10. ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=883670> [15.11.2020]. სამწუხაროდ, ასეთი თამამი დასკვნის საშუალებას არსებული მტკიცებულებები არ იძლევა, მით უმეტეს საეჭვოა, რომ *სრენი*, კომპლექსურობის მიუხედავად, გააზრებული ყოფილიყო, როგორც საკუთარი პიროვნულობის მქონე ცალკე პირი და არა როგორც დიდი, მკაცრად ორგანიზებული ამხანაგობა, რომელსაც გარკვეული უფლებები გააჩნდა. როგორც შემდგომში დავინახავთ, საკუთარი ქონების ფლობისა და სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება ძველ რომაულ საზოგადოებებსა და კორპორაციებსაც ჰქონდათ, თუმცა ძველრომაული სამართალი ცალკე იურიდიული პირისა და კორპორაციული პიროვნულობის ცნებას არ აღიარებდა. ამხანაგობა განიხილებოდა, როგორც პირთა გაერთიანება და ქონების ფლობა და სასამართლოში წარმოდგენაც ხდებოდა, როგორც არა ცალკე ამ იურიდიული პირის სახელით, არამედ ყველა იმ ინდივიდის სახელით, რომელიც იყო ამ გაერთიანებაში. სავარაუდოა, რომ *სრენიც* ამგვარადვე იქნებოდა აღქმული.

¹⁰¹ მაგალითად, ზოგიერთი ავტორი უკვე ასირიულ *ნარუქუმში* ხედავს კორპორაციულ პიროვნულობასა და გადაცემად წილებს, რაც მას არა მარტო დღევანდელ ამხანაგობასთან, არამედ სააქციო საზოგადოებასთანაც კი აახლოებს, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად სავარაუდოა. აღნიშნული მოსაზრება იხ: *Hawk B.*, *Law in Commerce in Pre-Industrial Societies*, Brill – Nijhoff, Leiden, 2015, 231.

ანტიკური საზოგადოებები ა.წ. 600 წლამდე; შუა საუკუნეების საზოგადოებები ა.წ. 600–1600 წლამდე და ბოლოს ა.წ. 1600–1807 წლები, როდესაც თანამედროვე კაპიტალური საზოგადოებები, მათ შორის, პირველი სააქციო საზოგადოებები, ყალიბდება); მეორე ფაზას 1807 წლიდან 1884 წლამდე, როდესაც სააქციო საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ჰქონდა ადგილი და მესამე ფაზას 1884 წლიდან დღემდე, როდესაც კაპიტალური საზოგადოებებს ახალი ინოვაციური ფორმა – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაემატა.¹⁰²

ლიტერატურაში არაერთხელ გამხდარა სადავო ის საკითხი, თუ კერძოდ რატომ დასჭირდა ამდენი დრო დღევანდელი კორპორაციისა და ცალკე იურიდიული პიროვნულობის ცნების ჩამოყალიბებას, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე ძველი რომის სამართალშიც და შესაძლოა მანამდეც კი არსებობდა ინსტიტუტები, რომელთათვის ცალკე პიროვნულობისა და შეზღუდულ პასუხისმგებლობის მინიჭებისათვის მხოლოდ ერთი თეორიული ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო. ამის სავარაუდო მიზეზებად მრავალი ფაქტორი სახელდება, როგორცაა მაგალითად, ანტიკური ბუღალტერიის პრიმიტიულობა, კულტურული თუ სხვა სოციალური შეზღუდვები, ვაჭრობის მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, განსაკუთრებით კი არისტოკრატის მხრიდან, ან შესაძლო მიკერძოებულობა მოსარჩელებისადმი იმავე რომაულ პრეტორულ სამართალსა და სამართალწარმოებაში.¹⁰³

მიუხედავად უძველესი კულტურების სამართალში კაპიტალური საზოგადოებების გარკვეული ჩანასახების არსებობისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ მათგანს არ მოუხდენია ისეთი ზეგავლენა კაპიტალური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, როგორც ძველ რომს. თუმცა ძველი რომისათვის უცნობი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კორპორაციული პიროვნულობის ცნებები, რომაულმა პრაქტიკამ და რომაელმა იურისტებმა შემოგვინახეს რამდენიმე უდავოდ

¹⁰² *Fleckner A. M.*, *Antike Kapitalvereinigungen*, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 35.

¹⁰³ *Abatino B., Dari-Mattiacci G., Perotti E.C.*, *Depersonalization of Business in Ancient Rome*, *Oxford Journal of Legal Studies*, Volume 31, No. 2, 2011, 381-387.

მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც დღევანდელი საკორპორაციო სამართლის საფუძველს წარმოადგენს.

2.4.1. იურიდიული პირის საფუძვლები რომაულ სამართალში

თანამედროვე კერძო სამართალში რომაული სამართლის მნიშვნელობის გადაჭარბება რთულია. როგორც საერთო, ისე კონტინენტალური სამართლის ქვეყნებში, კერძო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების საფუძველი სწორედ რომაულ სამართალშია საძიებელი. ამავდროულად, იმავეს თქმა არ შეიძლება რომაულ საკორპორაციო სამართალზე, რომელიც, თუ საერთოდ შეიძლება ითქვას რომ არსებობდა, მხოლოდ ძალიან ემბრიონულ, ჩანასახოვან სტადიაში. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კავშირი თანამედროვე კაპიტალურ საზოგადოებებსა (მით უმეტეს სააქციო საზოგადოებასა) და ძველ რომაულ საზოგადოებებს შორის მტკიცე და უწყვეტი ნამდვილად არ არის.¹⁰⁴

თვით ტერმინი „კორპორაცია“ ლათინური *corporatio*-დან მომდინარეობს, რომელიც ნიშნავს „განსხეულებას“, „განსახიერებას“. ძველ რომში სამი ძირითადი სახის გაერთიანება შეიძლება გამოვყოთ: თვით სახელმწიფო (*populus Romanus*, ანუ „რომაელი ხალხი“)¹⁰⁵ და განსაკუთრებით კი სახელმწიფო ხაზინა (*Fiscus*),¹⁰⁶ ქალაქის თუ სხვა

¹⁰⁴ Lehmann K., Die Geschichtliche Entwicklung des Aktienrechts bis zum Code de Commerce, Carl Heymanns Verlag, Berlin, 1895, 3-4.

¹⁰⁵ რომაული სამართლის თვალსაზრისით, რომელი ხალხი (*populus Romanus*) არც კერძო და არც იურიდიული პირი არ იყო და რაც რომაელ ხალხს ეკუთვნოდა, ის არ შეიძლებოდა ვინმეს კერძო ქონება ან სავაჭრო მიმოქცევის ობიექტი ყოფილიყო.

¹⁰⁶ სახელმწიფო ხაზინის მიერ ქონების მფლობელობისა და თვით იმპერატორის ქონებასთან აღრევის საკითხი საკმაოდ საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული იმპერიის ხანაში ხაზინის ქონება მიიჩნეოდა პირადად იმპერატორის ქონებად და სიტყვა *Fiscus*-იც პირდაპირ ნიშნავდა „საფულეს“, „კალათას“ (იგულისხმებოდა იმპერატორის), შემდგომში, გვიანი იმპერიის ხანაში, ასეთი ქონება უკვე ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც სახელმწიფოს საკუთრება. იმის გათვალისწინებით, რომ ხაზინას სასამართლოში სარჩელის შეტანაც შეეძლო და ქონების ფლობაც, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის პირველი რეალური პროტოტიპი, თავისი განცალკევებული რაობით, შესაძლებელია სწორედ რომაული *Fiscus* ყოფილიყო. უფრო კონკრეტულად იხილეთ: *Buckland W.W., A Text-book of Roman law from Augustus to Justinian, Cambridge University Press, Cambridge, 1921, 176-177. Brunt P.A., The 'Fiscus' and Its Development, The Journal of Roman Studies, Volume 56, 1966, 85.* ამავდროულად ამ დასკვნას არ ეთანხმებიან სხვები, რომლებიც *Fiscus*-ს უპირველესად განიხილავენ, როგორც რეალურად კერძო პირის – იმპერატორის საკუთრებას, იმ პირობით, რომ მას იგი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიზნებისათვის უნდა დაეხარჯა. ამ შემთხვევაში შეინიშნება გარკვეული გადაკვეთა კიდევ ერთ რომაულ

თემების მუნიციპალიტეტები და ბოლოს კომერციული და არაკომერციული კერძო საზოგადოებები.¹⁰⁷ ამ სუბიექტებს რომაული სამართალი თუმცა კი აღიარებდა, მათ მიიჩნევდა არა პირებად, არამედ ინდივიდუალურ პირთა გაერთიანებებად, რომლებსაც გარკვეულ შემთხვევაში შეეძლოთ ქონების ფლობა და სასამართლოში გამოსვლა. სამართლის თვალში მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება ყოფილიყო *persona*, მათ შორის, როდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მონაც კი.¹⁰⁸

რომაული პიროვნულობა, პერსონა (*persona*) მრავალმხრივი კონცეფცია იყო, რომლის ერთიანი, ყოვლისმომცველი განმარტების ჩამოყალიბება სირთულეებთანაა დაკავშირებული.¹⁰⁹ ის მომდინარეობდა ძველბერძნული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავდა “ნიღაბს.”¹¹⁰ შემთხვევითობა არ არის ის ფაქტი, რომ დღეს, როდესაც საუბარია კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე, როგორც კაპიტალური საზოგადოების სამართლებრივი პიროვნულობის უგულებელყოფის ძირითად საშუალებაზე, იურიდიულ პირს ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც დაფარულ ინსტრუმენტს, რომლის ქვეშაც *ინიღებიან* მასში შემავალი პირები და კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას „ნიღაბის ჩამოხსნა“, როგორც მეტაფორა, ხშირად გამოიყენება.¹¹¹

ინსტიტუტთან – *Patrimonium Caesaris*, რომელიც უდავოდ წარმოადგენდა იმპერატორის (კეისრის) პირად ქონებას. სხვები პირდაპირ არ აიგივებენ *Fiscus*-ს იმპერატორის პირად ქონებასთან, თუმცა აღნიშნავენ, რომ ფაქტობრივად ეს ასე იყო. იხ: *Duff P.W., Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 55-58. *Thomas, J., Textbook of Roman Law*, North Holland, Amsterdam, 1976, 470. რომაული *Fiscus*-ის ბუნების თაობის დავაზე აგრეთვე იხ: *Ельяшевич В., Юридическое Лицо, Его Происхождение и Функции в Римском Частном Праве*, Санкт-Петербург, Типолитогр. Шредера, 1910, 69-95.

¹⁰⁷ *Buckland W.W., A Text-book of Roman law from Augustus to Justinian*, Cambridge University Press, Cambridge, 1921, 176.

¹⁰⁸ *Mousourakis G., Fundamentals of Roman Private Law*, Springer Verlag, Berlin, 2012, 85. ამის მიუხედავად, მონას არანაირი უფლება არ გააჩნდა და მისი სამართლებრივი პიროვნულობა მთლიანად ექვემდებარებოდა მისი ბატონის ნება-სურვილს.

¹⁰⁹ ზოგადად *persona* -ს ცნებისა და მნიშვნელობის შესახებ იხ: *Duff P.W., Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 1-25. *Persona*-ს გარდა აგრეთვე იყო სიტყვა *caput*, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი სამართლებრივი პიროვნულობის ცნებასთან ახლოს იდგა: იქვე, 25.

¹¹⁰ *Mauss M., A Category of the Human Mind: The Notion of Person; The Notion of Self*, Trans. *Halls W.D.*, წიგნში: *The Category of the Person: Anthropology, Philosophy, History*, Ed. *Carrithers M., Collins S., Lukes S.*, Cambridge University Press, Cambridge, 1985, 14-15.

¹¹¹ *Littlewoods Mail Order Stores v. Inland Revenue Commissioners*, [1969] 1 W.L.R. 1241 (A.C.) at 1254. მითითებულია: *Tomasic R., Bottomley S., McQueen R., Corporations Law in Australia*, The Federation Press, Sydney, 2002, 44.

ძველ რომში კერძო სამართლებრივი საზოგადოებებიდან, თუ ჩვენ არ ჩავთვლით სამეწარმეო ამხანაგობებს, აგრეთვე გამოირჩეოდნენ პოლიტიკური კლუბები, დამკრძალავი ორგანოები და ძველრომაული გილდიები, რომელთა უფლებავალდებულებები თვით იმპერატორის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე დგინდებოდა.¹¹² დამკრძალავი საზოგადოებების გარდა, ყველა სხვა კოლეგიასა და საზოგადოებას, განსაკუთრებით კი იმპერიის ხანაში, დაფუძნებისათვის იმპერატორის ნებართვა სჭირდებოდა.¹¹³

რომაული საზოგადოებებიდან შესაძლებელია რამდენიმეს გამორჩევა. ყველაზე მეტ ინტერესს უდავოდ *universitas* იწვევს, რომელიც, როგორც შემდგომში ვნახავთ, ყველაზე ახლოს იდგა იურიდიული პირის დღევანდელ კონცეფციასთან. *Universitas*-ს გარდა არსებობდა აგრეთვე ძირითადად სამეწარმეო მიზნებისათვის შექმნილი *Societas*, რომელიც შესაძლებელია თანამედროვე ამხანაგობის რომაულ ანალოგად ჩაითვალოს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებების დასახელებანი რომაულ სამართალში საკმაო იყო და რომელ იურისტებს, რომლებსაც არ ახასიათებდათ დღევანდელი მეცნიერებისა და იურისპრუდენციისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სწრაფვა სისტემატიზაციისა და კატეგორიზაციისკენ,¹¹⁴ ამ საზოგადოებების კლასიფიკაციის რაიმე მცდელობა არ ჰქონიათ. *Collegia, sodalitates, sodalicia, corpora*¹¹⁵ – წარმოადგენს იმ ძირითადად არაკომერციული გაერთიანებების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც, თუმცა არ იყვნენ იურიდიული პირები დღევანდელი გაგებით, მაინც განიხილებოდნენ

¹¹² *Berman H.J.*, Law and Revolution: The Formation of the Western Legal Tradition, Harvard University Press, Cambridge, 1983, 215-216.

¹¹³ იხ. D 3.4.1.

¹¹⁴ რეალურად იუსტინიანეს კოდექსში არ არსებობდა არათუ იურიდიული პირის, არამედ ხელშეკრულების ზოგადი კონცეფციაც კი. როგორც ერთი ავტორი აღნიშნავს: „რომაული სამართალი შედგებოდა წესების შინაგანი ერთობლიობისგან, მაგრამ ეს წარმოდგენილი იყო არა როგორც ინტელექტუალური სისტემა, არამედ როგორც სპეციფიკურ იურიდიულ შეკითხვებზე გაცემული პრაქტიკული პასუხების სკრუპულოზური მოზაიკა. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ, მართალია რომაულ სამართალში არსებობდა კონცეფციები, არ იყო თვითონ კონცეფციის კონცეფცია.“ („Roman law consisted of an intrinsic network of rules; yet these were not presented as an intellectual system but rather as an elaborate mosaic of practical solutions to specific legal questions. Thus one may say that, although there were concepts in Roman law, there was no concept of a concept“). ციტირებულია: *Berman H.J.*, Law and Revolution: The Formation of the Western Legal Tradition, Harvard University Press, Cambridge, 1983, 149-150.

¹¹⁵ *Kaser M.*, Roman Private Law, 4th Edition, *Trans. Dannenbring R.*, University of South Pretoria, Pretoria, 1984, 95-96.

სუბიექტებად იმ მხრივ, რომ შეეძლოთ სასამართლოში სარჩელის წარდგენა ან ქონების ფლობა. მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა დღევანდელი სამართლის ისტორიკოსების ერთ-ერთი დიდი თავსატეხია.

როგორც უკვე აღინიშნა, ძველ რომში იურიდიული პირის ცნება რეალურად არ არსებობდა და ზოგადად ის ანტიკური ხანისათვის უცხო იყო.¹¹⁶ არც ერთი ლათინური ტერმინი არ არსებობს, რომელიც „იურიდიული პირს“ შეესაბამება, თუმცა *universitas* ალბათ ყველაზე ახლოს იდგა მასთან.¹¹⁷ წინარეინდუსტრიულ რომაულ საზოგადოებაში, სადაც თანამედროვე ბიზნეს-ინსტრუმენტები, როგორცაა კრედიტი, სავაჭრო ქაღალდები და თანამედროვე საბანკო ინსტიტუტები ფაქტობრივად არ არსებობდა,¹¹⁸ საკორპორაციო სამართლისათვის ისეთი ცენტრალური ინსტიტუტების არსებობა, როგორცაა განცალკევებული იურიდიული პიროვნულობა და შეზღუდული პასუხისმგებლობა, რთულად წარმოსადგენი და სხვანაირად რომ ვთქვათ, უბრალოდ არასაჭირო იყო.

მიუხედავად ლიტერატურაში ადრე არსებული ზოგიერთი მოსაზრებისა, რომ ეს კორპორაციები არსობრივად არ განსხვავდებოდნენ თანამედროვე კომპანიებისგან,¹¹⁹ რომაული სამართლის სისტემა აღიარებდა მხოლოდ იმას, რომ გარკვეული პირებისგან შემდგარი გაერთიანებები შესაძლებელია ქონების მფლობელები ან სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ყოფილიყვნენ.¹²⁰ სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ

¹¹⁶ *Kaser M.*, Roman Private Law, 4th Edition, *Trans. Dannenbring R.*, University of South Pretoria, Pretoria, 1984, 93. *Sohm R.*, Institutionen des Romisches Recht, 17. Auflage, Duncker & Humblot, Berlin, 1949, 196.

¹¹⁷ *Duff P. W.*, Personality in Roman Private Law, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 50.

¹¹⁸ *Finley M. I.*, The Ancient Economy, University of California Press, Berkeley, 1999, 141.

¹¹⁹ მაგალითად, *მაქს რადინი (Max Radin, 1880 – 1950)* აღნიშნავდა, რომ ძველ რომში არსებული მუსიკოსებისა თუ მეხანძრეების ასოციაციები დიდად არ განსხვავდებოდნენ თანამედროვე ენერჯო თუ სარკინიგზო კომპანიებისგან, თუნდაც რომ დეტალური საკითხები აქციებისა თუ უფლებამოსილებების შესახებ მათ, რა თქმა უნდა, მოწესრიგებული არ ჰქონდათ. *Radin M.*, Fundamental Concepts of the Roman Law, California Law Review, Volume 13, Issue 2, January 1925, 120. ამ თეზისის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ჩვენ შემდგომში დავინახავთ, რომაული ასოციაციები, რაოდენ დიდი და კომპლექსურებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, მაინც მიიჩნეოდნენ, როგორც კერძო ინდივიდუალურ პირთა გაერთიანებები, ხოლო თვითონ ცალკე ასოციაცია, თანამედროვე კორპორაციებისგან განსხვავებით, არ განიხილებოდა როგორც ცალკე პირი და სამართლის სუბიექტი. აღნიშნული სიმართლეს წარმოადგენდა თუნდაც ორგანიზაციულად ყველაზე კომპლექსური რომაული გაერთიანებების შემთხვევაშიც.

¹²⁰ თვით ფაქტი იმისა, რომ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო თვითონ ორგანიზაციასთან, რომელიც, თუმცა არ მიიჩნეოდა პირად, მაგრამ მაინც გარკვეულწილად განცალკევებული იყო მასში შემავალი ფიზიკური ინდივიდებისგან, მიჩნეულია

რომაული სამართლისათვის პირდაპირი წარმომადგენლობის ინსტიტუტი, ყოველ შემთხვევაში იმგვარად, როგორც დღეს იგი ცნობილია სამართალში, უცნობი იყო – უფლებებით აღჭურვილ რომაელ მოქალაქეს თვითონვე პირადად უნდა აეღო ვალდებულება.¹²¹ თვით ყველაზე უფრო ამბიციური რომაული *universitas*-იც კი, როგორც შემდგომში იქნება ნაჩვენები, არსობრივად უფრო ახლოს იდგა „ჯგუფთან“ ან „გაერთიანებასთან“, ვიდრე დღევანდელ იურიდიულ პირთან ან კორპორაციასთან.¹²²

რომაელი იურისტები დიდად არ დაინტერესებულან იმ საკითხით, თუ კერძოდ რა ურთიერთმიმართება არსებობდა თვით ამ გაერთიანებასა და მასში შემავალ პირებს შორის. დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომაულ სამართალს სისტემატიზაცია აკლდა და კორპორაციების საკითხსაც რომაელი სამართალმცოდნეები, თუ ჩვენ დღემდე შემორჩენილი წყაროებით ვიმსჯელებთ, დიდ დროსა და ყურადღებას არ უთმობდნენ. საინტერესოა, რომ ზოგადად ასეთი დამოკიდებულება კარგად ჩანს თვით ამ საზოგადოებების წევრებისგანაც, რომლებიც საკუთარი გაერთიანებების მიმართ სხვადასხვა ტერმინს იყენებდნენ (უმეტესობა საკმაოდ ზოგადს) რაც, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე რომ თვითონ წევრებსაც ბოლომდე არ ქონდათ გააზრებული ამ საზოგადოებების ბუნება ან უმეტეს შემთხვევაში, მას უბრალოდ ცალკეულ ინდივიდუალურ პირთა გაერთიანებებად მიიჩნევდნენ.¹²³ მაშასადამე, მოსაზრება, რომ კორპორაციის, როგორც ინსტიტუტის, გამოგონების პატივი რომაელებს უნდა ერგოთ,¹²⁴

რომაული სამართლის მნიშვნელოვან წინადადგმულ ნაბიჯად. იხ: *Olivecrona K.*, Three Essays in Roman Law, Munksgaard, Copenhagen, 1949, 5.

¹²¹ *Kaser M.*, Das Römische Privatrecht, Erster Abschnitt, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1971, 605.

¹²² *Duff P. W.*, Personality in Roman Private Law, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 36. fn.1.

¹²³ მაგალითად, ასოციაციებისა და კოლეგიების წევრების საფლავის ქვებზე ამავე საზოგადოებების აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვები „შეკრება“, „დასახლება“ ან საერთოდ „ხალხი“. ასეთი ზოგადი ცნებები ცხადყოფს, რომ თვით წევრებისათვის ეს ორგანიზაციები მხოლოდ ინდივიდუალურ პირთა გაერთიანებებს უფრო წარმოადგენდნენ და იურიდიული პირის რაიმე განცალკევებული აბსტრაქტული ცნება მათთვის სრულიად უცხო იყო. იხ: *Harland P.*, Greco-Roman Associations: Texts, Translations, and Commentary, Volume II: North Coast of the Black Sea, Asia Minor, De Gruyter, Berlin, 2014, 97.

¹²⁴ აღნიშნული მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ცნობილ ინგლისელ სამართალმცოდნესა და კომენტატორ ბლეკსტონს: „*The honor of originally inventing these political constitutions entirely belongs to the Romans*“. იხ: *Blackstone W.*, Commentaries on the Laws of England, Book I: Of the Rights of Persons, Ed. *Prest W.*, Oxford University Press, Oxford, 2016, 304. აქვე აღსანიშნავია, რომ ბლეკსტონის დროსაც ინგლისში სიტყვა „კორპორაციის“ ქვეშ ხშირად მოიაზრებოდა გაერთიანება, რომელიც მიჩნეული იყო არა ცალკე პირად, არამედ მასში შემავალი ინდივიდების (რაოდენობის მიუხედავად) ერთობლიობად. შესაბამისად

არსობრივად არასწორია, რადგან რომაული ამხანაგობები, კოლეგიები და გაერთიანებები თვისობრივად განსხვავდებოდნენ თანამედროვე კორპორაციებისგან. თვითონ საკორპორაციო სამართალი, დღევანდელი გაგებით, რომში მხოლოდ საკმაოდ პრიმიტიულ დონეზე არსებობდა და შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციის კონტურებიც მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში თუ იყო.¹²⁵ როდესაც საუბარი მიდიოდა რომაულ კორპორაციებზე, იგულისხმებოდა ორგანიზებული სისტემა (და არა პირი), რომლის საშუალებითაც წევრებს საკუთარი უფლებების გამოყენება შეეძლოთ.¹²⁶

ზოგიერთი კომენტატორი იურიდიული პირის ცნებას ხედავს რომაული დიგესტების ერთ-ერთ ჩანაწერში, სადაც, როგორც ჩანს, საუბარია კორპორაციების დაფუძნებაზე.¹²⁷ სხვები სამართლიანად მიუთითებენ, რომ თუ აღნიშნულში მართლა იგულისხმება კორპორაცია, როგორც საკუთარი წევრებისაგან დამოუკიდებელი სუბიექტი საკუთარი პიროვნულობით, მაშინ მეტად უცნაურია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროგრესი სამართლებრივ აბსტრაქციაში სხვაგან არსად არ შემორჩა, გარდა ამ ერთი მოკლე ჩანაწერისა.¹²⁸

დანარჩენი ცივილისტები გაცილებით უფრო კრიტიკულად არიან განწყობილნი და რომაული სამართლის მიდგომას საკორპორაციო სამართლისადმი ახასიათებენ, როგორც „გაურკვეველ და სამწუხარო ფრაზებს“, რომლებმაც უბრალოდ დაბნეულობა გამოიწვიეს თანამედროვე სამართალში.¹²⁹ სხვები აღნიშნავენ, რომ რომაელებს იურიდიულ პირთა მიმართ საკუთარი, განსაკუთრებული ხედვა გააჩნდათ. ის არ ემთხვეოდა დღევანდელ ფიქციის თეორიას, რომლისთვისაც საზოგადოებები სახელმწიფოს მიერ აღიარებული ფიქციაა და არც იმათ აზრს, ვისთვისაც რომაული

გარკვეული პარალელის გავლება მართლაც შესაძლებელი იყო რომაულ ინსტიტუტებთან, თუმცა იმავე მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისში უკვე ასე თუ ისე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოების ორგანიზაციის ანალოგი რომაულ სამართალში უბრალოდ არ არსებობდა (თუნდაც გარკვეულ ასპექტებში, შესაძლებელია რომაულ *Societas Publicanorum*-თან პარალელების გავლება, რასაც ქვემოთ შევხვებით).

¹²⁵ *Crook J.*, *Law and Life of Rome*, Cornell University Press, Ithaca, New York, 1967, 206.

¹²⁶ *Olivecrona K.*, *Three Essays in Roman Law*, Munksgaard, Copenhagen, 1949, 17.

¹²⁷ იხილეთ დიგესტები წიგნი 3, თავი 4 (*“societas neque Collegium neque huiusmodi Corpus passim omnibus habere Conceditur“*...).

¹²⁸ *H.F.J.*, *Review of Personality in Roman Private Law* by P. W. Duff, *The Cambridge Law Journal*, Volume 7, No. 1, 1939, 160.

¹²⁹ *Machen A. W.*, *Corporate Personality*, *Harvard Law Review*, Volume 24, No. 4, February 1911, 255.

საზოგადოებები უბრალოდ კერძო პირთა ამაღვამაცია იყო და მეტი არაფერი. როგორც, მაგალითად, რომაული ოჯახი, ასეთი საზოგადოებები აღიქმებოდა ისეთ სუბიექტებად, რომელშიც თითოეული შემადგენელი ნაწილი (ამ შემთხვევაში წევრი) ინარჩუნებდა საკუთარ ინდივიდუალურობას (*species*), ისე რომ მაინც აყალიბებდა რაღაც სხვას, შეადგენდა რა მის ნაწილს.¹³⁰ ამგვარად, საზოგადოებები ნამდვილად „არსებობდნენ“ რომაული იურისტებისათვის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი მათთვის არც ფიქციას წარმოადგენდნენ და არც უბრალოდ პირთა გაერთიანებას, თუმცა მათი თვალთახედვა მაინც ამ უკანასკნელთან უფრო იდგა ახლოს, ვიდრე პირველთან.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რომაული სამართლის დამოკიდებულება საზოგადოებისადმი უფრო პრაგმატიზმითა და პრაქტიკული მიზანშეწონილობით იყო ნაკარნახევი და არ შეიცავდა რამე სერიოზულ თეორიულ საფუძველს.¹³¹ აღნიშნულის მიუხედავად, მიზანშეწონილი იქნება თუ აქ მოკლედ განვიხილავთ რომაულ სამართალში არსებულ გაერთიანებებს, რათა მათში ვიხილოთ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტური ინსტიტუტების დასაბამი.

2.4.1.1. რომაული კომერციული (კაპიტალური) საზოგადოებები

რომაული სამართლით, თუ პირს სურდა კომერციული აქტივობების განხორციელება, მას, ორგანიზაციული თვალსაზრისით, რეალურად მხოლოდ ორი არჩევანი ჰქონდა: *Societas*¹³² და *Peculium*¹³³. თვითონ *Societas*-ი შესაძლებელია რამდენიმე

¹³⁰ *Olivecrona K.*, *Three Essays in Roman Law*, Munksgaard, Copenhagen, 1949, 26-27. აქ გასათვალისწინებელია რომაულ სამართალში სუბიექტების (*corpora* - შეიძლება აგრეთვე ითარგმნოს, როგორც სხეული, რაობა, არსი) პირობითი დაყოფა კლასებად. პირველ კლასში შედიოდნენ კერძო, ინდივიდუალური ადამიანები. მეორეში მოიაზრებოდნენ უფრო დიდ, მთლიან სუბიექტში შემავალი ნაწილები, რომლებიც მათში შთაინთქმებოდნენ, თუმცა საკუთარ რაობას პოტენციურად მაინც ინარჩუნებდნენ (სახლის ფანჯარა, ხის ანძა) და მესამე კლასი მოიცავდა იმ გაერთიანებულ სუბიექტებს, რომლებიც საკუთარ რაობასა და ინდივიდუალურობას ინარჩუნებდნენ, თუმცა კი ქმნიდნენ სხვა სუბიექტს. რომაული გაერთიანებებიც სწორედ ამ ბოლო, მესამე კლასს მიეკუთვნებოდნენ. იხ: იქვე, 18-31.

¹³¹ *Thomas, J.*, *Textbook of Roman Law*. North Holland, Amsterdam, 1976, 475.

¹³² შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ამხანაგური საზოგადოება“, „ამხანაგობა“.

¹³³ მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელობისა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, *Peculium* რომაელი ბატონის მიერ მონებისთვის მიბარებულ ქონებით სამეწარმეო საქმიანობას

სახის ყოფილიყო, რომელთაგან ყველაზე მეტ ინტერესს უდავოდ *Societas publicanorum* იწვევს.¹³⁴ განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2.4.1.1.1. *Societas* და მისი ქვესახეობები

ძველი რომაული საზოგადოებებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული და შესწავლილი უდავოდ *Societas*-ია. რომაული *Societas* არსობრივად იყო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც საზოგადოების წევრები დასახული მიზნის¹³⁵ ერთად მიღწევის ვალდებულებას იღებდნენ.¹³⁶ *Societas* სავარაუდოდ მომდინარეობდა ძველი *consortium*-იდან,¹³⁷ რომელიც ნიშნავდა მემკვიდრეების მიერ სამემკვიდრეო ქონების გაყოფამდე ერთად მართვას. სავარაუდოა, რომ ეს იყო ერთობლივი საკუთრების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფორმა, რომლის დროსაც საკუთრება წილებად კი არ იყო დაყოფილი, არამედ წარმოადგენდა ყველა მემკვიდრის საერთო საკუთრებას.¹³⁸

ძველ რომაულ სამართალში განასხვავებდნენ ორი სახის *Societas*-ს: *Societas Universalis* და *Societas Particularis*.¹³⁹ არსობრივად, პირველი მოიცავდა პარტნიორების

აღნიშნავდა. იხ: Berger A., Encyclopedic Dictionary of Roman Law, The American Philosophical Society, Philadelphia, 1953, 624. სხვები რომაული საკორპორაციო სამართლის დასაბამს სწორედ *Peculium*-ში ხედავენ. იხ. ქვემოთ.

¹³⁴ Fleckner A. M., Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 117ff. *Societas publicanorum*-ის ცალკე ჩათვლის შემთხვევაში ჩვენ მთლიანობაში სამ ფორმას მივიღებთ, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ გავრცელებული მოსაზრებით, *Societas publicanorum* წარმოადგენდა არა ცალკე, განსხვავებულ ფორმას, არამედ მკვეთრად მოდიფიცირებულ *Societas*-ს, რასაც ზემოაღნიშნული ავტორი იქვე თვითონვე აღნიშნავს. ამავდროულად, *Societas publicanorum* უფრო საგამონაკლისო შემთხვევა იყო, რომელმაც მხოლოდ რესპუბლიკის ბოლო პერიოდსა და იმპერიული ხანის პირველ საუკუნეებში იარსება იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი *Societas* ფაქტობრივად რომის დაარსებიდან მის დაცემამდე ფუნქციონირებდა და შემდგომში შუა საუკუნეების სამართალშიც გააგრძელა არსებობა შეცვლილი სახით. შესაბამისად, უფრო მართებული იქნებოდა, თუ *Societas publicanorum*-ის კატეგორიზაციასაც *Societas*-ის ერთ-ერთ ნაირსახეობად მოვახდენთ.

¹³⁵ ბუნებრივია, ეს მიზანი არ უნდა ყოფილიყო ფიზიკურად შეუძლებელი, უკანონო ან ამორალური. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბათილად მიიჩნეოდა. იხ: Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of Civil Tradition, Oxford University Press, Oxford, 1996, 454, fn. 21.

¹³⁶ Sohm R., Institutionen des Romisches Recht, 17. Auflage, Duncker & Humblot, Berlin 1949, 208.

¹³⁷ აღნიშნული აზრი გამოთქმული აქვს ძველ რომაელ იურისტ გაიუსს. იხ: G 3.154a. აგრეთვე: Birks P., The Roman Law of Obligations, Oxford University Press, Oxford, 2014, 118, 260. Laube D., Societas as Consensual Contract, The Cambridge Law Journal, Volume 6, No. 3, 1938, 382-283.

¹³⁸ Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of Civil Tradition, Oxford University Press, Oxford, 1996, 452.

¹³⁹ Coing H., Europäisches Privatrecht, Band I: Älteres Gemeines Recht, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1985, 465.

ქონების ამხანაგობის საერთო ქონებად ქცევას და უფრო მუდმივ ხასიათს ატარებდა იმ დროს, როდესაც მეორე მხოლოდ ერთი კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისკენ იყო მიმართული და რეალურად ერთობლივი საქმიანობის ნიშან-თვისებებს ატარებდა შეზღუდულ ფარგლებში.¹⁴⁰

რომაულ *societas*-ს არ გააჩნდა უფლებაუნარიანობა, შეესყიდა საქონელი ან ჰქონოდა რამე ქონება მფლობელობაში, ეს ყველაფერი მხოლოდ მის წევრებს შეეძლოთ.¹⁴¹ თითოეულ წევრს შეეძლო ინდივიდუალურად ემოქმედა საზოგადოების მიზნების მისაღწევად, მაგრამ ვალდებული იყო მოგება სხვა პარტნიორებზეც გაენაწილებინა.¹⁴² აღებული ვალდებულებისათვის თვითონ პარტნიორები უშუალოდ აგებდნენ პასუხს,¹⁴³ თუმცა პარტნიორს შეეძლო სხვა პარტნიორისგანაც მოეთხოვა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წილის შესაბამისი ანაზღაურება.¹⁴⁴

Societas შეიძლება შექმნილიყო სხვადასხვა მიზნისათვის და თითქმის ყველანაირ სფეროში: სოფლის მეურნეობაში მიწის დამუშავებიდან დაწყებული და გრამატიკის გაკვეთილების შეთავაზებით დამთავრებული.¹⁴⁵ ასეთი გაერთიანება მარტივად ასრულებდა არსებობას, არა მარტო პარტნიორის სიკვდილის გამო ან მისი სურვილიდან გამომდინარე, დაეტოვებინა ამხანაგობა, არამედ უბრალოდ ამხანაგობის წევრთა სტატუსში ცვლილების შემთხვევაშიც. „არც ერთი ამხანაგობა არ იქმნება სამუდამოდ“ - წერია დიგესტებში.¹⁴⁶ ამხანაგობას ზოგადად არასტაბილური ხასიათი ჰქონდა და საკმაოდ სარისკო საქმიანობაც იყო – ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს ამხანაგობიდან გასვლა შეეძლო. რადგანაც *Societas*, უპირველეს ყოვლისა,

¹⁴⁰ *Coing H.*, Europäisches Privatrecht, Band I: Älteres Gemeines Recht, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1985, 465.

¹⁴¹ *Sohm R.*, Institutionen des Romisches Recht, 17. Auflage, Duncker & Humblot, Berlin 1949, 208.

¹⁴² *Schwind F.*, Römisches Recht. Teil 1: Geschichte. Rechtsgang. System des Privatrechtes, Springer Verlag, Wien, 1950, 323.

¹⁴³ *Wieacker F.*, Haftungsformen des römischen Gesellschaftsrechts, Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtsgeschichte: Romanistische Abteilung (SZ), Band 54, Heft 1, 1934, 35-79. *Hansmann H., Kraakmann R., Squire R.*, Incomplete Organizations: Legal Entities and Asset Partitioning in Roman Commerce, ECGI Working Paper Series in Law, Paper No. 271/2014, October, 2014, 6. ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2506334>, [15.11.2020].

¹⁴⁴ *Crook J.*, Law and Life of Rome, Cornell University Press, Ithaca, New York, 1967, 231.

¹⁴⁵ *Fleckner A. M.*, Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 131.

¹⁴⁶ "Nulla societatis in aeternum coitio est". ob: D. 17.2.70.

განიხილებოდა როგორც ხელშეკრულება, რომელი იურისტები ეწინააღმდეგებოდნენ რომელიმე პარტნიორის სიკვდილის ან გასვლის შემთხვევაში პირის ავტომატურად ჩანაცვლებას, რადგან ამ ახალ პირთან ამხანაგობის ძველ წევრებს ხელშეკრულება დადებული არ ჰქონდათ. მათ ახალი ამხანაგობის ხელშეკრულება უნდა დაედოთ.¹⁴⁷ აქვე ხაზგასასმელია პასუხისმგებლობის საკითხიც – თითოეული პარტნიორის ქმედება, თუ ის მიმართული იყო მათი ამხანაგობის მიზნების მიღწევისაკენ, ყველა სხვა პარტნიორზე ვრცელდებოდა და ისინიც პასუხისმგებელნი იყვნენ ნებისმიერი ვალდებულებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევა, როდესაც პარტნიორის ქმედება არ ემსახურებოდა ამხანაგობის მიზნებს და ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი დანაკლისის ანაზღაურება შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო სხვა პარტნიორებისაგან.¹⁴⁸

ლიტერატურაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ პრინციპული რომაულ საზოგადოებაში რომაულ *societas*-ი ძირითადად არაფინანსური მიზნით ფუნქციონებდა და თანამედროვე ამხანაგური საზოგადოებების მსგავსად ყურადღება გამახვილებული იყო არა შენატანსა და სხვა ფინანსურ ურთიერთობებზე, არამედ თანამშრომლობასა და კოოპერაციაზე.¹⁴⁹ აქ აგრეთვე ნიშანდობლივი იყო თვითონ ამხანაგობის დროებითი ხასიათიც. თუ არ ჩავთვლით *Societas publicanorum*-ს, ჩვეულებრივი *Societas*-ს შეეძლო, საუკეთესო შემთხვევაში, ერთ-ერთი პარტნიორის სიკვდილამდე ეარსება. რეალურად, უფრო სავარაუდოა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამხანაგობა წყვეტდა არსებობას. ამის მიუხედავად, ამ გაერთიანებებს ერთად მოქმედების შემთხვევაში შეეძლოთ საკმაოდ შთამბეჭდავი ეკონომიკური შედეგებისათვის მიეღწიათ.¹⁵⁰ თვითონ ოჯახური *Societas*-

¹⁴⁷ D. 17.2.65.11 (Paul. 32 ad ed.).

¹⁴⁸ Broekaert W., Joining Forces: Commercial Partnerships or Societates in the Early Roman Empire, *Historia: Zeitschrift für Alte Geschichte*, Band 61, Heft 2, 2012, 228.

¹⁴⁹ Zwalve W. J., "Callistus's Case: Some Legal Aspects of Roman Business Activities, წიგნში: The Transformation of Economic Life under the Roman Empire, Proceedings of the Second Workshop of the International Network Impact of Empire (Roman Empire, c. 200 B.C. - A.D. 476), Nottingham, July 4-7, 2001, Ed. Blois L., Rich J., Amsterdam, 2001, 119.

¹⁵⁰ ამის მაგალითად გამოდგება *Monte Testaccio* (იტალიურად „ქოთნების მთა“, *testae* – ძველ რომაული კერამიკული ქოთნის ნაირსახეობა) რომში, ხელოვნურად წარმოქმნილი ყორღანი, რომელიც ძველი რომის დროს გადაგებული კერამიკისგან შედგება. კერამიკაზე აღნიშნული შემქმნელების სახელებით თუ ვიმსჯელებთ, უმრავლესობა არა ცალკეული ინდივიდების მიერ, არამედ სწორედ გაერთიანებებისა და, განსაკუთრებით კი, ამხანაგობების მიერ იყო შექმნილი. იხ: Crook J., *Law and Life of Rome*, Cornell University Press, Ithaca, New York, 1967, 229.

ის შემთხვევაშიც შესაძლოა წილი გადასულიყო გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეზე და ამგვარად არ იყო გამორიცხული იურიდიული თვალსაზრისით ახალი, მაგრამ წინა ამხანაგობისგან მხოლოდ მცირედით შეცვლილი ამხანაგობის ხელახლა ჩამოყალიბება.¹⁵¹

რომაული სამართალი რამდენიმე სახეობის *Societas* იცნობდა, რომელთა კლასიფიკაციაც და კატეგორიაზაციაც მათ არ მოუხდენიათ, რაც თანამედროვე ცივილისტებს სირთულეებს უქმნის. აქ სხვა ამხანაგობებიდან დროებით შევჩევით ყველაზე გავრცელებულ *Societas omnium bonorum*-სა და სხვა ნაირსახეობებს და მათგან ალბათ ყველაზე გამოსარჩევსა და უნიკალურს – *Societas publicanorum*-ს.

ტიპიურ ამხანაგობად რომაულ სამართალში მიიჩნეოდა *Societas omnium bonorum*. ის წარმოადგენდა ამხანაგობის ერთ-ერთ პირველ სახეს, რომელიც პირდაპირ *consortium*-ის ცნებიდან აღმოცენდა¹⁵² და მოიცავდა მასში შემავალი ყველა წევრის მთლიან ქონებას ამ ამხანაგობის ჩამოყალიბებისთანავე.¹⁵³

სხვა სახის ამხანაგობები, ფაქტობრივად *Societas omnium bonorum*-ს წარმოადგენდნენ, მხოლოდ მათი მიზანი იყო განსხვავებული. მაგალითად, *Societas negotiationis alicuius* იყო საზოგადოება შექმნილი კონკრეტულად რომელიმე სამეწარმეო საქმიანობისათვის, ხოლო *Societas rei unius* გამიზნული იყო ერთი კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის.¹⁵⁴ უკანასკნელის შემთხვევაში, მიზნის მიღწევის შემდეგ ამხანაგობა არსებობას ავტომატურად წყვეტდა.¹⁵⁵

¹⁵¹ Broekaert W., Joining Forces: Commercial Partnerships or Societates in the Early Roman Empire, *Historia: Zeitschrift für Alte Geschichte*, Band 61, Heft 2, 2012, 230.

¹⁵² Thomas, J., *Textbook of Roman Law*. North Holland, Amsterdam, 1976, 301. Ankum H., *Societas Omnium Bonorum and Dos in Classical Roman Law*, *Israel Law Review*, Volume 29, Issue 1-2, 1995, 106. Laube D., *Societas as Consensual Contract*, *The Cambridge Law Journal*, Volume 6, No. 3, 1938, 390, fn29.

¹⁵³ Buckland W.W., *A Text-book of Roman law from Augustus to Justinian*, Cambridge University Press, Cambridge, 1921, 504.

¹⁵⁴ Fleckner A. M., *Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft*, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 127. *Societas rei unius*-ის შემთხვევაში მოქმედება შეიძლება როგორც კომერციული, ისე არაკომერციული ყოფილიყო. იხ: Buckland W.W., *A Text-book of Roman law from Augustus to Justinian*, Cambridge University Press, Cambridge, 1921, 505.

¹⁵⁵ Broekaert W., *Joining Forces: Commercial Partnerships or Societates in the Early Roman Empire*, *Historia: Zeitschrift für Alte Geschichte*, Band 61, Heft 2, 2012, 230.

ზოგიერთი ავტორი აგრეთვე განასხვავებს ერთმანეთისგან *Societas omnium bonorum*-სა და *Societas universorum quae ex quaestu veniunt*-ს. ეს უკანასკნელი საკუთარ ქონებაში არ მოიცავდა ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას.¹⁵⁶

2.4.1.1.2. *Societas publicanorum* – რომაული სააქციო საზოგადოება?

რომაული *Societas*-ის ქვესახეობებიდან ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს *Societas publicanorum*, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „საჯარო შემსყიდველთა ამხანაგობა“.¹⁵⁷ მისი აშკარად განსხვავებული მახასიათებლების გამო, ზოგიერთი ავტორისათვის ის რომაული კერძო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევას წარმოადგენს – სააქციო საზოგადოების პირდაპირ წინამორბედს, თუმცა სინამდვილე შეიძლება უფრო პროზაული იყოს.

Societas publicanorum მეტად საინტერესო ინსტიტუტია იმ კუთხით, რომ ის საკმაოდ დიდი კაპიტალის მოზიდვისა და მართვისათვის იყო გამიზნული. საზოგადოება ორიენტირებული იყო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობაზე, რაც ძირითადად მოიცავდა ფართომასშტაბიან მშენებლობებს (ხიდები, აკვედუკები, ტაძრები), სახელმწიფო შემოსავლების შეკრებასა და მართვას (გადასახადების აკრეფვა) და სხვა.¹⁵⁸ ზოგიერთი ავტორი მასში, არც მეტი, არც ნაკლები, სააქციო საზოგადოების რომაულ პროტოტიპს ხედავს, რომლის კაპიტალი აქციებად იყო დაყოფილი და რომელიც რეალურად წარმოადგენდა ნამდვილ იურიდიულ პირს.¹⁵⁹ გარკვეულწილად გასაგებია, საიდან შეიძლება მოდიოდეს ასეთი წარმოდგენა: როგორც მეჩვიდმეტე საუკუნის სააქციო საზოგადოებები, *Societates publicanorum* იქმნებოდა სახელმწიფოს ნებართვით, თვით სახელმწიფოს პოლიტიკის გასატარებლად. აქ იგულისხმება საჯარო-ადმინისტრაციული სამუშაოები, როგორც იყო რომაული ლეგიონების მომარაგება,

¹⁵⁶ *Thomas, J.*, Textbook of Roman Law. North Holland, Amsterdam, 1976, 301.

¹⁵⁷ *Publicani* წარმოადგენდნენ საჯარო შემსყიდველებს, რომლებიც რომაულ არისტოკრატას, კერძოდ კი მხედართა რანგს, მიეკუთვნებოდნენ.

¹⁵⁸ *Malmendier U.*, Societas Publicanorum: Staatliche Wirtschaftsaktivitäten in den Händen privater Unternehmer, Böhlau Verlag GmbH, Köln, 2002, 31.

¹⁵⁹ *Malmendier U.*, Roman Shares, წიგნში: The Origins of Value: The Financial Innovations That Created Modern Capital Markets, Ed. *Goetzmann W.N., Rouwenhorts K.G.*, Oxford University Press, Oxford, 2005, 36-40.

აკვედუკების მშენებლობა და, ალბათ ყველაზე მთავარი – გადასახადების აკრეფა.¹⁶⁰ ამ მოსაზრების მომხრეთა თქმით, საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი კაპიტალი დაყოფილი გადაცემად აქციებად¹⁶¹, წევრები რომლებიც ამ აქციებს ფლობდნენ („აქციონერები“),¹⁶² საკუთარი მენეჯერი,¹⁶³ შეზღუდული პასუხისმგებლობა¹⁶⁴ და ცალკე იურიდიული პიროვნულობაც კი, თუნდაც ბოლომდე თეორიულად ჩამოუყალიბებელი და გაუაზრებელი.¹⁶⁵ სხვა სახის *Societas*-სგან განსხვავებითაც, *Societas publicanorum* არ წყვეტდა არსებობას ერთი-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ზოგიერთი ავტორი ამ ამხანაგობებს საერთოდ დირექტორთა საბჭოსაც¹⁶⁶ კი აძლევს¹⁶⁷ ან კაპიტალის მოსაზიდად ამ „აქციების“ გაყიდვის ფუნქციასაც ანიჭებს.¹⁶⁸ *Societas publicanorum*, მათი აზრით, ჭეშმარიტი გამოხატულებაა იმისა, თუ რა სიმაღლეზე ავიდა რომაული ეკონომიკა და რომ ადრეული იმპერიის ხანაში ის უკვე ორიენტირებული იყო

¹⁶⁰ გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფთა საზოგადოებას *Societas vectigalium* ეწოდებოდა და იგი *Societas publicanorum* -ის ნაირსახეობა იყო.

¹⁶¹ წილებად – *partes*. თუმცა ავტორთა ნაწილი პირდაპირ თანამედროვე ტერმინ „აქციას“ იყენებს. *Malmendier U.*, *Societas Publicanorum: Staatliche Wirtschaftsaktivitäten in den Händen privater Unternehmer*, Böhlau Verlag GmbH, Köln, 2002, 91-116.

¹⁶² იგივე საჯარო შემსყიდველები – *Publicani* საზოგადოების წევრებად (*socii*) იწოდებოდნენ.

¹⁶³ *Manceps*, რომელსაც თვითონ წევრები ირჩევდნენ და რომლის ვალდებულება იყო საჯარო „აუქციონზე“ (რეალურად დღევანდელი სახელმწიფო ტენდერის წინამორბედი სისტემა) რომელიმე საჯარო პროექტის შესრულების უფლების მოპოვება.

¹⁶⁴ შეზღუდული პასუხისმგებლობა არჩევანი იყო და დამოკიდებული იყო თვითონ წევრზე. როგორც ჩანს აქაც, თანამედროვე კომანდიტური საზოგადოების მსგავსად, წევრს შეეძლო აერჩია შეუზღუდავი პასუხისმგებლობა და მართვის შესაძლებლობა საზოგადოებაში ან მხოლოდ შეტანილი შენატანით შემოფარგლულიყო და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღებისგან თავი შეეკავა. იხ: *Malmendier U.*, *Societas Publicanorum: Staatliche Wirtschaftsaktivitäten in den Händen Privater Unternehmer*, Böhlau Verlag, Köln, 2002, 261-268.

¹⁶⁵ დაწვრილებით იხ. *Hawk B.*, *Law in Commerce in Pre-Industrial Societies*, Brill – Nijhoff, Leiden, 2015, 231-233. *Malmendier U.*, *Roman Shares*, წიგნში: *The Origins of Value: The Financial Innovations That Created Modern Capital Markets*, Ed. *Goetzmann W.N., Rouwenhorts K.G.*, Oxford University Press, Oxford, 2005, 36-40. *Malmendier U.*, *Societas Publicanorum: Staatliche Wirtschaftsaktivitäten in den Händen privater Unternehmer*, Böhlau Verlag GmbH, Köln, 2002, 251-259.

¹⁶⁶ *Decumani*. აქ სავარაუდოდ იგულისხმება მეათედი გადასახადის (*Decuma*) ამკრებები. აღნიშნულ პირთა დანიშნულება სადავოა. ავტორთა ნაწილი მათ მენეჯერების, მმართველების ან უბრალოდ ზედამხედველების როლს ანიჭებს. იხ: *Badian E.*, *Publicans and Sinners: Private Enterprise in the Service of the Roman Republic*, Cornell University Press, Ithaca, New York, 1972, 73.

¹⁶⁷ *Balsdon J.*, *Roman History*, 65-50 B.C.: Five Problems. *Journal of Roman Studies*, Volume 52, Issue 1-2, November 1962, 135.

¹⁶⁸ *Hollander D.B.*, *Money in the Late Roman Republic*, Brill, Leiden, 2007, 49.

საბაზრო ეკონომიკაზე, უფრო მეტადაც კი ვიდრე შუა საუკუნეების ეკონომიკა მრავალი საუკუნის შემდგომ.¹⁶⁹

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი განსხვავებები *Societas publicanorum*-სა და დღევანდელ სააქციო საზოგადოებას შორის. უპირველეს ყოვლისა, *Societas publicanorum* მხოლოდ საჯარო შესყიდვებისათვის იყო განკუთვნილი¹⁷⁰ და მხოლოდ გარკვეული ისტორიული პერიოდის დროს არსებობდა (ძვ.წ. III-ახ.წ III საუკუნეები).¹⁷¹ *Manceps* -ის სიკვდილი ნიშნავდა თვითონ *Societas*-ის დასრულებას, რადგან სწორედ მასზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების მოპოვება.¹⁷² როგორც აღინიშნა, თვით უფრო კომპლექსური *Societas publicanorum*-იც კი არ განიხილებოდა როგორც ცალკე იურიდიული პირი, რადგან ასეთი ცნება რომაული სამართლისათვის უცხო იყო.

თეორია იმის შესახებ, რომ *Societas publicanorum* რეალურად არსებული რომაული სააქციო საზოგადოება იყო, თავისი აქციებითა და შეზღუდული პასუხისმგებლობით, ყოველთვის იწვევდა ჯანსაღ სკეპტიციზმს და დღესდღეობით მზარდი კრიტიკის ქვეშაა. ავტორთა ნაწილისათვის *Societas publicanorum* იყო არა დღევანდელი სააქციო საზოგადოების, არამედ ღია შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორული საზოგადოების წინამორბედი.¹⁷³ რომაელი ისტორიკოსების ნათქვამს, რომ იტალიაში

¹⁶⁹ *Malmendier U.*, Law and Finance "at the Origin", Journal of Economic Literature, Volume 47, No. 4, December 2009, 1079.

¹⁷⁰ კომენტატორთა აზრით, მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მოხდა იმავე ტიპის საზოგადოებების შექმნა კერძო სფეროში, რომაული საზოგადოების საკმაოდ ანტიკომერციულ მენტალიტეტში, პოლიტიკურ კლიმატში ან თუნდაც იმ მარტივ ფაქტში უნდა ვეძიოთ, რომ კერძო საწარმოების უმრავლესობას რომში არც სჭირდებოდა *Societas publicanorum*-ის მსგავსი კომპლექსური ორგანიზაცია. იხ: *Hansmann H., Kraakman R., Squire R.*, Law and the Rise of the Firm, Harvard Law Review, Volume 119, 2005, 1363-1364.

¹⁷¹ *Societas publicanorum*-ის არსებობის ზუსტი პერიოდი უცნობია. სავარაუდოა რომ ისინი სათავეს ძვ.წ. მესამე საუკუნეში იღებენ (იხ: *Hansmann H., Kraakman R., Squire R.*, Law and the Rise of the Firm, Harvard Law Review, Volume 119, 2005, 1360) და ახ.წ. მესამე საუკუნეში, იმპერიის კრიზისის ხანამდე ან ამ ხანის შემდეგ ასრულებენ არსებობას. ახ.წ. მეორე საუკუნისათვის მათ ჩამოსცილდათ გადასახადების აკრეფის ფუნქცია, თუმცა არა მთლიანად და იმ დროისათვისაც ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. იხ: *Crook J.*, Law and Life of Rome, Cornell University Press, Ithaca, New York, 1967, 234. *Malmendier U.*, Societas Publicanorum: Staatliche Wirtschaftsaktivitäten in den Händen privater Unternehmer, Böhlau Verlag GmbH, Köln, 2002, 61-64.

¹⁷² თუმცა *Societas publicanorum*-ის შემთხვევაში, რომაულმა ხელისუფლებამ დროთა განმავლობაში ნება დართო საზოგადოების წევრებს, შეეცვალათ თავიანთი *Manceps*.

¹⁷³ *Hansmann H., Kraakman R., Squire R.*, Law and the Rise of the Firm, Harvard Law Review, Volume 119, 2005, 1362, fn.72. აქ ზემოაღნიშნული ავტორები გულისხმობენ *Limited Partnership*-ს. ქართულ საკორპორაციო

ყველა მოქალაქეს ჰქონდა აქცია (უფრო სწორად – წილი) ასეთ კომპანიებში, ზოგიერთი ავტორი, სულ მცირე „ფანტასტიკურ გადაჭარბებას“ უწოდებს¹⁷⁴ და უფრო სავარაუდოა, რომ, მიუხედავად ფართომასშტაბიანი ფინანსური ტრანზაქციებისა, პარტნიორთა რაოდენობა დიდად არ აჭარბებდა ჩვეულებრივ *Societas*-ში არსებულ პარტნიორთა რაოდენობას.¹⁷⁵ ერთადერთი განსხვავება იყო ის, რომ *Societas publicanorum*-ის წევრთა პირადი ქონება და სიმდიდრე გაცილებით აღემატებოდა ჩვეულებრივი ამხანაგობის წევრების ქონებას. ეს გასაგებიცაა – მათ დიდი საჯარო პროექტები უნდა განეხორციელებინათ და წევრებიც რომაული არისტოკრატიული ფენიდან იყვნენ. სხვა კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ მიუხედავად პირველადი წყაროების გამოყენებისა, ასეთ თამამი დასკვნა ფუნდამენტალურად დამყარებულია ტექსტების სადავო განმარტებაზე, რასაც ხელს დამატებით არაერთმნიშვნელოვანი თარგმანიც უწყობს.¹⁷⁶

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკოსთა არგუმენტები საფუძველს მოკლებული არაა და ძველრომაული სოციალური, კულტურული და რაც მთავარია, ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ *Societas publicanorum* თვით რომაელებისთვისაც წარმოადგენდა სხვა არაფერს, თუ არა სახემეცვლილ *Societas*-ს, რომელსაც სახელმწიფოსთან არსებული კავშირების გამო, მოქნილობისათვის მიენიჭა სპეციფიკური მახასიათებლები. ეს არ იყო რაიმე გააზრებული პროცესის შედეგი, რომელიც დადგა კორპორაციული პიროვნულობის აბსტრაქტული კონცეფციის გაცნობიერებიდან.¹⁷⁷ თანამედროვე სააქციო საზოგადოებასთან პარალელების გავლების ნაცვლად, ზოგიერთი ავტორი უფრო მიზანშეწონილად მიჩნევს, რომ *Societas publicanorum* ძირითადად კაპიტალის

სამართალში ყველაზე ახლო, თუმცა არა იდენტური, სამეწარმეო სუბიექტი იქნებოდა კომანდიტური საზოგადოება.

¹⁷⁴ Crook J., Law and Life of Rome, Cornell University Press, Ithaca, New York, 1967, 234-235.

¹⁷⁵ Fleckner A. M., Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 207-215.

¹⁷⁶ Poitras G., Geranio M., Trading of Shares in the Societates Publicanorum?, Explorations in Economic History, Volume 61, July 2016, 97.112-116.

¹⁷⁷ Thomas, J., Textbook of Roman Law. North Holland, Amsterdam, 1976, 472.

მოზიდვის მარტივ ინსტრუმენტად წარმოაჩინოს და მას უბრალოდ “კაპიტალურ საზოგადოებას”¹⁷⁸ უწოდებს.¹⁷⁹

2.4.1.1.3. *Peculium*

Peculium წარმოადგენდა რომაელი *pater familias* -ის მიერ სხვისთვის (როგორც წესი მონასათვის, თუმცა ეს შეიძლება ყოფილიყო ამავე *pater familias*-ის შვილი) სამართავად და ასევე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემულ ქონებას.¹⁸⁰ რადგანაც რომაელ *pater familias*-ს ფაქტობრივი აბსოლუტური, შეუზღუდავი უფლებები გააჩნდა როგორც საკუთარი შვილების, ასევე მონების მიმართ, რეალურად მისი შვილიცა და მონაც უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ჩვეულებრივი ინსტრუმენტი საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

Peculium-ის ფუნქცია საკმაოდ მარტივი იყო. სავაჭრო საქმიანობის მიმართ რომაელების (და განსაკუთრებით კი რომაული არისტოკრატის) მხრიდან ანტიპათიის გამო, აგრეთვე ზოგადად საქმის დელეგირების საშუალებით გამარტივების მიზნით, რომაელ მოქალაქეს შეეძლო ქონება გადაეცა საკუთარი მონასათვის,¹⁸¹ რომელიც შესაძლებელია საკმაოდ კომპეტენტური ყოფილიყო და საკუთარი ბატონისათვის დიდი მოგება მოეტანა.

სამეწარმეო თვალსაზრისით, *Peculium*-ის მნიშვნელობა მეტად მწირად უნდა ჩავთვალოთ. თვით ყველაზე მდიდარი რომაელების სამეწარმეო საქმიანობის შემთხვევაშიც კი იგი არ გამოიყენებოდა დიდი კაპიტალის ინვესტირებისათვის და მონა უბრალოდ თავისი ბატონის წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდა მცირე ან

¹⁷⁸ გერმ. *Kapitalvereinung*.

¹⁷⁹ *Societas publicanorum*-ზე დეტალურად იხ: *Fleckner A. M.*, Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 145-215.

¹⁸⁰ *ბარაიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 127-128.

¹⁸¹ აქ და შემდგომ შემთხვევებში საუბარი იქნება სწორად მონაზე, როგორც *Peculium*-ის კლასიკურ შემთხვევაზე. შვილისათვის (როგორც წესი, ვაჟისათვის) ქონების გადაცემა სამეწარმეო საქმიანობის მიზნით უფრო იშვიათი იყო და როგორც წესი, ეს გადაცემული ქონება შვილისათვის „სახარჯ ქონებას“ წარმოადგენდა.

საშუალო სამეწარმეო საქმიანობაში.¹⁸² აღნიშნული სადავო რამდენად შეიძლება საერთოდ შეფასდეს სამეწარმეო საქმიანობის ფორმად.

ამის მიუხედავად, ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი საინტერესო მოსაზრების თანახმად, სწორედ მონის საშუალებით რომაულ სამართალში მოხდა სამეწარმეო საქმიანობის დეპერსონალიზაცია, რითაც გადაბარებული *peculium*-ის გზით, მონას შეეძლო ყოფილიყო მისი ბატონის დე-ფაქტო წარმომადგენელი (როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირი წარმომადგენლობა რომაული სამართლისათვის უცხო იყო) და ასეთი საქმიანობაც შეიძლება წარმართულიყო მესაკუთრის სიკვდილის ან მისი საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაშიც. რაც მთავარია, პასუხისმგებლობა შეზღუდული იქნებოდა მონისათვის გადაცემული *peculium*-ით და ბატონის ქონებაზე კრედიტორებს მოთხოვნის უფლება არ ექნებოდათ. აღნიშნული კი საკმაოდ წააგავს დღევანდელი კორპორაციების შექმნის ეკონომიკურ მიზნებს.¹⁸³ აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ *peculium* დღევანდელი საკორპორაციო-სამართლებრივი სისტემების იდენტური იყო, თუმცა კარგად აჩვენებს, რომ დე-ფაქტო რომაელ მოქალაქეებს შეეძლოთ სხვა, დღევანდელი გაგებით სრულიად არაეთიკური მეთოდებისათვის მიემართათ ზუსტად იმავე მიზნების მისაღწევად, რისთვისაც დღესდღეობით თანამედროვე საკორპორაციო სამართალში შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კაპიტალურ საზოგადოებებს იყენებენ.

2.4.1.2. რომაული არაკაპიტალური (არასამეწარმეო) საზოგადოებები

სამეწარმეო საქმიანობის გარდა, ძველ რომში გაერთიანებები შესაძლოა არასამეწარმეო მიზნებისთვისაც შექმნილიყო. მათი აქ განხილვა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ზოგიერთი მათგანი (განსაკუთრებით კი *universitas*) ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, უახლოვდებოდა იურიდიული პირის დღევანდელ გაგებას, თუმცა ბოლომდე, რა თქმა უნდა, მისი იდენტური არ იყო.

¹⁸² Fleckner A. M., Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 235-237.

¹⁸³ უფრო დაწვრილებით იხ: Abatino B., Dari-Mattiacci G., Perotti E.C., Depersonalization of Business in Ancient Rome, Oxford Journal of Legal Studies, Volume 31, No. 2, 2011, 365-389.

არაკაპიტალური საზოგადოებები ზოგადად რომში მრავალი იყო, მათგან შესაძლოა გამორჩეულ იქნას რამდენიმე ძირითადი ფორმა: *Collegia*, *Universitas* და *Sodalitates (Sodalicia)*.

აქ კიდევ ერთხელ აღსანიშნავია ტერმინოლოგიის პრობლემა. რომაულ სამართალში ქალაქების, თემებისა და ზოგადად სხვა მუნიციპალიტეტების მიმართ გამოიყენებოდა სიტყვების მთელი წყება, მათ შორის *Universitas*-იც. რადგან ხშირად ქალაქის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ ორგანიზაციას, რომელიც ხშირად გამოდიოდა ქალაქის სახელით და ფლობდა ქონებას, რომელი იურისტებისათვის, რომელთა ნაშრომებმაც ჩვენამდე მოაღწია, სწორედ ის წარმოადგენდა თეორიულად უფრო კარგად ჩამოყალიბებული *Universitas*-ის უპირველეს მაგალითს.¹⁸⁴ დანარჩენები, როგორც იყო *Collegia* და *Sodalitates (Sodalicia)*, წარმოადგენდნენ არასამეწარმეო, მრავალპროფილიან გაერთიანებებს.

2.4.1.2.1. *Collegia*

რომაული *Collegia* თვითონ სახელიდანვე გამომდინარე წარმოადგენდა პირთა კოლეგიალურ გაერთიანებას, იქნებოდა ეს საერთო პროფესიონალურ საფუძველზე (რაც მათ შუა საუკუნეების გილდიებთან აახლოებდა) თუ ერთიანი მიზნის განხორციელების მიზნით. კოლეგიებში საკმაოდ დიდი როდენობით ადამიანი შეიძლება გაერთიანებულიყო: რამდენიმე ასეულიც ან შესაძლებელია ათასობიც კი.¹⁸⁵ მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანების მიზანი არ იყო სამეწარმეო საქმიანობის წარმართვა, წყაროებში ვხვდებით ცნობებს, როდესაც ნახსენებია კოლეგიების მიერ განხორციელებული სავაჭრო ღონისძიებები.¹⁸⁶ კოლეგიები იმდენად ყოველდღიურ და

¹⁸⁴ რომაულ სამართალში „ტექნიკური ენის“ (*technologische Sprache*) არარსებობისა და ზოგადად ტერმინოლოგიის პრობლემების შესახებ იხილეთ: *Duff P.W.*, *Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 37, fn.4.

¹⁸⁵ *Ausbüttel F.M.*, *Untersuchungen zu den Vereinen im Westen des Römischen Reiches*, M. Laßleben, Kallmünz, 1982, 35.

¹⁸⁶ *პლუტარქე* თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“ აღნიშნავს, რომ რომაელმა მეფე *ნუმა პომპილიუსმა* გააფართოვა პროფესიონალურ გაერთიანებათა ჩამოყალიბების, შეკრებისა და საქმიანობის უფლებები. იხ:

გავრცელებულ ფორმად მიიჩნეოდა, რომ აღნიშნულს დღევანდელი სამართლის მეცნიერებისათვის უარყოფითი ეფექტიც მოჰყვა: რადგანაც კოლეგიები ჩვეულებრივი და საყოველთაოდ მიღებული იყო დიდი ხნის განმავლობაში, რომელიც სამართალი მას უბრალოდ უგულებელყოფდა და მის დეტალურ რეგულირებას საჭიროდ არც მიიჩნევდა.¹⁸⁷ ამგვარად მათზე მსჯელობა ჩვენ მხოლოდ იმ მწირი წყაროებით შეგვიძლია, რომელიც დღემდე შემორჩა.

Collegium-ს შესაძლებელია მინიჭებოდათ *corpus habere* პრივილეგია, რაც საშუალებას მისცემდა მას ჰქონოდა საკუთარი ქონება, წარმოდგენილი ყოფილიყო წარმომადგენლის საშუალებით და შეეტანათ სარჩელი სასამართლოში. მათ, როგორც წესი, აღიარებისათვის სახელმწიფო ნებართვა სჭირდებოდათ. აღნიშნული არ წარმოადგენდა მათი პიროვნულობისა და განცალკევებულობის აღიარებას, არამედ უბრალოდ შეკრების ნებართვას კოლეგიაში გაერთიანებული პირებისათვის.¹⁸⁸

პროფესიონალური კოლეგიები ძველ რომში მრავალნაირი შეიძლება ყოფილიყო: პოეტების¹⁸⁹, ფეიქრების,¹⁹⁰ მცხობელთა,¹⁹¹ დამკრძალავი,¹⁹² და სხვა.¹⁹³ გარდა პროფესიონალური კოლეგიებისა, რომში საკმაოდ იყო რელიგიური კოლეგიებიც,¹⁹⁴

Plutarch, *Plutarch's Lives*, Volume I: Theseus and Romulus. Lycurgus and Numa. Solon and Publicola (Loeb Classical Library No. 46), *Trans. Perrin B.*, Harvard University Press, Cambridge, 1967, 365-367. კრიტიკული განხილვისათვის, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას რომში ასეთ ადრეულ ხანაში კოლეგიების არსებობა, იხ: *Gabba E.*, *The Collegia of Numa: Problems of Method and Political Ideas*, *The Journal of Roman Studies*, Volume 74, 1984, 81-86.

¹⁸⁷ *Duff P.W.*, *Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 107.

¹⁸⁸ *Thomas, J.*, *Textbook of Roman Law*. North Holland, Amsterdam, 1976, 473.

¹⁸⁹ *Collegium Poetarum*. იხ: *Crowth N.B.*, *The Collegium Poetarum at Rome: Fact and Conjecture*, *Latomus*, Volume 32, Issue 3, 1973, 575-560.

¹⁹⁰ *Collegia Centonariorum*. *Liu J.*, *The Guilds of Textile Dealers in the Roman West*, Brill, Leiden, 2009.

¹⁹¹ *Collegia Pistorum*.

¹⁹² *Collegia Funeraticia*. აღნიშნულის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ *Sano M.*, *Collegia Through Their Funeral Activities: New Light on Sociability in the Early Roman Empire*, *Espacio Tiempo y Forma Serie II Historia Antigua*, Issue 25, 2012, 393-414. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სპეციალური დამკრძალავი კოლეგიის ფორმა არ არსებობდა და ზოგადად ამ ფუნქციებს კოლეგიების გარდა, სხვა სახის საზოგადოებრივ ითავებდნენ. *Liu J.*, *The Guilds of Textile Dealers in the Roman West*, Brill, Leiden, 2009, 265-266. *Perry J.S.*, *The Roman Collegia: The Modern Evolution of Ancient Concept*, Brill, Leiden, 2006, 23-60.

¹⁹³ არასრული ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ: *Liu J.*, *Professional Associations*, წიგნში: *The Cambridge Companion to Ancient Rome*, *Ed. Erdkamp P.*, Cambridge University Press, Cambridge, 2013, 356.

¹⁹⁴ *Collegia Sacerdotum*. იხ: *Rüpke J.*, *Collegia sacerdotum—Religiose Vereine in der Oberschicht.* წიგნში: *Antike Vereine: Studien und Texte zu Antike und Christentum*, *Ed. Egelhaaf-Gaiser U., Schäfer, A.*, Mohr Siebeck, Tübingen, 2002, 41-68

რომლებიც რომაული წარმართული პანთეონის რომელიმე ღმერთს ეძღვნებოდნენ.¹⁹⁵ სამართლის თვალში ყველა ფაქტობრივად ერთი და იგივე იყო და ისინი მხოლოდ საქმიანობის სფეროთი თუ განსხვავდებოდნენ.¹⁹⁶

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, კოლეგიებიდან რეალურად კორპორაციულ პიროვნულობასთან მიახლოებული უფლებების მქონე მხოლოდ მცირე ნაწილი იყო, რომელთაც ქონების ფლობისა და სასამართლოში გამოსვლის უფლება ჰქონდათ და რომის ხელისუფლება ასეთ პრივილეგიებს იმათ გადასცემდა, ვინც საკმარისად ძლიერი იყო ფინანსურად აღნიშნული რომ საერთოდ მოეთხოვა.¹⁹⁷

წინამდებარე ნაშრომის მიზნისათვის რომაული *Collegia* უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, რადგან ლიტერატურაში არ ჩანს თუნდაც მინიმუმ იმაზე, რომ ის ოდესმე სხვანაირად განიხლებოდა, გარდა როგორც კერძო ფიზიკური პირებისაგან შემდგარი არასამეწარმეო გაერთიანება.

2.4.1.2.2. *Universitas*

ძველრომაული ინსტიტუტებიდან ყველა საინტერესოს უდავოდ *Universitas* წარმოადგენს. დღევანდელი იურიდიული პირის ცნებასთან ყველაზე ახლოს სწორედ ის იდგა. დროთა განმავლობაში რომელი იურისტები სწორედ *Universitas*-ით მოიხსენიებდნენ კანონით მიერ აღიარებული უფლებების მქონე ჯგუფებს, როგორც კოლექტიურ პირს.¹⁹⁸ როგორც ორგანიზაციული ფორმა, იგი გამოიყენებოდა სხვადასხვა ძირითადად არაკომერციული, მაგრამ განსაკუთრებით რელიგიური და სახელმწიფო გაერთიანებებისათვის.¹⁹⁹

¹⁹⁵ კოლეგიების საქმიანობა შეიძლება ოთხ განზოგადებულ სფეროდ დავყოთ: საკულტო, რელიგიური და სადღესასწაულო დაწესებულებანი; დამკრძალავი საზოგადოებები, სახელმწიფო უზრუნველყოფა; ორმხრივი დახმარება და რაც ყველაზე მთავარია – პოლიტიკური აქტივობები. იხ: *Ausbüttel F.M.*, Untersuchungen zu den Vereinen im Westen des Römischen Reiches, M. Laßleben, Kallmünz, 1982, 49-98.

¹⁹⁶ *Duff P. W.*, Personality in Roman Private Law, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 129.

¹⁹⁷ იქვე, 149-150.

¹⁹⁸ იქვე, 37.

¹⁹⁹ *Fleckner A. M.*, Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 336.

Universitas-ის ზუსტი თარგმანი პრობლემებთანაა დაკავშირებული. იგი არასოდეს არ წარმოადგენდა რაიმე მკაცრად განსაზღვრულ ტექნიკურ ტერმინს და ის სავარაუდოდ აღნიშნავდა როგორც კონკრეტულ ორგანიზაციას, აგრეთვე ზოგადად მთლიანობას, ჯგუფს. ყველაზე სწორი იქნება, თუ მას განვმარტავთ როგორც რაიმე მთლიანს, უნივერსალურს, რომელიც კონტრასტს ქმნის, შეპირისპირებულია საკუთარ ნაწილებთან ან მთლიანობას, ჯგუფს, რომელიც განსხვავდება საკუთარი წევრებისგან.²⁰⁰

აღნიშნული ფორმა ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს, რადგან სწორედ მას ემყარება ზოგიერთი მოსაზრება, რომ რომაელებს უკვე ჰქონდათ შემუშავებული კორპორაციული პიროვნულობის ცნება, თუნდაც არაორგანიზებულად და არაფორმალურად. სამართალმცოდნეები, რომლებიც მიიჩნევენ რომ რომაელებმა მაინც მოახერხეს იურიდიული პირის ცნებამდე მისვლა, თავიანთ არგუმენტს რომაული დიგესტებიდან ძირითადად *ულპიანეს* ერთ ფრაზაზე²⁰¹ ამყარებენ, რაც თარგმანის სირთულიდან გამომდინარე გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.²⁰²

წინამდებარე თავის დასაწყისში ნახსენები იყო რომაელთა მეტად სპეციფიკური მიდგომა გაერთიანებების ბუნებისადმი და ეს ყველაზე ცალსახად, შეიძლება ითქვას, სწორედ *Universitas*-ის მიმართ იყო გამოხატული. რომაელებისათვის იურიდიული პირი არ იყო ფიქცია, არამედ წარმოადგენდა რეალურად არსებულ კომპოზიტურ წარმონაქმნს, რომელიც *განსხვავდებოდა* მასშივე შემავალი პირებისგან. აღნიშნული

²⁰⁰ Duff P. W., *Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 36-37.

²⁰¹ Digest. 3, 4, 7.

²⁰² „*Si quid universitati debetur, singulis non debetur, nec quod universitas singuli debet*“. „თუ მთლიანს აკისრია ვალდებულება, ის არ წარმოადგენს თითოეულის ვალს ერთმანეთის მიმართ და არც თითოეული ინდივიდუალურად აგებს პასუხს იმისათვის, რაც მთლიანის ვალდებულებაა.“ თარგმანი ეყრდნობა ინგლისურ ტექსტს: *Felmeth A.X., Horwitz M., Guide to Latin in International Law*, Oxford University Press, Oxford, 2009, 262. სხვა თარგმანებში საუბარია იმაზე, რომ საზოგადოების (*universitas*, როგორც გერმანული *Körperschaft*) ვალებისათვის მისი წევრები პასუხს არ აგებდნენ: *Hausmanniger H., Selb W., Römisches Privatrecht*, 6. Auflage, Böhlau Verlag, Wien, 1991, 139. ამ უკანასკნელი ვერსიით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რომაელები აღიარებდნენ შეზღუდულ პასუხისმგებლობას, რაც თავისთავად იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი, მართალია ირიბად და არასისტემურად, მაგრამ მაინც მივიდნენ იურიდიული პირის ცნებამდე. სამწუხაროდ ზუსტი თარგმანის შეუძლებლობა აბრკოლებს გაგებას იმისა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა *ულპიანე* ამ ფრაზაში. იგივე *universitati* ამ ფრაზაში შეიძლება გაგებულ იქნას როგორც „საზოგადოება“, „კორპორაცია“, მაგრამ ასევე როგორც „ერთიანობა“, „მთლიანობა“. ჩანაწერი აგრეთვე არაფერს ამბობს შიდა ურთიერთობებზე და ზოგადად დეტალებს არის მოკლებული. იხ: *Fleckner A. M., Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft*, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010, 336.

კონცეფცია ძალიან ახლოსაა იურიდიული პირის დღევანდელ გაგებასთან, თუმცა არა მისი იდენტური. ისმევა საჩოთირო კითხვა: თუ იურიდიული პირი არც ფიქციაა და არც მასში შემავალი პირების მექანიკური ერთობლიობა, მაშინ მაინც რა არის ის?²⁰³ თანამედროვე სამართალმცოდნეობას ამაზე პასუხი აქვს: იურიდიული პირი არის რეალურად არსებული სამართლის სუბიექტი, რომელსაც საკუთარი, მასში შემავალი პირებისაგან განცალკევებული პიროვნულობა გააჩნია. რომაელებს კი, სავარაუდოა, რომ აღნიშნულ შეკითხვაზე საბოლოო პასუხი ჩამოყალიბებული არ ჰქონდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისევე როგორც რომაული ოჯახი, საზოგადოებები რომაელებისათვის ასოცირდებოდა კერძო ინდივიდებისგან შექმნილ მთლიანობასთან, სუბიექტთან რომელიც რაღაც ახალი იყო, იმგვარად, რომ მისი შემადგენელი წევრები ინარჩუნებდნენ საკუთარ რაობას. აღნიშნული ემგავსება იურიდიული პირის დღევანდელ ცნებას, თუმცა მაინც განსხვავებული კონცეფციაა. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ *Universitas* წარმოადგენდა რომაული კორპორაციული პიროვნულობის შესახებ არსებული (უფრო სწორად სპონტანურად, არასისტემურად ჩამოყალიბებული) თეორიული ნააზრევის მწვერვალს²⁰⁴ და ყველაზე ახლოს იდგა იურიდიულ პირის დღევანდელ ცნებასთან.

2.4.1.2.3. *Sodalitates (Sodalicia)*

ძველრომაული საზოგადოებებიდან *Sodalitates*-ზე (იგივე *Sodalicia*)²⁰⁵ ყველაზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება, რაც იძულებულს გვხდის ამ მცირე მასალიდან მოვახდინოთ მთლიანი სურათის აღდგენა.

რომაულ სამართალში კლასიფიკაციის ნაკლებობის გამო, საფიქრებელია, რომ იმავე *collegia*-ს ან *societas*-ის მსგავსად, *Sodalitates*-იც აღნიშნავდა იმ პირების

²⁰³ Spaak T., A Critical Appraisal of Karl Olivecrona's Legal Philosophy, Springer Verlag, Stockholm, 2014, 222.

²⁰⁴ Duff P. W., Personality in Roman Private Law, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 37.

²⁰⁵ რომაული სამართლის ენციკლოპედიურ ლექსიკონში, *Sodalitates* და *Sodalicia* ერთი და იგივე პარაგრაფშია (*entry*) მოქცეული. ზოგადად ამ ორს შორის რთულია რაიმე არსებითი განსხვავების პოვნა და უპირანი იქნებოდა მათი ერთად განხილვა. იხ: Berger A., Encyclopedic Dictionary of Roman Law, The American Philosophical Society, Philadelphia, 1953, 709-710.

ერთობლიობას, რომლებიც საერთო მიზნისათვის მუშაობდნენ. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მათგან განსხვავებით, როგორც ჩანს, *Sodalitates*-ს უარყოფითი დატვირთვაც ჰქონდა და მთავრობა მის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო. ყოველ შემთხვევაში არსებული ლიტერატურა ასეთი არასახარბიელო დასკვნის საშუალებას ნამდვილად გვაძლევს.

ჩვ.წ.-მდე 55 წელს კონსულ *მარკუს ლიცინიუს კრასუსის*²⁰⁶ სპონსორობით რომაულმა სენატმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავდა ამომრჩეველთა დაშინების ან მოქრთამვის მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნას.²⁰⁷ ასეთი ჯგუფის აღსანიშნავად სწორედ სიტყვა *Sodalicia* იყო გამოყენებული და კანონის მიზნისათვის *Sodalicia* აღნიშნავდა ელიტურ გაერთიანებებს,²⁰⁸ რომლებიც არჩევნების დროს ამომრჩეველთა მოქრთამვას ახორციელებდნენ.²⁰⁹

იმპერატორ *დომიციანეს*²¹⁰ დროს გამოცემულ მუნიციპალურ კანონმდებლობაში (*Lex Irnitana*) ერთმანეთისგან განსხვავებულია საზოგადოება *sodalitium* და კოლეგია (*collegium*) და აღნიშნულია, რომ არც ერთის ჩამოყალიბება არ შეიძლება შეთქმულების მიზნისათვის.²¹¹ წინააღმდეგ შემთხვევაში კონსპირატორებს ასტრონომიული ჯარიმის გადახდა მოუწევდათ.²¹² ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კანონი კარგად ასახავს რომაელი კანონმდებლის მეტად საეჭვო დამოკიდებულებას ადამიანთა გაერთიანებებისადმი, რომლებიც, თუმცა პირდაპირ არასოდეს არ იკრძალებოდნენ, კანონმდებლის მიერ მათ მიმართ მაინც იყო გარკვეული წინაპირობები და მოთხოვნები

²⁰⁶ *Marcus Licinius Crassus* (115-53 BC)

²⁰⁷ *Lex Licinia de sodaliciis*. იხ: *Gruen E.S.*, *The Last Generation of the Roman Republic*, University of California Press, Berkeley, 1995, 230-231.

²⁰⁸ „საარჩევნო ჯგუფები“ (*“electoral combines”*). იხ: *Bauman R.A.*, *Lawyers in Roman Transitional Politics: A Study of Relations between the Roman Jurists and the Emperors from Augustus to Hadrian*, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1985, 32.

²⁰⁹ *Mouritsen H.*, *Plebs and Politics in the Late Roman Republic*, Cambridge University Press, Cambridge, 2001, 149-150. სხვები მიუთითებენ, რომ *sodaliciis* აქ უნდა გავიგოთ როგორც *Sodalitas*-ის წევრები, ანუ კანონი უშუალოდ წევრების წინააღმდეგ იყო მიმართული. იხ: *Cohn M.*, *Zum Römischen Vereinsrecht: Abhandlungen aus der Rechtsgeschichte*, Habilitationsschrift, Weidmannsche Buchhandlung, Berlin, 1873, 66-67.

²¹⁰ *Domitianus* (51-96).

²¹¹ *González J.*, *Crawford M.H.*, *The Lex Irnitana: A New Copy of the Flavian Municipal Law*, *The Journal of Roman Studies*, Volume 76, 1986, 172, 223-224.

²¹² კერძოდ 10 000 რომაული სესტერცია. შედარებისათვის რომაელი ლეგიონერის წლიური შემოსავალი იმპერატორ *დომიციანეს* დროს სულ 1 200 სესტერცია იყო. იხ: *Speidel M.A.*, *Roman Army Pay Scales*, *The Journal of Roman Studies*, Volume 82, November 1992, 87.

წყენებული იმისათვის, რომ ამ ჯგუფის წიაღში ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება არ გაჩენილიყო.²¹³ შესაბამისად, ასეთი კანონები გამიზნული იყო წესრიგის შენარჩუნებისა და უკანონო ან საშიში გაერთიანებების წარმოქმნის თავიდან არიდებისაკენ.²¹⁴

ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, თუ *Sodalitates* (იმავე *Sodalicia*-ს) მივიჩნევთ ადამიანთა ჯგუფს ან დაჯგუფებას, რომელიც უფრო პოლიტიკური ან სოციალური მოტივით იქმნებოდა, ვიდრე სამეწარმეო, რაც რომაულ მთავრობას აიძულებდა უფრო მეტი ყურადღება დაეთმო მათთვის ვიდრე იმავე კოლეგიისა თუ საზოგადოებისათვის. ამავდროულად როგორც აღვნიშნეთ, რომაულ სამართალში ტერმინოლოგიური აღრევის სერიოზული პრობლემა არსებობდა და სრულიად შესაძლებელია *Sodalitates* უფლებრივად იმავე კოლეგიისგან დიდად არ განსხვავდებოდა. ავტორთა ერთი ნაწილი მათ ფაქტობრივად ერთი და იმავე საზოგადოებად განიხილავს და კოლეგიასა და *Sodalicia* - ს სინონიმებადაც მიიჩნევს.²¹⁵

2.4.2. იურიდიული პირის ცნების განვითარება შუა საუკუნეებში

ანტიკური პერიოდის შემდეგ იურიდიული პირის კონცეფციის ნიშნები ძირითადად ჩანს შუა საუკუნეების ქალაქის მუნიციპალიტეტებში, საეკლესიო გაერთიანებებსა და გილდიებში. თავდაპირველად რომაული სამართლის ზეგავლენით, შუა საუკუნეების სამართალმა მემკვიდრეობით მიიღო რომაული სამართლის არასისტემატიურობა, მათ შორის პირთა გაერთიანებებისა და კორპორაციების დასახელებებთან მიმართებაში. გაერთიანებათა და საზოგადოებათა აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინოლოგია საოცრად ჭრელი იყო: *collegia, corpus, universitas,*

²¹³ მაგალითად გამოდგება იმპერატორ ტრაინეს უარი მცირე აზიის მმართველ პლინიუს მცირეს თხოვნაზე, ჩამოყალიბებულიყო მეხანძრეთა კოლეგია. იმპერატორი აქაც კი შეთქმულების საშიშროებას ხედავდა. *Duff P. W.*, *Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 113-114.

²¹⁴ *Venticinque P.F.*, *Honor Among Thieves: Craftsmen, Merchants, and Associations in Roman and Late Roman Egypt*, University of Michigan Press, Ann Harbor, 2016, 174-175.

²¹⁵ *Duff P. W.*, *Personality in Roman Private Law*, Cambridge, Cambridge University Press, 1938, 112, 142.

communitas, societas ან საერთოდ *consortium* ან *schola*.²¹⁶ კომპლექსური ორგანიზაციებიდან წინა პლანზე გამოვიდნენ არა სამეწარმეო საზოგადოებები, არამედ უნივერსიტეტები. იმდროინდელი სამართლისათვის უცხო არ იყო ინდივიდუალური ადამიანებისგან შემდგარი ტერიტორიული ჯგუფის (თემის, სოფლის, ქალაქის) აღება და შემდგომში ამ ჯგუფისათვის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის, უფლებებისა თუ ვალდებულებების დადგენა. მაგალითისათვის, ინგლისში პლიმუთის ქალაქის მაცხოვრებლები პეტიციას ერთად ადგენდნენ როგორც ჯგუფი, როგორც “*corps corporat*”.²¹⁷ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფალთა მიერ შუა საუკუნეების მუნიციპალიტეტებისათვის (*Borough*) გარკვეული კორპორაციულობის მინიჭებით იქმნებოდა სათანადო ბაზისი იურიდიული პირის, როგორც ცალკე პირის, იდეის მომავალში აღმოცენებისათვის.²¹⁸ აღნიშნული გარკვეულწილად სწორი იყო სამეწარმეო საზოგადოებებისთვისაც, თუმცა ძირითადად რომაული სამართლის გავლენით, იმავე სხვადასხვა პროფესიის გილდიებზე გაცემულ ნებართვებში ნახსენები იყო არა გილდია, არამედ თვით ამ პროფესიის ხალხი მრავლობით რიცხვში ან მათი კრებითი სახელი.²¹⁹

ამავდროულად, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენასთან ერთად, ვითარდებოდა სამეწარმეო ამხანაგობის ფორმებიც. ხმელთაშუა ზღვაში ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა ახალი ინსტიტუციონალური ფორმა *commenda*, რომელიც, როგორც აღნიშნავენ მედიევისტები, უფრო მარტივი აღსაწერია, ვიდრე განსამარტავი.²²⁰ წარმოშობილი იყო რა მსგავსი არაბული ინსტიტუტებიდან,²²¹ ის წარმოადგენდა

²¹⁶ *Post G.*, Parisian Masters as a Corporation, 1200-1246, *Speculum*, Volume 9, No. 4, Oct., 1934, 423-426

²¹⁷ *Freund E.*, The Legal Nature of Corporations, University of Chicago Press, Chicago, 1897, 7.

²¹⁸ აღნიშნული შუა საუკუნეების მუნიციპალიტეტების კორპორაციულობის თაობაზე დეტალურად იხ: *Carr C.T.*, Early Forms of Corporateness, წიგნში: *Select Essays in Anglo-American Legal History*, Volume III, Association of American Law Schools, Little, Brown, and Company, Boston, 1909, 161-182.

²¹⁹ მაგალითად, *რიჩარდ მეორის* ბრძანებაში მკერავებისადმი ეს უკანასკნელნი სწორედ ასე არიან მოხსენიებულნი. გილდია არ აღიქმებოდა, როგორც ცალკე ერთეული, არამედ როგორც ცალკეულ პირთა გაერთიანება. იხ: *Raymond R.L.*, The Genesis of the Corporation, *Harvard Law Review*, Volume 19, No. 5, March, 1906, 354, fn. 4.

²²⁰ *Lopez R.S., Raymond I.W.*, Medieval Trade in the Mediterranean World, Columbia University Press, New York, 2001, 175.

²²¹ შესაძლოა ებრაული ან ბიზანტიურიც. იხ: *Udovitch A.L.*, At the Origins of the Western Commenda: Islam, Israel, Byzantium?, *Speculum*, Volume 37, No. 2, April, 1962, 198-207. ასევე: *ხარაიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო

ორმხრივ გარიგებას, რომელიც შედგებოდა დამფინანსებელი ინვესტორისაგან (*commendator* ან *stans*) და მოგზაურისგან (*tractor*), რომლის თანახმადაც ინვესტორი მომავალი მოგებიდან წილის სანაცვლოდ აფინანსებდა მოგზაურ ვაჭარს.²²² მოგზაურსაც თავის მხრივ, კაპიტალის ქონის შემთხვევაში, შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა, თუმცა ვალდებული არ იყო. *Commenda*-ს თავისებური წვლილი საკორპორაციო სამართალში იყო ის, რომ ინვესტორი, იღებდა რა მთლიანი მოგების 3/4-ს ან 2/3-ს,²²³ მთლიანად აგებდა პასუხს წაგების შემთხვევაში, იმ დროს როდესაც *tractor* პასუხისმგებლობისგან თავისუფალი იყო.²²⁴ აღნიშნულ ხელშეკრულებაში შესაძლებელია დავინახოთ როგორც ნარდობის, ასევე დავალებისა და შრომის ხელშეკრულების ელემენტები, თუმცა თუ მას მთლიანობაში ავიღებთ, არ იქნება გადაჭარბება იმის თქმა, რომ იტალიური *commenda* წარმოადგენდა დღევანდელი შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის (კომანდიტური საზოგადოების, რაც სიტყვიდანაც ჩანს) პირდაპირ წინამორბედს.²²⁵

Commenda ძალიან მალე უფრო მსხვილმა *Compagnia*-მ ჩაანაცვლა, რომელიც, თუმცა ძირითადად იზიარებდა *commenda*-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის შინაარსსა და მის განსაზღვრულ ხანგრძლივობას (როგორც წესი სულ რამდენიმე წელი, თუმცა მისი განახლება და გაგრძელება შესაძლებელი იყო), კაპიტალისა და მასში მონაწილე ათეულობით და მეტი პირის გამო, ის კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩავთვალოთ თანამედროვე კორპორაციის ჩამოყალიბებისაკენ.²²⁶

რომაული პროტოკორპორაციული ინსტიტუტებიდან ყველაზე უკეთ ჩამოყალიბებულმა *universitas* –მა შუა საუკუნეებშიც ჰპოვა განვითარება და ორ სახედ დაიყო: *universitas rerum*, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „საგანთა

სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 128-129.

²²² Harris R., The Institutional Dynamics of Early Modern Eurasian trade: The Commenda and the Corporation, Journal of Economic Behavior & Organization, Volume 71, 2009, 609-610.

²²³ დამოკიდებული იმაზე, მართო *commendator* დააფინანსებდა მოგზაურობას თუ *tractor*-იც.

²²⁴ Pryor J.H., The Origins of the Commenda Contract, Speculum, Volume 52, Issue 1, 1977, 6-7.

²²⁵ Holzhammer R., Roth M., Gesellschaftsrecht, 2. Auflage, Wien, Springer, 1997, 83. Gummert H., Weipert L., Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 2: Kommanditgesellschaft, GmbH & Co. KG, Publikums-KG, Stille Gesellschaft, 5. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2019, 1-2.

²²⁶ Hawk B., Law in Commerce in Pre-Industrial Societies, Brill – Nijhoff, Leiden, 2015, 233-235.

ერთობლიობა“ და *universitas personarum*, “პირთა ერთობლიობა“. წინამდებარე ნაშრომისათვის, სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ინტერესის საგანს.

ცნობილია, რომ რომაული სამართლის ტექსტების შეკრებასა და განმარტება-ინტერპრეტაციაში დიდი წვლილი შეიტანეს გლოსატორებმა და სწორედ მათ ეკუთვნით შუა საუკუნეების პერიოდში იურიდიული პირის შესახებ პირველი ნამდვილი თეორიების ჩამოყალიბება *ficta persona*-სა და *persona moralis*-ის სახით და ასევე მათთვის მეტ-ნაკლებად დამთავრებული სახის მიცემა. სწორედ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა იურიდიული პირის, როგორც განცალკევებულად არსებული რაღაცის, დასრულებული კონცეფცია. ხელოვნურ, ფიქციურ პიროვნებაში შუა საუკუნეების სამართალმცოდნეები მოიაზრებდნენ სპეციალური ფონდის ან ქონების ან პირთა ერთობლიობის აღქმას ცალკე პირად, რომელიც ნამდვილად არსებობდა, რა თქმა უნდა, სამართლებრივი ფიქციის საშუალებით.²²⁷

საკმაო ხნის განმავლობაში, გამოჩენილი გერმანელი იურისტის, *ოტო ფონ გირკეს* ზეგავლენით, იურიდიული პირის თეორიულ ჩამომყალიბებლად მიიჩნეოდა რომის პაპი *ინოკენტი IV*,²²⁸ რომელსაც *გირკეს* თქმით ეკუთვნოდა იურიდიული პირის ფიქციის თეორიის შექმნის პატივი.²²⁹ სწორედ პაპს მიეწერებოდა ფიქციის თეორიის ჩამოყალიბება იმ კუთხით, რომ მან აკრძალა ეკლესიიდან ასეთი ფიქტიური პირების განკვეთა, რადგან მათ არც სხეული გააჩნდათ და არც სული.²³⁰ დღესდღეობით ეს თეორია უარყოფილია და მიიჩნევა, რომ პაპი აქ მხოლოდ ფიზიკურ პირთა გაერთიანების (კოლექტივის) იმ ერთ პირად მიჩნევას გულისხმობდა, რომლის

²²⁷ *Radin M.*, The Endless Problem of Corporate Personality, Columbia Law Review, Volume 32, No. 4, April 1932, 646.

²²⁸ *Innocent IV* (1243-1254).

²²⁹ *Gierke O.*, Das Deutsch Genossenschaftsrecht, Dritter Band: Die Staats- und Korporationslehre des Alterthums und des Mittelalters und ihre Aufnahme in Deutschland, Berlin, 1881, 279-281. საუბარია პაპის 1246 წლის 21 აპრილის დეკრეტზე სადაც აღნიშნულია: “*Hodie licitum est omnibus collegiis per alium iurare, et hoc ideo, quia cum collegium in causa universitatis*“ („დღეს ყველა კოლეგიას ეძლევა უფლება დაიფიცოს მესამე პირის მეშვეობით, და ეს რადგანაც კოლეგია, მიჩნეული ერთიანობად (ტოტალურობად), წარმოადგენს ერთ პირს“) – თარგმანი ეყრდნობა ინგლისურ ტექსტს. იხ: *Foisneau L.*, Elements of Fiction in Hobbes’s System of Philosophy, წიგნში: Fiction and the Frontiers of Knowledge in Europe, 1500–1800, Ed. Scholar R., Tadié A., Ashgate Publishing, Padstow, 2010, 80. ავტორის აზრით, პაპის მიზანი იყო, წარმოეჩინა კოლეგია როგორც პირების გაერთიანება ერთი იურიდიული ტიტულის ქვეშ და არა როგორც ცალკე ფიქტიური პირი.

²³⁰ *Kantorowitz E.H.*, The King’s Two Bodies, Princeton, Princeton University Press, 2016, 305-306.

გასამართლებაც ან ეკლესიიდან განკვეთაც არ შეიძლებოდა, რადგან მათ არც სხეული გააჩნდათ და არც ნება.²³¹ იმ დროისათვის კორპორაცია აღიქმებოდა მუდმივად არსებულ, დროში განუსაზღვრელ ქმნილებად, რომელიც მართლაც, იმავე *ინოკენტის IV*-ის აზრით, განსხვავებული იყო მასში შემადგენელი წევრებისგან ზუსტად ამ მუდმივობისა და დროში განუსაზღვრელობის გამო.²³²

უნდა აღინიშნოს, რომ გლოსატორებისა და სქოლასტიკოსებისათვის იურიდიული პირის ფიქტიურობის პრობლემამ აქტუალურობა მას შემდეგ შეიძინა, რაც დღის წესრიგში დადგა სწორედ *universitas* –ს ეკლესიიდან განკვეთის შესაძლებლობის საკითხი. აქ ყურადსაღებია ის ადრე გამოთქმული მოსაზრებები, რომ კოლეგია არის არა ნამდვილი პირი, არამედ წარმომადგენლობითი.²³³ თანამედროვე კორპორაციის, როგორც ცალკე სუბიექტის ავტორად კი შესაძლებელია არა *ინოკენტი IV*, არამედ მე-14 საუკუნის გამოჩენილი იურისტი და გლოსატორი *ბარტოლო დე სასოფერატო* მივიჩნიოთ, რომელმაც თავის ნაშრომებში უნივერსიტეტი მიიჩნია არა მასში შემავალი პირების ერთობლიობად, არამედ ცალკე პირად.²³⁴ აქვე აღსანიშნავია, რომ ამ გლოსატორის იდეებიც ცარიელ ნიადაგზე არ შეიქმნა, მას ჰყავდა თავისი წინამორბედები და წარსული პრეცედენტები, რომელთაგანაც ხაზგასასმელია

²³¹ *Berman H.J.*, Law and Revolution: The Formation of the Western Legal Tradition, Harvard University Press, Cambridge, 1983, 607, fn.. 45. უფრო დეტალური განხილვისათვის იხ: *Tierney B.*, Foundations of the Conciliar Theory: The Contribution of Medieval Canonists from Gratian to Medieval Schism, Brill, Leiden, 1998, 91–94.

²³² *Tamen M.*, Kinds of Persons, Kinds of Rights, Kinds of Bodies, Cardozo Studies in Law and Literature, Volume 10, No. 1, Summer, 1998, 14–15.

²³³ „*Collegium Dicitur persona non vera, sed representata.*“ იხ: *Dahm G.*, Strafrecht Italiens im ausgehenden Mittelalter: Untersuchungen über die Beziehungen zwischen Theorie und Praxis im Strafrecht des Spätmittelalters, namentlich im XIV. Jahrhundert, Walter de Gruyter & Co, Leipzig and Berlin, 1931, 152.

²³⁴ „*Sic aliud est universitas quam personae quae faciunt universitatem secundum iuris fictione: quia est quaedam persona repraesentata.*“ („ამავენირად, სამართლის ფიქციის მიხედვით, ნებისმიერი *universitas* ანუ კორპორაცია წარმოადგენს რაღაც სხვას ვარდა იმ პირებისა, რომლებიც შეადგენენ ამ კორპორაციას, რადგან ეს (კორპორაცია-ავტ.) არის *persona repraesentata* („პირი წარმოდგენილი სხვების მიერ“). თარგმანი ეყრდნობა ინგლისურ ტექსტს. იხ: *Skinner Q.*, From Humanism to Hobbes: Studies in Rhetoric and Politics, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 29. იხილეთ აგრეთვე: *Foisneau L.*, Elements of Fiction in Hobbes’s System of Philosophy, წიგნში: Fiction and the Frontiers of Knowledge in Europe, 1500–1800, Ed. *Scholar R., Tadié A.*, Ashgate Publishing, Padstow, 2010, 80–81. *Walther H.G.*, Die Konstruktion den Juristischen Person durch die Kanonistik im 13. Jahrhundert, წიგნში: Selbstbewußtsein und Person im Mittelalter: Symposium des Philosophischen Seminars der Universität Hannover vom 24. bis 26. Februar 2004, Verlag Königshausen & Neumann GmbH, Würzburg, 2005, 195–212. *Cesar F.J.*, Popular Autonomy and Imperial Power in Bartolus of Saxoferrato: An Intrinsic Connection, Journal of the History of Ideas, Volume 65, No. 3, July 2004, 375.

მთლიანად სოფლის, როგორც ერთი პირის, ბრალად შერაცხვის ფაქტი, რამაც საფუძველი ჩაუყარა შემდგომში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სადავო საკითხს.²³⁵

შუა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ აგრეთვე კონცესიის თეორიის საფუძვლებიც. იურიდიული პირის ფიქციით საგონებელში ჩავარდნილმა კანონისტებმა ასეთი უჩვეულო ფიქციის შექმნის უფლება მხოლოდ და მხოლოდ სუვერენს მიანიჭეს.²³⁶ რადგანაც იურიდიული პირის ფიქციურობა მეტად ახალი და, შუა საუკუნეებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ უცნაური კონცეფცია იყო, კონცესიის თეორიამ, რომლის თანახმადაც იურიდიული პირის ჩამოყალიბება, როგორც საგამონაკლისო შემთხვევა, მხოლოდ ხელმწიფის მიერ იქნებოდა ნებადართული, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. შემდგომში კანონიკური საეკლესიო სამართლის ზეგავლენით აღნიშნული დოქტრინა თითქმის სრულიად იქნა გაზიარებული ანგლო-ამერიკული სამართლის მიერ და მეცხრამეტე საუკუნემდე კონცესიის თეორია დომინანტურ დოქტრინად რჩებოდა.²³⁷

საფიქრებელია, რომ შუა საუკუნეებში იაფი ქალაქისა და რაც მთავარია, გამოსაყენებლად გაცილებით უფრო მარტივი არაბულ-ინდური ციფრების რეცეფციამ ბულალტერიის გამოყენებას ხელი შეუწყო, რაც დადებითად აისახა ეკონომიკისა და

²³⁵ Ullmann W., The Delictal Responsibility of Medieval Corporations, Law Quarterly Review, Volume 64, Issue 1, January, 1948, 80-81.

²³⁶ „*solus princeps fingit quod in rei veritate non est*“ („მხოლოდ სუვერენი ქმნის იმას რაც სინამდვილეში არ არსებობს“). აღნიშნულ ფრაზას გიერკე კიდევ ერთ გლოსატორ ლუკა დე პენას (*Lucas de Penna*, ca. 1325 – ca. 1390) მიაწერს. („*So Lucas de Penna 1.14 C 12, 35 als nur 59 unter den 67 Borrechten des Princeps*“) ციტირებულია: *Gierke O.*, Das Deutsch Genossenschaftsrecht, Dritter Band: Die Staats- und Korporationslehre des Alterthums und des Mittelalters und ihre Aufnahme in Deutschland, Weidmannsche Buchhandlung, Berlin, 1881, 371.

²³⁷ *Martinez-Torrón J.*, Anglo-American Law and Canon Law Canonical Roots of the Common Law Tradition, Duncker & Humblot, Berlin, 1998, 180-181. სხვა ავტორები მიუთითებენ, რომ მსგავსებებისა და შემდგომში მათი ფაქტობრივი გაერთიანების მიუხედავად, ფიქციის თეორია განსხვავდება კონცესიის თეორიისგან. თუ პირველი კანონიკური სამართლის წიაღში ჩაისახა, კათოლიკური საეკლესიო ინსტიტუტების ორგანიზაციული ფორმებისათვის უფრო ჩამოყალიბებული თეორიული შინაარსის მისაცემად, მეორე ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ საიდან მომდინარეობდა კორპორაციის უფლებები და ვალდებულებები – ამ შემთხვევაში ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატისგან. იხ: *Dewey J.*, The Later Works, 1925-1953, Volume 2: 1925-1927, Carbondale, Southern Illinois University Press, 2008, 33-37.

ვაჭრობის განვითარებაზე.²³⁸ აღნიშნულს კი, თავის მხრივ, ახალი, უფრო რთული სტრუქტურის მქონე კორპორაციების ჩამოყალიბება მოჰყვა.

შუა საუკუნეების დროს არსებული ყველაზე კომპლექსური ინსტიტუტები, რომლებიც ჩამოყალიბდა, უდავოდ ბანკები იყვნენ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ბანკს – გენუის *წმ.გიორგის ბანკს*²³⁹ – მიიჩნევდა გირკე პირველ ნამდვილ სააქციო საზოგადოებად.²⁴⁰ აღნიშნული საზოგადოების გარდა, ასევე ასახელებენ იმავე პერიოდში მილანში შექმნილ *წმ.ამბროსის ბანკს*,²⁴¹ როგორც პირველ სააქციო საზოგადოებას ან სულ მცირე, როგორც მის წინამორბედს.²⁴² მიუხედავად ამისა, ამ კორპორაციათა მიჩნევას პირველ სააქციო საზოგადოებად ყველა არ ეთანხმება²⁴³ და დღესდღეობით 1602 წელს ჩამოყალიბებული ოსტ-ინდოეთის კომპანია მიჩნეულია პირველ ნამდვილ სააქციო საზოგადოებად, რომელიც ქვემოთ იქნება უფრო დეტალურად განხილული. ამავდროულად უდავოა და კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, რომ კორპორაციული პიროვნულობის, იურიდიული პირისა და თანამედროვე საკორპორაციო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი საფუძველი სწორედ შუა საუკუნეებში ჩაეყარა.

2.4.3. იურიდიული პირის ჩამოყალიბება თანამედროვე ეპოქაში

2.4.3.1 სააქციო საზოგადოების დაბადება

შუა საუკუნეებში უკვე ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ფიქციის თეორიის შესაბამისად, თანამედროვე ეპოქის დასაწყისისათვის უკვე გავრცელებული იყო იდეა,

²³⁸ *Hansmann H., Kraakman R., Squire R.*, Law and the Rise of the Firm, Harvard Law Review, Volume 119, 2005, 1367.

²³⁹ *Banca di San Georgia.*

²⁴⁰ *Gierke O.*, Das Deutsche Genossenschaftsrecht, Erster Band: Rechtsgeschichte der Deutschen Genossenschaft, Weidmannsche Buchhandlung, Berlin, 1868, 991. *Mehr R.*, Societas und Universitas: Römischrechtliche Institute in Unternehmensgesellschaftsrecht vor 1800, Böhlau Verlag, Köln, Weimar, Wien, 2008, 302-308.

²⁴¹ *Banco Ambrosiano.*

²⁴² *ჭანტურია ლ., ნინიძე თ.*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, 18.

²⁴³ ამ მოსაზრებისა და მისი კრიტიკის შესახებ მოკლედ იხ: *Schmitthoff M.*, The Origin of the Joint-Stock Company, The University of Toronto Law Journal, Volume 3, No. 1, 1939, 75-76.

რომ ორგანიზაციას, როგორც ფიქციურ არსებას, თავისუფლად შეეძლო ქონების ფლობა და სასამართლო პროცესში მონაწილეობა. კორპორაცია მაინც აღიქმებოდა, როგორც რაღაც განსაკუთრებული ან საგამონაკლისო შემთხვევა და ხელისუფლება მოითხოვდა პირდაპირ ნებართვას ასეთი კორპორაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის. ამის კარგ მაგალითად უნდა ჩათვალოს *სათონის საავადმყოფოს* საქმე ინგლისში,²⁴⁴ როდესაც ცნობილმა ინგლისელმა მოსამართლემ და იურისტმა *სერ ედუარდ კოუკმა*²⁴⁵ საავადმყოფოს, როგორც სახელმწიფოს მიერ ჩარტერის საშუალებით დამტკიცებული კორპორაციის, ქონების მიღების უფლება კიდევ ერთხელ აღიარა და დაადასტურა. გადაწყვეტილება იმით იყო საინტერესო, რომ *კოუკმა* კორპორაციის ბუნებას გაუსვა ხაზი, რომ ასეთი ორგანიზაცია იყო „უხილავი“ და „უკვდავი“ და რომ ის არსებობდა „მხოლოდ სამართლის მიზნებისა და [მის] ჩანაფიქრში“. კორპორაციას, მისი თქმით, არ შეიძლება ჰყავდეს წინაპარი ან შთამომავალი, ის არ შეიძლება მოკვდეს და მას არ შეუძლიათ ღალატის ჩადენა. არც მისი განკვეთა არის შესაძლებელი, რადგანაც მას სული არ გააჩნია და არც პირადად შეუძლია წარსდგეს ვინმეს წინაშე – ეს მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობითაა შესაძლებელი.²⁴⁶ კორპორაცია აღიქმებოდა, როგორც „არასრულფასოვანი იურისდიქცია“,²⁴⁷ რომლის დაუფლებაც თვით მონარქს თავისუფლად შეეძლო, თუ ეს კორპორაცია საკუთარ უფლებებს ბოროტად გამოიყენებდა.²⁴⁸ ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი *თომას ჰობსი*²⁴⁹ თავის „*ლევიათანში*“ აღნიშნავდა, რომ, თუ პირის მოქმედებები და სიტყვები სხვას მიეწერებოდა, აღნიშნული წარმომადგენდა სწორედ მოჩვენებით (*Feigned*) ან ხელოვნურ (*Artificial*) პიროვნებას, რაც შეესაბამებოდა

²⁴⁴ *Case of Sutton's Hospital*, 10 Rep. 32. ; 77 Eng Rep 960, 973.

²⁴⁵ *Sir Edward Coke (1552-1634)*.

²⁴⁶ “for a Corporation aggregate of many is invisible, immortal, & resteth only in intendment and consideration of the Law; and therefore cannot have predecessor nor successor. They may not commit treason, nor be outlawed, nor excommunicate, for they have no souls, neither can they appear in person, but by Attorney.it is not subject to..... death of the natural, body, and divers other cases.“ ობ: *Coke, E.*, Selected Writings and Speeches of Sir Edward Coke, Volume I, *Ed. Sheppard S.*, Indianapolis, Liberty Fund, 2003, 371. აგრეთვე: *Holdsworth W.S.*, English Corporation Law in the 16th and 17th Centuries, *The Yale Law Journal*, Volume 31, No. 4, February, 1922, 386.

²⁴⁷ “*Inferior jurisdiction*”.

²⁴⁸ *Holdsworth W.S.*, English Corporation Law in the 16th and 17th Centuries, *The Yale Law Journal*, Volume 31, No. 4, February, 1922, 383.

²⁴⁹ *Thomas Hobbes (1588-1679)*.

საზოგადოებების, როგორც ფიქტიური წარმონაქმნების იმდროინდელ იდეას.²⁵⁰ *ჰობსმა* ორგანიზმისათვის გონებისა და აგენტისათვის (მოქმედი პირისათვის) პიროვნების მინიჭების მთავარ ფაქტორად მიიჩნია არა არამატერიალური სუბსტანცია, არამედ თვით სუბსტანციის იმგვარი არსებობა, რომელიც საშუალებას აძლევდა მას შეესრულებინა მოქმედებები, ყოფილიყო აგენტი. ამგვარად წინა პლანზე დგებოდა პირის უნარი, სხვებისათვის წარედგინა საკუთარი ფიქრები და სურვილები და ემოქმედა დადებული შეთანხმებებისა თუ ხელშეკრულებების შესაბამისად.²⁵¹

ამ თეორიული წინაპირობების განვითარების შედეგად, უკვე მეჩვიდმეტე საუკუნისათვის ყალიბდება ისტორიაში მანამდე არსებულთან შედარებით ყველაზე უფრო კომპლექსური და რთული ორანიზაციები. პირველ სააქციო საზოგადოებად, რომელმაც შეიძლება თამამად ითქვას, ისტორიაზე საკუთარი დალი დაასვა, მიიჩნევა 1602 წელს დაფუძნებული ოსტ-ინდოეთის კომპანია. აზიის ქვეყნებთან სანაოსნო ვაჭრობის იდეის განხორციელებისათვის, მოგზაურობის ხანგრძლივობისა და კოლოსალური დანახარჯების გათვალისწინებით და აქედან გამომდინარე, პირადი კაპიტალითა ან სესხით დაფინანსების შეუძლებლობის გამო, ვაჭრებს სხვა გზა არ რჩებოდათ, გარდა იმისა, რომ თავიანთი ქონების კონსოლიდაცია და კონცენტრირება მოეხდინათ და ჩამოეყალიბებინათ იგი არაპიროვნულ საფუძვლებზე დამყარებული თანამშრომლობის ფორმის სახით.²⁵² წინა პლანზე გამოდიოდა არა სხვადასხვა პირებისგან შემდგარი ამხანაგობა, არამედ კაპიტალი.²⁵³ *ჰობსის* აზრით ასეთი ორგანიზაციული ფორმა, რომელშიც თითოეული წევრი საკუთარ თანხას გაიღებდა ზოგადად საქმისათვის და მონაწილეობას მიიღებდა გადაწყვეტილების მიღების

²⁵⁰ *Hobbes T.*, *Leviathan, or The Matter, Forme & Power of A Commonwealth, Ecclesiastical and Civill*, Penguin Classics, London, 1985, 217.

²⁵¹ *List C., Pettit P.*, *Group Agency: The Possibility, Design, and Status of Corporate Agents*, Oxford University Press, Oxford, 2011, 171-172.

²⁵² *Harris R.*, *The Formation of the East India Company as a Cooperation-Enhancing Institution*, Working Paper Series, Buchmann Faculty of Law, Tel Aviv University, 2006, 8-21. ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=874406>, [15.11.2020] *Schmitthoff M.*, *The Origin of the Joint-Stock Company*, *The University of Toronto Law Journal*, Volume 3, No. 1, 1939, 79-80.

²⁵³ *ბურდული ი.*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010, 33.

პროცესში, ყველაზე ხელსაყრელი იყო საგარეო ვაჭრობისათვის.²⁵⁴ მალე ოსტ-ინდოეთის კომპანიას სხვა სააქციო საზოგადოებებიც მოჰყვა.²⁵⁵ თვითონ სიტყვა „კომპანია“, რომელიც იტალიური *“campagnia”*-დან მომდინარეობდა და აღნიშნავდა „ჯგუფს“, „გაერთიანებას“. როგორც უკვე ნაჩვენები იყო წინამდებარე ნაშრომში, მას *Commenda*-სთან ერთად ადრე იყენებდნენ ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისას (ძირითადად სანაოსნო ვაჭრობისას) და მას მაინც უფრო მეტი კავშირი ჰქონდა ჩვეულებრივ ამხანაგობასთან. ნიშანდობლივია, რომ ინგლისურ ოსტ-ინდოეთის კომპანიასა (1600) და ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიებს (1602) წინ უძღოდა ჰოლანდიური მსხვილი წინარეკომპანიები,²⁵⁶ რომლებიც შინაარსობრივად იტალიური *commenda*-ს მსგავსი იყვნენ: ამხანაგობები, რომელშიც მხარის პასუხისმგებლობა შესაძლოა შეზღუდული ყოფილიყო შეტანილი შენატანით.²⁵⁷ თავდაპირველად ყოველი მოგზაურობა განიხილებოდა ცალ-ცალკე საქმიანობად, რომელსაც ჩვეულებისამებრ კაპიტალის გატანა მოჰყვებოდა ინვესტორების მიერ, თუმცა შემდგომში ეს პრაქტიკა შეწყდა, კომპანიას უფრო მუდმივი ხასიათი მიენიჭა, ხოლო ინვესტორებს აქციების გაყიდვის საშუალება მიეცათ.²⁵⁸ საზოგადოების დებულებით განისაზღვრებოდა საკმაოდ კომპლექსური იერარქიული სტრუქტურა, რომელიც დღევანდელი სააქციო საზოგადოების სტრუქტურის მსგავსი იყო.²⁵⁹ სამართლებრივი თვალსაზრისით, იგივე

²⁵⁴ *Hobbes T., Leviathan, or The Matter, Forme & Power of A Commonwealth, Ecclesiastical and Civill*, Penguin Classics, London, 1985, 281. *ჰობსი* ასევე პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ასეთი ჩამოყალიბების მიზანი მოგების გაზრდა იყო („*The End of their Incorporating, is to make their gaine the greater...*“). იხ. იქვე.

²⁵⁵ *Raguß G., Der Vorstand einer Aktiengesellschaft: Verlag und Haftung Vorstandsmitgliedern*, 2. Auflage, Springer-Verlag, Berlin, 2009, 3.

²⁵⁶ *Voorcompagnie*, Pre-company. იხ: *Hawk B., Law in Commerce in Pre-Industrial Societies*, Brill – Nijhoff, Leiden, 2015, 238. ოსტ-ინდოეთის კომპანიას თავისი ისტორიული პრეცედენტებიც ჰქონდა: ორგანიზაციულად ასევე საკმაოდ კომპლექსური რუსული (მოსკოვის) კომპანია (1555) და ლევანტის კომპანია (1581). იხ: *Schmitthoff M., The Origin of the Joint-Stock Company*, *The University of Toronto Law Journal*, Volume 3, No. 1, 1939, 88.

²⁵⁷ *Gelderblom O., Jong A., Jonker J., The Formative Years of the Modern Corporation: The Dutch East India Company VOC, 1602-1623*, *The Journal of Economic History*, Volume 73, Issue 4, 2013, 1053.

²⁵⁸ *Coornaert E.L.J., European Economic Institutions and the New World: The Chartered Companies*, წიგნში: *The Cambridge Economic History of Europe*, Volume IV: *The Economy of Expanding Europe in the Sixteenth and Seventeenth Centuries*, Ed. *Rich E.E., Wilson C.H.*, Cambridge University Press, Cambridge, 1967, 257-258.

²⁵⁹ პარალელები შეიძლება გავლებულ იქნას ოსტ-ინდოეთის კომპანიის საერთო კრებასა (*General Court*, ზოგჯერ იკრიბებოდნენ მესაკუთრეთა საბჭოს (*Court of Proprietors*) სახელის ქვეშ) და დღევანდელი სააქციო საზოგადოების საერთო კრებას შორის, აგრეთვე ასეთი კომპანიის მმართველსა (*Governor*) და დღევანდელ აღმასრულებელ დირექტორს (*Chief Executive Officer*) შორის. კომპანიას აგრეთვე ჰყავდა

ოსტ-ინდოეთის კომპანიის სამართლებრივი სტატუსით პარალელის გავლება იყო შესაძლებელი სახელმწიფოს მიერ იმდროინდელ ნებადართულ კორპორაციებთან – მუნიციპალურ ორგანოებთან, უნივერსიტეტებთან და ა.შ.

რთულია გადაჭარბებულად შეფასდეს ოსტ-ინდოეთის კომპანიების მნიშვნელობა, რადგან მათ არა მარტო სათავე დაუდეს სააქციო საზოგადოების ფორმას, არამედ წარმოადგენდნენ ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიო ვაჭრობის მამოძრავებელ ფაქტორს და შემდგომში იქცნენ იმ მოდელად, რომლებიც სხვა მსგავსმა კომპანიებმაც გაიზიარეს.²⁶⁰

სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციის კონტურებიც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის დასასრულსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში გამოისახა.²⁶¹ მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ-ერთ საქმეში²⁶² კორპორაციის პარტნიორები გათავისუფლდნენ კორპორაციის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისგან, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფაქტობრივ აღიარებას ნიშნავდა. ამავდროულად გაცილებით უფრო ფართოდ იყო გავრცელებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, თუ ვაჭრების საზოგადოება (ან

დირექტორთა საბჭო (*Court of Directors*). ამავდროულად დებულებაში არ არსებობდა განსხვავება პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციებს შორს და თითოეულ აქციონერს შენატანის ოდენობის მიუხედავად, მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდა, თუმცა მისი წილი მოგებაში შენატანის წილის პროპორციული იყო. იხ: *Harris R.*, *The Formation of the East India Company as a Cooperation-Enhancing Institution*, Working Paper Series, Buchmann Faculty of Law, Tel Aviv University, 2006, 24-26. ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=874406>, [15.11.2020].

²⁶⁰ *Mehr R.*, *Societas und Universitas: Römischrechtliche Institute in Unternehmensgesellschaftsrecht vor 1800*, Böhlau Verlag, Köln, Weimar, Wien, 2008, 17.

²⁶¹ *Harris R.*, *The Private Origins of the Private Company: Britain 1862–1907*, *Oxford Journal of Legal Studies*, Volume 33, No. 2, Summer 2013, 356-357. *Hansmann H.*, *Kraakman R.*, *Squire R.*, *Law and the Rise of the Firm*, *Harvard Law Review*, Volume 119, 2005, 1381.

²⁶² *Edmunds v Brown & Tillard* (1668) 1 Lev 237. იხ: *Sealy L.*, *Worthington S.*, *Cases and Materials in Company Law*, 8th Edition, Oxford University Press, Oxford, 2008, 52, fn.24. *Meyer J.*, *Haftungsbeschränkung im Recht der Handelsgesellschaften*, Heidelberg Springer, 2000, 233-234. საწინააღმდეგო მოსაზრებით, სასამართლოების მიერ იმ დროისათვის ჯერ კიდევ კარგად არ იყო ჩამოყალიბებული შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი და ხდებოდა მხოლოდ პარტნიორებისა და კორპორაციების ქონების გამიჯვნა. იგივე ზემოხსენებული საქმე მაგალითად ეხებოდა კორპორაციის ვალდებულებებს მისი ლიკვიდაციის შემდგომ, რაც პირდაპირ შეზღუდულ პასუხისმგებლობის საკითხს არ ეხებოდა. *Handlin O.*, *Handlin M.F.*, *Origins of the American Business Corporation*, *The Journal of Economic History*, Volume 5, No. 1, May, 1945, 11-12. ზოგადად თუ საზოგადოების დებულებაში (ჩარტერში) პირდაპირ არ იყო აღნიშნული, რომ პარტნიორები პასუხს არ აგებდნენ საზოგადოების ვალდებულებებზე, მაშინ სრულიად შესაძლებელია პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხიც დამდგარიყო დღის წესრიგში.

როგორც ჰობსი ამბობს, „ვაჭრების პოლიტიკური სხეული“²⁶³ ვალს აიღებდა, ამაზე პასუხისმგებელი იყო ამ საზოგადოების თითოეული წევრი, რადგანაც კრედიტორისათვის, თუმცა უცნობი კი იყო საზოგადოების შიდა წესები, წევრები მაინც რჩებოდნენ იმ ცალკე პირებად, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ.²⁶⁴

ისევე როგორც „ფიქტიური“ პიროვნულობის მქონე *universitas*-ი შუა საუკუნეების ევროპაში, ინგლისშიც სააქციო საზოგადოება აღიქმებოდა, როგორც განსაკუთრებული სუბიექტი, რომელიც სახელმწიფოს ნებართვით იქმნებოდა და რომელიც ძირითადად დიდ ბიზნესში იყო ჩართული, როგორცაა საგარეო ვაჭრობა, საბანკო საქმე, შემდგომში რკინიგზაც და ა.შ.²⁶⁵ სწორედ ასეთი საჯარო ხასიათის მქონე საქმიანობისათვის ნებადართული სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში შესაძლებელი იყო სპეციალური პრივილეგიის – შეზღუდული პასუხისმგებლობის მინიჭებაც.²⁶⁶ სააქციო საზოგადოებების შექმნის შემდეგ, მათ მიმართ სიტყვა „კომპანიის“ გამოყენება საყოველთაო გახდა, თუმცა ეს უფრო ეკონომიკურ საფუძვლებზე ხდებოდა, ჩვეულებრივი ამხანაგობებისგან ზღვარის გავლების მიზნით და არ ატარებდა რაიმე სამართლებრივ დატვირთვას. აღნიშნული ასოციაცია შემდგომში მე-19 საუკუნის შუაგულისათვის კომპანიათა რეგისტრაციის შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ მყარად დამკვიდრდა.²⁶⁷ დამოკიდებულება კორპორაციათა რაოდენობის ზრდასთან მიმართ ხშირად არაერთგვაროვანი იყო – თუ ერთის მხრივ ისინი

²⁶³ *Body Politique of Merchants.*

²⁶⁴ *Hobbes T., Leviathan, or The Matter, Forme & Power of A Commonwealth, Ecclesiastical and Civill, Penguin Classics, London, 1985, 283.*

²⁶⁵ *ადამ სმიტი (Adam Smith, 1723-1790) თავის მონუმენტალურ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (“An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations”) პირდაპირ აღნიშნავდა, რომ სპეციალურად მინიჭებული პრივილეგიის გარდა, სააქციო საზოგადოების საქმიანობა მხოლოდ საბანკო სფერო, დაზღვევა, არხების გაჭრა და ქალაქის წყლით მომარაგება იყო. Smith A., An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations, Volume II, Ed. Cannan E., Methuen & Co., London, 1904, 246. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მოსაზრება წიგნის იმ თავშია მოქცეული, რომელიც ზოგადად სახელმწიფო შემოსავლებსა და საჯარო სამუშაოებს ეხება.*

²⁶⁶ *Dodd E.M., The Evolution of Limited Liability in American Industry: Massachusetts, Harvard Law Review, Volume 61, No. 8, September, 1948, 1351.*

²⁶⁷ უფრო მეტიც, სააქციო საზოგადოებებს თავიდან ზოგჯერ „საჯარო ამხანაგობებს“ (*public partnership*) უწოდებდნენ. რა თქმა უნდა, ამ ორ ფორმას შორის ძირითადი განსხვავება პირდაპირვე თვალშისაცემი იყო: ამხანაგობა პირთა ხელშეკრულების, ხოლო სააქციო საზოგადოება კი ხელისუფლების ნებართვის საფუძველზე ყალიბდებოდა. იხ: *Ireland P., Capitalism without the Capitalist: The Joint Stock Company Share and the Emergence of the Modern Doctrine of Separate Corporate Personality, The Journal of Legal History, Volume 17, Issue 1, 1996, 42-45.*

ეკონომიკურ განვითარებას უწყობდნენ ხელს, მეორეს მხრივ არსებობდა ასეთი კორპორაციების მიერ ზღვარგადასული ძალაუფლების მოპოვების შიშიც, რადგანაც უკვე იმ დროს აშკარა პარალელის გავლება შეიძლებოდა „დიდ“ სახელმწიფოსა და კორპორაციებს, როგორც „პატარა“ სახელმწიფოებს შორის.²⁶⁸

ფიქციისა და მისი მონათესავე კონცესიის თეორიები აქტუალურობას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ კარგავდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროსაც კი, გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკორპორაციო საქმეში აღინიშნა, რომ არანაირი ფიზიკური არსებობა კორპორაციას არ გააჩნდა, რომ მას არც მტერი არ ჰყავდა, არც მოყვარე, არც ღალატი შეეძლო და არც ერთგულება.²⁶⁹ ამ გადაწყვეტილებით მოსამართლეებმა გერმანელი პარტნიორებისგან შემდგარი კომპანია მიიჩნიეს სწორედ გერმანული მხარის მიერ კონტროლირებად სუბიექტად და არა ცალკე, ეროვნულობის არმქონე იურიდიულ პირად. ამგვარად, ნაჩვენები იქნა, რომ იმ დროსაც კი ბრიტანული სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ ძირითადად პრაქტიკული გადაწყვეტილებებით და მზად იყვნენ იმ დროისათვის მეტ-ნაკლებად გამყარებული კორპორაციული პიროვნულობის დოქტრინაც კი უგულებელყოთ, თუ ამ მიდგომით ლოგიკური შედეგი იქნებოდა არსობრივად მიუღებელი (მტერთან სავაჭრო ურთიერთობის დაჭერა).

2.4.3.2. კაპიტალური საზოგადოებების კონცეფციის განვითარება გერმანულ და ინგლისურ სამართალში

იურიდიული პირის ცნება, როგორც ასეთი, ჩამოყალიბდა გერმანული სამართლის წიაღში. თვით ტერმინის სავარაუდო ფუძემდებლად გერმანელი

²⁶⁸ *Hobbes T., Leviathan, or The Matter, Forme & Power of A Commonwealth, Ecclesiastical and Civill*, Penguin Classics, London, 1985, 375. ინგლისელი ფილოსოფოსის არც თუ ისე დადებითი პოზიცია ასეთი საზოგადოებებისადმი ცხადი გახდება, თუ აქვე ვიტყვით, რომ *ჰობსის* აზრით, კორპორაციათა დიდი რაოდენობა სახელმწიფოს სისუსტე იყო და რომ ისინი თითქოს „პატარა სახელმწიფოებს“ წარმოადგენდნენ უფრო დიდის წიაღში, როგორც ჭიები არსებობენ ცოცხალი ადამიანის შიგნულში. იხ. იქვე. აღსანიშნავია, რომ *ბლეკსტონი*ც კორპორაციებს, როგორც „პატარა რესპუბლიკებს“, ისე მოიხსენიებდა. იხ: *Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Book I: Of the Rights of Persons*, Ed. *Prest W.*, Oxford University Press, Oxford, 2016, 455.

²⁶⁹ *Daimler Co Ltd v Continental Tyre and Rubber Co (Great Britain) Ltd [1916] 2 AC 307.*

სამართალმცოდნე *ჰუგო* უნდა მოვიაზროთ.²⁷⁰ *სავინი*მ გაააფართოვა იურიდიული პირის ცნება და იგი სამართლის მიერ შექმნილ (მიღებულ) ხელოვნურ პირად შერაცხა, რომლის ბუნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკუთრების არსებობასთან.²⁷¹

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში იურიდიული პირის ცნების ფორმალურ ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას მრავალი მიზეზი შეიძლება მოვუძებნოთ. ინგლისელი მოსამართლე და იურისტი *ჰოლდსვორთი* მიიჩნევდა, რომ განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებისა, სადაც ტრასტის ფართო და გავრცელებული ინსტიტუტი არსებობდა, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ასეთი მასშტაბისა და შინაარსის მქონე ინსტიტუტი არ იყო და შესაბამისად, ლოგიკურად, სწორედ იურიდიული პირის ცნებაში დაინახეს კონტინენტური ევროპის იურისტებმა მისი შემცვლელი.²⁷²

კონტინენტალური სამართლის ძირითადი სამი თეორია იურიდიული პირის შესახებ უკვე ნახსენები იყო წინამდებარე თავის დასაწყისში. სამივე წარმოადგენდა ხანგრძლივი სამართლებრივი და ფილოსოფიური დისკუსიის შედეგს. იურიდიული პირის, როგორც განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობის მქონე სუბიექტის იდეა, ჩამოყალიბებული იქნა *გირკეს* მიერ, მანამდე *სავინის* ფიქციის თეორია მიიჩნეოდა დომინანტურ მოსაზრებად, რომელსაც ამა თუ იმ დონეზე სამართალმცოდნეები და ფილოსოფოსები ფართოდ იზიარებდნენ.²⁷³

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნამდე, გერმანიაში სამეწარმეო საქმიანობისათვის შესაძლებელი იყო სულ სამი ფორმის არჩევა:

²⁷⁰ *კერესელიძე* დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 163.

²⁷¹ *Savigny F.C.* System des Heutigen Römischen Rechts, Band II, Berlin, 1840, 240.

²⁷² *Holdsworth W.S.*, English Corporation Law in the 16th and 17th Centuries, The Yale Law Journal, Volume 31, No. 4, February, 1922, 384.

²⁷³ მაგალითად, *ჰეგელი* (*Georg Wilhelm Friedrich Hegel*, 1770-1831) თავის „სამართლის ფილოსოფიაში“ (*Grundlinien der Philosophie des Rechts*) იურიდიულ პირს, რომელსაც იგი, საფრანგეთის დღევანდელი სამოქალაქო კოდექსში გამოყენებული ტერმინოლოგიის მსგავსად, მორალურ პირს (*moralische Person*) უწოდებდა, აბსტრაქტული პიროვნულობის მაგალითად მიიჩნევდა, ოჯახთან, თემთან და საზოგადოებასთან ერთად. მისი თქმით, ისინი ბოლო სტადიაზე არ იყვნენ მისულნი, საკუთარი არსებობის რეალურ მდგომარეობამდე. („*nicht zur Wahrheit ihrer Existenz gekommen*“). იხ: *Hegel G.W.F.*, Grundlinien der Philosophie des Rechts, oder Naturrecht und Staatswissenschaft im Grundrisse, Werke in 20 Bänden mit Registerband, Band 7, Suhrkamp Verlag, Frankfurt am Main, 2004, 445.

კომერციული პარტნიორული საზოგადოება (*Offene Handelsgesellschaft* – OHG), კომანდიტური საზოგადოება (*Kommanditgesellschaft*) და კომანდიტური საზოგადოება აქციებით (*Kommanditgesellschaft auf Aktien-KGaA*). სააქციო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად საჭირო იყო გერმანიის ფედერალური მიწის თანხმობა.²⁷⁴

განსხვავებით იმავე ამხანაგობისგან ან თუნდაც სააქციო საზოგადოებისგან, რომლებიც თანდათანობით წარმოიშვნენ და განვითარდნენ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიქმნა პირდაპირ კანონმდებლობის მიერ, ყოველგვარი ისტორიული პრეცედენტების გარეშე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საფუძვლად ედო სურვილი, მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის ეფექტური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეეთავაზებინათ, მას შემდეგ რაც სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის მოთხოვნები გამკაცრდა და მხოლოდ მსხვილი მეწარმეებისათვის გახდა ხელმისაწვდომი.²⁷⁵ იმდროინდელი სამართალმცოდნეებისგან, რომლებიც მკვეთრად განასხვავებდნენ პერსონალურ (*Personengesellschaft*) და კაპიტალურ საზოგადოებებს (*Kapitalgesellschaft*) (ამ უკანასკნელში, რა თქმა უნდა, სააქციო საზოგადოება მოიზარებოდა), შპს-ს ასეთ „შუალედურ“ ფორმას თავდაპირველად არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.²⁷⁶ დღესდღეობით კი შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1892 წლის კანონმა შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ინოვაციურ სამეწარმეო ფორმას დაუდო სათავე.²⁷⁷

შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფცია ინგლისში მხოლოდ თანდათანობით დამკვიდრდა. მიუხედავად საკმაოდ მსხვილი სააქციო საზოგადოებების არსებობისა, მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაპიტალური საზოგადოება განცალკევებულ პირად უნდა განხილულიყო და პასუხისმგებლობაც

²⁷⁴ Guinnane T., Harris R., Lamoreaux N.R., Rosenthal J., Putting the Corporation in its Place, Enterprise and Society, Volume 8, Issue, 3, 2007, 697.

²⁷⁵ De Vries H.P., Juenger F.K., Limited Liability Contract: The GmbH, Columbia Law Review, Volume 64, No. 5, May, 1964, 869.

²⁷⁶ Guinnane T., Harris R., Lamoreaux N.R., Rosenthal J., Putting the Corporation in its Place, Enterprise and Society, Volume 8, Issue, 3, 2007, 699.

²⁷⁷ შპს-ს ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიისათვის იხილეთ: Litschen K., Die Juristische Person im Spannungsfeld von Norm und Interesse: am Beispiel der Gesellschafterhaftung in der GmbH, Peter Lang, Frankfurt am Main, 1999, s.19-56.

მხოლოდ საზოგადოების კუთვნილი ქონებით ყოფილიყო შეზღუდული, თავიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. საზოგადოება ჯერ კიდევ მიიჩნეოდა, როგორც დაფუძნებული ერთეული, რომელიც მთლიანად მაინც არ იყო განცალკევებული იმ პირებისგან, რომლებიც ამ საზოგადოების პარტნიორები იყვნენ. ეს კარგად აისახებოდა ლინგვისტური თვალსაზრისითაც.²⁷⁸ შეზღუდული პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგეთათვის იგი წარმოადგენდა დიდი რისკის შემცველს, რადგანაც, მათივე თქმით, ის ქმნიდა დიდ ასპარეზს თაღლითობისა და ზოგადად უსამართლობისათვის.²⁷⁹

შეზღუდული პასუხისმგებლობის კოდიფიცირებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა და როგორც სამართლის პრინციპი, იგი გაერთიანებულ სამეფოში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. მას შემდეგ, რაც 1844 წელს სააქციო საზოგადოების დაფუძნება კანონით ადამიანის უფლება გახდა და 1856 წლის სააქციო საზოგადოების შესახებ აქტი იქნა მიღებული, საკანონმდებლო დონეზე დამოწმდა შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც კაპიტალური საზოგადოების ძირითადი ნიშან-თვისება.²⁸⁰

მიუხედავად ამისა, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ცალკე კორპორაციული პიროვნულობის საკითხები, განსაკუთრებით მცირე კომპანიების შემთხვევაში, ჯერ კიდევ ჰაერში იყო გამოკიდებული, სანამ 1896 წელს არ მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება *სალომონის* საქმეზე,²⁸¹ რომლითაც საბოლოოდ განმტკიცდა კაპიტალური საზოგადოების, როგორც ცალკე პიროვნულობის მქონე პირის ცნება ბრიტანულ და ზოგადად საერთო სამართალში.

²⁷⁸ კორპორაციების მიმართ ხშირად გამოიყენებოდა სიტყვა „ისინი“ და არა „ის“. *Ireland P., Grigg-Spall I., Kelly D., The Conceptual Foundations of Modern Company Law, Journal of Law and Society, Volume 14, No. 1, Critical Legal Studies, Spring, 1987, 150-151.*

²⁷⁹ 1824 წლის ლონდონის „თაიმის“ 24 მაისის ნომერში, მაგალითად, პირდაპირ იყო საუბარი იმაზე, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ხალხის მოტყუება და თაღლითურად გამდიდრება. იხ: *Halpern P., Trebilcock M., Turnbull S., An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law, The University of Toronto Law Journal, Volume 30, No. 2, Spring, 1980, 117.*

²⁸⁰ Joint Stock Companies Act 1856. იხ: *Tan C., Wang J., Hofmann C., Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, Berkeley Business Law Journal, Volume 16, Issue 1, 2019, 170. French D., Mayson S., Ryan C., Mayson, French & Ryan on Company Law, 33rd Ed., Oxford, Oxford University Press, 2016, 54-57.*

²⁸¹ *Salomon v A Salomon & Co Ltd [1897] AC 22.*

2.4.3.3. კორპორაციული პიროვნულობის ცნების განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე კორპორაციის მიმართ როგორც კანონმდებლობის, ასევე სასამართლო და სამეცნიერო პრაქტიკის მიდგომა საკმაოდ განსხვავდებოდა დღევანდელისგან. თუ საუკუნის დასაწყისისათვის კორპორაცია მიიჩნეოდა სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე დაფუძნებულ პირად (იმდროისათვის საერთო სამართალში მეტად გავრცელებული კონცეფციის თეორიის თანახმად), მაშინ საუკუნის შუაგულსა და ბოლოსკენ, როდესაც მის ჩამოსაყალიბებლად სახელმწიფო ნებართვა აღარ იყო საჭირო, გაბატონდა მოსაზრება, რომ კორპორაცია, წარმოადგენდა ინდივიდუალურ პირთა გაერთიანებას (*association*) და არა რაიმე განცალკევებულ ერთეულს თუ პირს. მხოლოდ 1880-იან წლების შემდეგ, როდესაც მიღებულ იქნა *სანტა კლარას* გადაწყვეტილება,²⁸² რომელიც კორპორაციის, როგორც პირთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი გაერთიანების, თეორიისკენ უფრო იხრებოდა,²⁸³ და, რაც მთავარია, მას შემდეგ, რაც გერმანელი იურისტის *ოტო ფონ გირკეს* შრომები ინგლისურად გახდა ხელმისაწვდომი,²⁸⁴ ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინაში ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა²⁸⁵

²⁸² *Santa Clara County v. Southern Pacific Railroad Company*, 118 U.S. 394 (1886).

²⁸³ *Mark G.A.*, The Personification of the Business Corporation in American Law, *The University of Chicago Law Review*, Volume 54, No. 4, Autumn, 1987, 1464.

²⁸⁴ *ოტო ფონ გირკეს* ნაშრომის – „*Das Deutsche Genossenschaftsrecht*“ („გერმანულ ამხანაგობათა სამართალი“) მეორე ტომის („*Die Staats- und Korporationslehre des Alterthums und des Mittelalters und ihre Aufnahme in Deutschland*“ („მოდღვრება ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების სახელმწიფოებსა და კორპორაციებზე და მათი მიღება გერმანიაში“) ნაწილი 1900 წელს ითარგმნა და გამოიცა ინგლისურ ენაზე გამოჩენილი ინგლისელი იურისტის *ფრედერიკ იულიამ მეითლანდის* მიერ (1850-1906), როგორც „*Political Theories of the Middle Ages*“ („შუა საუკუნეების პოლიტიკური თეორიები“). ზოგიერთი კომენტატორი აღნიშნავს, რომ სწორედ აღნიშნულ ფაქტსა და აგრეთვე *ფრედერიკ მეითლანდის* შემდგომ მცდელობებს, გავერცელებინა და საზოგადოების განხილვის საგნად ექცია ეს თეორია, უნდა უმადლოდეს ამერიკული სამართლებრივი დოქტრინა ამ ინსტიტუტების შემოღებას. იხ: *Horwitz M. J.*, *The Transformation of American Law, 1870-1960: The Crisis of Legal Orthodoxy*, Oxford University Press, 1992, 71. აღნიშნულისა და ზოგადად იურიდიული პირის რეალისტური კავშირის თეორიის ამერიკულ სამართალში რეცეფციის შესახებ აგრეთვე იხილეთ: *Harris R.*, *The Transplantation of the Legal Discourse on Corporate Personality Theories: From German Codification to British Political Pluralism and American Big Business*, *Washington and Lee Law Review*, Volume 63, Issue 4, 2006, 1421-1478.

²⁸⁵ ლიტერატურაში ნახევრად ხუმრობით აღნიშნებოდა, რომ იმ დროს როდესაც აშშ-ში ჯერ კიდევ დავა მიმდინარეობდა იურიდიული პირის პიროვნულობაზე და მას ჯერ კიდევ ჰყავდა საკმაო რაოდენობით

იურიდიული პირის, როგორც ცალკე სუბიექტის, ცნებამ, გაფართოვდა მისი უფლებები და შეიცვალა მასში მონაწილე პირებსა და ორგანოებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.²⁸⁶

ზოგადად, ამერიკის სამართლებრივ ისტორიაში გამოყოფენ სამ ფაზას, რომელთა დროსაც განვითარდა კორპორაციის, როგორც ცალკე იურიდიული პირის ცნება: პირველ ეტაპზე, ძირითადად ინგლისური სამართლის ზეგავლენით, იურიდიული პირი მიიჩნეოდა ხელოვნურად შექმნილ წარმონაქმნად, რომელიც მხოლოდ სამართლის მიერ მოიაზრებოდა ნამდვილად და რომლის დასაფუძნებლადაც სახელმწიფოს ნებართვა იყო საჭირო (ე.წ. კონცესიის თეორია). მეორე ეტაპზე, იურიდიული პირისადმი სხვანაირი მიდგომა გაბატონდა: ის ახლა აღიქმებოდა, როგორც ცალკეულ ინდივიდთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი გაერთიანება (აგრეგატული, იგივე სახელშეკრულებო თეორია). ბოლოს გავრცელდა *გირკეს* მიერ პოპულარიზირებული რეალური კავშირის თეორია და კორპორაცია ამჯერად სრულად იქნა აღიარებული ნამდვილ პირად, რომელიც განცალკევებული იყო მასში შემავალი სხვა კერძო პირებისაგან.²⁸⁷

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებათა ჩამოყალიბება, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ისევ სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე ხდებოდა. მათი უმეტესობა იყო არა სამეწარმეო

მოწინააღმდეგეები, ევროპის კონტინენტზე ამ დოქტრინაზე „მთელი ტომები“ იწერებოდა და ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები მუშავდებოდა, რომლის მიმდევრებიც ისევე კარგად იყვნენ ჩამოყალიბებული ცალკეულ დაჯგუფებებად, როგორც ანტიკური ხანის ფილოსოფიური მიმდინარეობები (როგორც, მაგალითად, სტოიკოსები და ეპიკურიანელები). იხ: *Machen A. W.*, Corporate Personality, Harvard Law Review, Volume 24, No. 4, February 1911, 254.

²⁸⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *გირკემდე* ამერიკის საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინა ინგლისურად გადათარგმნილმა *სავინის* ნაშრომებმაც. იხ: *Hoeflich M.H.*, Savigny and His Anglo-American Disciples, The American Journal of Comparative Law, Volume 37, No. 1, Winter, 1989, 33.

²⁸⁷ *Blumberg P.I.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Supplement. U. S. Law in an Era of Democratization, 1990, 49-51. *Phillips M.J.*, Reappraising the Real Entity Theory of the Corporation, Florida State University Law Review, Volume 21, Issue 4, Spring 1994, 1063-1073. უკანასკნელში განსხვავებულია აგრეგატულობისა და სახელშეკრულებო კავშირის (*Nexus-of-Contracts*) თეორიები. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღინიშნა, კორპორაციას განიხილავს კონკრეტული დადებული ხელშეკრულებების ერთობლიობის ფიქტიურ გამოხატულებად. იხ: *Coase R.H.*, The Nature of the Firm, *Economica*, Volume 4, Issue 16, November, 1937, 391-392. *Easterbrook F.H.*, *Fischel D.R.*, The Corporate Contract, Columbia Law Review, Volume 89, No. 7, Contractual Freedom in Corporate Law, November, 1989, 1418.

პირები, არამედ პოლიტიკური ორგანოები (*"Bodies Politic"*) – საქველმოქმედო საზოგადოებები, სასწავლო დაწესებულებები, მუნიციპალური ერთეულები და ა.შ., თუმცა ნელ-ნელა იზრდებოდა სხვადასხვა სახის საწარმოებზე, ბანკებსა და კომპანიებზე გაცემული ნებართვების რიცხვიც.²⁸⁸ შეზღუდული პასუხისმგებლობა, რომლის არქონა იმ დროს არ განიხილებოდა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად, მაინც წარმოადგენდა იმ პრივილეგიას, რომლის მიღება ბევრ საზოგადოებას სურდა, მაგრამ არც თუ ისე მცირე ნაწილი იძულებული იყო მხოლოდ სასამართლოში გამოსვლის უფლებითა და კორპორაციული ბეჭდის მიღების უფლებით დაკმაყოფილებულიყო.²⁸⁹ თვითონ საკორპორაციო სამართლის ჩამოყალიბებაში ცენტრალური ადგილი ეჭირა კორპორაციათა სტატუსს და მათ მიმართ განსაკუთრებულ მიდგომას, რაც იმ ფაქტით იყო გართულებული, რომ კორპორაცია, რომელიც ატარებდა როგორც ინდივიდისა და ორგანიზაციის (ხშირად სახელმწიფო ორგანოს „სუროგატის“) მახასიათებლებს, ვერ ჯდებოდა იმ სამართლებრივ სისტემაში, რომელიც მკაცრად გათვლილი იყო სახელმწიფოსა და ინდივიდის ინტერესების დაბალანსებაზე.²⁹⁰

ნებართვის საფუძველზე კორპორაციის ჩამოყალიბების პრაქტიკა 1785 წელს იღებდა სათავეს, როდესაც დაფუძნდა პირველი სააქციო საზოგადოება – ჩრდილოეთ ამერიკის ბანკი და თითოეულ შტატს განსხვავებული რეგულაციები ქონდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის სამეწარმეო საქმიანობისათვის იყო იგი საჭირო.²⁹¹ კონცესიის ელემენტთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული *ultra vires*²⁹²-ის ინსტიტუტიც, რადგანაც თვით სახელმწიფოს მიერ გაცემულ ნებართვაში ამომწურავად იყო

²⁸⁸ Mann B.H., *The Transformation of Law and Economy in Early America*, წიგნში: *The Cambridge History of Law in America*, Volum I: *Early America*, Ed. Grossberg M., Tomlins C., Cambridge University Press, Cambridge, 2008, 397-398.

²⁸⁹ Livermore S., *Unlimited Liability in Early American Corporations*, *Journal of Political Economy*, Volume 43, No. 5, October 1935, 676-677.

²⁹⁰ Mark G.A. *The Personification of the Business Corporation in American Law*, *The University of Chicago Law Review*, Volume 54, No. 4, Autumn, 1987, 1445.

²⁹¹ Werner W., *Corporation Law in Search of its Future*, *Columbia Law Review*, Volume 81, No. 8, December 1981, 1615-1616.

²⁹² ლათინურად „უფლებამოსილების მიღმა“.

ჩამოთვლილი ის საქმიანობის სახეები, რომლის წარმართვაც კორპორაციას შეეძლო.²⁹³ შეზღუდული პასუხისმგებლობა სრულებითაც არ იყო სააქციო საზოგადოების დამახასიათებელი განუყოფელი ელემენტი, არამედ წარმოადგენდა პრივილეგიას იმ სპეციალური ნებართვის საფუძველზე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოებებისათვის, რომლებიც საჯარო ხასიათის სამუშაოებს ასრულებდნენ, როგორც იყო რკინიგზის მშენებლობა ან არხების გაყვანა. აღნიშნული მიდგომა თანდათანობით ჩანაცვლდა უფრო ლიბერალური რეჟიმით და ფედერალური სასამართლოების ორჭოფობისა და კონსერვატიული დამოკიდებულების მიუხედავად, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებისათვის იგი უბრალო ფიქციად იქცა. კონცესიის თეორიამ იმწამსვე არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, არამედ ნელ-ნელა დროთა განმავლობაში დაიხია უკან და ბოლოს საერთოდ ჩამოშორდა სცენას.

იურიდიული პირის, როგორც სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილი სუბიექტის, კონცეფციას დაუპირისპირდა აგრეგატული (კონტრაქტული) თეორია, რომელიც კორპორაციას წარმოსახავდა, როგორც ინდივიდუალური პირების მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად შექმნილ ხელოვნურ სუბიექტს. ეს სუბიექტი რეალურად არ არსებობდა, არამედ წარმოადგენდა მასში შემავალი პირების (მეწილეების) გაერთიანებას. კორპორაცია ამით ფაქტობრივად უთანაბრდებოდა ამხანაგური ტიპის პარტნიორულ საზოგადოებას, რაც ვალდებულების დაკისრებისათვის კორპორაციული ფორმის უგულებელყოფას სრულიად ზედმეტს ხდიდა. შესაბამისად, კორპორაცია, როგორც იურიდიული პირი, რომელიც განცალკევებული იყო მასშივე შემავალი ფიზიკური პირებისგან სხვა არაფერს წარმოადგენდა, გარდა „მხოლოდ ფიქციისა“²⁹⁴ ან არსებობდა მხოლოდ „სამართლის

²⁹³ იხილეთ *Bank of Augusta v. Earle*, 38 U.S. 519 (1839). საკორპორაციო სამართალში *Ultra vires*-ის ეკონომიკურად გაუმართლებელი დოქტრინის მიზეზად ლიტერატურაში სამართლებრივ ტრადიციასა და ანალოგიას ასახელებენ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ ნებადართული მონოპოლიური კორპორაციის უფლება–ვალდებულებები შეზღუდული იქნებოდა, მაგრამ იგივე სისტემა უბრალოდ ვერ იმოქმედებდა კერძო პირების მიერ თავისუფლად რეგისტრირებულ კაპიტალურ საზოგადოებებთან მიმართებაში. იხ: *Manne H.G.*, Our Two Corporation Systems: Law and Economics, *Virginia Law Review*, Volume 53, No. 2, March 1967, 260, fn. 4.

²⁹⁴ “That a corporation is a legal entity apart from the natural persons who compose it...a mere fiction”. *State v. Standard Oil Co.*, 49 Ohio 137 (1892), 30 N.E. 279. ციტირებულია: *Horwitz M. J.*, The Transformation of American Law, 1870-1960: The Crisis of Legal Orthodoxy, Oxford University Press, 1992, 76.

ჩარჩოს ფარგლებში და მისი ძალით“.²⁹⁵ კორპორაციის მიმართ აღნიშნული დამოკიდებულება არსებობდა იურიდიულ დოქტრინაშიც, 1880-იან წლებამდე და მის შემდეგაც, რომელიც უარყოფდა იურიდიული პირის განცალკევებულობას მისი წევრებისგან. ამერიკის სამართლებრივ პრაქტიკაში პრობლემური იყო აგრეთვე „უფლებათა ბილის“²⁹⁶ გავრცელება კორპორაციაზე, რადგან ის კონსტიტუციის მიხედვით არ ითვლებოდა მოქალაქედ.

აგრეგატულ თეორიას აგრეთვე სხვა შედეგებიც მოჰყვა. 1880-იან წლებში მძლავრი კონცერნები (ე.წ. ტრასტები)²⁹⁷ გამოჩნდნენ ასპარეზზე, რომელთა შემთხვევაშიც რამდენიმე საზოგადოების აქციონერები რწმუნებულობით საზოგადოებას საკუთარ აქციებს აძლევდნენ, რასაც საბოლოო ჯამში უზარმაზარი რაოდენობის ქონების კონსოლიდაცია მოჰყვებოდა ერთი ან რამდენიმე კორპორაციის ხელში, კონკურენტების საზიანოდ.²⁹⁸ სულ რამდენიმე წელიწადში ეს ტრასტები უკვე არსებობდნენ ბამბის, ტყვიის, შაქრისა და სელის ზეთის ინდუსტრიებში.²⁹⁹ აღნიშნულ კორპორაციებთან საბრძოლველად აგრეგატის თეორია საკმაოდ მოსახერხებელი დოქტრინა იყო, რადგანაც, თუ ეს კორპორაციები რეალურად მხოლოდ სამართლებრივ ფიქციას წარმოადგენდნენ, მაშინ ამ კორპორაციებში გაწევრიანებული პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი უფრო მარტივი დასასაბუთებელი იქნებოდა. საპასუხოდ კომპანიებმა ამჯერად პირდაპირ გაერთიანება დაიწყეს, რისთვის ხელის შეშლა სასამართლოებს უკვე აღარ შეეძლოთ, პირთა თავისუფალი ნებისა და ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე.

აგრეგატული თეორია საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა კორპორაციულ მმართველობაზეც. შედეგად, კორპორაციასა და პარტნიორულ საზოგადოებას შორის ზღვარი საკმაოდ მცირე იყო, ზოგჯერ კი საერთოდ წაშლილი. მეცხრამეტე საუკუნეში

²⁹⁵ *Bank of Augusta v. Earle*, 38 U.S. 519.

²⁹⁶ *Bill of Rights*.

²⁹⁷ *Trust* - ინგლისურად „რწმუნებულობა“, „მინდობილობა“.

²⁹⁸ კორპორაციული ტრასტების მოკლე ისტორიისათვის იხ: *Orbach B., Rebling G.C.*, *The Antitrust Curse of Bigness*, 85 *Southern California Law Review*, 2012, 609-613.

²⁹⁹ *Horwitz M. J.*, *The Transformation of American Law, 1870-1960: The Crisis of Legal Orthodoxy*, Oxford University Press, 1992, 80.

მიიჩნეოდა, მაგალითად, რომ კორპორაცია ვერ მიიღებდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, თუ ის არ იქნებოდა ერთხმად მიღებული ყველა წევრის მიერ. უფრო მეტიც, ზოგიერთი კომენტატორი კორპორაციას შეზღუდულ პარტნიორულ (კომანდიტურ) საზოგადოებას (*limited partnership*) ადარებდა, რომელშიც თითოეულ წევრს ჰქონდა საშუალება, საკუთარი ხმით ორგანიზაციის მართვაში მიეღო მონაწილეობა.³⁰⁰ 1890 წლის ერთ-ერთ საქმეზე გადაწყვეტილებაში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ კომპანიის ლიკვიდაციისას, ამავე კომპანიის აქტივების მიმართ არსებული უფლებების კუთხით, ის ვერ ხედავდა განსხვავებას კორპორაციასა და პარტნიორულ (ამხანაგურ) საზოგადოებას შორის და სრული სერიოზულობით წყაროდ მიუთითა სახელმძღვანელო პარტნიორულ (ამხანაგურ) საზოგადოებაზე.³⁰¹

მე-19 საუკუნის ამერიკის დოქტრინა ამავედროულად კორპორაციული მმართველობის ცენტრში სვამდა არა მენეჯმენტს, არამედ აქციონერს, მიიჩნევდა რა, რომ თუ პარტნიორთა შეთანხმება ან საზოგადოების დებულება დუმდა, საბოლოო გადაწყვეტილება ყოველთვის აქციონერებს ეკუთვნოდა.³⁰² ასეთი მიდგომა შესაძლოა გამართლებული ყოფილიყო ადრე არსებული მცირე, დახურული კორპორაციების შემთხვევაში, მაგრამ სამეწარმეო განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა კაპიტალისა და ადამიანური რესურსების საჭიროებაც. ყველა გადაწყვეტილებაში აქციონერთა ჩართვა, რაოდენ მცირე და უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო ის და ერთხმად გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება მეტად მოუქნელს ხდიდა კორპორაციებს და ეს დამღუპველი იყო კონკურენტულ გარემოში.

აღნიშნული სიტუაციის უკეთესად გაგებისათვის საჭიროა მეცხრამეტე საუკუნის აშშ-ს ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა. იმ დროს ინდუსტრიულ გაერთიანებათა აბსოლუტური უმრავლესობა, კერძო სარკინიგზო კომპანიების გარდა, ჩამოყალიბებული იყო პარტნიორული საზოგადოებების სახით, რომლებშიც ხშირად საქმიანობა ოჯახის

³⁰⁰ *Angell J.K., Ames S., Treatise on the Law of Private Corporations Aggregate*, 8th Edition, Little, Brown, and Company, Boston, 1866, 764.

³⁰¹ *Mason v. Pewabic Mining Co.*, 133 U.S. 50 (1890). (“*We do not see that the rights of the parties in regard to the assets of this corporation differ from those of a partnership on its dissolution, and on that subject Lindley on Partnership says...*”.)

³⁰² *Union Pacific Ry. Co. v. Chicago, R.I. & P. Ry. Co.*, 163 U.S. 564 (1896).

ერთი თაობიდან მეორე თაობაზე გადადიოდა. თვით ოქროსა და ნავთობის მომპოვებელი კომპანიებიც კი პარტნიორულ საზოგადოებებად იყვნენ დაფუნდებულნი.³⁰³ ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში სააქციო საზოგადოებების, კომპანიებისა და კორპორაციების მიმართ სხვა, უფრო საგამონაკლისო დამოკიდებულება იქნებოდა, მიჩნეულნი იქნებოდნენ რა ისინი მხოლოდ პარტნიორული საზოგადოების გარკვეულ ნაირსახეობად ან თვისობრივად სრულიად განსხვავებულ მოვლენად. აგრეგატული თეორია არსობრივად ინდივიდუალისტური პოზიციიდან გამოდიოდა – იურიდიული პირი ფიქცია იყო. ის წარმოადგენდა ინდივიდების აგრეგატს, ერთიანობას. ამ მიდგომით შესაძლებელი იქნებოდა ამერიკის კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორების სრულად გავრცელება კორპორაციებზეც, რადგან კორპორაცია მხოლოდ „საფარველს“ წარმოადგენდა, მის უკან კი კონსტიტუციური სუბიექტები – მოქალაქეები იყვნენ.

როგორც უკვე აღინიშნა, ცალკე კორპორაციული პიროვნულობის შესახებ თეორიამ მხოლოდ 1890-იანი წლებიდან დაიწყო ფეხის მოკიდება ამერიკულ იურისპრუდენციაში, რასაც თავიდან დიდი პრობლემა მოჰყვა სამართლებრივი თეორიული ტერმინოლოგიის გადმოტანის მხრივ.³⁰⁴ კორპორაციის, როგორც ცალკე იურიდიული პირის ცნება, პირის, რომელიც წარმოადგენს სამართლის ცალკე სუბიექტს, თავისი უფლებებითა და ვალდებულებებით და ექვემდებარება აშშ-ს კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორების ქვეშ დაცვას, იმწამსვე არ იქნა გაზიარებული ყველა ამერიკელი მოსამართლისა თუ სამართალმცოდნის მიერ. 1904 წელსაც კი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეში, კორპორაცია პირდაპირ იქნა მოხსენიებული როგორც სამართლის ფიქცია, რომელიც ფიზიკური პირის იმანენტური უფლებებით არ სარგებლობდა, არამედ შეიქმნა და არსებობდა მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო მოხერხებულად წარმართულიყო სამეწარმეო საქმიანობა.³⁰⁵ ამის მიუხედავად, მე-20 საუკუნის მიჯნაზე უკვე აშკარად შეინიშნებოდა ცვლილებები. ზოგიერთი მოსამართლე

³⁰³ *Horwitz M. J.*, *The Transformation of American Law, 1870-1960: The Crisis of Legal Orthodoxy*, Oxford University Press, 1992, 95.

³⁰⁴ *Mark G.A.* *The Personification of the Business Corporation in American Law*, *The University of Chicago Law Review*, Volume 54, No. 4, Autumn, 1987, 1467-1468.

³⁰⁵ *Northern Securities Co. v. United States, 193 U.S. 197 (1904)*.

ცდილობდა ორივე თეორიის სინთეზის შექმნას – თუ ზოგად სიტუაციებში კორპორაცია იქნებოდა მიჩნეული ცალკე პირად, მაშინ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ცალკე პიროვნულობის კონცეფცია გამოყენებული იქნებოდა უსამართლო ან უკანონო მიზნისათვის, იურიდიული პირი მიჩნეული იქნებოდა პიროვნებათა გაერთიანებად.³⁰⁶

ამერიკელი სამართალმცოდნეებისათვის რთული იყო, იურიდიული პირისათვის მიენიჭებინათ ფიზიკური პირისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ნიშნები, როგორცაა „პასუხისმგებლობა“, „კეთილსინდისიერება“, „განზრახვა“³⁰⁷ და აღნიშნული იყო, რომ კორპორაციის მიერ ინდივიდისათვის ესოდენ ბუნებრივი განუყოფელი უფლებების განვრცობა იურიდიულ პირებზე, როგორც „არანორმალური და ალოგიკური“ მოვლენა, მოითხოვდა იდეებისა და მსოფლმხედველობის ძირფესვიანად გადახედვასა და შეცვლას.³⁰⁸ ეს საფუძვლიანი გადახედვაც მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში განხორციელდა.

როგორც აღინიშნა, 1880-იან წლებში, *სანტა კლარას* გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი მიღების შემდეგაც, აშშ-ს სამართლებრივ დოქტრინაში აღინიშნებოდა კორპორაციის, როგორც ცალკე სუბიექტის, თეორიის მიმართ სერიოზული წინააღმდეგობა. აღნიშნული სიტუაცია მხოლოდ შემდეგ შეიცვალა და ამ ცვლილებას შესაძლებელია რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ 1889 წლის ნიუ-ჯერსის შტატის კანონმა და კორპორაციათა შემდგომმა მასობრივმა მიგრაციამ დაანახა ბევრ სამართალმცოდნეს, რომ რეალურად კორპორაციებს ახლა „თითქმის ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ“ და საჭირო იყო ახლებური მიდგომა.³⁰⁹

საბოლოო ტრანსფორმაციის შემდეგ, კორპორაცია არამარტო ჩამოყალიბდა როგორც ცალკე იურიდიული პირი, რომელსაც კანონით აკრძალული საქმიანობის გარდა, ყველანაირი სხვა საქმიანობის განხორციელება შეეძლო, არამედ მკვეთრად

³⁰⁶ ("Corporation will be looked upon as a legal entity as a general rule... but when the notion of legal entity is used to defeat public convenience, justify wrong, protect fraud, or defend crime, the law will regard the corporation as an association of persons.") *United States v. Milwaukee Refrigerator Transit Co.*, 142 F.2d 247, 255 (E.D. Wis.1905). მითითებულია: *Choper J.H., Coffe J.C. Jr., Gilson R.J.*, Cases and Materials on Corporations, 5th Ed., Aspen Publishers, Inc., Gaithersburg, 2000, 254.

³⁰⁷ *Freund E.*, The Legal Nature of Corporations, University of Chicago Press, Chicago, 1897, 10.

³⁰⁸ იქვე, 48.

³⁰⁹ *Horwitz M. J.*, The Transformation of American Law, 1870-1960: The Crisis of Legal Orthodoxy, Oxford University Press, 1992, 101.

შეიცვალა თვით კორპორაციული მმართველობის სისტემა. თუ მეცხრამეტე საუკუნეში პარტნიორის ხმის გარეშე ხშირად ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა, სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში ლიტერატურაში აქციონერი უკვე მოიხსენიებოდა, როგორც „უმნიშვნელო ფაქტორი კორპორაციის მართვაში“.³¹⁰ თუ ადრე შეზღუდული პასუხისმგებლობა პრივილეგია იყო და ხშირად კრედიტორები საზოგადოების წევრების პირად ქონებას ითხოვდნენ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად,³¹¹ მეოცე საუკუნისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობა მყარად ჩამოყალიბდა, როგორც საკორპორაციო სამართლის განუყრელი პრინციპი.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ მეოცე საუკუნისათვის მცირე, რამდენიმე პირის (ხშირად ოჯახის წევრებისა ან ახლო მეგობრებისგან შემდგარი) კორპორაციები, რომლებსაც ძირითადად საკუთარი მეწილეები მართავდნენ, ჩანაცვლდნენ მზარდი, მრავალი აქციონერისგან შემდგარი დიდი ზომის სააქციო საზოგადოებებით, რომლებშიც ათასობით ინვესტორისა თუ მუშაკის მართვის ფუნქცია მენეჯერთა მცირე წრეზე იყო გადაწარმოებული.³¹² ლეგალური რეალიზმის გაბატონების შემდეგ, დოქტრინაში გავრცელდა უფრო პრაქტიკული მიდგომა კორპორაციებისადმი და თეორიულმა თუ ფილოსოფიურმა ასპექტებმაც (როგორც ვნახავთ მცირე ხნით) უკანა პლანზე გადაიწია.³¹³

2.4.3.4. იურიდიული პირის განვითარება საქართველოში

საქართველოს საკორპორაციო და, მით უმეტეს, სააქციო სამართლის შესწავლისას უნდა გათვალისწინებულ იქნას ის ფაქტი, რომ ეს დარგები დღესდღეობით მაინც

³¹⁰ *Henderson G.C.*, The Position of Foreign Corporations in American Constitutional Law; A Contribution to the History and Theory of Juristic Persons in Anglo-American Law, Harvard University Press, Cambridge, 2015, 169. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს ადრეულ მიდგომასაც, რომლის შემთხვევაშიც აქციონერები საზოგადოების მესაკუთრეებად მოიაზრებოდნენ და ყველა დანარჩენი კი მათ წარმომადგენლებად (აგენტებად) მიიჩნეოდნენ, თუმცა ავტორი იქვე დასძენს, რომ აღნიშნული თანამედროვე ეპოქაში სიმართლეს უკვე აღარ შეესაბამება.

³¹¹ *Blair M.M.*, Locking in Capital: What Corporate Law Achieved for Business Organizers in the Nineteenth Century, UCLA Law Review, Volume 51, No. 2, December 2003, 440-441.

³¹² *Werner W.*, Corporation Law in Search of its Future, Columbia Law Review, Volume 81, No. 8, December 1981, 1615. აგრეთვე: *Louis K. Liggett Co. v. Lee*, 288 U.S. 517 (1933).

³¹³ *Blumberg P.I.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Supplement. U. S. Law in an Era of Democratization, 1990, 51.

მედარებით სიახლეს წარმოადგენენ და მათი წარსული მწირია. აღნიშნული განპირობებული იყო დასავლური კაპიტალისტური სამყაროსგან საქართველოსა იზოლაციითა და ვაჭრობის შესაბამისი ტრადიციების არარსებობით.³¹⁴ ამის მიუხედავად, საქართველოში ისტორიულად დამოწმებულია ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციები, ასნაფების (ამქრების) საზოგადოებანი და მონასტრების ძმობანი. ამ უკანასკნელთა შესახებ კი მათი წესებიც მოგვეპოვება, რაც მათი კორპორაციული მოწყობის შესახებ გარკვეული მსჯელობის საშუალებას გვაძლევს.³¹⁵ ის, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი სავაჭრო ორგანიზაციების სათავეები, რთული სათქმელია, თუმცა XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაურები საქართველოში საამქროთა დასაბამს სპარსეთში ეძებდნენ, საიდანაც, როგორც ჩანს, გადმოღებულ იქნა თვით საამქროთა იდეა და ორგანიზაცია.³¹⁶ სამწუხაროდ, არსებული წყაროები არ მიუთითებენ რაიმე კომპლექსური სტრუქტურების არსებობაზე. საუკეთესო შემთხვევაშიც კი ეს გაერთიანებები წარმოადგენდნენ უბრალოდ ამხანაგობებს, რომლებსაც წარმომადგენელი (მამასახლისი ან უხუცესი) ხელმძღვანელობდა და რომელთა სახსრებიც მარტივ საჭურჭლეში ინახებოდა.³¹⁷ რაც შეეხება ასეთ საზოგადოებათა პიროვნულობის აღქმას, არსებობს საბუთები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ისინი ერთ „გუჰამად“ ანუ სხეულად მიიჩნეოდნენ, რითაც გარკვეული პარალელების გავლება შეიძლება რომაულ სამართალთან, საიდანაც სავარაუდოა, რომ ასეთი იდეა მომდინარეობდა.³¹⁸ ბუნებრივია, იურიდიული პირის ჩამოყალიბებული ცნება და კორპორაციული პიროვნულობის კონცეფცია ძველი ქართული სამართლისათვის სრულიად უცხო იყო.

³¹⁴ *ბურდული ი.*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 72.

³¹⁵ *ჯავახიშვილი ი.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984, 234-235.

³¹⁶ *ბურდული ი.*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 76.

³¹⁷ *ჯავახიშვილი ი.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984, 236-238.

³¹⁸ *ჯავახიშვილი ი.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984, 240-241. *ბურდული/ევნატაშვილი.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. *ჭანტურია ლ.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 186.

რეალურად საქართველოში კაპიტალური საზოგადოების ჩამოყალიბება და განვითარება 1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოსა და შემდგომ წლებში სხვა ქართული სამეფოების ანექსიის შემდეგ დაიწყო. მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში, საქართველოშიც უკვე ყალიბდება სახელმწიფოს მიერ ნებადართული მანუფაქტურული საწარმოები, რომლებიც სააქციო საზოგადოების ფორმით არიან მოწყობილნი.³¹⁹ მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ქვეყანაში უკვე არსებობდა იმპერატორის მიერ ნებადართულ სააქციო საზოგადოებათა საკმაო რაოდენობა და ეკონომიკაც ვითარდებოდა. აღნიშნულ განვითარებას ბოლო მოეღო პირველი მსოფლიო ომის, რუსეთის რევოლუციისა და შემდგომში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წელს ოკუპაციის შედეგად.

საბჭოთა სოციალისტურ პერიოდში რაიმე კომპლექსური კაპიტალური საზოგადოებების არსებობის შესახებ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია. ერთადერთ საინტერესო გამონათებად შეიძლება მიჩნეულ იყოს 1920-იან წლებში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის³²⁰ შედეგად მიღებული 1922 წლის საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც, გამონაკლისის სახით, დაუშვა შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობისა და სააქციო საზოგადოების (რეალურად საპაიო ამხანაგობისა და კოოპერატივის) ფორმები. აღნიშნული შემდგომში აისახა 1923 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსშიც.³²¹ ამ კოდექსით იურიდიული პირები ვალდებულნი იყვნენ არა მარტო დარეგისტრირებულიყვნენ, არამედ შესაბამისი ნებართვაც მიეღოთ სახელმწიფოსგან და აგრეთვე ემოქმედათ მხოლოდ იმ ფარგლებშიც, რომლებსაც იძლეოდა სახელმწიფო (კოდექსის მე-18 მუხლი).³²² რეალურად, მხოლოდ 1991 წლის 25

³¹⁹ საქართველოში მე-19 საუკუნეში მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისა და მათი სამართლებრივი ფორმების მოწესრიგების მოკლე მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ: *ბურდული ი.*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010, 79-93.

³²⁰ *Новая Экономическая Политика (НЕП)*

³²¹ *ლაზარაშვილი ლ.*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკანონმდებლო რეგულირების ისტორია ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო სამართალი, აღმანახი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ოქტომბერი 1998, 13. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კოდექსს საფუძვლად დაედო გერმანიის იმდროინდელი სამოქალაქო კოდექსი. იხ. იქვე.

³²² *Ostroukh A.*, Russian Society and its Civil Codes: A Long Way to Civilian Civil Law, *Journal of Civil Law Studies*, Volume 6, Number 1, 2013, 383-384. აქ, ბუნებრივია, პირდაპირ ვხედავთ კონცესიის თეორიისა და *ultra vires* კონცეფციის გამოვლინებას.

ივლისის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონითა და განსაკუთრებით კი, 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებული და დღემდე მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონით თუ შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი საფუძველი ჩაეყარა ჭეშმარიტად ეროვნულ საკორპორაციო სამართალს, რომელიც დღესაც ვითარდება.

III. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა კაპიტალურ საზოგადოებაში

დასაბამიდანვე კაპიტალური საზოგადოების ბუნებაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. მისი ზოგადი ეკონომიკური დანიშნულება სერიოზულ ეჭვებს არ იწვევდა, თუმცა იმ დროსაც უკვე სადავო იყო რამდენად შეიძლებოდა კაპიტალური საზოგადოებების, განსაკუთრებით კი მსხვილი სააქციო საზოგადოებების, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ელემენტებამდე დაყვანა. წმინდა პრაგმატული თვალთახედვით, კორპორაციას აქვს აშკარა ეკონომიკური მიზანი: აქციონერებს მოუტანოს მოგება. უფრო მეტიც, მოგების მაქსიმალიზაცია შეიძლება მიჩნეულ იქნას იმ ერთადერთ ემპირიულ მიზნად, რომელიც საწარმოებს გააჩნიათ.³²³ აღნიშნულს უპირისპირდება მოსაზრება რომ კორპორაცია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მოგების მაქსიმალიზაციის საშუალება და ინსტრუმენტი. იგი წარმოადგენს მთლიან, ინტეგრირებულ ერთიანობას, რომელშიც შედიან დირექტორები, მენეჯერები, მუშაკები და სხვა, რომელთა ინტერესებიც უნდა იქნას გათვალისწინებული (აქ დამატებით კრედიტორებიც შეიძლება ვიგულისხმობთ).³²⁴ ამ უკანასკნელი მოსაზრებით ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ საზოგადოება ვაკუუმში კი არ არსებობს, როგორც ერთადერთი მიზნის მისაღწევად შექმნილი ავტომატი, არამედ აქვს სოციალური და კულტურული დატვირთვა. ამ დამატებითი განზომილებებისა და მათი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე გავლენის განხილვამდე მიზანშეწონილი იქნება კაპიტალური

³²³ *Grigoleit H.*, *Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes*, C.H.Beck, München, 2006, 56-58.

³²⁴ *Allen, W. T., Jacobs J.B., Strine L.*, *The Great Takeover Debate: A Meditation on Bridging the Conceptual Divide*, University of Chicago Law Review, Volume 69, No. 3, Summer 2002, 1074-1076.

საზოგადოების ძირითად ნიშნებისა და მათგან ყველაზე ცენტრალურის – შეზღუდული პასუხისმგებლობის მიმოხილვა.

3.1. კაპიტალური საზოგადოების ძირითადი ნიშანი: შეზღუდული პასუხისმგებლობა

შეზღუდული პასუხისმგებლობა თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების იმანენტური, თვისობრივად დამახასიათებელია ნიშანია.³²⁵ მის გარეშე დღევანდელი სააქციო საზოგადოება და შესაძლებელია, დღევანდელი ეკონომიკაც უბრალოდ ვერ იარსებებდა.³²⁶ იმავე ამხანაგობებთან შედარებით, სადაც პასუხისმგებლობა შეუზღუდავი და სოლიდარულია, კაპიტალურ საზოგადოებაში არსებული შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ნიშნავს იმას, რომ კრედიტორების დაცვის საკითხი უფრო მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია.³²⁷ მისი ძირითადი დანიშნულება არსობრივად ეკონომიკურია: ზღუდავს რა ინვესტორთა პასუხისმგებლობას განხორციელებული შენატანებით, ის სამეწარმეო საქმიანობას ნაკლებად რისკიანს ხდის და ახალისებს

³²⁵ *მახარობლიშვილი გ.*, კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ.: თოდუა ნ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 432. „საკორპორაციო სამართლის ბალავარი“, იხ: ხარაიშვილი ა., გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 124.

³²⁶ *Manne H.G.*, Our Two Corporation Systems: Law and Economics, *Virginia Law Review*, Volume 53, No. 2, March 1967, 262. როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში: „შეზღუდული პასუხისმგებლობის უპირატესობები მიგვანიშნებენ იმაზე, ის რომ არ არსებულებოდა, ფირმები მის შექმნას შეეცდებოდნენ“ (“The advantages of limited liability suggest that, if it did not exist, firms would attempt to invent it.”). იხ: *Easterbrook F.H., Fischel D.R.*, Limited Liability and the Corporation, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 101. როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, ამ მოსაზრებას უკლებლივ ყველა კომენტატორი ნამდვილად არ იზიარებს.

³²⁷ *Armour J., Hansmann H., Kraakman R., Pargendler M.*, What Is Corporate Law? წიგნში: *Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E.*, *The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach*, 3rd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 2.

შემდგომი ინვესტიციების განხორციელებას.³²⁸ იგი აგრეთვე საშუალებას იძლევა, უფრო დიდძალი კაპიტალი იქნას მოზიდული მოსახლეობის გაცილებით უფრო ფართო ფენებიდან. ბოლოს, რისკის შეზღუდვითა და გარკვეული კაპიტალური შენატანით (განსაზღვრული ინვესტიციებით), შესაძლებელი ხდება ნოვატორული და ინოვაციური, თუნდაც საკმაოდ რისკიანი საქმიანობის დაწყება.³²⁹ თუ ზოგადად იურიდიული პირის ჩამოსაყალიბებლად ფუნდამენტური კრიტერიუმის – ინტერესთა თანხვედრისა და მათი ერთობლივი განხორციელების – არსებობის გარეშე წარმოუდგენელია, შესაძლებელია სწორედ პირადი პასუხისმგებლობის შეზღუდვა განაპირობებდეს იურიდიული პირის დაფუძნების მიზანშეწონილობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზე არ არის ინტერესების ასეთი თანხვედრა.³³⁰

შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის კონცეფციის განვითარების შუალედურ ეტაპებზე, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის იდეაც საყოველთაოდ მიღებული გახდა, ამ ინსტიტუტის მიმართ ზედმეტი ენთუზიაზმიც კი გამოსჭვიოდა და მას სამართლის თეორიისა და მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევადაც მიიჩნევდნენ.³³¹ მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ასეთი ენთუზიაზმი ცოტა გაგრილებულია, შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი დღემდე განიხილება კაპიტალური საზოგადოებების ქვაკუთხედად და კანონმდებლობაც მიმართულია

³²⁸ *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder.*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §13, Rn. 336, s.1145. *Hirte/Mülbert/Roth/Bachmann.*, AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 92, s.32.

³²⁹ *Bork/Schäfer/Weller/Discher.*, GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015, §13, Rn.24, s.310

³³⁰ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 161.

³³¹ ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი *ელიოტი* მას „კორპორაციის ყველაზე ძვირფას ნიშან-თვისებას“ და „მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე ეფექტურ სამართლებრივ ინოვაციას“ უწოდებდა. იხ. *Cook*, "Watered Stock"--Commissions---"Blue Skay Laws"-Stock Without Par Value, 19 *MICH. L. REV.* 583 n. 4 (1921). მითითებულია: *Cataldo B.F.*, Limited Liability With One-Man Companies and Subsidiary Corporations, *Law and Contemporary Problems*, Volume 18, No. 4, 1953, 473. ან „კორპორაციის ისტორიულ განვითარებაში ალბათ არც ერთი სხვა მახასიათებელი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობა“. („*In the historical development of the corporation probably no single attribute has been more significant than that of limited liability.*“). იხ: *Fuller W.*, The Incorporated Individual: A Study of the One-Man Company, *Harvard Law Review*, Volume 51, No. 8, June, 1938, 1376. შეზღუდულ პასუხისმგებლობას თანამედროვეობის ყველაზე დიდ გამოგონებად მიიჩნევდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი *ბათლერიც*. იხ: *Presser S.B.*, The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006, 409.

იმისკენ, რომ საზოგადოების პარტნიორები გაათავისუფლოს პირადი პასუხისმგებლობისგან მეწარმეობისა და ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით.³³²

ამავდროულად, წინა თავის მიმოხილვამ აჩვენა, რომ კორპორაციისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ცნებები თანმიმდევრულად და ეტაპობრივად განვითარდნენ და თავიდანვე სრულად არ წარმოადგენენ საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას. ისტორიულად, სააქციო საზოგადოების აქციონერთა პასუხისმგებლობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სრულად შეზღუდული არ ყოფილა, ანუ არ იზღუდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ განხორციელებული შენატანით. პასუხისმგებლობა შესაძლოა ყოფილიყო შეუზღუდავი ან განხორციელებული შენატანის ორმაგი ან სამმაგი ოდენობა. ეს უკანასკნელი უნდა განსხვავებულ იქნას, ერთის მხრივ, დღევანდელი შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციისგან და ამავდროულად შეუზღუდავი პასუხისმგებლობისგანაც, რომელიც პასუხისმგებლობის ფარგლებს პარტნიორისა თუ აქციონერის მთლიანი ქონებით ადგენს.³³³ ამრიგად, ამ მეტად საინტერესო შემთხვევას გარკვეულწილად შუალედური პოზიცია ეკავა. როგორც დავინახეთ, მთლიანად შეზღუდული პასუხისმგებლობის ცნებაც ისტორიულად სრულიად უცნობი არ იყო, თუმცა მას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მნიშვნელობის მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი დღესაც არ გამქრალა. კომენტატორთა ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს მის მნიშვნელობას და მას გადაჭარბებულად მიიჩნევს. თუ ადრე ის ხშირად მიჩნეული იყო კაპიტალური საზოგადოებების ცენტრალურ, ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად, დღესდღეობით ის აღიქმება მხოლოდ ერთ-ერთ ასეთ მახასიათებლად, რომელიც მას გააჩნია სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, იქნება ეს სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური. ამ მიდგომით, იურიდიული პირის სამართლებრივი ინსტიტუტისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობა აუცილებელი და განუყოფელი ელემენტი არ არის და იურიდიული

³³² *Lutter/Hommelhoff/Bayer., GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 11, s.413.*

³³³ ასეთ დადგენილ „ორმაგ“ თუ „სამმაგ“ პასუხისმგებლობას შესაძლოა „გადაჭარბებული“, „ნამატი“ (*excessive*) პასუხისმგებლობაც ეწოდოს. იხ: *Leebron D.W., Limited Liability, Tort Victims, and Creditors, Columbia Law Review, Volume 91, No. 7, November 1991, 1576.*

პირის უფლებათარსიანობა არ არის დამოკიდებული იმაზე, პირადად აგებენ პარტნიორები პასუხს კრედიტორების მიმართ თუ მხოლოდ საზოგადოებაა ვალდებული.³³⁴ ზოგიერთი ავტორი კითხვის ქვეშ აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის ეკონომიკურ ეფექტს და იმ მოსაზრებაზე დგას, რომ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც შესაძლებელია აღმოჩენილიყო სხვა დამხმარე ან დამატებითი ინსტიტუტები, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ადგილს დაიკავებდნენ.³³⁵ სხვები აღნიშნავენ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის გაუქმებით ნამდვილად არ დადგებოდა ის კატასტროფული შედეგი, რომელსაც ზოგიერთი ეკონომისტი ვარაუდობს, რადგან თვითონ ასეთი შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ცნება სრულიადაც არ წარმოადგენს რაიმე ისეთ უცხოსა და განსაკუთრებულს, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური რეალობის თავდაყირა დაყენება შეუძლია.³³⁶ ასეთი პრინციპის არარსებობით, ყოველი ხელშეკრულების დადებისას, პასუხისმგებლობის შეზღუდვის მსურველი მხარე აღნიშნულს უბრალოდ ხელშეკრულების აუცილებელ პირობად დააყენებდა.³³⁷

აღნიშნული მოსაზრებების მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა მაინც ცენტრალურია კაპიტალური საზოგადოებისათვის და რომ ეს იდეები კაპიტალური საზოგადოებების შეზღუდული პასუხისმგებლობის ჩანაცვლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თეორიულ ინტერესს იწვევენ, დღეს აშკარად უმცირესობაშია. ისევე როგორც იურიდიული პირის სტატუსი ან ცენტრალიზებული მართვა, შეზღუდული პასუხისმგებლობა

³³⁴ *Grigoleit H.*, *Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes*, C.H.Beck, München, 2006, 8-9. აღნიშნული მით უმეტეს სწორია საერთო სამართლის ქვეყნების შემთხვევაში, სადაც გაერთიანებების არაერთ ფორმას იურიდიული პირის სტატუსი აქვს მინიჭებული შეზღუდული პასუხისმგებლობის გარეშე.

³³⁵ *Meiners R.E., Mofsky J.S., Tollison R.D.*, *Piercing the Veil of Limited Liability*, *Delaware Journal of Corporate Law*, Volume 4, 1979, 359-367. აღნიშნული პოზიციის დეტალური განხილვა სცდება წინამდებარე ნაშრომის მიზანს, მაგრამ მოკლე შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა აზრით, საკრედიტო ბაზარი შეავსებდა და ამრიგად შეასრულებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის არარსებობის შემთხვევაში მის ფუნქციას.

³³⁶ *Leebron D.W.*, *Limited Liability, Tort Victims, and Creditors*, *Columbia Law Review*, Volume 91, No. 7, November 1991, 1574.

³³⁷ *Posner R.A.*, *The Rights of Creditors of Affiliated Corporations*, *The University of Chicago Law Review*, Volume 43, No. 3, Spring, 1976, 505.

კორპორაციულობის ძირითადი შინაარსის განმსაზღვრელი მახასიათებელია³³⁸ და დღეს, უმრავლეს შემთხვევაში, უდავოდ აღიარებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის როგორც სარგებლიანობა, ასევე მისი აუცილებლობა.

3.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის რაობა

პასუხისმგებლობა არსობრივად წარმოადგენს პირის ვალდებულებას, თვალი გაუსწოროს მის მიერვე ჩადენილი ქმედებების შედეგებს. იგი პირს ავალდებულებს, პასუხი გასცეს ერთი შეხედვით მარტივ შეკითხვას: „რატომ გააკეთე ეს?“³³⁹ როდესაც საუბარია პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე, უნდა გათვალისწინებული იქნას ის ფაქტი, რომ სრულიად შეუზღუდავი პასუხისმგებლობა არ არსებობს. ყოველთვის იარსებებს გარკვეული ფარგლები, რომელშიც ის მოექცევა, იქნება ეს მატერიალური თუ ადამიანის ცხოვრების რეალობით განპირობებული. შესაბამისად, ყველანაირი პასუხისმგებლობა, განხილული როგორც ზოგადი მორალური კატეგორია, შეზღუდულია.³⁴⁰

კორპორაციათა პასუხისმგებლობაზე საუბრისას ისმის შეკითხვა, აღნიშნული მოიცავს თუ არა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან ერთად მორალურ პასუხისმგებლობასაც: არის თუ არა ხელოვნურად შექმნილი სოციალური ერთეული (და არა ის პირები, რომლებიც მის უკან დგანან) დაქვემდებარებული გარკვეულ მორალურ სტანდარტებს? ეთიკური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, კორპორაციები არ წარმოადგენენ ფიზიკურ პირის იდენტურს, მაგრამ ამავდროულად, ისინი სხვა უსულო საგნებთან (მაგალითად, ავტომობილებთან) შედარებით უფრო ჰგვანან ინდივიდებს, რადგანაც მათთვის, ცხოველებისგან განსხვავებით, შესაძლებელია, ფართო გაგებით,

³³⁸ რამიშვილი ა. კორპორაციულობა, როგორც ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემის განმსაზღვრელი ელემენტი, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, № 2, 2012, 175.

³³⁹ Lucas J.R., Responsibility, Clarendon Press, Oxford, 1993, 5.

³⁴⁰ Leebron D.W., Limited Liability, Tort Victims, and Creditors, Columbia Law Review, Volume 91, No. 7, November 1991, 1575.

რაციონალური განზრახვის, გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების მიწერა.³⁴¹ მაგრამ კორპორაციათა ასეთი მორალური პასუხისმგებლობის წინააღმდეგ არაერთი მოსაზრება იქნა გამოთქმული. მითითება ხდება იმაზე, რომ კორპორაციას არ აქვს საკუთარი სხეული ან არ შეუძლია განზრახ მოქმედებების ჩადენა (ეს უკანასკნელი, ამ ავტორთა აზრით, ინდივიდების პრივილეგიაა).³⁴² სხვები მიუთითებენ კორპორაციის მიერ გრძნობებისა და ემოციების არქონაზე³⁴³ ან იმაზე, რომ კორპორაცია რეალურად მაინც უფრო მექანიზმს, მანქანას უფრო ჰგავს, ვიდრე პიროვნებას.³⁴⁴

მიუხედავად აღნიშნული საკითხის სადავობისა ლიტერატურაში, მორალისა და მორალური გადაწყვეტილებების მიკუთვნება კორპორაციებისათვის, როგორც კონცეფცია, არ უნდა გამოირიცხოს, რადგან მათთვის, როგორც „მეტაფიზიკური პირებისათვის“ შესაძლებელია, გარკვეული თვალსაზრისით, პასუხისმგებლობისა და თვითცნობიერების მიკუთვნება.³⁴⁵

როდესაც საუბარია კორპორაციის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე, გარდა მისი ეკონომიკური ფუნქციისა, ყოველთვის ხაზი უნდა გაესვას მის სოციალურ დატვირთვასაც. ის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა აქციონერებისათვის მეტად სასარგებლო და მომგებიანია, არასოდეს ყოფილა ექვეყნეშ დაყენებული. ამავდროულად, მას სხვა შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს. ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ შესაძლებლობაზე, რომ აქციონერებს შეუძლიათ ინვესტიციების ჩადება, ამ ინვესტიციებიდან შესაბამისი მოგების მიღებაც და საკმაოდ ლეგალურად, პასუხისმგებლობისგან თავის არიდებაც ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მათი

³⁴¹ *Goodpaster K.E.*, The Concept of Corporate Responsibility, *Journal of Business Ethics*, Volume 2, Issue 1, February 1983, 15.

³⁴² *Ripken S.K.*, Corporations Are People Too: A Multi-dimensional Approach to the Corporate Personhood Puzzle, *Fordham Journal of Corporate & Financial Law*, Vol. 15, No. 1, 2009, 120.

³⁴³ *Manning R.C.*, Corporate Responsibility and Corporate Personhood, *Journal of Business Ethics*, Volume 3, No. 1, February, 1984, 80.

³⁴⁴ *Ladd J.*, Morality and the Ideal of Rationality in Formal Organizations, *The Monist*, Volume 54, Issue 4, 1970, 500, 507.

³⁴⁵ *French P.A.*, The Corporation as a Moral Person, *American Philosophical Quarterly*, Volume 16, No. 3, July, 1979, 215.

ნახელავი და არასწორი განსჯის შედეგი იყო.³⁴⁶ შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობაც სოციალური რისკის მატარებელია და დიდი კორპორაციების შემთხვევაში, ეს რისკი განუზომლად მატულობს. საჭირო ხდება კორპორაციის გარკვეულ სამართლებრივ და მორალურ ჩარჩოებში მოქცევა. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საზოგადოების დაფუძნებისას წევრების მიერ იმის გააზრება, რომ ამგვარი ქმედებით ისინი დიდ პასუხისმგებლობას იღებენ თავზე, რაც აბალანსებს იმ დიდ სარგებელს, რომლის მიღებაც მათ შეუძლიათ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ასეთ გაგების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ზოგიერთი ავტორი აქ ძველი კონცესიის თეორიის კვალს ხედავს და დაუშვებლად მიიჩნევს შეზღუდული პასუხისმგებლობის რაღაც პრივილეგიად წარმოჩენას, რომლის სამაგიეროდაც სახელმწიფოს უფლება ექნება კონკრეტული, ზედმიწევნით გაწერილი ქცევა და მოქმედებები მოითხოვოს ამ კორპორაციებისგან.³⁴⁷ დღევანდელი მსოფლიო კომერციისა და ეკონომიკის პირობებშიც, ბუნებრივია, რისკები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუმცა არარეალური იქნება მცდელობა, არსობრივად დაბრუნდეს კონცესიის თეორია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღესდღეობით, თვით სკეპტიკოსებიც კი აღნიშნავენ იმ ეკონომიკურ სარგებელსა და სტიმულს, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობა იძლევა და რომ დღეს იმავე მეთვრამეტე თუ მეცხრამეტე საუკუნისგან სრულიად განსხვავებული სოციო-კულტურული თუ ეკონომიკური გარემოა.

შეზღუდული პასუხისმგებლობა, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს ეკონომიკურად და სოციალურად მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომლის დადებითი მხარეები ყველა სხვა რისკს გადაწონის. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ შეზღუდული

³⁴⁶ *Green R.M.*, Shareholders as Stakeholders: Changing Metaphors of Corporate Governance, *Washington and Lee Law Review*, Volume 50, No. 4, Fall 1993, 1415. აქ არ იგულისხმება განზრახ რაიმე დანაშაულის ჩადენა, არამედ კანონიერი, თუმცა არასწორი გადაწყვეტილება, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვება.

³⁴⁷ *Bainbridge S.M.*, Abolishing Veil Piercing, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 3, Spring 2001, 495. შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პრივილეგიის, კონცეფციას არ ეთანხმებიან სხვებიც, რომლებიც მიუთითებენ, რომ დომინანტი აქციონერის მიერ კორპორაციული ფორმლობების დაუცველობა და სხვა მსგავსი ფაქტორები არასოდეს უშუალოდ არ იწვევენ რაიმე ზიანს. იმავე ინსტრუმენტალურობის დოქტრინით, მაგალითად, აშკარად განცალკევებულია ერთმანეთისგან, ერთის მხრივ, მოქმედება, რომლითაც ზიანი ადგება პირს და ზოგადად კონტროლის განხორციელება კორპორაციაზე. იხ: *Michael D.C.*, To Know a Veil, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 1, Fall 2000, 57.

პასუხისმგებლობიდან გამომდინარე საფრთხეები, როგორცაა მისი უკანონო მიზნებისათვის ბოროტად გამოყენება, გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა.³⁴⁸

3.1.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფუნქციები კაპიტალურ საზოგადოებაში

იმავე ამხანაგობებთან შედარებით, სადაც პასუხისმგებლობა შეუზღუდავი და სოლიდარულია, კაპიტალურ საზოგადოებაში არსებული შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ნიშნავს იმას, რომ კრედიტორების დაცვის საკითხი უფრო მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია.³⁴⁹ დღესდღეობით, შეზღუდული პასუხისმგებლობა განმტკიცებულია, როგორც ინსტიტუტი და იგი გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს. ამ ფუნქციათა განხილვაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც საფარვლის გაჭოლვაც არსობრივად სწორედ ამ შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფაა. შესაბამისად საჭიროა დავინახოთ ის ფუნქციური ელემენტები, რომელთა უარყოფისკენაც მიმართულია კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფუნქციები პირობითად შეიძლება ეკონომიკურ და მმართველობით ფუნქციებად დაიყოს. ეკონომიკური ფუნქციებიდან შეიძლება გამოვყოს შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც რისკის ექსტერნალიზაციისა და ინვესტიციების მოზიდვის საშუალება. მმართველობითი ფუნქციებიდან მნიშვნელოვანია შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც კორპორაციის მართვისა და კონტროლის შემამსუბუქებელი და გამამარტივებელი ინსტრუმენტი.

³⁴⁸ *Smith D.G.*, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, *Brigham Young University Law Review*, Volume 2008, No. 4, 2008, 1188.

³⁴⁹ *Armour J., Hansmann H., Kraakman R., Pargendler M.*, What Is Corporate Law? წიგნში: *Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E.*, *The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach*, 3rd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 2.

3.1.2.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის ეკონომიკური ფუნქციები: ინვესტიციების მოზიდვა და რისკის ექსტერნალიზაცია

ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია რისკთან. მიუხედავად იმისა, რომ რისკის მიმართ საზოგადოების აღქმა უმეტესწილად უარყოფითია, რისკი ადამიანის ცხოვრების ბუნებრივ, განუყოფელ ნაწილს შეადგენს და განსაკუთრებით მეწარმისათვის, რისკის გარეშე სამეწარმეო საქმიანობაში წარმატების მიღწევა ფაქტობრივად წარმოუდგენელია. საკუთარი მიზნების მისაღწევად და იდეების განსახორციელებლად, მეწარმეებმა აუცილებლად უნდა გასწიონ რისკი.³⁵⁰ ამავდროულად, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ უნდა იყოს ეთიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა მხარეები და პირი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს.³⁵¹

შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპით რისკი პარტნიორებიდან გადადის კრედიტორებზე. პარტნიორები შეზღუდულები არიან მათ მიერ განხორციელებული შენატანებით იმ დროს, როდესაც კრედიტორები მსგავსი უპირატესობით ვერ სარგებლობენ.³⁵² ასეთ ასიმეტრიულობას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ იმავე აქციონერებისთვის კომპანიის წარმატების შემთხვევაში დივიდენდებზე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, იმ დროს როდესაც მაქსიმალური რაც კრედიტორებმა შეიძლება მიიღონ, ეს არის თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების ალბათობის გაზრდა.³⁵³ აღნიშნული აისახება იმაზეც, თუ როგორ უდგებიან სასამართლოები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებს: კორპორაციასთან ხელშეკრულებაში ნებაყოფლობით შესული პირების მოსარჩელედ გამოსვლის შემთხვევაში, სასამართლო უფრო მეტი სკეპტიციზმით უყურებს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას იმ მიზეზით, რომ

³⁵⁰ Zinn J.O., Risk Taking, წიგნში: Routledge Handbook of Risk Studies, Ed. Burgess A., Alemanno A., Zinn J.O., Routledge, London, 2016, 344.

³⁵¹ Berman E.M., West J.P., Responsible Risk-Taking, Public Administration Review, Volume 58, No. 4, July – August, 1998, 346-352.

³⁵² Easterbrook F.H., Fischel D.R., Limited Liability and the Corporation, The University of Chicago Law Review, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 103-104.

³⁵³ Davies P., Worthington S., Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 191, 194.

კრედიტორებმა კორპორაციასთან ხელშეკრულების დადებით საკუთარ თავზე გადაიტანეს რისკი, ანუ მათ შეეძლოთ გაეტარებინათ შესაბამისი პრევენციული ზომები, მაგალითად, შეემოწმებინათ კომპანიის ფინანსური და ორგანიზაციული მდგომარეობა და ა.შ. აღნიშნული კონტრასტს ქმნის იმავე დელიქტთან, რომლის დროსაც ნებელობითი აქტი კრედიტორისგან არ მომდინარეობს.³⁵⁴ საფარვლის გაჭოლვა, როგორც ასეთი, შესაძლოა სწორედ პასუხისმგებლობის რისკის ექსტერნალიზაციის საპირისპირო ჭრილში იქნას განხილული: კანონმდებელი, ზოგადად სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, საფარვლის გაჭოლვით „სჯის“ იმ იურიდიულ პირს, რომელიც მარტოდენ მომგებიანი ასიმეტრიული პოზიციითაც არ კმაყოფილდება და ბოროტად იყენებს ამ შეზღუდულ პასუხისმგებლობას.³⁵⁵

კრედიტორებზე რისკის გადატანით რამდენიმე საინტერესო შედეგი დგება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ უზრუნველყოფილი არის წილების თავისუფალი მიმოქცევა, რაც ახალისებს ინვესტიციების ჩადებასა და ეკონომიკურ მოქმედებას.³⁵⁶ რეალურად, სწორედ ასეთი გადატანითაა განპირობებული კრედიტორების სიფრთხილე კორპორაციასთან საქმის დაჭერამდე, ისინი, არც თუ ისე იშვიათად, საზოგადოების ფინანსურ ან სხვა ინფორმაციას ითხოვენ. ამგვარად, ისინი იღებენ სწორ, ლოგიკურ გადაწყვეტილებას და თვითონ კორპორაციასაც აიძულებენ, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ საკუთარ საქმიანობას.³⁵⁷ შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი კრედიტორებისათვის მეტად არახელსაყრელია, მათ შეუძლიათ წინდახედული ნაბიჯებით შეამცირონ შესაძლო ხარჯები ან სარგებელიც კი ნახონ იმ ფრთხილი და გამიზნული მოქმედებებიდან, რომლებიც ნაკარნახევი იქნება იმ ფაქტით, რომ

³⁵⁴ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 45.

³⁵⁵ *ქირია ა.*, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, *რედ. ბურდული ი.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 25.

³⁵⁶ *ხარაიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 131.

³⁵⁷ *Leebron D.W.*, Limited Liability, Tort Victims, and Creditors, *Columbia Law Review*, Volume 91, No. 7, November 1991, 1584.

საზოგადოების პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა დღის წესრიგში არ დგება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.³⁵⁸

3.1.2.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველობითი ფუნქციები: მექანიზმი კონტროლისა და საქმიანობის გასამარტივებლად

ფუნქციონალურად შეზღუდული პასუხისმგებლობა სხვა მნიშვნელოვან როლსაც თამაშობს: იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს კორპორაციის აქტივების მართვას და ამცირებს იმ საჭირო ადამიანური თუ მატერიალური რესურსების ოდენობას, რომელიც ამ აუცილებელი ფუნქციების შესასრულებლად არის საჭირო.³⁵⁹

მსხვილ კორპორაციებში მართვა და მენეჯმენტი დანაწილებულია. ერთის მხრივ არსებობს ორგანო, რომელიც კორპორაციის ძირითად წყობასა და დებულებას განსაზღვრავს და მეორე მხრივ ორგანო, რომელიც კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება. მიუხედავად იმ ფინანსური თუ სხვა რესურსებისა, რომლებიც საჭიროა ასეთი სპეციალიზაციისათვის, სარგებელი დანახარჯზე უფრო მეტია, რადგან საზოგადოებას უფრო ეფექტურად და სწრაფად შეუძლია მოქმედება. რადგანაც მათი პასუხისმგებლობა შეზღუდულია, აქციონერები და სხვა ინვესტორები მხოლოდ ნაწილობრივ ზედამხედველობენ მმართველებზე, აძლევენ რა მათ მოქმედების თავისუფლებას, რითაც მცირდება მონიტორინგის ხარჯები.³⁶⁰ აღნიშნულს ადგილი არ ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობა შეუზღუდავი იქნებოდა და პარტნიორები, მთელი თავიანთი ქონების დაკარგვის შიშით, იძულებულნი იქნებოდნენ, კონტროლის გაცილებით უფრო ყოვლისმომცველი და მკაცრი

³⁵⁸ *Grigoleit H.*, Gesellschaftshaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes, C.H.Beck, München, 2006, 34-35.

³⁵⁹ იქვე, 31-32.

³⁶⁰ *ხარაიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 132.

ღონისძიებები გაეტარებინათ.³⁶¹ ამავე მიზეზით, დახურულ კორპორაციაში შეზღუდული პასუხისმგებლობის სარგებლიანობა ნაკლებია საქმიანობის შედარებით მცირე მასშტაბებისა და მმართველი და მფლობელობითი ელემენტების უფრო ხშირი გადაკვეთის გამო. ასეთ კაპიტალურ საზოგადოებებში პარტნიორები ხშირად მმართველობით ფუნქციებსაც ითავსებენ და უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ, განსაკუთრებით სარისკო ოპერაციების დროს და ის სარგებელიც, რომელსაც შეზღუდული პასუხისმგებლობა იძლევა კონტროლის გამარტივების კუთხით, ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა ან ირელევანტურია.³⁶²

შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც ინსტიტუტის, მთავარ გამამართლებელ ფაქტორად, როგორც უკვე აღინიშნა, მის ეკონომიკურ ეფექტს ასახელებენ. ლიტერატურაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ, რადგანაც პასუხისმგებლობა შეზღუდულია, ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლება დაემართოს აქციონერს, იქნება მის მიერ გაკეთებული ინვესტიციის – შენატანის – დაკარგვა. მეორე მხრივ, მისი პირადი ქონება, როგორც წესი, ხელუხლებელი რჩება. აღნიშნული წარმოადგენს კარგ მოტივატორს იმისათვის, რომ ინვესტორებმა გონივრულ ფარგლებში უფრო მეტი რისკი გასწიონ, რაც მთლიანობაში დადებითად აისახება ეკონომიკის განვითარებაზეც.³⁶³

შეზღუდული პასუხისმგებლობის დადებით თვისებად სახელდება აგრეთვე ის მოქნილობა, რომელსაც ის კაპიტალურ საზოგადოებას ანიჭებს. რადგანაც რისკის ქვეშ არსებული თანხები შეზღუდულია და აქციონერთა პირად ქონებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, საზოგადოებას შეუძლია არა მარტო სარისკო პროექტებში მიიღოს

³⁶¹ *Easterbrook F.H., Fischel D.R.*, Limited Liability and the Corporation, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 95. *გულაშვილი ნ.*, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, *რედ. ბურდული ი.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 79.

³⁶² *Millon D.*, Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, *Emory Law Journal*, Volume 56, Number 5, 2007, 1314-1315.

³⁶³ *Davies P.L.*, *Gower and Davies' Principles of Modern Company Law*, 8th Edition, Sweet and Maxwell Ltd., London, 2008, 193. *მახაროშვილი გ.*, კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, წიგნში: *გურამ ნაჭყებია-75*, საიუბილეო კრებული, რედ.: *თოდუა ნ.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 437.

მონაწილეობა, არამედ ყოველდღიურ საქმიანობაშიც უფრო მყარად და თავდაჯერებულად გამოვიდეს. შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევაში, ყოველი ტრანზაქციისა და მოქმედების კითხვის ნიშნის ქვეშ დადგომის არასახარბიელო საშიშროება იქნებოდა. ელემენტარულად, თუ პარტნიორი საკუთარ წილს ისეთ პირს მიჰყიდდა, რომლის მატერიალური შესაძლებლობები საზოგადოების სხვა პარტნიორთა ქონებაზე ნაკლები იქნებოდა, ეს, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევაში, სხვების ქონებას დააყენებდა საფრთხის ქვეშ. ერთი შესაძლო გამოსავალი – საზოგადოების დებულებაში ჩაწერილი ყოფილიყო შეზღუდვები წილის გასხვისებასთან დაკავშირებით³⁶⁴ – მთლიანობაში ვერ ჩაანაცვლებდა შეზღუდულ პასუხისმგებლობას და არც დადებითად აისახებოდა მსხვილ კორპორაციებზე, რომელთა აქციების ყიდვა-გაყიდვის პროცესიც გაცილებით უფრო ნელი და გაჭიანურებული იქნებოდა.

აღნიშნულის მსგავსად, შეუზღუდავი პასუხისმგებლობა უბრალოდ ვერ იქნებოდა ისეთივე ეფექტური კაპიტალურ საზოგადოებებში, რომელთა მიზანიც დიდი კაპიტალის მოზიდვაა ადამიანების გაცილებით უფრო ფართო წრიდან, ვიდრე ეს არის ვთქვათ იმავე ამხანაგობაში. თუ ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში საქმიანობის მთავარი საფუძველი არის ნდობა, არცთუ ისე იშვიათ შემთხვევებში მტკიცე მეგობრული თუ ოჯახური კავშირებითაც გამყარებული, აღნიშნული შემკვრელი ფაქტორი კაპიტალურ საზოგადოებაში, თვითონ დასახელებიდანვე გამომდინარე, კაპიტალია და აქ ადამიანებს შორის ურთიერთობა გაცილებით უფრო ფორმალურია. გამოთქმულია არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება, რომ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევაში, პარტნიორთა ერთი ნაწილი შეეცდებოდა სხვების (მაგ. იმავე მმართველი დირექტორების ან მენეჯერების) ხარჯზე დივიდენდების მოპოვებას, ისე რომ თვითონ არანაირი წვლილის შეტანის სურვილი არ ექნებოდა.³⁶⁵

ამავდროულად, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საშუალებით შესაძლებელია ინვესტიციები მოზიდულ იქნას უფრო

³⁶⁴ *Posner R. Economic Analysis of Law*, 3rd Ed., Walters Luwer, 1986, 370.

³⁶⁵ *Bainbridge S.M., Abolishing Veil Piercing*, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 3, Spring 2001, 491-492.

ნაკლები აქტივების მქონე პირებისგან. თუ პასუხისმგებლობა შეუზღუდავი იქნებოდა, მაშინ ინვესტირებას მხოლოდ შეძლებული ფენები განახორციელებდნენ, რადგან მხოლოდ მათ თუ შეეძლებოდათ წარუმატებლობის შემთხვევაში ვალდებულებების სრულად დაფარვა.³⁶⁶ ამგვარად, საფუძველი გამოეცლებოდა კორპორაციების დემოკრატიულ მოდელს, რომლის თანახმადაც კაპიტალურ ურთიერთობებში მონაწილეობა საზოგადოების ფართო წრეებსაც შეუძლიათ.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ამარტივებს და ხელს უწყობს არა მარტო სარისკო სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას, არამედ ინვესტიციების დივერსიფიკაციასაც.³⁶⁷ დივერსიფიცირებული პორტფოლიოს საშუალებით ინვესტორებს შეეძლებათ, თუ ინვესტიციების ნაწილი არ გაამართლებს, დანაკარგი სხვა ინვესტიციებიდან დაფარონ იმის ნაცვლად, რომ, მხატვრული გამონათქვამისა არ იყოს, „ყველა კვერცი ერთ კალათაში ჩადონ.“³⁶⁸ შეუზღუდავი პასუხისმგებლობა, აღნიშნულის შესაძლებლობას მკვეთრად შეამცირებდა, რაც ეკონომიკურ პროცესებზე დადებითად არ აისახებოდა.³⁶⁹

3.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ზოგადი არსი, მიზანი და ელემენტები

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა მეტად მხატვრულად ჩამოყალიბებული ფორმულირებაა იმ სიტუაციისა, როდესაც კორპორაციის აქციონერსა ან და პარტნიორს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც, ნომინალურად მაინც, ამავე კორპორაციის იყო, ამ ორი პირის ერთმანეთისგან

³⁶⁶ *Presser S.B.*, The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006, 408.

³⁶⁷ *Grigoleit H.*, *Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes*, C.H.Beck, München, 2006, 34.

³⁶⁸ *Easterbrook F.H.*, *Fischel D.R.*, Limited Liability and the Corporation, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 96.

³⁶⁹ *Leebron D.W.*, Limited Liability, Tort Victims, and Creditors, *Columbia Law Review*, Volume 91, No. 7 November 1991), 1596.

განცალკევებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის მიუხედავად.³⁷⁰ წინამდებარე ნაშრომის ისტორიული მიმოხილვიდანაც აშკარაა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის მიმართ მოსამართლეებისა და სამართალმცოდნეების დამოკიდებულება თავიდანვე გარკვეულწილად საეჭვო იყო. დასაწყისშივე აღიარებული იყო ალბათობა იმისა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა არაკეთილსინდისიერ პირებს უკანონო და უსამართლო მიზნებისათვის შეეძლოთ გამოეყენებინათ. ეს ეჭვი ბოლომდე დღესაც არ გამქრალა.

როდესაც საუბარია კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე, საუბარია ისეთ რესტიტუციულ ქმედებაზე, რომელიც არ უშვებს ისეთ უსამართლობას ან უკანონობას, რომელსაც ადგილი ექნებოდა, თუ სასამართლო ბრმად, საქმის გარემოებების გაუთვალისწინებლად, დაიცავდა ცალკე კორპორაციული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციას. ზოგადად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას, იმავე აქციონერის, პარტნიორისა თუ სხვა დომინანტი აქტორის მხრიდან ადგილი უნდა ჰქონდეს ისეთ ქმედებას, რომელიც უგულვებელყოფს იურიდიული პირის სამართლებრივ ფორმას და ამგვარად იგი კარგავს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიას ან უფრო მხატვრულად რომ ვთქვათ – უფლებას შემოისოს კორპორაციული მოსახამით. საბოლოოდ, კორპორაციული პიროვნულობა არ უნდა იქნეს მივიდეს იქამდე, რომ ის ზოგადი სამართლებრივი პოლიტიკისა და მიზანშეწონილობის ფარგლებს სცდება და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არღვევს.³⁷¹

არასისტემატიურობა, ტერმინოლოგიის ნაკლებობა და ზოგადად ამ საკითხისადმი დოქტრინისა და თეორიის მიდგომათა არაერთ მრავალ პრობლემას ქმნის იმ დონემდე, რომ ზოგიერთი ავტორი მთლიანად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დოქტრინის სარგებლიანობას აყენებს ეჭვქვეშ.³⁷² საკითხს ართულებს ისიც, რომ საფარვლის გაჭოლვა ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ მოსარჩელესაც იზიდავს,

³⁷⁰ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 11.

³⁷¹ *Tan C., Wang J., Hofmann C.*, Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, Berkeley Business Law Journal, Volume 16, Issue 1, 2019, 151-152.

³⁷² *Easterbrook F.H., Fischel D.R.*, Limited Liability and the Corporation, The University of Chicago Law Review, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 109.

რომლებიც მზად არიან ნებისმიერი რეალური თუ მოგონილი წვრილმანი გადაცდომისათვის კორპორაციული პიროვნულობის უგულვებლყოფა და პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვონ.³⁷³ თავისთავად ცხადია, რომ საჭიროა დაცული იქნეს ბალანსი, ერთის მხრივ, ინვესტორების ინტერესებსა და მეორეს მხრივ, ბაზრის სხვა მონაწილე პირებს შორის.³⁷⁴

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა პრობლემა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, რადგან იმავე საერთო სამართლის (და განსაკუთრებით კი აშშ-ს) სამართლებრივ სისტემაში, იმ კორპორაციის მიმართ გამოყენებული მეტაფორებისა და ეპითეტების რაოდენობა, მართლაც რომ აუარებელია.³⁷⁵ 1927 წლის ცნობილ *ბერკის*³⁷⁶ საქმეზე მოსამართლე *კარდოზომ* აღნიშნა, რომ პრობლემა „მეტაფორების ნისლში“³⁷⁷ იყო გახვეული. სხვა კომენტატორები აღნიშნავენ, რომ როგორც ელვა, საფარვლის გაჭოლვა იშვიათი, მძიმე და არაპრინციპულია.³⁷⁸ თუმცა ეს კომენტარი ეხებოდა სპეციფიკურად მშობელ და შვილობილ კორპორაციებს შორის ურთიერთობას, აღნიშნული თავისუფლად შეგვიძლია განვაზრცოთ ზოგადად გაჭოლვის სხვა შემთხვევებზეც.

³⁷³ სასამართლო პრაქტიკაში იყო საქმეც როდესაც მოსარჩელემ წაქცევის გამო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის გზით ცდილობდა სარეკლამო კომპანიისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. იხილეთ: *Ioviero v. Ciga Hotels*, 101 A.D.2d 852 (1984). ხელმისაწვდომია: <<https://www.leagle.com/decision/1984953101ad2d8522533>>, [15.11.2020]. აღნიშნულ ნახევრადიუმორისტულ კაზუსებთან მკვეთრ კონტრასტს ქმნის სხვა საქმეები, სადაც საუბარი დიდ ქონებრივ დანაკარგს ან ცხოვრებისეულ ტრაგედიებზე მიდის.

³⁷⁴ *მახარობლიშვილი გ.*, კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, წიგნში: გურამ ნაჭყებია–75, საიუბილეო კრებული, რედ.: თოდუა ნ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 431.

³⁷⁵ „უბრალოდ ინსტრუმენტისა“ და „ალტერ ეგოს“ გარდა, აღნიშნულ მრავალფეროვან მეტაფორათა პლეადა მოიცავს: „ჯიბე“ („Pocket“), „თოჯინა“ („Puppet“), ხელსაწყო („Tool“), „თვალთმაქცობა“ („Sham“), „სადენი, გამტარი“ („Conduit“), დამატება („Adjunct“) და ა.შ. *Blumberg P.I.*, *The Law of Corporate Groups: Statutory Law—General*, Little Brown and Company, Boston, Toronto, London, 1989, 34. აღნიშნული მხოლოდ მცირე ნაწილია შესაძლო ეპითეტებისა, დანარჩენი შეგიძლიათ იხ: *Hamilton R.W.*, *Cases and Materials on Corporations, Including Partnerships and Limited partnerships*, 5th Ed. West Publishing Co., St. Paul, Minnesota, 1994, 281. *Oh P.B.*, *Veil-Piercing*, *Texas Law Review*, Volume 89, No. 1, November 2010, 83-84, fn. 7. არც ქართული ლიტერატურა განიცდის ასეთი მხატვრული ეპითეტების ნაკლებობას. მაგალითად, იგივე „შინაარსგამოცლილი ჩონჩხი“, იხ: *მახარობლიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 141.

³⁷⁶ *Berkey v. Third Avenue Railway Co* 244 N.Y. 602 (1927).

³⁷⁷ „still enveloped in the mists of metaphor“.

³⁷⁸ *Easterbrook F.H.*, *Fischel D.R.*, *Limited Liability and the Corporation*, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 89.

როგორც ერთი კომენტატორი აღნიშნავს, ბევრი გადაწყვეტილება სავსეა შთამაგონებელი რიტორიკით და მოკლებულია მსჯელობას.³⁷⁹

მიუხედავად ასეთი ბუნდოვნებისა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ საფარვლის გაჭოლვა წარმოადგენს სამართლის გარკვეულ ინტუიციურ ხედვას, რომლის თანახმადაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამომყენებელი პირები პასუხს უნდა აგებდნენ საკუთარი მოქმედებებისათვის და უსამართლო იქნებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტისადმი უბრალო ბრმა მორჩილების გამო, მათ პასუხი არ აგონ საკუთარი უკანონო თუ უსასამართლო ქმედებებისათვის.³⁸⁰

მიუხედავად პრობლემებისა თეორიული თუ სასამართლო პრაქტიკის კუთხით, შესაძლებელია გამოიკვეთოს ის ძირითადი ბაზა, ფუნდამენტი, რომელიც საფარვლის გაჭოლვას უდებს საფუძვლად. ამ ფაქტორებიდან ცენტრალურ ადგილს ხშირად იკავებს ქონებისა და მართვის საკითხები. თუ ამ ორ მნიშვნელოვან ასპექტში აღმოჩნდება, რომ კორპორაცია რეალურად არ არსებობს ანუ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომელიც მიუთითებს მისი, თუნდაც, როგორც ფიქციის (ნატურალისტური და არა სამართლებრივი თვალსაზრისით), არსებობაზე, მაშინ ლოგიკურია იმ დასკვნის გაკეთება, რომ საფარვლის გაჭოლვა მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობას აღადგენს უკვე არსებულ რეალობებზე დაყრდნობით.³⁸¹ სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ, ვინაიდან საფარვლის გაჭოლვის დოქტრინის მნიშვნელოვანი ელემენტის თანახმად, აღრეული უნდა იყოს კორპორაციის კონტროლი და ფლობა, საფარვლის გაჭოლვა უფრო ხშირად ხდება ე.წ. დახურულ

³⁷⁹ *Hamilton R.W.*, Cases and Materials on Corporations, Including Partnerships and Limited partnerships, 5th Ed. West Publishing Co., St. Paul, Minnesota, 1994, 281.

³⁸⁰ *Millon D.*, Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, *Emory Law Journal*, Volume 56, Number 5, 2007, 1339.

³⁸¹ საინტერესოა, რომ აქ ზოგიერთი ყურადღებას ასევე ამახვილებს კორპორაციის არამატერიალურ ქონებაზეც, როგორცაა „ადამიანური რესურსები“, „ორგანიზაციული შესაძლებლობები“ „კომპეტენცია“, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ კორპორაციის „რეალურ“ არსებობას, რადგანაც, იმავე კაპიტალისგან განსხვავებით, ასეთი არამატერიალური, არახელშესახები აქტივები შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კორპორაციას ეკუთვნოდეს და არა მეწილეებს ან აქციონერებს. *Iwai K.*, What Is Corporation?, *The Corporate Personality Controversy and the Fiduciary Principle in Corporate Governance*, წიგნში: *Legal Orderings and Economic Institutions*, Ed. *Cafaggi F., Nicita A., Pagano U.*, Routledge, London, 2007, 262.

კორპორაციებში.³⁸² სადაც კაპიტალის მიმწოდებლები და თვითონ ამ კაპიტალის მმართველები ხშირად ერთი და იგივე პირები არიან.³⁸³

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას ფუნდამენტურ პრინციპად რჩება მისი განცალკევებულობა და ერთჯერადი სპეციფიკურობა, რაც ნიშნავს იმას, რომ, თუ რაიმე კონკრეტული მიზნისათვის საფარველი გაჭოლვილი იქნა და პარტნიორებს და აქციონერებს დაეკისრათ პირადი პასუხისმგებლობა, სხვა გარემოებებში ასეთი საფარველი ჯერ კიდევ მოქმედებს და ეს ერთი კონკრეტული ფაქტი არ ნიშნავს იურიდიული პირის არსებობის მთლიანად გაბათილებას.³⁸⁴ ამგვარი ერთჯერადი ხასიათი ამყარებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საფარვლის გაჭოლვა გარკვეული გამონაკლისია პრინციპიდან და მას მნიშვნელოვან მოქნილობას აძლევს. თუ რომელიმე ვალდებულებისათვის საფარვლის გაჭოლვას შეზღუდული პასუხისმგებლობის ავტომატური, სრული უგულებელყოფა მოჰყვებოდა, აღნიშნული იქნებოდა არაპროპორციული და მთლიანად შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს დააყენებდა ექვექვეშ. მეორეს მხრივ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად საფარვლის გაჭოლვასა და წევრების რაიმე კონკრეტული ვალდებულებისათვის პირად პასუხისმგებლობას ლოგიკურად შეიძლება მოჰყვეს იმავეს ალბათობა სხვა ვალდებულებებისთვისაც.

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა უნდა განსხვავებულ იქნას იმ შემთხვევისგან, როდესაც ფიზიკური პირი (კორპორაციის აქციონერი ან პარტნიორი) თვითონვე ჩართულია საქმის გარემოებებში, როგორც მესამე მხარე, მიცემული აქვს პირადი გარანტია ან მან დაზარალებულს ზიანი მიაყენა პირადად, როგორც ფიზიკურმა პირმა და ამგვარად დელიქტისთვისაცაა პასუხისმგებელი. ამ მოცემულ შემთხვევაში საუბარია პირად პასუხისმგებლობაზე, როდესაც კორპორაციული პიროვნულობისა და მისი შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტების უგულებელყოფა არ ხდება. შესაბამისად, პირდაპირი გაგებით, აქ ადგილი არ აქვს კორპორაციული საფარვლის

³⁸² *Close corporations.*

³⁸³ *Easterbrook F.H., Fischel D.R., Limited Liability and the Corporation, The University of Chicago Law Review, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 110.*

³⁸⁴ *Note, Piercing the Corporate Law Veil: The Alter Ego Doctrine under Federal Common Law, Harvard Law Review, Volume 95, No. 4, February, 1982, 865.*

გაჭოლვას, არამედ პარტნიორისა თუ აქციონერისთვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე.³⁸⁵

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება–საფარვლის გაჭოლვა შესაძლოა განხორციელდეს იმგვარადაც, რომ პარტნიორებსა თუ სხვა პირებს პირადი პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ და დადგეს სხვა სამართლებრივი შედეგიც. მაგალითად, პირადი პასუხისმგებლობის ნაცვლად, აქციონერები იმავე თვალთმაქცური კორპორაციის დაფუძნებით ვერ ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით, რომელიც რომელიმე სხვა ქვეყნების იურისდიქციებში არსებობს,³⁸⁶ სასამართლო თავის იურისდიქციას განავრცობს მშობელ ან შვილობილ კორპორაციაზე ან კორპორაციის ანგარიშზე თაღლითობით ან სხვა უკანონობის საშუალებით განთავსებულ ქონებას ამოიღებს.³⁸⁷ რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები იშვიათია და როგორც წესი, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობაც მოჰყვება.

საბოლოო ჯამში, იმისათვის, რომ საფარვლის გაჭოლვა განხორციელდეს პიროვნულობის ინსტიტუტის ფუნდამენტის შერყევის გარეშე, უნდა დაისვას შეკითხვა: გადაწყვეტილება იქნებოდა თუ არა იგივე, იურიდიული პირის ნაცვლად, ფიზიკური პირი რომ ყოფილიყო? თუ პასუხი ამ შეკითხვაზე დადებითია, მაშინ ეს ნიშნავს, რომ არსებობს საფუძველი იურიდიულ პირსაც შესაბამისად მოეპყრან.³⁸⁸

³⁸⁵ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 870-871.

³⁸⁶ *Davies P., Worthington S.*, Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 198-199.

³⁸⁷ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სახეთა კატეგორიზაციაში, პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე კორპორაციული პიროვნულობის უგულვებელყოფას კორპორაციული საფარვლის უკან „შეჭყეტვასაც“ (*Peeping into the corporate veil*) ან „იდენტიფიკაციის“ (როგორც დავინახავთ ქვემოთ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს პრაქტიკაში) შემთხვევებს უწოდებენ. იხ: *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 343-344. *Ottolenghi S.*, From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring It Completely, *The Modern Law Review*, Volume 53, No. 3, May, 1990, 340-343.

³⁸⁸ *French D., Mayson S., Ryan C.*, Mayson, French & Ryan on Company Law, 33rd Ed., Oxford, Oxford University Press, 2016, 132.

3.2.1. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა თელეოლოგიურ ჭრილში

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ისტორიული სათავეების ძიება იმ მარტივი მიზეზითაა გართულებული, რომ, როგორც აღვნიშნეთ, კაპიტალური საზოგადოების აღქმა მასში შემავალი პირებისგან სრულიად განცალკევებულ, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტად შედარებით სიახლეს წარმოადგენს სამართალში. იმავე საერთო სამართლის ქვეყნებში მე-19 საუკუნეში სააქციო საზოგადოება შესაძლოა მიჩნეული ყოფილიყო სუბიექტად, პირად, რომელსაც ჰქონდა საკუთრებისა და სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება და მიუხედავად ამისა, აგრეგატის თეორიის თანახმად, შესაძლოა ის სამართლის თვალში უბრალოდ ცალკეულ პირთა გაერთიანებაც ყოფილიყო, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფას ამარტივებდა. შესაბამისად, ზღვრის გავლება და ზუსტად იმ ისტორიული სასამართლო საქმისა თუ წიგნის მითითება, რომელმაც შეიძლება ითქვას, არსაიდან შექმნა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის კონცეფცია, გართულებულია და ალბათ შეუძლებელიც, რადგან თავიდანვე ასეთი ზღვარი ასე მკვეთრად გავლებული არასოდეს ყოფილა.

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ყველაზე ადრეულ ხსენებად უნდა ჩაითვალოს 1912 წელს გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ამგვარადვე იყო დასათაურებული.³⁸⁹ თვითონ სტატიაში ტერმინი აღნიშნავდა ისეთ მდგომარეობას, როდესაც კორპორაცია გამოყენებული იყო, როგორც თაღლითობის ინსტრუმენტი, ხოლო „კორპორაციული საფარვლის უგულებელყოფა“ უფრო ფართო, ნეიტრალური ტერმინი იყო.³⁹⁰ გაჭოლვა შემდგომში სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში თავისებურად განვითარდა და ეს ისტორიული გზები თითოეული სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი) კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სისტემის განხილვის დროს იქნება მიმოხილული.

³⁸⁹ *Wormser I.M.*, Piercing the Veil of Corporate Entity, *Columbia Law Review*, Volume 12, No. 6, June, 1912.

³⁹⁰ *Michael D.C.*, To Know a Veil, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 1, Fall 2000, 43.

ზოგადი თვალსაზრისით, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც განსაკუთრებული ზომა, როგორც „დამცავი სარქველი“,“³⁹¹ რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას უკანონო თუ უსამართლო მიზნებისათვის. თუ შესაძლებელია იმის ჩვენება და დადასტურება, რომ კორპორაციამ თავისი დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა ან ასეთი მას არასოდეს არც გააჩნდა, მაშინ კორპორაციული პიროვნულობის ფიქციისადმი ბრმა ერთგულებას აზრი ეკარგება, თუ ის უკვე მიმართულია სამართლიანობის ინტერესების საწინააღმდეგოდ და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისათვის.³⁹² შესაბამისად, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა გამომასწორებელი ქმედება იქნება, რომ მოხდეს უსამართლობის, უკანონობისა ან თაღლითობის პრევენცია.

შედეგებიდან გამომდინარე, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას კლასიფიცირებული. ასეთი კლასიფიცირების შედეგად გამოყოფილი კორპორაციული საფარვლის ტიპები მხოლოდ მცირედით განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველა შემთხვევაში მათ, სხვადასხვა ხარისხით, კორპორაციული პიროვნულობის უგულებელყოფა აერთიანებთ. შესაძლებელია, სასამართლო მართო „შეიჭყიტოს“ საფარვლის უკან, ფაქტების დადგენის მიზნით, პირადი პასუხისმგებლობა დააკისროს აქციონერებს, განავრცოს ასეთი საფარვლის გაჭოლვა სხვა კორპორაციულ ერთეულებზეც (იმავე კონცერნში ან ერთიანი ეკონომიკური ერთეულის თეორიის თანახმად) ან საერთოდ უგულებელყოს ცალკე საფარველის არსებობა, როდესაც აშკარაა, რომ ის მართოდენ „ინსტრუმენტი“ ან „ალტერ ეგო“ დომინანტი პარტნიორის ხელში.³⁹³

ზოგადად, როგორც უკვე აღინიშნა, სამართალი კაპიტალურ საზოგადოებას უამრავ უპირატესობას აძლევს, იმ დონემდე რომ ზოგიერთი იმავე შეზღუდულ

³⁹¹ *Safety Valve*. ob: *Blumberg P.I.*, *The Law of Corporate Groups: Statutory Law—General*, Little Brown and Company, Boston, Toronto, London, 1989, 34.

³⁹² *Zaist v. Olson*, 154 F.2d 563, 227 A.2d 552 (1962). ხელმისაწვდომია: <<https://www.courtlistener.com/opinion/2270258/zaist-v-olson/>> [15.11.2020].

³⁹³ *Ottolenghi S.*, *From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring It Completely*, *The Modern Law Review*, Volume 53, No. 3, May, 1990, 340-351.

პასუხიმგებლობას სახელმწიფოს მიერ მიცემული „პრივილეგიის“ ჭრილშიც კი განიხილავს.³⁹⁴ კაპიტალური საზოგადოება, სამართლებრივი ანალოგიით და გონივრული შეზღუდვების გათვალისწინებით, ყველა იმ შესაძლებლობით სარგებლობს, რომელიც ფიზიკურ პირს აქვს. შეზღუდული პასუხიმგებლობა კი იცავს პარტნიორების პირად ქონებას და მათ სარისკო მოქმედებებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. მაგრამ აღნიშნული არ უნდა გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც ერთმხრივად მინიჭებული უპირატესობა. ლოგიკურია კანონმდებლის მოლოდინი, რომ იურიდიული პირი სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების სუბიექტად ჩაითვლება იმ პირობით, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში იგი „საკუთარ“ ინტერესებს გაატარებს და არ იქნება სხვა პირის უბრალო ინსტრუმენტი, მარტოდენ რომელიმე კერძო პირის (პირების) მიზნის მიღწევის ან უფრო უარესი –თაღლითობისა და უკანონობის ჩადენისა და პასუხიმგებლობის თავიდან არიდების საშუალება.³⁹⁵

3.2.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შემადგენელი ელემენტები

3.2.2.1. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ობიექტური მხარე

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, მისი მნიშვნელობისა და გავრცელების მიუხედავად,³⁹⁶ ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მოწესრიგებული და სისტემატიზირებული საკითხია საკორპორაციო სამართალში. არა მარტო სამართლებრივ სისტემებსა და ცალკეულ ქვეყნებს შორის, არამედ ამ ცალკეულ ქვეყნებშიც კი შეიძლება არსებობდეს სულ სხვადასხვა მიდგომები იმ ობიექტური ფაქტორების განსაზღვრისას, რომელთაც უნდა მოჰყვეს საფარვლის გაჭოლვა. შესაბამისად შესაძლებელია მხოლოდ უზოგადესი ასპექტების დადგენა.

³⁹⁴ *Ribstein L.E.*, Limited Liability and Theories of the Corporation, Maryland Law Review, Volume 50, Issue 1, 1991, 81-84.

³⁹⁵ *Müller K.*, Die Haftung der Muttergesellschaft für die Verbindlichkeitender Tochtergesellschaft im Aktienrecht, Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrecht, Band 6, Heft 1, 1977, 25-26.

³⁹⁶ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეები იმავე აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში ფაქტობრივად ყველაზე გავრცელებული საკორპორაციო-სამართლებრივი საქმეებია. იხ: *Thompson R.B.*, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, Cornell Law Review, Volume 76, No. 5, 1991, 1036.

უპირველეს ყოვლისა, გაჭოლვისათვის კორპორაცია, როგორც ასეთი, არ უნდა არსებობდეს. როგორც უკვე დავინახეთ ისტორიული მიმოხილვიდან, ცალკე კორპორაციული პიროვნულობა შედარებით ახალი კონცეფციაა და ამას თავისი მიზეზები აქვს. თუმცა სამართალი აღიარებს იურიდიულ პირს სამართლებრივ სუბიექტად საკუთარი პიროვნულობით, ონტოლოგიურად, იურიდიული პირს საკუთარი, მასში შემავალი პირებისაგან განსხვავებული ცნობიერება ნამდვილად არ გააჩნია. შესაბამისად, როდესაც სასამართლოები საუბრობენ კორპორაციის არარსებობაზე, იგულისხმება იმ ფორმალური თუ შინაარსობრივი ელემენტების არარსებობაც, რომელიც, სამართლებრივად, აღიარებულია იურიდიული პირის, როგორც სუბიექტის, უცილობელ დამახასიათებელ ნიშნებად.

კორპორაციის არარსებობის ფაქტი უნდა დადგინდეს, რეალური სამხილებისა და მტკიცებულებების საფუძველზე და არა მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ წმინდა ნატურალური თვალსაზრისით, იგი სამართლებრივი ფიქციაა (რაც ისედაც სიმართლეა ყველა სახის იურიდიული პირისათვის). საჭიროა დადგინდეს, რომ მისი არსება რომელიმე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირში არის აღრეული, ანუ რომელიმე სხვა პირი კორპორაციის ნიღაბქვეშ ამოფარებული ეწევა საქმიანობას. იმავე „ალტერ ეგოს“ დოქტრინის შემთხვევაში, როგორც დავინახავთ, საჭიროა სახეზე იყოს თვალთმაქცურად შექმნილი, სინამდვილეში არარსებული კორპორაცია და მის უკან მდგარი პირები, რომლებიც რეალურად იყენებენ ამ პირს საკუთარი მიზნებისათვის. სხვა მიდგომებიც ძირითადად იმ იდეიდან გამოდიან: რომ კორპორაცია ცალკე არ უნდა არსებობდეს ანუ ის მოკლებული უნდა იყოს იმ ნიშნებსაც კი, რაც მას სამართლებრივი ფიქციის ფარგლებში აქვს მინიჭებული.

ბოლოს, იმისათვის, რომ უგულებელყოფილ იქნას კორპორაციის ცალკე პიროვნულობა, საჭიროა რომ ადგილი ჰქონდეს უკანონობას ან უსამართლობას, სწორედ ამ ცალკეული პიროვნულობისა და აქედან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტების არსებობით და რომელთა უგულებელყოფის გარეშე სამართლიანობა ვერ აღდგება. მარტოოდენ ცალკე პიროვნულობის არარსებობისას კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა არათანაზომიერი მოქმედება იქნებოდა.

აღნიშნული, თუმცა, სადავო ხდება იმ დოქტრინალური ტესტების შემთხვევაში (განხილული ქვემოთ), რომლებიც მკაცრად არ ითხოვენ კანონდარღვევას ან დანაშაულს და რომელთა გამოყენებისას უკანონო მოქმედების არარსებობა აღარ წარმოადგენს საფარვლის გაჭოლვის დამაბრკოლებელ გარემოებას.³⁹⁷

3.2.2.2. პასუხისმგებელი პირი

მიუხედავად იმისა, რომ საფარვლის გაჭოლვის საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში ფიგურირებს აქციონერი ან პარტნიორი, ანუ პირი ვისაც აქციების ან წილების საკონტროლო პაკეტის საშუალებით შეუძლია საზოგადოების სახელით გადაწყვეტილება მიიღოს, სრულიად შესაძლებელია პირსაც, რომელიც ოფიციალურად პარტნიორი არ არის, დაეკისროს პასუხისმგებლობა პირადად.³⁹⁸ აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება ვერ მოახერხებს ან განზრახ არ განახორციელებს აქციების გამოშვებას და ამდენად მას უბრალოდ არც ეყოლება აქციონერი. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება კორპორაციის მოქმედებები დანახულ იყოს იმ ფიზიკური პირის მოქმედებების გაგრძელებად, რომელმაც რეალურად განახორციელა აღნიშნული ქმედებები. ამ მარტივი სამართლებრივი ფანდით პირებმა პასუხისმგებლობა თავიდან არ უნდა აიცილონ.³⁹⁹

ლოგიკურია, თუ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისას გათვალისწინებული იქნება ის განსხვავებული სტატუსი, რომელიც არსებობს კაპიტალური საზოგადოების მმართველ ორგანოებსა და აქციონერებს შორის. თუ პირველებს აქვთ ფიდუციური მოვალეობები კომპანიისა და მისი აქციონერების მიმართ, რაც მათ პირდაპირ უკრძალავს თავიანთი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებას, აქციონერებისგან

³⁹⁷ იგივე „ალტერ ეგოს“ დოქტრინა არ მოითხოვს რაიმე სამართალდარღვევას ან დანაშაულს, მხოლოდ იმას, რომ კორპორაციის განცალკევებული არსებობის ფიქციისადმი ერთგულება გარკვეულ შემთხვევებში იწვევდეს თაღლითობას ან ახალისებდეს უსამართლობას.

³⁹⁸ *Minton v. Cavaney*, 364 P.2d 473 (Cal. 1961). იხ. აგრეთვე: *Note – Corporations: Attorney-Director-Officer as Alter Ego of Undercapitalized Corporation*, *Duke Law Journal*, Volume 1962, No. 3, Summer, 1962, 450-456.

³⁹⁹ *Gevurtz F.A.*, *Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil.* *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 868.

ოპორტუნისტული, საკუთარი თავის სასარგებლო ქცევა მოსალოდნელია. ისინი წარმოადგენენ ინვესტორებს, რომელთათვის შეზღუდული პასუხისმგებლობა წარმოადგენს სტიმულს, მონაწილეობა მიიღონ სარისკო საქმიანობაში. შესაბამისად, როდესაც საუბარია ბოროტად გამოყენებისათვის პირის პასუხისმგებლობაში მიცემაზე, ხშირად აქ ფიგურირებს სწორედ მენეჯმენტი, რომელსაც რეალურად შეეძლო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.⁴⁰⁰ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ აქციონერს ნებისმიერი მოქმედების განხორციელება შეუძლია – უსამართლობის და მით უმეტეს, უკანონობის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ბუნებრივია მასზეც ვრცელდება.

3.2.2.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სუბიექტური ელემენტი

თუ საფარვლის გაჭოლვის საქმეებში ობიექტური გარემოებებისა და მოთხოვნის განსაზღვრა პრობლემური საკითხია, რადგანაც კითხვა იმის შესახებ, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას თუ არა სუბიექტური ელემენტი, როგორც იმ დომინანტი აქციონერისა, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს სათავისოდ ბოროტად იყენებს, აგრეთვე ამ ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებული მხარისა, არაერთმნიშვნელოვანია.

იმისათვის რომ, საზოგადოების პიროვნულობის უგულვებელყოფა მოხდეს და საფარველი გაიჭოლოს, როგორც უკვე აღინიშნა, ადგილი უნდა ჰქონდეს ბოროტად გამოყენებას. ხშირად ეს დაკავშირებულია არა მარტო ობიექტურ გარემოებებთან, არამედ სუბიექტურ ელემენტთანაც, როდესაც პირი განზრახ ან შესაძლებელია გაუფრთხილებლობითაც, არაკეთილსინდისიერად იქცევა კრედიტორის მიმართ. სუბიექტური ელემენტი ყოველთვის სადავოა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პირის ზუსტი ნებელობითი მდგომარეობის დადგენა ამა თუ იმ მომენტისათვის სირთულეს წარმოადგენს, მით უმეტეს ისეთ სადავო საკითხებში, როგორცაა კორპორაციული

⁴⁰⁰ *Davies P., Worthington S., Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 207-208.* აქვე აღსანიშნავია, რომ კორპორაციის საფარვლის გაჭოლვის საქმეებში მმართველობა და ფლობა ხშირად ერთი და იმავე პირების ხელშია მოქცეულია. იგივე დირექტორს შეუძლია ფლობდეს აქციების საკონტროლო პაკეტს და შესაბამისად ჰქონდეს ფაქტობრივად შეუზღუდავი ძალაუფლება.

საფარვლის გაჭოლვა. შესაბამისად მოსამართლეები იძულებულები არიან არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნონ და ამგვარად მივიდნენ დასკვნამდე.⁴⁰¹

სუბიექტური მდგომარეობის განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ საიდან გამომდინარეობს და რა საფუძვლითაა წყენებული ვალდებულება. დელიქტური ვალდებულებების შემთხვევაში, სასამართლოები უფრო მიდრეკილნი არიან იმისაკენ, რომ საფარველი გაჭოლონ იმავე სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან განსხვავებით, რადგან ამ უკანასკნელთა შემთხვევაში მოსარჩელე მხარე, რომელიც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მოთხოვნით გამოდის, თვითონ შევიდა კაპიტალურ საზოგადოებასთან სამართლებრივ ურთიერთობაში და თვითონვე უნდა გამოეჩინა სიფრთხილე. დელიქტური ვალდებულებების დროს კი, საკმაოდ ხშირად მოსარჩელე მხარე ასეთ არჩევანს მოკლებულია და მისდა უნებურად შედის მოპასუხე კორპორაციასთან სამართლებრივ ურთიერთობაში.⁴⁰²

ამის მიუხედავად, შესაძლებელია სუბიექტურმა ელემენტმა მთლიანად გადაწონოს საქმე და საფარვლის გაჭოლვამდე მიგვიყვანოს, თუ პირის მიერ ჩადენილი მოქმედებები ამკარად უსამართლოა და არაკეთილსინდისიერი. ამგვარად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას ადგილი ექნება ობიექტური გარემოებების ნაკლებობისას⁴⁰³ და სასამართლოს შეეძლება ზოგადი განხილვის შემდეგაც პირადი პასუხისმგებლობა დააკისროს პირებს.⁴⁰⁴

ზოგჯერ სუბიექტური ელემენტს სასამართლომ შესაძლებელია იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს, რომ თუნდაც ყველა ობიექტური გარემოების არსებობის

⁴⁰¹ ადამიანის მხრიდან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის დადგენა რთულია იმავე მიზეზებით, რის გამოც ზოგადად ადამიანის ფსიქოლოგიაა რთული: შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ზედმეტ ოპტიმიზმს, სიტუაციის შელამაზებას ან გადაჭარბებას, რაც პირდაპირ არ მიუთითებს ადამიანის მხრიდან რაიმე ბოროტი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის არსებობაზე. *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 872-873.

⁴⁰² *Campbell R.B.*, Limited Liability for Corporate Shareholders: Myth or Matter-of-Fact, *Kentucky Law Journal*, Volume. 63, No. 1, 1975, 53. მიუხედავად ასეთი ლოგიკური დასკვნისა, ზოგიერთი კვლევა სხვანაირ, დიამეტრალურად განსხვავებულ სურათსაც იძლევა. ამის თაობაზე იხილეთ ქვემოთ.

⁴⁰³ თუმცა არა მთლიანად არარსებობისას. გაჭოლვისათვის გარკვეული ობიექტური საფუძველი ყოველთვის უნდა არსებობდეს.

⁴⁰⁴ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 26.

შემთხვევაში, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას არ ჰქონდეს ადგილი, რადგან დაზარალებული მხარე თავისი ნებით შევიდა არასათანადო კაპიტალიზაციის მქონე შვილობილ კორპორაციასთან სამართლებრივ ურთიერთობაში.⁴⁰⁵ ასეთ შემთხვევებში, როდესაც მეორე მხარემ იცის შვილობილი ან სხვა კორპორაციის ფინანსური მდგომარეობა, საფიქრებელია, რომ მხოლოდ და მხოლოდ განზრახ ჩადენილი თაღლითობისას თუ შეიძლება, რომ არსებობდეს რაიმე საფუძველი საფარვლის გაჭოლვისათვის.

3.2.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ურთიერთმიმართება კორპორაციული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტებთან

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი ისტორიული და თეორიული ექსკურსიდან ნაჩვენებია იყო კაპიტალური საზოგადოების განვითარების ზოგადი გზა. აღნიშნული ინსტიტუტის საფუძვლები და წინაპირობები ასწლეულებისა და, გარკვეული დათქმებით, ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა, თუმცა მხოლოდ უკანასკნელ რამდენიმე საუკუნეში მიიღო მან დასრულებული სახე. როდესაც იურიდიული პირის უფრო კომპლექსური სახეები აღმოცენდა, სამართალმცოდნეები თავიდანვე სირთულეებს გადააწყდნენ. მთავარი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ უნდა აღქმულიყო კორპორაცია, იურიდიული პირი თუ კაპიტალური საზოგადოება. აღნიშნული არ წარმოადგენდა მარტო აბსტრაქტულ დისკუსიასა და თეორიებს – მასზე იყო დამოკიდებული მთლიანად სამართლებრივი პოლიტიკის კონკრეტული მიდგომა და აღნიშნული გაერთიანებების ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მთლიანად ეკონომიკური განვითარებაც.

ამ მიზნით შემუშავდა რამდენიმე თეორია, რომელთაგანც საბოლოო ჯამში გამარჯვებული დღეს საყოველთაოდ აღიარებული *გირკეს* რეალური კავშირის თეორია გამოვიდა, რომლის თანახმადაც კაპიტალური საზოგადოება და ზოგადად იურიდიული

⁴⁰⁵ *Fisser v. International Bank*, 282 F.2d 231, (2d Cir. 1960).

პირი რეალურად არსებულ, ცალკე პიროვნულობის მქონე სუბიექტია. სხვა თეორიები, როგორცაა, მაგალითად, დღესდღეობით აქტუალურობას მოკლებული ფიქციისა და კონცესიის თეორიები ან ძირითადად საერთო სამართალში მეორე პლანზე გადასული აგრეგატისა და ხელშეკრულებითი კავშირის თეორიები, შეიძლება ითქვას ადარ განიხილებიან, როგორც რეალისტური კავშირის თეორიის ქმედითი ალტერნატივები.

შესაბამისად, თუ კაპიტალური საზოგადოება რეალურად არსებულ ფიზიკურ პირთან გათანაბრებული პირია, მაშინ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ინსტიტუტის არსებობაც კი პარადოქსული ხდება. თუ სუბიექტი რეალური პირია, ის არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას და მიჩნეული როგორც არარსებული. საფარვლის გაჭოლვის არსებობა, თუნდაც როგორც გამონაკლისის სახით, კითხვას სვამს თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს იგივე რეალური კავშირის თეორია და ადგილი აქვს თუ არა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვით მის ნაწილობრივ თუ სრულ უარყოფას.

აღნიშნული საკითხის განხილვამდე უნდა მოხდეს კაპიტალური საზოგადოების ისტორიული და თეორიული პერიპეტეების ერთგვარი შეჯამება. კორპორაციამ განიცადა ევოლუციური გზა. იგი წარმოადგენდა ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობითი განვითარების შედეგს და იშვიათად წარმოადგენდა კერძო კანონმდებლის ჩანაფიქრს. იგივე გერმანული შპს-ც (*GmbH*) კი, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, ნებით თუ უნებლიედ, უკვე არსებულ პრცედენტზე-სააქციო საზოგადოებაზე ახდენდა სწორებას და მისი ფორმის გამარტივების ერთგვარ საბოლოო სახეს წარმოადგენდა. შედარებისათვის, იგივე ამხანაგობები და სააქციო საზოგადოებები წარმოიშვნენ სპონტანურად, კერძო პირების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. რომაული *Societas publicanorum*-ი არ იყო სააქციო საზოგადოება დღევანდელი გაგებით, მაგრამ ის მაინც საკმაოდ კომპლექსურ ამხანაგობას წარმოადგენდა, რომლის განსაკუთრებული სტრუქტურა განპირობებული იყო საჯარო სამუშაოებისათვის საჭირო მზარდი კაპიტალის მოზიდვის აუცილებლობით. იმავეს თქმა შეიძლება ოსტინდოეთისა და მეჩვიდმეტე საუკუნის სხვა კომპანიებზე. მოსამართლეები და სამართალმცოდნეები თავიდანვე არაერთმნიშვნელოვნად იყვნენ განწყობილნი ამ

კომპლექსური საზოგადოებების მიმართ და მათ აღსაქმელად უახლოეს ანალოგიებს, ძირითადად ამხანაგურ საზოგადოებებს იყენებდნენ. იგივე აგრეგატისა და ხელშეკრულებითი კავშირის თეორიების წარმოშობაც ასეთი კაპიტალური საზოგადოებების ამხანაგობებთან პარალელის გავლების შედეგად უნდა ჩაითვალოს.⁴⁰⁶ შესაბამისად სამართლის თვალში საკმაოდ მარტივი იყო საზოგადოებაში შემავალი კერძო პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, როგორც ეს ათასწლეულების განმავლობაში ხდებოდა ამხანაგობებში.

რეალური კავშირის თეორიით კაპიტალური საზოგადოებების ეს კავშირი, ეს თეორიული ბმა ამხანაგობებთან, გაწყდა. ამჯერად კაპიტალური საზოგადოება მოგვევლინა, როგორც ნამდვილი პირი, საკუთარი უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით, შეზღუდული პასუხისმგებლობითა და პიროვნულობით. აღნიშნულ თეორიას უამრავი უპირატესობა ჰქონდა: ის ადვილად გასაგები და მარტივი იყო, გარკვევით ასახავდა იურიდიული პირის ბუნებასა და რაობას და ამარტივებდა სამართალწარმოებას. პრობლემა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები დაფიქსირდა, რომლებიც იმდენად სერიოზული იყო, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და, უფრო თუ განვავრცობთ, კორპორაციული პიროვნულობის ინსტიტუტის დაცვას აშკარა უსამართლობა და უკანონობა მოჰყვებოდა. კორპორაციული საფარველის გაჭოლვაც შესაბამისად განვითარდა, როგორც, გარკვეული გაგებით, საგამონაკლისო შემთხვევა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპიდან. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შედარებით იშვიათი გამოყენების მიუხედავად, მას სერიოზული თეორიული მნიშვნელობა აქვს საკორპორაციო სამართლის დოქტრინისათვის, რადგან ის მთლიანად ან ნაწილობრივ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეალური კავშირის გაბატონებულ თეორიას.

კორპორაციული საფარველის გაჭოლვა რამდენიმენაირად შეიძლება იქნას გაგებული – როგორც უბრალოდ გამონაკლისი, როგორც საუკუნეების განმავლობაში

⁴⁰⁶ ფიქციისა და კონცესიის თეორიები ამ მხრივ გარკვეულწილად გამონაკლისს წარმოადგენენ. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ სუვერენის ნებართვის ფაქტზე და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი მისი შინაარსით, გარდა იმის ხაზგასმისა, რომ იურიდიული პირი ფიქციური პირი იყო.

კაპიტალური საზოგადოებებისადმი, როგორც თავისებური ამხანაგობებისადმი, მიდგომის გაგრძელება ან როგორც რეალური გამოწვევა და ანტითეზა რეალური კავშირის თეორიის მიმართ, რომელიც ამ უკანასკნელს თუ საბოლოოდ არ აბათილებს, მის სერიოზულ მოდიფიცირებასა და შეცვლას მოითხოვს.

3.2.3.1. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა. როგორც პრინციპიდან გამონაკლისი

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიჩნევა უბრალო საგამონაკლისო შემთხვევად კორპორაციული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპებიდან, შეიძლება ითქვას, გაბატონული მოსაზრებაა ლიტერატურაში.⁴⁰⁷ ამ მიდგომით კორპორაციული პიროვნულობა და შეზღუდული პასუხისმგებლობა მოქმედ პრინციპს წარმოადგენს, მაგრამ უკიდურეს, „საგამონაკლისო“ შემთხვევებში, დასაშვებია ამ პრინციპის უგულებელყოფა სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ინსტიტუციონალურ საფუძვლებზე დაყრდნობით ხდება უკვე განმტკიცებული პრინციპის უგულებელყოფა.

აღნიშნული მარტივი თეზისი სამწუხაროდ გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული და სამართლებრივი თეორიის გადმოსახედიდან სირთულეებს იწვევს. სამართლებრივი პრინციპსა და ნორმას შორის განსხვავების თაობაზე რამდენიმე, ზოგჯერ განსხვავებული მოსაზრება არსებობს,⁴⁰⁸ მაგრამ ზოგადად მიღებული თვალსაზრისით, სამართლებრივი პრინციპები წარმოადგენენ რეგულირების სამართლებრივ იდეაზე დამყარებულ იმ სახელმძღვანელო სტანდარტებს, რომლებიც

⁴⁰⁷ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის „გამონაკლისად“ (ინგ. *Exception*, გერმ. *Ausnahme*) ან „საგამონაკლისო შემთხვევად“ მიჩნევას. მაგალითად იხილეთ: *ქირია ა.*, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, წიგნი: საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ბურდული ი., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 25. *Navarro J.M.L.*, Piercing the Corporate Veil in Latin American Jurisprudence: A Comparison with Anglo-American Method, Routledge, London, 2016, 2. *Thompson R.B.*, The Limits of Liability in the New Limited Liability Entities, Volume 32, No. 1, Spring 1997, 9. *Witting C.A.*, Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge, Cambridge University Press, 2018, 311. *Hensler/Strohn/Verse.*, Gesellschaftsrecht, 3. Auflage, C.H.Beck, 2016, §13, Rn. 35, s.696. *Wazlawik T.*, Die Konzernhaftung Der Deutschen Muttergesellschaft für die Schulden Ihrer US-amerikanischen Tochtergesellschaft: Eine Rechtsvergleichung, Mohr-Siebeck, Tübingen, 2004, 38.

⁴⁰⁸ ნორმებისა და პრინციპების ურთიერთმიმართებისა და განსხვავების შესახებ იხილეთ: *Ávila H.*, Theory of Legal Principles, Springer Verlag, Dordrecht, 2007, 29-49.

სამართლის გამოყენებისა და ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნიან.⁴⁰⁹ იმავე ნორმებისგან განსხვავებით, პრინციპებს აქვთ თავიანთი წონა და მათი კოლიზიისას უნდა მოხდეს მათი აწონ-დაწონვა და ერთისათვის უპირატესობის მინიჭება მეორეს საზიანოდ, რაც არ ნიშნავს იმას, რომ „დამარცხებული“ პრინციპი ბოლომდე უგულვებელყოფილი ან გაუქმებულია. თვით პრინციპიც შეიძლება განმარტებული იყოს, როგორც უნივერსალური სტანდარტი და წესი, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში არ შეიძლება რომ გამონაკლისი არსებობდეს.⁴¹⁰ პრინციპი რჩება პრინციპად, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ერთს შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს მეორესთან შედარებით, იმ დროს როდესაც ჩვეულებრივი ნორმების კოლიზიისას ერთისთვის უპირატესობის მინიჭება ნიშნავს მეორის ძალის დაკარგვას ან ცვლილებას.⁴¹¹

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, როგორც ცალკე კორპორაციული პიროვნულობა, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობა, წარმოადგენენ სამართლებრივ პრინციპებს და მათ მიმართ გამონაკლისის დაშვების საკითხი განსაკუთრებულ ელფერს იძენს.

ზოგადად სამართლებრივი გამონაკლისის საკითხი მეტად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ თეორიაში მას დიდი ყურადღება არ ენიჭება და ხშირად, როგორც უმნიშვნელო დანამატი, ისე განიხილება. გამონაკლისის თემა იმითაა საინტერესო, რომ თავისი არსით ის ქმედება, რომელიც წარმოდგენილია გამონაკლისის სახით, თვით ნორმაშივეა უკვე მოცული.⁴¹² იგივე ლინგვისტურ კონსტრუქციაში „დაშვებულია/დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა...“, უკანასკნელი სამი სიტყვა ასახავს იმ შემთხვევას, როდესაც ნორმა მოქმედებს/არ მოქმედებს.⁴¹³ კორპორაციული

⁴⁰⁹ *Larenz K.*, Methodenlehre der Rechtswissenschaft. 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg GmbH, 1991, 474.

⁴¹⁰ *McDonald H.P.*, Principles: The Principles of Principles, The Pluralist, Volume 4, No. 3, Fall 2009, 99.

⁴¹¹ *Dworkin R.*, Taking Rights Seriously, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, 1977, 26-27.

⁴¹² *Schauer F.*, Exceptions, University of Chicago Law Review, Volume 58, No. 3, Summer 1991, 872-874.

⁴¹³ ყოველ შემთხვევაში ეს ერთ-ერთი მიდგომაა. გამონაკლისი შეიძლება იგულისხმებოდეს თვითონ ნორმაში, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ნამდვილი „გამონაკლისი“, როგორც ასეთი, არ არსებობს, რადგან ის უკვე თვით ნორმითაა მოცული (ამ მოსაზრებას იზიარებდა *რონალდ დეორკინი*), შესაბამისად ის შესაძლებელია მიჩნეული იყოს გარკვეულ დამატებად, რომელიც აზრს უცვლის ნორმას ან უბრალოდ თავისებურ სტილისტურ კონსტრუქციადაც. იხ: *Finkelstein C.O.*, When the Rule Swallows the Exception, Quinnipiac Law Review, Volume 19, 2000, 506-512.

საფარვლის გაჭოლვის საგამონაკლისო ხასიათიც აქ ნიშანდობლივია, რადგან ზოგიერთ იურისდიქციაში მისი ჩამოყალიბება სასამართლო პრაქტიკის სახით მოხდა და არა რაიმე კონკრეტული საკანონმდებლო ნორმის საშუალებით. შესაბამისად, იგი ხშირად არ არის კოდიფიცირებული და არ არის მოქცეული იმავე ნორმაში, რომელიც განამტკიცებს კორპორაციული პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს.⁴¹⁴

გაჭოლვის მიჩნევა ჩვეულებრივ გამონაკლისად წარმოადგენს ყველაზე მარტივად დასაბუთებულ, თუმცა არა სიღრმისეულ და ყოვლისმომცველ განმარტებას. თუმცა თეორიული საფუძვლების განზე გადადებითა და ზოგადად საკითხის მიმართ პრაგმატული მიდგომით, შესაძლებელია ამ გზით ამ საკითხის ამოწურვაც.⁴¹⁵

სხვა მსგავსი, თუმცა არა იგივე, მიდგომა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისადმი არის მისი მიჩნევა კრედიტორების დაცვის საყოველთაოდ გამოყენებადი ინსტრუმენტების შემცვლელად ან მათ დამატებად. მაგალითად, ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებული ქონების უკანონო (თაღლითური) გადაცემის (*fraudulent conveyance*) ინსტიტუტი რეალურად აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, რომლებსაც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ინსტიტუტიც იყენებს იმისათვის, რომ დაცულ იქნას კრედიტორთა ინტერესები და მოთხოვნები.⁴¹⁶ ასეთი ახსნა ძირითადად სპეციფიკურია საერთო-სამართლის იურისდიქციებისათვის.

⁴¹⁴ ამ შემთხვევაში საინტერესო გამონაკლისია ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნეს კორპორაციების სანიშნო აქტი (MBCA), რომლის §6.22 (b) პარაგრაფის თანახმად, („თუ სხვანაირად არ იქნება დადგენილი დაფუძნების აქტით, კორპორაციის აქციონერი პირადად არ აგებს პასუხს კორპორაციის ქმედებებს ან ვალდებულებებზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის შესაძლებელია პირადად პასუხისმგებელი იყოს მისი საკუთარი ქმედებების ან ქცევისათვის“ („Unless otherwise provided in the articles of incorporation, a shareholder of a corporation is not personally liable for the acts or debts of the corporation **except that** he may become personally liable by reason of his own acts or conduct.“) ხელმისაწვდომია: <http://www.lexisnexis.com/documents/pdf/20080618091347_large.pdf> [15.11.2020].

⁴¹⁵ როგორც უკვე აღინიშნა, საერთო-სამართლებრივი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სამართლებრივი პრაგმატიზმი. ისევე როგორც შესაძლებელია აქციონერის მხრიდან ხელშეკრულებით ფაქტობრივად უარის თქმა შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე (იგულისხმება პირადი გარანტია), ასევე შესაძლებელია კანონითაც დადგინდეს გამონაკლისები.

⁴¹⁶ *Clark R.C.*, The Duties of the Corporate Debtor to Its Creditors, Harvard Law Review, Volume 90, No. 3, January, 1977, 505.

3.2.3.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, როგორც ისტორიული მიდგომის გაგრძელება

გარდა იმ მოსაზრებისა, რომლის მიხედვითაც საფარვლის გაჭოლვა გაგებულ უნდა იყოს თელეოლოგიურად ანუ მიზნიდან გამომდინარე – საფარველი იჭოლვება მხოლოდ და მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, უსამართლობის, დანაშაულის ან სხვა კანონდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია იგი განხილულ იქნას სხვა კონტექსტშიც, მათ შორის ისტორიულშიც.

როგორც უკვე აღინიშნა, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის წარმოშობა გარკვეულწილად ბურჟუაზიულ მოცულობაში მოხდა. თუ იგივე კონკრეტული დოქტრინების (მაგ. „ალტერ ეგო“, „ინსტრუმენტალურობა“) ისტორია მეტ-ნაკლებად ცნობილია (როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები), რთულია მითითებულ იქნას რომელიმე კონკრეტული წიგნი ან საქმე, რომელმაც სათავე დაუდო მთლიანად ამ ინსტიტუტს. ეს მარტივი მიზეზითაა გამოწვეული – დიდი ხნის განმავლობაში თვით ინკორპორირებულ სააქციო საზოგადოებებშიც შეზღუდული პასუხისმგებლობა და განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობა, როგორც უკვე დავინახეთ, ამორფული, ჩამოუყალიბებელი კონცეფციები იყო. შესაბამისად, სასამართლოებისათვის აქციონერებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება არ წარმოადგენდა რაიმე გართულებას და არ იწვევდა რაიმე წინააღმდეგობას. ისტორიულად ასეთი განვითარების გამო, საკითხავია დღევანდელი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაც ხომ არ შეიძლება რომ ამგვარად იქნას აღქმული – როგორც ისტორიული მიდგომის გაგრძელება და მისი გადმონაშთი?

საფარვლის გაჭოლვის ასეთი ისტორიული გააზრება პრობლემურია იმ მხრივ, რომ, განსხვავებით წინა საუკუნეებისა, დღესდღეობით ცალკე კორპორაციული პიროვნულობა და შეზღუდული პასუხისმგებლობა უკვე აღიარებულია თითქმის ყველა იურისდიქციაში, როგორც სამართლის პრინციპი. შესაბამისად ალოგიკური და უცნაური იქნებოდა აღნიშნული მიდგომის ბრმად, ინერციით გაგრძელება იმ დროს, როდესაც სამართლებრივი პოლიტიკა ამგვარად შეცვლილია. ამავდროულად, კორპორაციული

საფარვლის გაჭოლვის გადაწყვეტილებებში აღნიშნული ისტორიული გამართლება იშვიათადაა მოცემული–მის ნაცვლად უფრო ხშირია წინა სასამართლო პრეცედენტებისა ან კანონების მოხმობა, რომელიც თეორიულ პოსტულატებზეა დამყარებული. აღნიშნული ახსნა-განმარტება შესაძლოა სიმართლეს შეესაბამებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც მხოლოდ ისახებოდა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის კონტურები, მაგრამ დღესდღეობით ასეთი ახსნა ნაკლებად დამარწმუნებელია.

3.2.3.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, როგორც გამოწვევა რეალური კავშირის თეორიისადმი

როგორც უკვე აღინიშნა ნაშრომში, *გირკეს* რეალისტური კავშირის თეორია (*Theorie der realen Verbandspersonen; reale Verbandstheorie*) მიმართულია იმისკენ, რომ პირდაპირი პარალელი გაავლოს ბუნებრივ პირებთან და იურიდიულ პირსაც განმარტავს, როგორც ნამდვილ და სრულ ფიზიკურ პირს, რომელიც განსხვავდება მასში შემავალ ინდივიდთა უბრალოდ გაერთიანებისგან.⁴¹⁷

შესაბამისად, თუ ჩვენ გავიზიარებთ ამ თეორიას და მივიღებთ მას, როგორც იმ თეორიულ ბაზისს, რომელსაც ეყრდნობა ყველა იურიდიული პირი, მათ შორის, კაპიტალური საზოგადოება, ლოგიკურად დაისმევა შეკითხვა, თუ კერძოდ რა ურთიერთმიმართება არსებობს აღნიშნულ თეორიასა და კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დღესდღეობით თუნდაც სპონტანურად ჩამოყალიბებულ და მეტწილად გაურკვეველ, მაგრამ მაინც აპრობირებულ პრაქტიკას შორის. თუ იურიდიული პირი, იმავე *გირკეს* აზრით, ემსგავსება ფიზიკურ პირს, ინდივიდს, მაშინ ისევე როგორც შეუძლებელია ინდივიდუალურ, ფიზიკურად არსებულ პირს სამართლებრივად პიროვნულობა არ გააჩნდეს ან წაერთვას, თუნდაც „სამართლიანობის“ მოთხოვნით, აღნიშნული, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას. ამ კუთხით ეს ორი იდეა ერთმანეთთან შეუთავსებელია. შესაბამისად, ვინაიდან

⁴¹⁷ „Die Verbandsperson ist einewirkliche und volle Person gleich der Einzelperson, jedoch im Gegensatz zu dieser einzusammengesetzte Person“. იხილეთ: *Gierke O.*, Deutsches Privatrecht. Band I: Allgemeiner Teil und Personenrecht, Leipzig, 1895, 470.

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის პრაქტიკაზე სრული უარი იმავე სასამართლოებისა თუ იურისტების მხრიდან ნაკლებად სავარაუდოა, მაშინ ერთადერთი ლოგიკური დასკვნა რაც შეიძლება არსებობდეს არის ის, რომ რეალისტური კავშირის თეორია დღესდღეობით აღარ არის ისევე აქტუალური, როგორც ადრე და ის ან მთლიანად უნდა ჩანაცვლდეს ან იმგვარად უნდა მოხდეს მისი მოდიფიცირება, რომ ზუსტად ასახავდეს დღევანდელ რეალობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, არის თუ არა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა იმდენად მნიშვნელოვანი გამონაკლისი, რომ იგი ფუნდამენტალურად ცვლის რეალისტური კავშირის თეორიის არსს?

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ თვით *გირკეს* აზრით, იურიდიული პირი ფიზიკური პირის *მსგავსია (gleich der Einzelperson)*⁴¹⁸ ანუ ადგილი აქვს შედარებას და არა ამ ორს შორის აბსოლუტური ტოლობის ნიშნის დასმას. როგორც უკვე ითქვა, რეალისტური კავშირის თეორიის თვით ყველაზე რადიკალური გაგებითაც კი, ფიზიკური და იურიდიული პირი ვერასოდეს ვერ იქნებიან აბსოლუტურად იდენტურნი. ყველაზე ბანალური მაგალითი იქნებოდა თუნდაც იგივე ქორწინების შემთხვევა ან ის, რომ იურიდიული პირი ვერასოდეს ვერ გახდება მშობელი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ის მართალია ფლობს ყველა ძირითად უფლებას, მაგრამ მათში არ შედის ისეთი უფლებები, რომლებიც მოითხოვენ ადამიანურ თვისებებს ან ფიზიკურად არსებობას.⁴¹⁹

ამგვარად უფრო ლოგიკური იქნებოდა რეალისტური კავშირის თეორიის შეთანხმება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვასთან. კორპორაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც რეალურად არსებული პირი, რომელიც *მსგავსია* ფიზიკური პირისა და მისი პიროვნულობა დაცულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლიანობის მიზნებისათვის საჭიროა ასეთი პიროვნულობის უგულებელყოფა. შესაბამისად ასეთი კონსტრუქციით შენარჩუნებული იქნება ფიზიკურ პირთან

⁴¹⁸ *Gierke O.*, Deutsches Privatrecht. Band I: Allgemeiner Teil und Personenrecht, Leipzig, 1895, 470.

⁴¹⁹ *Petrin M.*, A Balancing Approach to Corporate Rights and Duties, წიგნში: Understanding the Company: Corporate Governance and Theory, Ed. *Choudhury B., Petrin M.*, Cambridge, Cambridge University Press, 2017, 235.

მსგავსების ელემენტი და ასევე კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის, როგორც სამართლებრივი პრინციპიდან გამონაკლისის, კონცეფცია.

3.2.4. ემპირიული მონაცემები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე

შეზღუდული პასუხისმგებლობა და ცალკე კორპორაციული პიროვნულობა წარმოადგენენ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიმართ დამოკიდებულება, როგორც რაღაც არანორმალურის, როგორც რაღაც „გადახრის“ ან „განსაკუთრებული შემთხვევის“, ასევე ფართოდაა გავრცელებული. შესაბამისად, საინტერესოა, რომ მიუხედავად მისი „საგამონაკლისო“ სტატუსისა, სამართლებრივი სტატისტიკით საფარვლის გაჭოლვა არც თუ ისე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. აგრეთვე, თუ ლოგიკა გვკარნახობს, რომ დელიქტურ საქმეებში უფრო ხშირია საფარვლის გაჭოლვა, ვიდრე სახელშეკრულებოში, აღნიშნული ვარაუდი ყველა სტატისტიკური კვლევით არ არის დამოწმებული.⁴²⁰

მონაცემების განხილვაზე გადასვლამდე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სტატისტიკა შეცდომებისგან დაზღვეული სულაც არ არის. შერჩევაში შეცდომა (*selection bias*) და სხვა ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და შესაძლებელია სტატისტიკა რეალურად ეყრდნობოდეს უნებლიედ შერჩეულ საქმეებს, რომელშიც

⁴²⁰ სასამართლოები უფრო მზად არიან გაჭოლონ საფარველი სახელშეკრულებო დავების დროს, ვიდრე დელიქტის შემთხვევაში. იხილეთ: *Thompson R.B.*, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, *Cornell Law Review*, Volume 76, No. 5, 1991, 1058. *Matheson J.H.*, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, *Berkeley Business Law Journal*, Volume 7, Issue 1, June 2010, 20. აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნის დელიქტურ საქმეებში დიდი რაოდენობით დაუსაბუთებელი (*frivolous*) სარჩელების არსებობით. სხვა ახსნით, რადგან კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაში მნიშვნელოვანი ფაქტორი არის უკანონო მოქმედება, ხშირად განზრახ ჩადენილი, აღნიშნულის არარსებობა დელიქტის საქმეებში, ლოგიკური ვარაუდის მიუხედავად, ართულებს კორპორაციული ფორმის უგულებელყოფას და საერთო სამართლის დელიქტის პრაქტიკის თანახმად, ვალდებულება თვითონ პირადად აქციონერს ეკისრება კომპანიასთან ერთად, მაგრამ საფარვლის გაჭოლვის გარეშე. იხ: *Levenberg P.N.*, The Mystery of the Corporate Veil: Comparing Anglo-American Jurisdictions, *Penn State Journal of Law and International Affairs*, Volume 7, No. 1, 2019, 139. *Khimji M.F., Nicholls C.C.*, Piercing the Corporate Veil in the Canadian Common Law Courts: An Empirical Study, *Queen's Law Journal*, Volume 41, No. 1, Fall 2015, 246-247.

მოთხოვნილი იყო პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობა, რაც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს საბოლოო შედეგზეც.

ამ შენიშვნის კვალობაზე, უნდა ითქვას, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვასთან დაკავშირებით ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა მაინც საინტერესო შედეგები აჩვენა. უპირველეს ყოვლისა, აშშ-ში იმ სასამართლო საქმეთა პროცენტული წილი, რომელიც საფარვლის გაჭოლვით დამთავრდა, საკმაოდ მაღალი იყო: 31.86%-დან⁴²¹ 40.18%-მდე⁴²² კი. აღნიშნულმა, უთუოდ მაღალმა მონაცემმა არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ საფარვლის გაჭოლვა უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა საკორპორაციო სამართალში. პირიქით, იმ საქმეებშიც რომლებშიც საკმარისად იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძვლები, ყოველ შემთხვევაში იმ ოდენობით მაინც, რომ სასამართლომ ეს საქმე განსახილველად მიიღო, უმეტეს შემთხვევაში (60-70%) საფარვლის გაჭოლვას ადგილი არ ჰქონდა. აქვე საინტერესოა, რომ გაჭოლვის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები სისხლისსამართლებრივ საქმეებსა და საკანონმდებლო (სტატუტის) მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებში აღმოჩნდა.⁴²³

შემდგომში ამერიკული საკორპორაციო სამართლის საქმეების მაგალითზე ჩატარებული უფრო ფართო კვლევებით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის პროცენტული მაჩვენებელი თითქმის 50%-მდე გაიზარდა და ხაზი გაესვა როგორც თაღლითობისა, ასევე შეცდომაში შეყვანისა და ცრუ წარმომადგენლობის (*misrepresentation*) როლს. ამ კვლევით საბოლოოდ მიღებული იქნა ის შედეგი, რომელიც სამართლებრივი ლოგიკითაა ნაკარნახევი: დელიქტურ საქმეებში უფრო მეტი იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ალბათობა, ვიდრე სახელშეკრულებოში.⁴²⁴

სხვა ქვეყნებში მსგავსი, თუმცა არა იდენტური შედეგები დაფიქსირდა. გაერთიანებულ სამეფოში საფარვლის გაჭოლვას ადგილი ჰქონდა 35.65% შემთხვევებში და აშშ-ს მსგავსად სისხლისსამართლებრივ საქმეებში უფრო მეტად ფიქსირდებოდა

⁴²¹ *Matheson J.H.*, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, *Berkeley Business Law Journal*, Volume 7, Issue 1, June 2010, 14.

⁴²² *Thompson R.B.*, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, *Cornell Law Review*, Volume 76, No. 5, 1991, 1048. თუმცა აღნიშნულ კვლევით მოცული იყო შეზღუდული გაჭოლვის საქმეებიც.

⁴²³ *Matheson J.H.*, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, *Berkeley Business Law Journal*, Volume 7, Issue 1, June 2010, 23.

⁴²⁴ *Oh P.B.*, Veil-Piercing, *Texas Law Review*, Volume 89, No. 1, November 2010, 89-90.

გაქოლვის შემთხვევები, ვიდრე სახელშეკრულებოში, თუმცა ამ უკანასკნელში მაინც უფრო ნაკლები შანსი იყო საფარვლის გაქოლვისა, ვიდრე დელიქტურ საქმეებში.⁴²⁵

ემპირიული კვლევა ჩატარდა ავსტრალიაშიც, სადაც კორპორაციული საფარვლის გაქოლვის პროცენტული რაოდენობა გაერთიანებული სამეფოს მსგავსი იყო – 38.46%, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს შერჩეულ საქმეთა მცირე რაოდენობა (სულ 104), რაც აღნიშნული კვლევის განზოგადების ფარგლებს გარკვეულწილად ზღუდავს.⁴²⁶ უფრო ფართო კანადურმა კვლევამ (600-ზე მეტი შერჩეული საქმე) მიახლოებით იგივე პროცენტული რაოდენობა დაადგინა – 36.03% და დელიქტურ საქმეებში გაქოლვის შემთხვევა აქაც უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სახელშეკრულებოში, რაც დელიქტურ სამართალში პასუხისმგებლობის თავისებურებებით იყო ახსნილი.⁴²⁷ აღსანიშნავია, რომ „ალტერ ეგო“, „თოჯინა“, „ინსტრუმენტი“ „აგენტი“, „გამტარი“ (*conduit*), კუმულაციურად 38.57%-ში იყო მოხსენიებული კორპორაციული საფარვლის გაქოლვის მიზეზად, რაც აქციონერთა დომინანტური მდგომარეობისა და კონტროლის შემდეგ (45.75%) ყველაზე ფართოდ გავრცელებული საფუძველი იყო.⁴²⁸

კორპორაციული საფარვლის გაქოლვას გაცილებით უფრო მცირე მასშტაბით მიმართავენ აგრეთვე სხვა საერთო სამართლის იურისდიქციებშიც. მაგალითად, იმავე ჰონგ-კონგში კორპორაციული საფარვლის გაქოლვა მართლაც გამონაკლისი შემთხვევაა და ერთ-ერთ კვლევაში, მიუხედავად ჰონგ-კონგში რეგისტრირებულ კომპანიათა დიდი რაოდენობისა, მოძიებულ იქნა მხოლოდ 41 საქმე, რომელიც საფარვლის გაქოლვას ეხებოდა, საიდანაც მხოლოდ 18 საქმეში (43.9%) ჰქონდა ადგილი გაქოლვას.⁴²⁹

ზემოაღნიშნული ემპირიული კვლევები გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის საქმეები იშვიათია, მაგრამ იმ საქმეებში, რომელსაც სასამართლო რეალურად განიხილავს, გაქოლვის ალბათობა

⁴²⁵ *Dignam A., Oh P.B.*, Disregarding the Salomon Principle: An Empirical Analysis, 1885–2014, *Oxford Journal of Legal Studies*, Volume 39, No. 1, 2019, 18-19.

⁴²⁶ *Ramsay I.M., Noakes D.B.*, Piercing the Corporate Veil in Australia, *Company and Securities Law Journal*, Volume 19, 2001, 269-271.

⁴²⁷ *Khimji M.F., Nicholls C.C.*, Piercing the Corporate Veil in the Canadian Common Law Courts: An Empirical Study, *Queen's Law Journal*, Volume 41, No. 1, Fall 2015, 232, 246-247.

⁴²⁸ იქვე, 232, 248.

⁴²⁹ *Cheng T.K.*, The Lifting of Corporate Veil Doctrine in Hong Kong: An Empirical, Comparative and Development Perspective, *Common Law World Review*, Volume. 40, No. 3, 2011, 211-213.

არც თუ ისე მცირეა. კვლევები მუდმივად აჩვენებენ, რომ საქმეთა მესამედში ან შესაძლებელია ნახევარშიც კი, კორპორაციის პარტნიორებს ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა, რაც უმნიშვნელო რაოდენობა სულაც არ არის. ამის მიუხედავად, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურად შერჩეულ საქმეებშიც კი, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ალბათობა თითქმის არასოდეს არ აღემატება 50%-ს, რასაც ფაქტობრივად, დღეის მდგომარეობით არსებული ყველა კვლევა ადასტურებს. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მოსამართლეთა სიფრთხილეს, არ უგულებელყონ შეზღუდული პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი პრინციპი და უპირველეს ყოვლისა, იფიქრონ განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობის ინსტიტუტის დაცვაზე.

3.2.5. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დოქტრინის კრიტიკა

კორპორაციული საფარველის დოქტრინა არ ჩამოყალიბდა გააზრებულად, რაიმე სისტემური განხილვის შედეგად. იგი სპონტანური სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული დოქტრინის ნაყოფია. როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის შენარჩუნებას აშკარა უსამართლობა ან უკანანობა მოჰყვებოდა, იურიდიულად ყველაზე გამართლებულ გზა იყო ამ პრინციპის იგნორირება – რა თქმა უნდა, გამონაკლისის სახით. რადგან უსამართლობა და უკანონობა სუბიექტური ცნებებია, რომელთა უკანაც შეიძლება განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები იდგეს, გაჭოლვის პრაქტიკაც ხშირად არათანაბარი, არაერთგვაროვანი და სპონტანური იყო. ამის გამო, უცნაური არ არის ის ფაქტი, რომ თვით დოქტრინაც არაერთხელ გამხდარა მძაფრი კრიტიკის საგანი და მას არც დღეს აკლია კრიტიკოსები.⁴³⁰

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაში არის მისი დოგმატური საფუძვლის არარსებობა ან არსებობის შემთხვევაში, უკიდურესი განუსაზღვრელობა და ამორფულობა. თვითონ საფარვლის გაჭოლვა ხშირად მხოლოდ

⁴³⁰ გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ბურდული ი., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 76.

და მხოლოდ ცარიელი მხატვრული ფრაზაა, იდიომა, რომელიც გამოხატავს წინასწარ განუჭვრეტად პროცესსა და შედეგს, რომელსაც რაიმე რეალური მკვეთრად გამოკვეთილი თეორიული საყრდენი არ გააჩნია.⁴³¹

როგორც მოსალოდნელია, საფარვლის გაჭოლვა ვერ იქნება ყველანაირ საქმეზე ზუსტად ზედგამოჭრილი და მორგებული. ის საკუთარი არსიდანვე გამომდინარე დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებზე. მნიშვნელოვანია მხედველობაში მიღებულ იქნას საზოგადოების სახე, თვით პირის მოქმედება და ა.შ. უნდა გათვალისწინებულ იქნას ეკონომიკური გარემო და საფარვლის გაჭოლვის შემთხვევაში, შესაძლო შედეგები. ეკონომიკის განსხვავებული სექტორები შესაძლოა გამოირჩეოდნენ ისეთი თავისებურებებით, რომ მათში საფარვლის გაჭოლვას უფრო მეტი უარყოფითი მოჰყვეს, ვიდრე დადებითი. აღნიშნული ეხება, მაგალითად მკაცრად რეგულირებულ სადაზღვევო და საბანკო სექტორებს, სადაც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ტრადიციული ფაქტორები, როგორცაა დომინანტური მდგომარეობა და არასათანადო კაპიტალიზაცია ნაკლებად აქტუალურია დეტალური, სკრუპულოზური სამართლებრივი რეგულაციების არსებობის გამო.⁴³² ამასთანავე, კორპორაციული პიროვნულობის უგულვებელყოფას ასეთ სფეროში შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყვეს მთლიანი ინდუსტრიისათვის ან იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება მთლიანად სახელმწიფო თუ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

ამგვარი სირთულეების გათვალისწინებით, როდესაც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა საფრთხის შემცველია და აღნიშნული შეიძლება დადგეს მოსამართლის მიერ მყიფე სამართლებრივ ნიადაგზე მიღებული საკამათო გადაწყვეტილებით, გასაგები გახდება იმ სამართალმცოდნეთა მოთხოვნა, რომლებიც პირდაპირ მოუწოდებენ საფარვლის გაჭოლვის დოქტრინის გაუქმებისკენ. ალტერნატივად ისინი თვითონ პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას აყენებენ, როდესაც აქციონერი საკუთარი არასწორი ან უკანანო ქმედებისათვის აგებს პასუხს,

⁴³¹ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 135.

⁴³² *Smith D.G.*, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, Brigham Young University Law Review, Volume 2008, No. 4, 2008, 1200-1205.

მაგრამ თვითონ კორპორაციის პიროვნულობა ხელუხლებელი რჩება.⁴³³ ასევე ალტერნატივად სახელდება სავალდებულო დაზღვევაც, თუნდაც სამართლიანი იყოს შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ახალი საზოგადოებისათვის ასეთი დაზღვევის მოძიება მარტივი არ იქნება.⁴³⁴

აღნიშნული მოსაზრების საპასუხოდ აღნიშნულია, რომ, მიუხედავად გაურკვევლობისა და ბუნდოვნებისა, ზოგადი ბაზისი სტანდარტების, წინაპირობებისა და მოთხოვნების სახით, იქნება ეს სასამართლო პრეცედენტები თუ საკანონმდებლო ნორმები, მაინც არსებობს, რომლებსაც სასამართლოები ასე თუ ისე მაინც მისდევენ. მაგალითად, თითქმის უნივერსალურს წარმოადგენს კონტროლისა და თაღლითობის (ან რაიმე უსამართლო ქმედების) ფაქტორის მოთხოვნები, თუნდაც რომ ეს რაიმე მკაცრად განსაზღვრულ სისტემატიურ ჩარჩო-სტრუქტურაში მოქცეული არ იყოს.⁴³⁵ ამგვარად, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, საფარვლის გაჭოლვა მაინც საჭირო და აუცილებელ ინსტრუმენტად უნდა ჩაითვალოს უკანონობისა და უსამართლობის აღსაკვეთად და უნდა იყოს გამოყენებული, რა თქმა უნდა იმგვარად, რომ მხედველობაში იქნება მიღებული და არავითარ შემთხვევაში არ იქნება უგულებელყოფილი ის მნიშვნელოვანი რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება რომ არსებობდეს ამა თუ იმ საზოგადოების კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შედეგად, როგორც კონკრეტულად იმ სიტუაციაში, ასევე ზოგადად შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან მიმართებაში.

⁴³³ *Bainbridge S.M.*, Abolishing Veil Piercing, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 3, Spring 2001, 516, 533-534.

⁴³⁴ *ბარაიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 140,

⁴³⁵ *Smith D.G.*, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, *Brigham Young University Law Review*, Volume 2008, No. 4, 2008, 1187.

IV. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის პრაქტიკა კონკრეტულ იურიდიისქეიბში

4.1 საფარვლის გაჭოლვა გერმანულ სამართალში

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიმართ სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა მიდგომები აქვთ. იმისათვის რომ წინამდებარე ნაშრომით ზოგადი წარმოდგენა მაინც შეიქმნას ამ ინსტიტუტზე, მიზანშეწონილი იქნება ამ ქვეყნების სამართლებრივი პოლიტიკისა და მიდგომების მიმოხილვა, რადგან ამ იურისდიქციებს შორის მსგავსებები ისევე, როგორც განსხვავებები, საკმაოა. ამ თავში მიმოხილვა კონტინენტური სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წარმომადგენლით – გერმანიის ფედერაციით დაიწყება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული საკორპორაციო გარემო გაცილებით უფრო რეგულირებულია თუნდაც იმავე ამერიკულთან შედარებით. კრედიტორების უფლებების დაცვისათვის არსებობს კონკრეტული, კარგად ორგანიზებული საკანონმდებლო სტრუქტურა, რომელიც მოიცავს კორპორაციათა ჯგუფების სამართლის დეტალურ მოწესრიგებას.⁴³⁶ ამავდროულად, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მხრივ, აქაც კი არსებობს პრობლემური ასპექტები, რომლებიც რაიმე მკაცრად განსაზღვრულ და მოწესრიგებულ ჩარჩოში მოქცეულნი არ არიან. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის პრობლემატიკა აღიარებულია, როგორც საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავო საკითხი.⁴³⁷

რთულია თუნდაც ამ ინსტიტუტის (თუ მას ინსტიტუტად მივიჩნევთ, რაც გერმანულ სამართალში საყოველთაოდ აღიარებული არ არის) ნათელი კონტურების წარმოდგენა და საბოლოო ჯამში, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სხვა მსგავს

⁴³⁶ *Miller S.K.*, Piercing the Corporate Veil among Affiliated Companies in the European Community and in the U.S.: A Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, *American Business Law Journal*, Volume. 36, No. 1, Fall 1998, 105.

⁴³⁷ *Schmidt K.*, *Gesellschaftsrecht*, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 II, s.219.

სამართლებრივ ინსტიტუტებთან ზუსტი პარალელების გავლება.⁴³⁸ როგორც ამერიკული *Piercing the Corporate Veil* ან ბრიტანული *Lifting the Corporate Veil*, გერმანული *Durchgriff*-ის ცნებაც პრობლემებითაა დახუნძლული. ბოლომდე გარკვეული არ არის, ასეთი ფართო, თუმცა, გარკვეულწილად აზრსმოკლებული,⁴³⁹ ტერმინის ქვეშ რა იგულისხმება, მაინც რა მნიშვნელობას ატარებს ის, როგორ უნდა განიმარტოს და თუ რომელ ფაქტებსა და გარემოებებს მოიცავს ის.⁴⁴⁰ კრიტიკის ქვეშ ექცევა აგრეთვე თეორიული კონსტრუქციებიც, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, მათი პრაქტიკული გამოყენებადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და რაიმე სამართლებრივი ნორმის ან დებულების ჩამოყალიბება, რომელთა ქვეშაც სუბსუმცია იქნებოდა შესაძლებელი, ნაკლებადაა შესაძლებელი.⁴⁴¹

დღესდღეობით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძვლად მიჩნეულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (*BGB*) § 242, 826 პარაგრაფები, ასევე დამატებით დოგმატურ საფუძვლად ნახსენები სავაჭრო კოდექსის (*HGB*) § 128 და §129 პარაგრაფებიც. მნიშვნელოვანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (*GmbHG*) მე-13 პარაგრაფის მეორე ქვეპარაგრაფი, რომელიც განამტკიცებს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს – საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე მხოლოდ საზოგადოებისვე ქონებაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული თუმცა არ ნიშნავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგია არ შეიძლება დაძლეულ იქნას ზოგადსამართლებრივ საწყისებზე.⁴⁴²

⁴³⁸ *Grigoleit H.*, *Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes*, C.H.Beck, München, 2006, 221.

⁴³⁹ („unter dem verbreiteten, aber zu wenig aussagekräftigen Stichwort *“Durchgriff“*). იხ: *Bürgers/Korber/Westermann.*, *Aktiengesetz*, Heidelberg Kommentar, 4.Auflage, 2017, §1, Rn.26, s.48.

⁴⁴⁰ *Goette/Habersack/Kalss/Heider.*, *Münchener Kommentar zum Aktiengesetz*, Band 1, §§1-75, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2019, §1, Rn.63, s.147.

⁴⁴¹ იხ. მაგ. *Hirte/Mülbert/Roth/Bachmann.*, *AktG*, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 85, s.30.

⁴⁴² *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder.*, *GmbHG*, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §13, Rn. 377, s.1156.

კორპორაციის საფარვლის გაჭოლვისათვის საფუძველს ყოველთვის, რაღაც ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს.⁴⁴³ ჩვეულებრივი მდგომარეობით, საწარმო და მეწარმე პარტნიორი ერთმანეთისგან განცალკევებულნი არიან გამიჯვნის პრინციპის (*Trennungsprinzip*) თანახმად. საზოგადოება და საზოგადოების პარტნიორები ერთმანეთის მიმართ, სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორც მესამე პირები ისე არიან.⁴⁴⁴ აღნიშნული არ უნდა იქნას გაგებული აბსოლუტურად: ორგანიზაციული თვალსაზრისით, საზოგადოება და პარტნიორი ერთმანეთთან მრავალი სამართლებრივი გზით არიან დაკავშირებულნი, თუმცა ისინი ერთ ერთეულს არ წარმოადგენენ, არამედ სამართლის განსხვავებული სუბიექტები არიან.⁴⁴⁵

გერმანულ სამართალში, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე (*Durchgriff*) საუბრისას, მას აღწერენ, როგორც იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება იურიდიული პირის სამართლებრივი დამოუკიდებლობის (*rechtliche Selbständigkeit*) უგულვებელსაყოფად, როგორც რაიმე ყალბის, არარსებულის.⁴⁴⁶ დამყარებული ისტორიულ-დოგმატიკურ ბაზისზე, იგი წარმოადგენს პასუხისმგებლობის დაკისრების ცალკე დამოუკიდებელ საფუძველს.⁴⁴⁷ აღნიშნულის მიუხედავად, ზოგიერთი ავტორი მას სამართლებრივ ინსტიტუტადაც არ მიიჩნევს, არამედ ზოგად მეტაფორას, აღწერილობით ტერმინს (*bildliche Sammelbezeichnung*) იმ კონკრეტული შემთხვევებისათვის, როდესაც იურიდიული პირის წევრები საკანონმდებლო დანაწესის გარეშე აგებენ პასუხს.⁴⁴⁸ სამართლებრივი ტერმინოლოგიის კუთხით მნიშვნელოვანია განსხვავებულ იქნას საფარვლის გაჭოლვა (*Durchgriff*) სამართლებრივი გაჭოლვის

⁴⁴³ „Grundlage ist immer ein Missbrauch der Haftungsbeschränkung“. *Priester/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, §35, 3, s.761.

⁴⁴⁴ *Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz.*, GmbHG, Kommentar, 6. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2017, §13, Rn. 6, s.370. *Schmidt/Lutter.*, AktG, Kommentar, I. Band §1-149, 3. Auflage, Otto Schmidt, 2015, §1, Rn.13, s.176.

⁴⁴⁵ *Baumbach/Hueck/Fastrich.*, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §13, Rn.5, s. 288.

⁴⁴⁶ *Schmidt K.*, Gesellschaftsrecht, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 I 1 a, s.217.

⁴⁴⁷ *Grigoleit H.*, Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes, C.H.Beck, München, 2006, 223.

⁴⁴⁸ *Hirte/Mülbner/Roth/Bachmann.*, AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 83, s.29

შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობისგან (*Durchgriffshaftung*) რადგან, პირველს უცილობლად არ მოსდევს მეორე და საფარვლის გაჭოლვის საკითხიც თვით გაჭოლვის პრობლემის ჭრილში უნდა განიხილებოდეს, ვიდრე ზოგადად რაიმე ვალდებულების.⁴⁴⁹ გერმანულ სასამართლო პრაქტიკაც ძირითადად ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ პარტნიორებს ყურადღება მართებთ იურიდიული პირის კონსტრუქციის რეალური განხორციელების, მისი პრაქტიკაში გატარების, მხრივ.⁴⁵⁰ ამას კიდევ ემატება აგრეთვე საკმაოდ ბუნდოვანი დაყოფა სამოქალაქო- და სამეწარმეოსამართლებრივ მეთოდებად.⁴⁵¹

გერმანული საკორპორაციო სამართლის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის როლი, რომელსაც კომპანიათა ჯგუფების (კონცერნის) სამართალი (*Konzernrecht*) თამაშობს საფარვლის გაჭოლვაში. მის გარეშე რთული იქნება გერმანული საკორპორაციო სამართლის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა.⁴⁵² თუმცა პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია საკონცერნო სამართლის გარეშედაც (დღესდღეობით – გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით), მშობელ-შვილობილ კორპორაციათა კონტექსტში, სწორედ გერმანული საკონცერნო სამართალი ფარავს ასეთ შემთხვევათა უმრავლესობას.⁴⁵³ როგორც წესი, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძვლები საკმაოდ შეზღუდულია და ალტერნატივის სახით ხშირად მიმართავენ დელიქტური სამართლით განსაზღვრული წესებსაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორები განზრახ იწვევენ კორპორაციის გადახდისუუნარობას.⁴⁵⁴

⁴⁴⁹ *Schmidt K.*, Gesellschaftsrecht, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 I 2 b, s.220.

⁴⁵⁰ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 70-74. ბუნებრივია არსებობს სხვა დასაბუთებებიც, მაგალითად, სასამართლო საქმეზე BGH, GMBHR 1961, 161, 162, აღინიშნა, რომ იურიდიული პირის ინსტიტუტი უგულვებელყოფილი უნდა ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ ნაპოვნი იქნებოდა „ნამდვილი ძალები“ (*reale Kräfte*) ასეთი პირის უკან. იხ. იქვე, 71.

⁴⁵¹ *Schmidt K.*, Gesellschaftsrecht, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 II, s.221.

⁴⁵² *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 45-46.

⁴⁵³ *Dearborn M.*, Enterprise Liability: Reviewing and Revitalizing Liability for Corporate Group, California Law Review, Volume 97, No. 1, February 2009, 219.

⁴⁵⁴ *Tan C., Wang J., Hofmann C.*, Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, Berkeley Business Law Journal, Volume 16, Issue 1, 2019, 152.

გამოყენებადობის თვალსაზრისით, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას მიმართავენ კლასიკურ კაპიტალურ საზოგადოებებში, როგორცაა შპს და სააქციო საზოგადოება. ის აგრეთვე გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელ სხვა სამეწარმეო ფორმებზეც ვრცელდება. მაგალითად, იმ კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში, რომლის წევრიცაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,⁴⁵⁵ ის ფაქტობრივი საფუძვლები, რომლებსაც მოჰყვება საფარვლის გაჭოლვა შპს-ში (მაგ. აქტივების აღრევა და არსებობის გამანადგურებელი ჩარევა) აგრეთვე ვრცელდება კომანდიტური საზოგადოების აღნიშნულ სპეციფიკურ ფორმაზეც შპს-ს ნაწილში, თუ დარღვეული იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის მე-13 პარაგრაფის მეორე ქვეპარაგრაფი.⁴⁵⁶ აღიარებულია, რომ კორპორაციისა და მასში შემავალ პირებს შორის გამიჯვნის პრინციპს (*Trennungsprinzip*) რეალურად გამონაკლისი არ გააჩნია და ერთადერთი გზა დელიქტური ვალდებულებათა ზოგად საფუძვლებზე გადის.⁴⁵⁷

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ორი ურთიერთგადამკვეთი თეორიაა, რომელიც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დროს ფიგურირებს: მოძღვრება ბოროტად გამოყენების შესახებ (*Missbrauchslehre*) და თეორია ნორმის გამოყენების თაობაზე (*Normanwendungstheorie*). ამ ორს ადრე მათთან დაპირისპირებული და დღედღეობით უარყოფილი, მაგრამ უდავოდ მნიშვნელოვანი გამიჯვნის თეორიაც (*Trennungstheorie*) ემატებოდა.⁴⁵⁸

ამავდროულად, ზემოაღნიშნულის რაიმე სერიოზულ თეორიულ დავად და დაპირისპირებად მონათვლა შეიძლება გადაჭარბებული ან საერთოდ შეცდომაში შემყვანიც იყოს, რადგან ხშირად ადგილი აქვს კონკრეტული შემთხვევების საკმაოდ თავისუფალ დაჯგუფებასა და კატეგორიზაციას და ამ შემთხვევებს შორის ხშირად

⁴⁵⁵ *Gesellschaft mit beschränkter Haftung & Compagnie Kommanditgesellschaft (GmbH & Co. KG)*.

⁴⁵⁶ *Henssler/Strohn/Servatius.*, *Gesellschaftsrecht*, 2. Auflage, C.H.Beck, München, 2014, HGB Anhang, Rn. 149, s.549. *Hesselmann/Tillmann/Muelser-Thuns/Schiessel.*, *Handbuch GmbH & Co. KG*, 20. Auflage, Otto Schmidt Verlag, Köln, 2009, §5, Rn.75, s.381.

⁴⁵⁷ *Prister/Mayer/Wicke/Böhm*, *Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts*, Band 3: *Gesellschaft mit beschränkter Haftung*, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.2, s. 761.

⁴⁵⁸ *Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz.*, *GmbHG, Kommentar*, 6. Auflage, Verlag Frany Vahlen, München, 2017, §13, Rn. 137, s.408.

ძალიან სუსტი, ეკლექტური კავშირია, რაც ნიშნავს, რომ ამ თეორიების რეალური ღირებულება და რაც მთავარია, გამოყენებადობა, ზოგიერთი ავტორის მიერ, ექვეყნეშ არის დაყენებული.⁴⁵⁹

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა გერმანიაში იშვიათია და სასამართლოები ამ რადიკალური ნაბიჯის გადადგმას ერიდებიან, რადგანაც პარტნიორებსა და აქციონერებს ვალდებულებები კორპორაციის მიმართ აქვთ და არა კრედიტორების.⁴⁶⁰ თუ ადგილი აქვს ასეთ გამონაკლისს, მაშინ ყველაზე მეტად საფარვლის გაჭოლვას ადგილი აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და რეგისტრირებულ კავშირებში, თუმცადა თეორიული თვალსაზრისით ის მარტო შპს-სთვის სპეციფიკური არ არის და შეიძლება, მაგალითად, იმავე სააქციო საზოგადოების მიმართაც იყოს გამოყენებული.⁴⁶¹

4.1.1 ისტორიული მიმოხილვა და ტიპოლოგია

ითვლება, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შესახებ დისკუსიას გერმანიაში საფუძვლად 1955 წელს *ზერიკის*⁴⁶² წიგნმა – „*იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა და რეალობა*“⁴⁶³ ჩაუყარა,⁴⁶⁴ რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ პარტნიორებსა და იურიდიულ პირებს შორის განცალკევებულობის უგულებელყოფა შესაძლებელი იყო, თუ ადგილი ექნებოდა იურიდიული პირის ბოროტად გამოყენებას.⁴⁶⁵ რეალურად, ეს იყო მცდელობა შედარებითი კვლევის საფუძველზე,

⁴⁵⁹ *Hirte/Mülbert/Roth/Bachmann.*, AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 85, s.30.

⁴⁶⁰ *Tan C., Wang J., Hofmann C.*, Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, Berkeley Business Law Journal, Volume 16, Issue 1, 2019, 170.

⁴⁶¹ *Windbichler C.*, Gesellschaftsrecht, 24. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §24, Rn. 27. s.269. სხვა კომენტატორები პირდაპირ მიუთითებენ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის არაპრაქტიკულობაზე სააქციო საზოგადოებასთან მიმართებაში: *Hirte/Mülbert/Roth/Bachmann.*, AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 84, s.29. *Wachter/Franz.*, AktG, Kommentar, 2. Auflage, RWS Verlag, Köln, 2014, §1, Rn. 26, s.23.

⁴⁶² *Rolf Serick* (1922-2000)

⁴⁶³ *Rechtsform und Realität Juristischer Personen.*

⁴⁶⁴ იხ. *Mühlhens J.*, Der Sogenannte Haftungsdurchgriff im Deutschen und Englischen Recht: Unterkapitalisierung und Vermögensentzug, Mohr Siebeck, Tübingen, 2006, 87.

⁴⁶⁵ *Serick R.*, Rechtsform und Realitaet Juristischer Personen, De Gruyter Verlag, Berlin, 1955, 203ff.

ძირითადად ანგლო-ამერიკულ სამართალზე დაყრდნობით, გერმანულ სამართლებრივ დოქტრინაში დამკვიდრებულიყო პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.⁴⁶⁶ ამგვარად, ჩამოყალიბდა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ბოროტად გამოყენების სუბიექტური თეორია (*subjective Missbrauchslehre*).⁴⁶⁷ თითქმის პარალელურად, 1957 წელს, *მიულერ-ფრაიენფელსის*⁴⁶⁸ მიერ, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის ჩამოყალიბდა ნორმის გამოყენების მიზნობრივი მოძღვრებაც (*Normzwecklehre*).

გერმანულ სამართალში განასხვავებენ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას (*Durchgriffshaftung*) ეტიმოლოგიურად მსგავს, თუმცა არაიდენტურ *Zurechnungsdurchgriff*-სგან.⁴⁶⁹ თუ პირველ შემთხვევაში საუბარია იმაზე, იქნება თუ არა პარტნიორი ან აქციონერი საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი ან პირიქით – აგებს თუ არა თვით საზოგადოება პარტნიორის ვალდებულებებისათვის პასუხს, მეორე ეხება იმ სპეციფიკურ, სამართლებრივად მნიშვნელოვან წინაპირობებს, თვისებებსა და ფაქტობრივ გარემოებებს რომელთა მიწერაც, შერაცხვაც შესაძლებელია ამ პარტნიორისათვის.⁴⁷⁰ ჩვეულებრივი შერაცხვის შემთხვევაში, ისევე როგორც ბრიტანული იდენტიფიკაციისა ან „შექყეტვის“ დარად, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება იურიდიული პირის დამოუკიდებლობა, მოთხოვნისა და პოტენციური ვალდებულების არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დასმის გარეშე.⁴⁷¹ ეს უკანასკნელი დაფუძნებულია ნორმის მიზნობრიობის მოძღვრებაზე,

⁴⁶⁶ *Spindler/Stilz/Fock*, AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 43, s.9.

⁴⁶⁷ *Michalski/Funke, Michalski*, GmbHG Kommentar, Band I, Verlag C.H.Beck, München, 2010, § 13, 341ff, s. 1167.

⁴⁶⁸ *Wolfram Müller-Freienfels* (1916–2007).

⁴⁶⁹ *Zurechnungsdurchgriff* შედგება ორი სიტყვისგან „*Zurechnung*“, რაც ნიშნავს „შერაცხვას“, „მიკუთვნებას“ და „*Durchgriff*“, რაც „გაჭოლვას“ ნიშნავს. მიუხედავად ამისა, „მიკუთვნებადობის გაჭოლვა“ აქ არასწორი თარგმანი იქნებოდა.

⁴⁷⁰ *Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz*, GmbHG, 6. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2017, §13, Rn. 136, s.408. *Baumbach/Hueck/Fastrich*, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §13, Rn.15, s. 292. *Scholz/Bitter*, GmbHG, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018, §13, Rn.71, s.728. *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §13, Rn. 339, s.1146.

⁴⁷¹ *Litschen K.*, Die Juristische Person im Spannungsfeld von Norm und Interesse: am Beispiel der Gesellschafterhaftung in der GmbH, Peter Lang, Frankfurt am Main, 1999, s.61.

როდესაც ნორმის გარკვეული დებულებები შერაცხვადობას კარნახობენ, რეალურად განხორციელების, იმპლემენტაციის მიზნით.⁴⁷²

გერმანულს სამართალში აგრეთვე განსხვავებულია ნამდვილი (*echter*) და არანამდვილი (*unechter*) საფარვლის გაჭოლვაც.⁴⁷³ „ნამდვილი“ საფარვლის გაჭოლვისას, პარტნიორი პასუხისმგებელია კორპორაციის ვალდებულებებისათვის იმ დროს, როდესაც “არანამდვილი” გაჭოლვისას, პარტნიორის პასუხისმგებლობა დგება საზოგადოებისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი მოთხოვნისათვის, რაც რეალურად მისი პირადი, პერსონალური პასუხისმგებლობაა.⁴⁷⁴ ბუნებრივია, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შემთხვევად, თვითონ ამ ტერმინიდანვე გამომდინარე, არ ითვლება სხვა ისეთი შემთხვევაც, როდესაც პარტნიორი ინდივიდუალურად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე (მაგ. უსაფუძვლო გამდიდრების გამო).⁴⁷⁵

4.1.2. თეორიები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თაობაზე გერმანულ საკორპორაციო სამართალში

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიმართ არსებული მიდგომები გერმანიის სამართლებრივ ლიტერატურაში განსხვავებულია და საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ის კონკრეტული შემთხვევები, რომელთა დროსაც საფარვლის გაჭოლვის საკითხი შესაძლებელია დადგეს (მაგ. არასათანადო კაპიტალიზაცია ან ქონების შერევა) საყოველთაოდ აღიარებულია, მათი განზოგადება და მოქმედ, ეფექტურ თეორიულ ჩარჩოში მოქცევა სირთულეს წარმოადგენს. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის ზოგადად აღიარებულია, რომ ადგილი

⁴⁷² *Gehrlein/Born/Simon/Maul.*, GmbHG, Kommentar, 4.Auflage, Carl heymanns Verlag, München, 2019, §13, Rn. 27, s.382.

⁴⁷³ *Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz.*, GmbHG:, 6. Auflage, Verlag Frany Vahlen, München, 2017, §13, Rn. 73, s.729.

⁴⁷⁴ *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder.*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §13, Rn. 340, s.1146. *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 66.

⁴⁷⁵ *Goette/Habersack/Kalss/Heider.*, Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§1-75, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2019, §1, Rn.63, s.148.

უნდა ჰქონდეს ისეთ მოვლენას, რომელიც უარყოფს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იურიდიული პირის (ფიქტიურ თუ რეალურ) არსებობას. თეორიული შემთხვევები, როდესაც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკითხის შეიძლება დადგეს არის: ინსტიტუციონალური ბოროტად გამოყენება (*Institutsmisbrauch*), ქვეკაპიტალიზაცია (*Unterkapitalisierung*), აქტივების ან/და სფეროთა აღრევა (*Vermögens- und Sphärenvermischung*) და აქციონერის სრული დომინანტური მდგომარეობა (*beherrschender Gesellschafter*).⁴⁷⁶

თვით გაჭოლვის თეორიების უმრავლესობა საკმაოდ ზოგადია და მათი პრაქტიკული გამოყენებადობაც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მცირე. ამის მიუხედავად, მაინც უპრიანი იქნებოდა, თუ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მოკლედ მიმოვიხილავდით გერმანულ საკორპორაციო სამართალში არსებულ ამ საინტერესო თეორიებს.

4.1.2.1. მოძღვრება ბოროტად გამოყენების შესახებ (*Missbrauchslehre*)

ბოროტად გამოყენების მოძღვრების მნიშვნელობის კორპორაციული საფარვლის გაჭოლვასთან მიმართებაში განხილვამდე, მიზანშეწონილი იქნება იმის აღნიშვნა, თუ კერძოდ რა იგულისხმება ბოროტად გამოყენებაში, განსაკუთრებით კი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §826 პარაგრაფის ქვეშ, რომელიც დღეს სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გაჭოლვის უპირატეს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონი⁴⁷⁷ შეიცავს ნორმებს, რომლებიც ბოროტად გამოყენებისათვის პირთა პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ. §117 პარაგრაფის თანახმად, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეკისრებათ ვალდებულება მათ მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის. შედარებისათვის, იმავე კანონის §309 და §317 პარაგრაფები აგრეთვე ადგენენ კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობას გერმანული საკონცერნო სამართლის ფარგლებში, აფილირებულ

⁴⁷⁶ Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz., GmbHG: Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung, Kommentar, 6. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2017, §13, Rn. 145, s.410.

⁴⁷⁷ Aktiengesetz (AktG).

საწარმოთათვის. ინსტიტუციონალური ბოროტად გამოყენება მოიცავს აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებასაც (*ein Missbrauch von Haftungsbeschränkung*).⁴⁷⁸ ანალოგიურად სავაჭრო კოდექსის⁴⁷⁹ 128-129 მუხლების შესაბამისად გათვალისწინებულია აქტივების ქვეკაპიტალიზაციის შემთხვევაც.⁴⁸⁰

საკორპორაციო სამართალში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის საჭირო ბერკეტების მნიშვნელობას ხაზი არაერთხელ გაესვა. ბოროტად გამოყენება თავისივე შინაარსით მიუთითებს ისეთ ინსტიტუტზე, რომლის არაბოროტად, „ნორმალურად“ გამოყენება შესაძლებელია და საყოველთაოდ მიღებულიც, მაგრამ პირი მას არამიზანმიმართულად, არადანიშნულებისამებრ იყენებს. ბოროტად გამოყენება საკმაოდ კომპლექსური და მრავალმხრივი ტერმინია და შესაძლებელია მოიცავდეს ძალაუფლების მქონე პოზიციის (მდგომარეობის) (*Machtstellung*) ან ნდობის პოზიციის (*Vertrauensstellung*), ბოროტად გამოყენებას ფორმალური სტატუსის ბოროტად გამოყენებას (*Ausnutzung einer formalen Rechtsstellung*) ან არასწორი გადაწყვეტილების აღსრულებას.⁴⁸¹ სხვა კომენტატორები მიუთითებენ საზოგადოებაში უმრავლესობის უფლების ბოროტად გამოყენებაზე (*Ausübung von Mehrheitsmacht*) ან კონკურენციის წესების (*Misachtung von Wettbewerbsregeln*) დარღვევაზე.⁴⁸²

ბოროტად გამოყენების მოძღვრება რამდენიმე მნიშვნელოვან პოსტულატს ეყრდნობა. უპირველეს ყოვლისა, ის აუცილებელ, ნორმატიულ წინაპირობად აღიარებს იურიდიული პირის განცალკევებულობას მისი წევრებისგან და მხოლოდ ამავე წევრების მიერ ასეთი განცალკევებულობის მიმართ უდიერი დამოკიდებულების

⁴⁷⁸ *Priester/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, § 35, 3, s. 761.

⁴⁷⁹ Handelsgesetzbuch (HGB), 10.05.1897, RGBI 219, FNA 4100-1.

⁴⁸⁰ თუმცა ამ საკითხის მიმართ მდგომა არაერთმნიშვნელოვანია: *Priester/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.4, s. 761.

⁴⁸¹ *Jauernig/Teichmann*., BGB, Kommentar, 17. Auflage, C.H.Beck, München, 2018, §826, Rn 20-24, s.1566-1567.

⁴⁸² *Prütting/Wegen/Weinreich/Schaub*., BGB, Kommentar, 12. Auflage, Luchterhand Verlag, Köln, 2017, §826, Rn. 26-28, s.1870-1871.

შემთხვევაში უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია ის უგულებელყოფილ იქნას.⁴⁸³

ბოროტად გამოყენების მოძღვრებაში გამოყოფენ მის სუბიექტურ და ობიექტურ (ინსტიტუციონალურ) მხარეებს. ორივე აღიარებს იურიდიული პირის დამოუკიდებლობასა (*Eigenständigkeit*) და თვითმყოფადობას, მაგრამ თუ პირველში მთავარია სუბიექტური ბრალი, რომელიც გამოიხატება საზოგადოებაში ძალაუფლების ბოროტად ან არამიზნობრივად გამოყენებაში და რომელსაც მოჰყვება ზიანი მესამე მხარეთათვის, ობიექტური მოძღვრებით ცენტრალურ ადგილს იკავებს იურიდიული პირის ობიექტურად მიზანსაწინააღმდეგო გამოყენება.⁴⁸⁴

ბოროტად გამოყენების მაგალითად გერმანელ სამართალმცოდნეებს მოჰყავთ მატერიალური აქტივების აღრევა იმ დონემდე, რომ შეუძლებელია იმის დადგენა აქტივები (*Vermögen*) პარტნიორის საკუთრებაა თუ ეს ქონება თვითონ კაპიტალურ საზოგადოებას ეკუთვნის. ასეთი აღრევის შემთხვევაში შპს-ს კანონის § 30-§ 31 პარაგრაფები (კაპიტალის შენარჩუნება) საკუთარ ფუნქციას კარგავენ და დგება საფარვლის გაჭოლვის საკითხი.⁴⁸⁵ ქონების აღრევაში არ იგულისხმება მარტოოდენ არაადეკვატური და ნაკლოვანი ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც საკმარისი არ არის.⁴⁸⁶ საკმარისად აგრეთვე არ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ ორგანიზაციულ სფეროში აღრეულია გარკვეული დეტალები, რაც პრაქტიკაში იშვიათი არ არის და ავტომატურად არ მიუთითებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე. სახეზე აუცილებლად უნდა იყოს მატერიალური აქტივების ურთიერთშერწყმა იმ დონემდე, რომ იმავე მესამე პირებისათვის შეუძლებელი იყოს გარკვევა, თუ ვინ არის მფლობელი და კონკრეტულად ვისთან იჭერენ ისინი საქმეს.

ზემოაღნიშნული შემთხვევები მხოლოდ კონკრეტული მაგალითებია. რეალურად პირების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბევრი სხვა გზაც არსებობს და

⁴⁸³ *Grigoleit H.*, Gesellschaftsrecht für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes, C.H.Beck, München, 2006, 224.

⁴⁸⁴ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 75.

⁴⁸⁵ *Priester/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, 6, s. 762.

⁴⁸⁶ იქვე.

ბუნებრივია, სამართალი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევას სკრუპულოზურად ვერ მოაწესრიგებს. როგორც მოსალოდნელია, ამ თეორიას გაურკვევლობისა და ბუნდოვნებისათვის აკრიტიკებენ.⁴⁸⁷

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია უმრავლესობის ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (*Missbräuchliche Ausübung von mehrheitsmacht*). კაპიტალურ საზოგადოებებში ძალაუფლების მოპოვების ტრადიციული და ამასთანავე, ყველაზე სწრაფი და მოქნილი გზაა აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნა, რაც პარტნიორს აძლევს საშუალებას, ზემოქმედება მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ამავდროულად კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობაში ფართო უფლებამოსილებები აქვს მენეჯმენტსა და მმართველობას, რომელთაც აგრეთვე შეუძლიათ, შედარებით შეზღუდულ ფარგლებში, ბოროტად გამოიყენონ მათთვის აქციონერების მიერ მინიჭებული უფლებამოსილებები. დღესდღეობით უმრავლესობის ხელში არსებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძირითადად მინორიტარი აქციონერების საზიანოდ, გერმანულ სამართალში კონკრეტული პოზიტიური სამეწარმეო-სამართლებრივი ნორმებითა (მაგ. სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის დებულებებითა) და ფიდუციარული მოვალეობების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული წესების თანახმად რეგულირდება.⁴⁸⁸

უმრავლესობის ბოროტად გამოყენებისგან განასხვავებენ აგრეთვე ინდივიდუალურ ბოროტად გამოყენებას (*Individueller Mißbrauch*). აღნიშნული წარმოადგენს ინსტიტუციონალური ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ სახესხვაობას, რომლის დროსაც ადგილი აქვს არა სამეწარმეო ფორმისათვის ფუნდამენტური ნორმატიული დებულებების დარღვევას, არამედ კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული შესაძლებლობების (*Gestaltungsmöglichkeiten*) მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას. პირი იყენებს მათ იმგვარად, რომ

⁴⁸⁷ Hirte/Mülbert/Roth/Bachmann., AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 89, s.31.

⁴⁸⁸ Prütting/Wegen/Weinreich/Schaub., BGB, Kommentar, 12.Auflage, Luchterhand Verlag, Köln, 2017, §826, Rn. 26, s.1870. Erman/Wilhelmi., BGB, Kommentar, Band II, 15.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2017, §826, Rn. 58, s.3721.

ზიანი მიადგეს კრედიტორს და შესაბამისად დგება მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი.⁴⁸⁹

4.1.2.2 ნორმის გამოყენების (მიზნის) მოძღვრება (*Normanwendungslehre*) და ვალდებულების დარღვევის მოძღვრება (*Pflichtverletzungslehre*)

ნორმის გამოყენების (მიზნის) მოძღვრებისათვის მთავარია არა ზოგადად იურიდიული პირის პრობლემატიკა, არამედ კონკრეტული ნორმის გამოყენების საკითხი.⁴⁹⁰ მიულერ-ფრაინფელსის მიერ შემუშავებული მიდგომით, თუ ადგილი ექნება რაიმე ნორმის დარღვევას, მაშინ კონკრეტული ნორმების (მაგალითად, სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის პარაგრაფები, რომლებიც შეზღუდულ პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ) გამოყენებაზე უარი უნდა ითქვას.⁴⁹¹ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა დადგინდეს იმ კერძო ინტერესების შელახვის ფაქტი, რომელთა დაცვისათვისაც მიღებული იქნა აღნიშნული ნორმა.⁴⁹² რეალურად ამ თეორიის გამოყენების ფარგლები გაცილებით უფრო ფართოა და არ არის შეზღუდული მარტო საკორპორაციო სამართლით. იურიდიული პირთან მიმართებაში მისი გამოყენებისას ეს ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (*in concreto*) უნდა დადგინდეს, სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, იქნება ეს პირი მიჩნეული თუ არა განცალკევებულ იმ იურიდიულ პირად, რომელსაც საკუთარი უფლებაუნარიანობა გააჩნია.⁴⁹³

ლიტერატურაში კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული, საერთოდ ეხება თუ არა აღნიშნული მოძღვრება სპეციფიკურად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას და თუ

⁴⁸⁹ *Litschen K.*, Die Juristische Person im Spannungsfeld von Norm und Interesse: am Beispiel der Gesellschafterhaftung in der GmbH, Peter Lang, Frankfurt am Main, 1999, s.98.

⁴⁹⁰ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 76.

⁴⁹¹ *Hübner U.*, Der Durchgriff bei juristischen Personen im europäischen Gesellschafts- und Unternehmensrecht, Juristenzeitung, Band 33, Zeitschriftenheft 21, 1978, 704.

⁴⁹² იხ: *Fedtke J.*, Protective Purpose of the Rule, წიგნში: Tort Law in the Jurisprudence of the European Court of Human Rights, Ed. *Fenyves A., Karner E., Koziol H., Steiner E.*, De Gruyter, Berlin, 2011, 541.

⁴⁹³ ("Sie besagt in aller Kürze, dass erst die Auslegung der jew. Norm ergeben könne, ob diese die jur. Person in concreto als selbstständige Rechtsperson behandelt wissen wolle"). იხილეთ: *Roth/Altmeppen.*, GmbHG, Kommentar, 9.Auflage, C.H.Beck, München, 2019, §13, Rn.132, s.267.

ეხება, რა მასშტაბით.⁴⁹⁴ არსობრივად თეორია განცალკევების პრინციპსა და სამართლებრივი უფლებების მატარებლებს (*Rechtsträger*) უკავშირდება, რაც საექვოს ხდის მას, როგორც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თეორიულ საფუძველს.⁴⁹⁵ აღნიშნული უფრო გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თვით ნორმის მიზნობრივი მოძღვრება ჩამოყალიბდა იმ თეორიულ საწყისებზე, რომ იურიდიული პირი წარმოადგენდა მხოლოდ კერძო ნორმების, ურთიერთობებისა და ფაქტობრივი გარემოებების აღმნიშვნელ ერთობლივ ტერმინს, ასე ვთქვათ, „კონსტრუქციულ, შექმნილ აბრევიატურას“ (იურიდიული პირის სიმბოლისტური თეორიის აშკარა ზეგავლენით).⁴⁹⁶

მეორეს მხრივ, ვალდებულების დარღვევის მოძღვრება (*Pflichtverletzungslehre*), თვითონ დასახელებიდანვე გამომდინარე, წარმოადგენს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას – მაგალითად იმავე არსებობის გამანადგურებელი ჩარევის გამო, როგორც ბრალეულობაზე დამოკიდებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (*verschuldensabhängige Schadenersatzpflicht*).⁴⁹⁷ აღნიშნული თეორია უფრო მარტივად გასაგებია, თუ სახეზეა აშკარა ზიანი და ვალდებულების დარღვევა, თუმცა გაჭოლვის საქმეები ასეთი ნათელი და ერთმნიშვნელოვანი იშვიათადაა.

ზემოაღნიშნული თეორიები, მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, მაინც საკმაოდ მსგავსია. ძირითადი განსხვავებაა მდგომარეობს სუბიექტურ ნაწილში: საჭიროა თუ არა პირის ასეთი კონკრეტული სუბიექტური მდგომარეობის მხედველობაში მიღება და თუ საჭიროა, აუცილებელია არის თუ არა, რომ სახეზე იყოს მის მხრიდან განზრახ ჩადენილი ქმედება.⁴⁹⁸

⁴⁹⁴ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 78.

⁴⁹⁵ *Schmidt K.*, Gesellschaftsrecht, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 II 1 b, s.223.

⁴⁹⁶ იხ: *Spindler/Stilz/Fock.*, AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 45, s.10.

⁴⁹⁷ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 119.

⁴⁹⁸ *Alting C.*, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative & International Law, Volume 2, No. 2, Spring 1995, 198.

4.1.3. საკორპორაციო საფარვლის გაჭოლვის კონკრეტული გარემოებები

4.1.3.1. არასათანადო კაპიტალიზაცია (*Unterkapitalisierung*)

კაპიტალის არარსებობა ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, რომელსაც გერმანიაში წარსულში შესაძლებელია მოჰყოლოდა საფარვლის გაჭოლვა.⁴⁹⁹ აღნიშნული თუმცა გერმანიის ფედერაციული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ექვექვე იქნა დაყენებული და დღესდღეობით არასათანადო კაპიტალიზაცია, მიუხედავად მისი უდავო მნიშვნელობისა, მხოლოდ ერთ-ერთ ცენტრალურ და არა ერთადერთ ფაქტორად მიიჩნევა.

რეალურად კანონმდებელი იურიდიულ პირს შეზღუდულ პასუხისმგებლობას უპირობოდ არ გადასცემს. დაუწერელი დებულება აქ ის არის, რომ თვითონ პარტნიორებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ კაპიტალური საზოგადოების რაობა და განცალკევებული არსებობა მართო ქალაქზე არ დარჩეს და მათაც რომ გააგრძელონ მისი პატივისცემა. აღნიშნული მოიცავს კორპორაციულ ფორმალობათა დაცვასა და შესაბამისი კაპიტალის ქონას. კაპიტალს თავისი ნორმატიული დანიშნულება გააჩნია, ის არის ე.წ. ფინანსური ბუფერი, რომელიც ემსახურება ზარალის დაფარვასა და საწარმოს გადახდისუუნარობის პრევენციას.⁵⁰⁰ საკითხი იმის თაობაზე, შესაძლებელი არის თუ არა მხოლოდ და მხოლოდ არასაკმარისი კაპიტალიზაციის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება პარტნიორებისათვის საწარმოს გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ლიტერატურაში სადავოა.⁵⁰¹

ასეთი არასათანადო კაპიტალიზაცია (ქვეკაპიტალიზაცია) არ უნდა იქნას გაიგივებული ქონების ნაკლებობასთან (*Vermögenslosigkeit*), ვალში ყოფნასთან (*Überschuldung*) ან უარყოფით ბალანსთან (*Unterbilanz*). მაგრამ საზოგადოება, რომელიც

⁴⁹⁹ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 105.

⁵⁰⁰ *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 20, s.417.

⁵⁰¹ *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder.*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §30, Rn. 148, s.1704.

კონსტიტუციონალურად, არსობრივად (და არა შემთხვევით) კრედიტუნაროა (*Kreditunwürdigkeit*) უკვე არის არასათანადოდ კაპიტალიზირებული.⁵⁰²

ტიპოლოგიურად გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავებენ ნომინალურ და მატერიალურ ქვეკაპიტალიზაციას.⁵⁰³ ეს უკანასკნელი იყოფა მარტივ და კვალიფიციურ მატერიალურ ქვეკაპიტალიზაციად.⁵⁰⁴

ნომინალური (იგივე ფორმალური) არასათანადო კაპიტალიზაციის დროს ადგილი აქვს შემთხვევას, როდესაც კორპორაციას აქვს არა საკუთარი კაპიტალი, არამედ სესხით (*Fremdkapitalisierung*), მათ შორის პარტნიორების მიერ გაცემული სესხით (*Gesellschafterdarlehen*) ჩამოყალიბებული.⁵⁰⁵ სწორედ ამიტომ მას ნომინალური არასათანადო კაპიტალიზაცია ეწოდება, რადგან, ტექნიკური თვალსაზრისით, კაპიტალი არსებობს, მაგრამ ეს აქტივები მხოლოდ სესხის აღებითაა ფორმირებული. ნომინალურისგან განსხვავებით, მატერიალური ქვეკაპიტალიზაციისას კორპორაციას სესხით აღებული კაპიტალიც კი არ გააჩნია.⁵⁰⁶

გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის საჭიროდ მიიჩნევენ არა მარტო მატერიალურ არასათანადო კაპიტალიზაციას, არამედ *კვალიფიციურ* არასათანადო კაპიტალიზაციას. ეს უკანასკნელი არის შემთხვევა, როდესაც გარე პირისათვის კორპორაციის კაპიტალის შესახებ არსებული ინფორმაცია არასრული და ბუნდოვანია.⁵⁰⁷ შესაბამისად, უფრო მეტი ალბათობით არის შესაძლებელი, რომ კრედიტორები, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი

⁵⁰² *Schmidt K.*, Gesellschaftsrecht, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 IV 4 a, s.240-241.

⁵⁰³ იხ. მაგ. *Scholz/Bitter*, GmbHG, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018, §13, Rn.140, s.755.

⁵⁰⁴ *Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz.*, GmbHG: Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung, Kommentar, 6. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2017, §13, Rn. 147, s.411

⁵⁰⁵ *Baumbach/Hueck/Fastrich*, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §5, Rn.6, s. 135. *Scholz/Bitter*, GmbHG, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018, §13, Rn.141, s.756. *Roth/Altmeyen*, GmbHG, Kommentar, 9.Auflage, C.H.Beck, München, 2019, §5, Rn.4, s.78. სხვათა მოსაზრებით, ფორმალური არასათანადო კაპიტალიზაციის შემთხვევას მარტო პარტნიორებისგან გაცემული სესხებით (*Gesellschafterdarlehen*) შევსებული კაპიტალის დროს აქვს და კრედიტორებისგან სესხით ჩამოყალიბებული კაპიტალის ფორმალურად მიჩნევის შემთხვევაში, რეალურად არასათანადო კაპიტალიზაციის ამ ორ სახეს შორის ზღვარი იშლება. იხ: *Roth/Altmeyen*, იქვე. *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Leitzen.*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §5, Rn. 16, s.708. Fn.46.

⁵⁰⁶ *Scholz/Bitter*, GmbHG, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018, §13, Rn.142, s.756. საწინააღმდეგო მოსაზრება იხილეთ: *Baumbach/Hueck/Fastrich*, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §5, Rn.6, s. 135-136.

⁵⁰⁷ *Michalski/Funke*, *Michalski*, GmbHG Kommentar, Band I, Verlag C.H.Beck München, 2010, § 13, Rn.383, s. 1175.

საწარმოს კაპიტალის შესახებ დეტალურ ინფორმაციაზე, საქმეს წარუმატებელ კორპორაციასთან დაიჭერენ და საბოლოო ჯამში მათი ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობაც აღარ იქნება.⁵⁰⁸

არსებობს აგრეთვე დაწყებითი (*anfängliche*) და შემდგომი (*nachträgliche*) ქვეკაპიტალიზაცია. თუ პირველი აღნიშნავს საწარმოს რეგისტრაციის მომენტში ასეთი არასახარბიელო სიტუაციის არსებობას, მეორე მაშინ დგება, როდესაც რეგისტრაციის შემდგომ, საწარმოს კაპიტალი არასაკმარისია. რეალურად, არასათანადო კაპიტალიზაციის საფუძვლით პასუხისმგებლობისას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, თუ კერძოდ როდის დადგა ასეთი მდგომარეობა.⁵⁰⁹ პრაქტიკაში ბუნებრივია, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის გამო, უფრო მეორეს აქვს ადგილი – სიტუაციას, როდესაც საზოგადოება საკუთარი უპასუხისმგებლო მოქმედებების გამო ან რაიმე სხვა მიზეზით კარგავს ფინანსურ სტაბილურობას, რასაც ან მისი არსებობის მოსპობა მოჰყვება ან საწარმოს ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა.⁵¹⁰

საფარვლის გაჭოლვისათვის საზოგადოების არსებული კაპიტალი (და უპირველეს ყოვლისა, საწესდებო კაპიტალი) არ უნდა შეესაბამებოდეს იმ დასახული მიზნების განხორციელებას, რა მიზნებისთვის შექმნილია და არსებობს საზოგადოება.⁵¹¹ ანუ სამეწარმეო თვალსაზრისით იგი არ უნდა იყოს კავშირში საქმიანობის სახესა და სფეროსთან.⁵¹² კაპიტალი იმდენად დაბალია, რომ წარუმატებლობის ალბათობაც შესაბამისად დიდია.⁵¹³ თუმცა, იმავე აშშ-სგან განსხვავებით, გერმანიაში მოქმედებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა 25 ათასი ევროს ოდენობით, რაც

⁵⁰⁸ *Gehrlein/Born/Simon/Maul.*, GmbHG, Kommentar, 4.Auflage, Carl Heymanns Verlag, München, 2019, §13, Rn. 22, s.380

⁵⁰⁹ *Michalski/Funke, Michalski*, GmbHG Kommentar, Band I, Verlag C.H.Beck München, 2010, § 13, Rn.382, s. 1175.

⁵¹⁰ *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.317, s.159.

⁵¹¹ *Schwerdtfeger/Buß.*, Gesellschaftsrecht, Kommentar, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, 2015, §13, Rd.25, s.684.

⁵¹² *Baumbach/Hueck/Fastrich*, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §5, Rn.6, s. 135. *Michalski/Funke, Michalski*, GmbHG Kommentar, Band I, Verlag C.H.Beck München, 2010, § 13, Rn.381, s. 1175.

⁵¹³ *Priester/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.4, s. 761.

შეზღუდულად იძლევა კრედიტორების ინტერესების დაცვის საშუალებას.⁵¹⁴ თვით ის ფაქტი, რომ არასათანადო კაპიტალიზაციის გამო პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი ხშირად განიხილება, როგორც სასამართლოში, ასევე იურიდიულ დოქტრინაში, მიუთითებს იმაზე, რომ მინიმალური კაპიტალის სარგებლიანობა ძირითადად დაწყებით სტადიებზე კრედიტორების დასაცავადაა გამიზნული და ისიც მხოლოდ მცირე გარანტიებს იძლევა.

არასათანადო კაპიტალიზაციის შემთხვევაში პირთა შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფის საკითხი დღესდღეობით ლიტერატურაში მთლიანობაში აღიარებულია. ითვლება, რომ საზოგადოების პარტნიორებს აქვთ დაფინანსების პოზიტიური ვალდებულება (*Finanzierungsantwortung*) კრედიტორებისადმი.⁵¹⁵ აღნიშნული ეხება როგორც პარტნიორებს სს-სა და შპს-ში, აგრეთვე კომანდიტებს კომანდიტურ საზოგადოებაში. თუმცა რეალური პრაქტიკული გამოყენება არასათანადო კაპიტალიზაციის ნორმას მაინც უფრო შპს-ში აქვს.⁵¹⁶

საწარმოს არასათანადო კაპიტალიზაციაზე გერმანულ სამართალში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად ითვლება 2008 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება **გამას** საქმეზე, როდესაც გერმანიის ფედერაციის უმაღლესმა სასამართლომ უარი განაცხადა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე არასათანადო კაპიტალიზაციის მიზეზით, რადგან მარტოდმარტო მცირე აქტივების ქონა არასაკმარის საფუძვლად მიიჩნია.⁵¹⁷ შესაბამისად, როგორც არასათანადო კაპიტალიზაცია, ასევე სფეროთა შერევა დღეს გერმანულ სამართალში ერთი დოგმატური ტერმინის – არსებობის გამანადგურებელი ჩარევის – ქვეშ მოიაზრება, რომლის სამართლებრივი საფუძველიც არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §826 პარაგრაფი.⁵¹⁸ ამ უკანასკნელს ქვემოთ განვიხილავთ.

⁵¹⁴ *Michalski/Funke, Michalski, GmbHG Kommentar, Band I, Verlag C.H.Beck München, 2010, § 13, Rn.377, s. 1174.*

⁵¹⁵ *Vandekerchove K., Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 140.*

⁵¹⁶ *Hüffer/Koch., Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §1, Rn.19, s.7.*

⁵¹⁷ BGH, Urteil vom 28. April 2008, Az: II ZR 264/06. ხელმისაწვდომია: <<https://lexetius.com/2008,1352>> [15.11.2020]

⁵¹⁸ *Lutter/Hommelhoff/Bayer., GmbH-Gesetz, Kommentar, 19. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 22, s.418.*

4.1.3.2. არსებობის გამანადგურებელი ჩარევა (*existenzvernichtender Eingriff*)

გერმანულ სამართალში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ერთ-ერთი ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე ორიგინალური და საინტერესო ფაქტორი, არის არსებობის გამანადგურებელი ჩარევა.⁵¹⁹ პარტნიორს კაპიტალური საზოგადოების ვალდებულებებისათვის პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი საზოგადოების აქტივების მიზნობრიობას მხედველობაში არ მიიღებს და მათი ღია ან ფარული ამოღებით საზოგადოებას ფაქტობრივად გადახდისუუნაროს ტოვებს.⁵²⁰ არსებობის გამანადგურებელი ჩარევის ინსტიტუტი მხოლოდ უკიდურეს სიტუაციაში გამოიყენება, როგორც საგამონაკლისო შემთხვევა და ის მყარად უნდა იყოს მტკიცებულებებით გამყარებული.⁵²¹

არსებობის გამანადგურებელი ჩარევა სათავეს გერმანიის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს (*BGH*) 2001 წლის *ბრემერ ვულკანის* გადაწყვეტილებიდან⁵²² იღებს, რასაც მცირე ხნით მისი, როგორც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ცალკე სამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბება მოჰყვა.⁵²³ აღნიშნული შეიცვალა 2007 წლის *ტრიპოტელის* საქმეზე გადაწყვეტილებაში,⁵²⁴ როდესაც სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობის გამანადგურებელი ჩარევის შემთხვევაში, პარტნიორი ვალდებული იქნებოდა არა უშუალოდ გარე კრედიტორების მიმართ, არამედ თვითონ საზოგადოების წინაშე (შიდა ვალდებულება – *Innenhaftung*). სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §826 პარაგრაფი და არა ანალოგია გერმანიის სავაჭრო

⁵¹⁹ *existenzvernichtender Eingriff*. სიტყვა-სიტყვით „არსებობის გამანადგურებელი ჩარევა“.

⁵²⁰ *Schwerdtfeger/Buß*, *Gesellschaftsrecht*, Kommentar, 3. Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, 2015, §13, Rd.15, s.681-682.

⁵²¹ *Liebscher*, *Münchener Kommentar, GmbHG*, Band I, §§1-34, C.H.Beck, München, 2018, Anh. §13, Rn.530, s.1315-1316.

⁵²² BGHZ 149, 10. ხელმისაწვდომია: <<https://lexetius.com/2001,1224>>, [15.11.2020].

⁵²³ *Prister/Mayer/Wicke/Böhm*, *Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts*, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.2, s. 761. *Lutter/Hommelhoff/Bayer*, *GmbH-Gesetz, Kommentar*, 19. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 25, s.420.

⁵²⁴ BGH, II ZR 3/04, „Trihotel“, BGHZ 173, 246. ხელმისაწვდომია: <<http://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/document.py?Gericht=bgh&Art=en&sid=a45401636fb30fe4cf3582dfad339af3&client=%5B%2713%27%2C+%2713%27%5D&client=%5B%2713%27%2C+%2713%27%5D&nr=41025&pos=0&anz=1>>, [15.11.2020.]

კოდექსის §128-ის მიხედვით, როგორც ადრე.⁵²⁵ აგრეთვე იყო მცდელობა კაპიტალის დაცლისა და ნაკლოვანი ბუღალტერიის შემთხვევაში პარტნიორის პასუხისმგებლობა დამდგარიყო აქტივების დაკარგვისათვის (*Vermögenslosigkeit*) ან სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის §302-ის ანალოგიის მიხედვით, საწარმოს დამოუკიდებლობის ხელყოფისას.⁵²⁶ ამგვარად სასამართლომ აღნიშნული ჩარევა ვალდებულებითი სამართლის ცალკე ვალდებულების (*Haftungsfigur*) ნაცვლად მორალის საწინააღმდეგო, განზრახ ჩადენილი ქმედებებიდან ერთ-ერთ სპეციალურ შემთხვევად აქცია.⁵²⁷ მანამდე არსებობდა მოთხოვნის კონკურენციის შესაძლებლობა, განსაკუთრებით შპს-ს კანონის §30-ე და §31-ე პარაგრაფებთან, რომლებიც კაპიტალის დაცვას ეხებოდნენ. დღევანდელი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აქ არსებული ხარვეზების შემთხვევაში, მათ დაფარავს სამოქალაქო კოდექსის §826 პარაგრაფი.⁵²⁸ თუ პარტნიორი შპს-ს კანონის §30 და §31 პარაგრაფების თანახმად მიაყენებს ზიანს, აღნიშნული არ გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის §826 პარაგრაფის თანახმად მოთხოვნის დაყენებას: ორივე შესაძლებელია პარალელურად იქნას გამოყენებული არსებობის გამანადგურებელი ჩარევის დროს.⁵²⁹

არსებობის გამანადგურებელ ჩარევაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმის განმარტება თუ კერძოდ რა ჩარევაზეა საუბარი და რამდენად „გამანადგურებელი“ უნდა იყოს ამგვარი ჩარევა. ზოგადი განმარტების თანახმად, ასეთი ჩარევა არის გარეშე ჩარევა (*betriebsfremde Eingriff*) არა მარტო საზოგადოების ქონებაში,

⁵²⁵ *Lieder J.*, Zur Haftung wegen existenzvernichtenden Eingriffs, Deutsche Zeitschrift für Wirtschafts-und Insolvenzrecht, Band 15, Heft 8, August 2005, 315.

⁵²⁶ *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.324, s.162.

⁵²⁷ *Schwerdtfeger/Buß.*, Gesellschaftsrecht, Kommentar, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, 2015, §13, Rd.16, s.682. *Prister/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.8, s.762, Rn.14, s. 764, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, §826-ე პარაგრაფის მიხედვით პარტნიორის პასუხისმგებლობა საფარვლის გაქოლვისაგან განსხვავებულ საფუძვლად მოიაზრებოდა. იხ: *Soergel/Höhn.*, BGB, Band 12, §§ 823-853, 13. Auflage, W.Kohlhammer Verlag, Stuttgart, 1999, §826, Rn.201, s.507.

⁵²⁸ *Prütting/Wegen/Weinreich/Schaub.*, BGB, Kommentar, 12.Auflage, Luchterhand Verlag, Köln, 2017, §826, Rn. 38, s.1872.

⁵²⁹ *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 43, s.426. *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.324a, s.163.

არამედ მის ინტერესებშიც იმგვარად, რომ მხედველობაში საერთოდ არ მიიღება საწარმოს ვალდებულებების შესრულების საკითხი.⁵³⁰ უფრო კონკრეტულად, ლიტერატურაში აღნიშნულის ქვეშ მოიაზრება შემთხვევა, როდესაც პირი, არაკეთილსინდისიერად და ზნეობის ნორმების დარღვევით, გეგმიურად, საკუთარი პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებლის მიღების მიზნით, ცლის (*Entziehung*) საწარმოს შემოსავლებს, რასაც თავის მხრივ მოჰყვება საზოგადოების გადახდისუუნარობა ან უკვე არსებული გადახდისუუნარობის მდგომარეობის გაურესება.⁵³¹ პრაქტიკა აჩვენებს, რომ არსებობის გამანადგურებელ ჩარევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც გადახდისუუნარო საზოგადოებას იმდენად ნაკლოვანი ბუღალტერია აქვს, რომ აქტივების კვალის შესახებ ინფორმაცია უბრალოდ არ არსებობს.⁵³²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი განმარტება, როგორც შემდგომში დავინახავთ, უახლოვდება ამერიკული ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალურობის დოქტრინებს, ხოლო უფრო კერძო, ქონებაზე ორიენტირებული განმარტების შემთხვევაში, აშკარად შეიმჩნევა პარალელები ანგლო-ამერიკულ აქტივების დაცლასთან (*Asset Stripping*), თუმცა, თვითონ ტერმინიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გერმანული სამართალი აქ საკმაოდ მაღალ სტანდარტებს აწესებს. ჩარევა უნდა იყოს ტოტალური, ქონების დაცლა კი უნდა იყოს იმდენად სერიოზული, რომ თვით იურიდიული პირის სამართლებრივ არსებობას უთხრიდეს ძირს. არც ჩვეულებრივი შეცდომა მართვაში და არც წილების მიყიდვა იმ მყიდველისათვის, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემდეგ დამყარდა, წარმოადგენს არსებობის გამანადგურებელ ჩარევას და საფუძველს პასუხისმგებლობისათვის.⁵³³

⁵³⁰ *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 32, s.422.

⁵³¹ *Habersack/Wagner.*, Münchener Kommentar, Band 6, 7. Auflage, C.H.Beck, 2017, §826, Rn.167, s.2116. *Prütting/Wegen/Weinreich/Schaub.*, BGB, Kommentar, 12.Auflage, Luchterhand Verlag, Köln, 2017, §826, Rn. 38, s.1873. *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.325, s.165.

⁵³² *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.324, s.162.

⁵³³ *Habersack/Wagner.*, Münchener Kommentar, Band 6, 7. Auflage, C.H.Beck, 2017, §826, Rn.167, s.2117. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ლიკვიდაციის დროს იმავე შპს-ს ქონება მასზე დამოკიდებულ საწარმოს მიეყიდება და გასაყიდი ფასი მის ნამდვილ ღირებულებაზე ნაკლებია, აღნიშნული შესაძლოა მიჩნეული

სიტყვა „ჩარევა“ არ უნდა იყოს განმარტებული შეზღუდული სახით. იგი აღნიშნავს სხვადასხვა სახის ქმედებებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში იმავე შედეგამდე მივყავართ. მაგალითად, კორპორაციის აქტივების სისტემატიური დაცლა და მათი გადაცემა შვილობილი კორპორაციისათვის, აგრეთვე ამ უკანასკნელისათვის შეუსაბამოდ მაღალი ვალდებულებებისა და რისკების დაკისრება, ასევე მიჩნეული იქნება არსებობის გამანადგურებელ ჩარევად, რადგან აშკარაა პარტნიორის სურვილი, თავიდან აიცილოს ვალდებულება და ამისათვის საზოგადოება საკუთარი ინტერესების გასატარებლად გამოიყენოს.⁵³⁴

ამავდროულად სიტყვა არც მოქმედების ერთჯერადობაზე მიანიშნებს. შესაძლებელია „ჩარევა“ გაგრძელდეს გარკვეული ხნის განმავლობაში, განხორციელდეს თანდათანობითი ნაბიჯებით და არა ერთი კონკრეტული ქმედების შესრულებით. მთავარია, რომ სახეზე იყოს საბოლოო შედეგი, რაც გამოხატული იქნება გარედან შპს-ში თუ სს-ში გამანადგურებელი ჩარევით. იმავე უმოქმედობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება, როდესაც სახეზე ჩარევის შესაბამისი შედეგი იქნება.⁵³⁵ არსებობის გამანადგურებელი ჩარევის ასეთი სამართლებრივი შედეგი იქნება არა კონკრეტული პარტნიორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე, არამედ მისი ვალდებულება, საწარმოს აუნაზღაუროს ზარალი, გადაუხადოს კომპენსაცია.⁵³⁶

არსებობის გამანადგურებელი ჩარევის განხილვისას მნიშვნელოვანია იმ ზეგავლენის აღნიშვნა, რომელსაც მასზე გერმანიის საკონცერნო სამართალი ახდენს. სააქციო საზოგადოების შესახებ კანონი შეიცავს ნორმებს, კერძოდ კი §§302-303 პარაგრაფებს, რომელთან ანალოგიითაც შესაძლებელია, ისევე როგორც კვალიფიციურ ფაქტობრივ კონცერნში, პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.⁵³⁷

იყოს, როგორც არსებობის გამანადგურებელი ჩარევა. იხ: *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 37, s.424.

⁵³⁴ *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 35, s.423.

⁵³⁵ *Lieder J.*, Zur Haftung wegen existenzvernichtenden Eingriffs, Deutsche Zeitschrift für Wirtschafts-und Insolvenzrecht, Band 15, Heft 8, August 2005, 312.

⁵³⁶ *Habersack/Wagner.*, Münchener Kommentar, Band 6, 7. Auflage, C.H.Beck, 2017, §826, Rn.170, s.2117

⁵³⁷ *Bork/Schäfer/Weller/Discher.*, GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015, §13, Rn.43, s.317

რადგანაც რეალურად დღესდღეობით გერმანიის საკორპორაციო სამართალში არსებობის გამანადგურებელი ჩარევა წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ გზას (დანარჩენები საკონცერნო სამართლის ფარგლებშია მოქცეული), წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის სწორი იქნებოდა იმ კონკრეტული გარემოებების დადგენა, რომელთა დროსაც შესაძლოა შემთხვევა ამგვარად დაკვალიფიცირდეს.

როგორც აღინიშნა, არსებობის გამანადგურებელი ჩარევის აუცილებელი წინაპირობა არის საწარმოს აქტივებისგან დაცლა, მათი გადაცემა, გასხვისება ან სხვა გზით მოცილება. კაპიტალური საზოგადოებაში ქონებას, აქტივებსა და კაპიტალს ცენტრალური ადგილი უკავია და ბუნებრივია, მისი „განადგურება“ ქონების მოცილების გარეშე რთული წარმოსადგენია. იმავე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ასეთი აქტივები რანგირებული და მაშასადამე გამიზნული უნდა იყოს კრედიტორთა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.⁵³⁸ აქტივები ფართოდ უნდა იყოს განმარტებული – მასში არა მარტო კონკრეტული მატერიალური საგნები ან ნივთები, არამედ საწარმოს პოტენციალი, შანსები და სხვა რესურსები შედის. შესაბამისად ასეთი დაცლის შემთხვევა შეიძლება იყოს კაპიტალის გადინება (*Abfluss liquider Mittel*), ნოუ-ჰაუსა და ვალდებულებების გადაცემა, ასევე სამეწარმეო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რესურსების მოცილება (მაგ. ტექნიკა, ლიცენზიები, პატენტები და ა.შ.).⁵³⁹

არსებობის გამანადგურებელი ჩარევისას ზნეობის ნორმების დარღვევა გამოიხატება კრედიტორის საზიანოდ და პარტნიორის მიერ საკუთარი თავის სასარგებლოდ (*Selbstbedienung*) საზოგადოების აქტივის დაცლაში.⁵⁴⁰ აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ზნეობრივი ნორმების დარღვევა არ არის კანონის დარღვევის იდენტური და პირველის არსებობა არ მოითხოვს მეორის არსებობასაც და პირიქით.⁵⁴¹

⁵³⁸ *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.325, s.165.

⁵³⁹ *Bork/Schäfer/Weller/Discher.*, GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015, §13, Rn.47, s.318

⁵⁴⁰ *Liebscher.*, Münchener Kommentar, GmbHG, Band I, §§1-34, C.H.Beck, München, 2018, Anh. §13, Rn.566, s.1326.

⁵⁴¹ *Roth/Altmeyen*, GmbHG, Kommentar, 9.Auflage, C.H.Beck, München, 2019, §13, Rn.90, s.256.

არსებობის გამანადგურებელ ჩარევასთან დაკავშირებით პრობლემატურ საკითხთა შორის არის მისი მსგავსება სხვა სიტუაციებთან, რომლებიც სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში უკვე დამუშავებული იყო და განსხვავებული სამართლებრივი შედეგით სრულდებოდა. ერთ-ერთი ასეთი კონცეფცია არის საზოგადოების აქტივების გეგმიური დაცლა (*plänmäßige Entzug des Gesellschaftsvermögens*), რომელიც არსებობის გამანადგურებელი ჩარევისგან განსხვავებით უშუალოდ პარტნიორების მიერ კრედიტორების პირადად ანაზღაურებას (ე.წ. გარე ვალდებულება – *Außenhaftung*) ითვალისწინებს. ამ უკანასკნელს შეიძლება ადგილი ჰქონდეს კონცერნებსა და მშობელ-შვილობილ კორპორაციებში ან იმ დროს, როდესაც საწარმოს დაყოფის ვალდებულებას კაპიტალური საზოგადოება ბოროტად გამოიყენებს და ვალდებულებებით მხოლოდ ერთ კონკრეტულ ახალშექმნილ ერთეულს დატვირთავს. მაგალითად, შპს-ს ერთადერთი პარტნიორი სარისკო საქმიანობას განახორციელებს აქტივებს მოკლებული ან საერთოდ არანაირი ქონების მქონე შპს-სახელით და ამავე დროს ის მეორე შპს-ს აღნიშნული აქტივების დასაცავ თავისებურ ინსტრუმენტად იყენებს.⁵⁴² გეგმიურ დაცლასა და არსებობის გამანადგურებელ ჩარევას შორის ეს პარალელები აშკარაა და აღნიშნული ორის ერთმანეთისგან განსხვავების საკითხი დღემდე მწვავედ დგას ლიტერატურაში.⁵⁴³

4.1.3.3. აქტივების ან/და სფეროთა აღრევა (*Vermögens- und Sphärenvermischung*)

აღიარებს რა სამართალი იურიდიული პირისა და მისი პარტნიორის განცალკევებულობას, ეს დაშვება, როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეულ წინაპირობებზეა დამყარებული. ერთ-ერთი უმთავრესი ასეთი წინაპირობა არის, რომ პარტნიორი იზრუნებს მისი და საზოგადოების ქონების განცალკევებულობაზე.⁵⁴⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივების შერევაზე საუბრისას ხშირად დიამეტრალურად

⁵⁴² *Staudinger/Oechsler.*, BGB, Kommentar, §826-829; *ProdHaftG*, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018, §826, Rn.322, s.161.

⁵⁴³ იქვე, Rn.324c, s.164.

⁵⁴⁴ *Spindler/Stilz/Fock.*, AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 54, s.11.

განსხვავებული კონცეფციებიც იგულისხმება, რომელთაგან ყველა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვასთან უშუალოდ დაკავშირებული არ არის, რასაც კიდევ ერთხელ მივყავართ საფარვლის გაჭოლვის ნაცნობ პრობლემასთან – ტერმინოლოგიის ბუნდოვნებასთან.⁵⁴⁵

კონკრეტულად აქტივების შერევად ითვლება შემთხვევა, როდესაც გაურკვეველია, ქონება და კაპიტალი ვის ეკუთვნის – პარტნიორს თუ საწარმოს. ამ დროს იგივე საბუღალტრო წიგნები, მაგალითად, იმგვარად არის წარმოებული, რომ საზოგადოებისა და პირების კონკრეტული ქონების განცალკევება და ზუსტი დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია.⁵⁴⁶ ხაზგასასმელია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის გადაცემა ხდება იმ პირობით, რომ მეწარმე აღნიშნულის საპირწონედ კაპიტალის დაცვის ფუნქციონალურ სისტემას ჩამოაყალიბებს. თუ ამის საპირისპიროდ იგი პირიქით, უგულებელყოფს კაპიტალის დაცვის ნორმებს, დგება მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი.⁵⁴⁷ აქტივების აღრევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ნაკლოვანი ან არაგამჭვირვალე ბუღალტერიის წარმოებისას, რაზეც პასუხისმგებელი უნდა იყოს მმართველი პარტნიორი ან შესაძლებელია მინდობილი პირიც.⁵⁴⁸

აქტივებისა და სფეროთა შერევა გერმანულ სამართალში საკმაოდ აქტუალურია შპს-სთვის. სააქციო საზოგადოებაში კი ამ საფუძველით საკორპორაციო საფარვლის გაჭოლვისთვის მცირე ადგილი თუ რჩება, რადგან სააქციო საზოგადოების შესახებ კანონი პირდაპირ კრძალავს დივიდენდის განაწილების გარდა სხვა რომელიმე აქტივის გატანას აქციონერის მიერ და მას პირად პასუხისმგებლობასაც აკისრებს კანონის §62 პარაგრაფის თანახმად.⁵⁴⁹

აქტივების შერევისას შესაძლებელია გაურკვეველი გახდეს კონკრეტული საგანი თუ აქტივი ეკუთვნის პიროვნებას თუ იგი საზოგადოების საკუთრებაა. თუ დადგება

⁵⁴⁵ *Scholz/Bitter*, GmbHG, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018, §13, Rn.131, s.751-752.

⁵⁴⁶ *ზუბიტაშვილი ნ.*, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2014,44.

⁵⁴⁷ *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder.*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §13, Rn. 396, s.1160-1161.

⁵⁴⁸ *Baumbach/Hueck/Fastrich*, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §13, Rn.45, s. 310

⁵⁴⁹ *Hüffer/Koch.*, Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §1, Rn.20, s.8. *Heidel/Fischer.*, Aktienrecht und Kapitalmarktrecht, 4.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2014, §1, Rn. 32, s.40-41.

პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ ვალდებულება წესით გავრცელდება ამ აქტივებზეც (*Haftungserweiterung*) და პარტნიორი ვერ მოითხოვს ამ აქტივების საკუთარ პირად საკუთრებად ჩათვლას.⁵⁵⁰ აღნიშნულით, რეალურად, კიდევ ერთხელ ხაზი ესმევა, რომ ქონების შერევის ფაქტის თავიდან აცილება და ამ მხრივ განცალკევებულობის უზრუნველყოფა წარმოადგენს თვითონ პარტნიორისვე ვალდებულებას.

გერმანულ სასამართლოში აქტივების შერევის გამო პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის მიმართ სტანდარტები საკმაოდ მაღალია. მარტოდენ ნაკლოვანი ბუღალტერია არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის და არც გაურკვევლობა ქონების რომელიმე ნაწილის მიმართ ან კერძო საგნის მესაკუთრისა და მფლობელობის ვინაობასთან დაკავშირებით.⁵⁵¹ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციის კაპიტალის დაცვის შესახებ არსებული წესები აღარ მოქმედებენ, იქნება ეს არაგამჭირვალე ბუღალტრული აღრიცხვისა თუ სხვა მიზეზის გამო და შესაბამისად აქტივების მართვა და კონტროლი უბრალოდ შეუძლებელი ხდება, შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობა აქტივების შერევისთვის.⁵⁵² იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუგებრობა კონკრეტული, კორპორაციული ბუღალტერიით აღრიცხული აქტივის მიკუთვნებადობასთან დაკავშირებით, რომელიც პარტნიორის მიერ იქნა გატანილი, მარტო ეს არ გამოიწვევს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას, არამედ მოექცევა შპს-ს კანონის §§30-31 პარაგრაფების ქვეშ.⁵⁵³

როდესაც საუბარია არა ქონებისა და აქტივების აღრევაზე, არამედ იმ ფაქტორებზე, რომლებიც ართულებენ კაპიტალური საზოგადოების განსხვავებას მისივე პარტნიორებისა თუ მმართველი ორგანოებისგან ორგანიზაციული და სტრუქტურული კუთხით, მაშინ ეს არის არა აქტივების, არამედ სფეროთა აღრევა (*Sphärenvermischung*).⁵⁵⁴

⁵⁵⁰ *Spindler/Stilz/Fock.*, AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 56, s.12.

⁵⁵¹ *Prister/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.6, s. 762

⁵⁵² *Michalski/Funke, Michalski*, GmbHG Kommentar, Band I, Verlag C.H.Beck München, 2010, § 13, Rn.365, s. 1172. *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 19, s.416-417. *Bork/Schäfer/Weller/Discher.*, GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015, §13, Rn.36, s.314

⁵⁵³ *Bork/Schäfer/Weller/Discher.*, GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015, §13, Rn.36, s.314

⁵⁵⁴ *Prister/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.7, s. 762 აღტერნატიული მოსაზრებით

ამ დროს კორპორაციასა და მის პარტნიორებს (შეიძლება ეს იყოს შვილობილი და მშობელი კორპორაცია) აქვთ ერთი და იგივე ფაქტობრივი მისამართი, სამუშაო ადგილი, საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონი და სხვა) და ჰყავთ იგივე დასაქმებულები.⁵⁵⁵ მესამე პირთათვის რთული ხდება იმის დადგენა, თუ კერძოდ ვისთან აქვთ საქმიანი ურთიერთობა და თვითონ საწარმოს პარტნიორებიც ამ განცალკევებას ყურადღებას არ აქცევენ.⁵⁵⁶ შესაბამისად, აქაც შეიძლება დადგეს საფარვლის გაჭოლვის საკითხი. სადავო შეიძლება იყოს თვითონ საზოგადოების პარტნიორის ქმედება ამ შემთხვევაში რამდენად უნდა იყოს გათვითცნობიერებული. მცირე შპს-ების ან თუნდაც დახურული სს-ების შემთხვევაში, შესაძლებელია უნებლიედაც ბუნდოვანი გახდეს, თუ კონკრეტულად ვისთან იჭერს საქმიანობას კრედიტორი ისე, რომ რაიმე ბოროტი ზრახვა საზოგადოების მხრიდან სახეზე არც იყოს. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ საზოგადოების პარტნიორთან მიმართებაში დადგინდება მისი სუბიექტური განზრახვა ან თუნდაც უხეში გაუფრთხილებლობა, რომლის დროსაც კრედიტორი სრულ გაურკვევლობაშია და პარტნიორიც უკვე ვეღარ ეყრდნობა მასსა და კაპიტალურ საზოგადოებას შორის არსებულ განცალკევებას.⁵⁵⁷

იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას ქონების ან/და სფეროთა აღრევა, პარტნიორებმა შესაძლოა მიმართონ მრავალ გონივრულ ზომას. ფუნქციონალური და ორგანიზებული ბუღალტრული და დოკუმენტალური აღრიცხვის სისტემის შემოღებით შესაძლო პრობლემათა უმრავლესობა გადაჭრილი იქნება. გერმანული სამართლით ქონებისა თუ სფეროთა აღრევის საფუძვლით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის საჭიროა, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, პარტნიორი და საწარმო ერთმანეთისგან ფაქტობრივად განუსხვავებელნი იყვნენ⁵⁵⁸ რაც ნიშნავს, რომ როგორც

აქტივებისა და სფეროების შერევაც, საბოლოო ჯამში სფეროების შერევის ტერმინის ქვეშ ექცევა და იგი იყოფა ქონებრივი სფეროში აღრევად (*gegenständliche Sphärenvermischung – Vermögensvermischung*) და მავალდებულებელ სფეროში აღრევად (*haftungsbegründende Sphärenvermischung*). იხ. *Schmidt K., Gesellschaftsrecht*, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002, §9 IV 2, s.234-236. *Hüffer/Koch., Aktiengesetz*, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §1, Rn.20, s.8.

⁵⁵⁵ *Scholz/Bitter, GmbHG*, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018, §13, Rn.136, s.753.

⁵⁵⁶ *Baumbach/Hueck/Fastrich, GmbHG*, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §13, Rn.46, s. 310

⁵⁵⁷ *Spindler/Stilz/Fock., AktG, Kommentar*, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 57, s.12.

⁵⁵⁸ *Altling C., Piercing the Corporate Veil in American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View*, *Tulsa Journal of Comparative & International Law*, Volume 2, No. 2, Spring 1995, 215.

წესი, ელემენტარული სისტემატიზაციითა და ორგანიზებულობით მარტივად იქნება შესაძლებელი საფარვლის გაჭოლვის ალბათობის გამორიცხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგადად აქტივებისა და სფეროთა შერევა, უპირველეს ყოვლისა, მაინც მცირე და საშუალო შპს-სთვის არის აქტუალური. მსხვილი კაპიტალური საზოგადოებების, განსაკუთრებით კი სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, გერმანული კანონი ადგენს დეტალურ რეგულაციებს, მათ შორის კაპიტალთან და დოკუმენტბრუნვასთან მიმართებაშიც, რაც ბუნებრივად ამცირებს და მინიმუმადე დაყავს ქონების ან/და სფეროთა შერევის წინაპირობების აღმოცენების ალბათობა.⁵⁵⁹

სფეროთა და ქონების აღრევა შესაძლებელია და ალბათ უფრო მეტადაც, კონცერნებში. აღნიშნულის შემთხვევაში, კითხვები ჩნდება კონკრეტულ საფუძვლებზე, მშობელ-შვილობილ კომპანიებზე გავრცელების შესაძლებლობასა და მასშტაბებზე და იმაზეც, თუ რამდენად დასაშვებია საფარვლის გაჭოლვა იმ დროს, როდესაც შერევას ადგილი ექნება შვილობილ კორპორაციაში მშობელი კორპორაციის კაპიტალის დაცვის წესების შესაბამისად.⁵⁶⁰

ახალი სასამართლო პრაქტიკის კვალდაკვალ, ქონების ან/და სფეროთა აღრევის მნიშვნელობა პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებაში მეტწილად მეორე პლანზე გადავიდა.⁵⁶¹ კომენტატორთა ნაწილი იმავე სფეროს აღრევის შემთხვევას განიხილავს უკვე არა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის, არამედ *prima facie* ვალდებულების (*Rechtsscheinhaftung*) ქრილში.⁵⁶²

⁵⁵⁹ Spindler/Stilz/Fock., AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 58, s.12.

⁵⁶⁰ Litschen K., Die Juristische Person im Spannungsfeld von Norm und Interesse: am Beispiel der Gesellschafterhaftung in der GmbH, Peter Lang, Frankfurt am Main, 1999, s.94.

⁵⁶¹ „პრაქტიკულად უმნიშვნელო გარემოება“ (*praktisch unbedeutende Tatbestand*). Lutter/Hommelhoff/Bayer., GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 24, s.418.

⁵⁶² Gehrlein/Born/Simon/Maul., GmbHG, Kommentar, 4.Auflage, Carl heymanns Verlag, München, 2019, §13, Rn. 20, s.378. Baumbach/Hueck/Fastrich, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017, §13, Rn.46, s. 310.

4.1.3.4 პარტნიორის მიერ მფლობელობა (*Beherrschung des Gesellshafter*)

პარტნიორის მიერ დომინანტური პოზიციის გამოყენება იმ დონემდე, რომ რეალურად კორპორაცია სხვა არაფერს წარმოადგენს, გარდა უბრალოდ ინსტრუმენტისა ამავე პარტნიორის ინტერესების გასატარებლად, აღიარებულია როგორც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძველი. როგორც წესი, ამ შემთხვევაში იგულისხმება სიტუაცია, როდესაც პარტნიორი ერთპიროვნულად ან წილთა უმრავლესობის ფლობით აკონტროლებს და მართავს შპს-ს და ამ უკანასკნელსაც საკუთარი სამართლებრივი დამოუკიდებლობა სრულიად დაკარგული აქვს.⁵⁶³

მხოლოდ და მხოლოდ პარტნიორის დომინანტური მდგომარეობა შპს-სა და სხვა კაპიტალურ საზოგადოებაში არ არის საკმარისი იმისათვის რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას ჰქონდეს ადგილი, მიუხედავად სამეწარმეო, ეკონომიკური თუ ორგანიზაციული ინტეგრაციისა ან იმ ფაქტისა, რომ შპს-ს აშკარად ერთი პირი ფლობს და მართავს.⁵⁶⁴ პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ იურიდიული პირის განცალკევებულობასა და დამოუკიდებლობაზე აღნიშნული დომინანტური პოზიცია გავლენას არ ახდენს.⁵⁶⁵ ამის მიუხედავად, ლოგიკურია, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შემთხვევები უფრო ხშირად დაფიქსირდება იმ შპს-ებში, რომლებშიც პირი ერთპიროვნულად მართავს და ფლობს საწარმოს, რადგან კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობას ან სხვა უკანონო თუ არაკეთილსინდისიერ საქციელს უფრო მეტად ექნება ადგილი, როდესაც არ არსებობს რაიმე სახის კონტროლი სხვა პარტნიორებისა თუ ორგანოებისგან.⁵⁶⁶

სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის §17 და §311 პარაგრაფები აგრეთვე მიუთითებენ იმაზე, რომ უბრალოდ დომინანტური მდგომარეობა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ კონტროლქვეშ არსებული კორპორაციის მმართველი (მენეჯერი)

⁵⁶³ *Matschernus G.*, Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH, Nomos, Baden-Baden, 2007, 89.

⁵⁶⁴ *Prister/Mayer/Wicke/Böhm*, Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018, § 35, Rn.5, s. 761.

⁵⁶⁵ *Spindler/Stilz/Fock.*, AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 62, s.13.

⁵⁶⁶ *Altig C.*, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, Tulsa Journal of Comparative & International Law, Volume 2, No. 2, Spring 1995, 201.

პასუხისმგებელი იყოს ამ კორპორაციის ვალდებულებებზე. სხვა შემთხვევაში მმართველ კომპანიას ან პარტნიორს არ ექნებოდა არანაირი მოტივაცია, შეეძინა საზოგადოებაში საკონტროლო პაკეტი ან საერთოდ ყოფილიყო მაკონტროლებელ პოზიციაში.⁵⁶⁷ აქ შესაძლო ალტერნატივა შეიძლება იყოს §117 პარაგრაფი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის კომპენსაციის ვალდებულებას მმართველი ორგანოების მხრიდან.

4.1.4. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა გერმანიის საკონცერნო სამართალში

საკონცერნო ურთიერთობები და კომპანიათა დამოკიდებულება სხვა საზოგადოებებზე გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში მიჩნეულია პასუხისმგებლობის ცალკე საფუძვლად და არა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვად, რადგანაც ამ პირველისათვის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონი კონკრეტულ წესებსა და დებულებებს ითვალისწინებს.⁵⁶⁸ შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევა კორპორაციული ჯგუფების (კონცერნის) სამართლის ნაწილს მიეკუთვნება.⁵⁶⁹

გერმანული საკონცერნო სამართალი დასაბამს 1965 წელს იღებს, როდესაც სააქციო საზოგადოების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებებით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან რეფორმასა და საკონცერნო-სამართლებრივი ნორმების კოდიფიკაციას.⁵⁷⁰ თვითონ სიტყვა „კონცერნი“ გერმანულ ენაში ინგლისური სიტყვა „concern“-დან შევიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში და თავიდან ნიშნავდა “ზრუნვას,

⁵⁶⁷ *Hirte/Mülbert/Roth/Bachmann.*, AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017, §1, Rn. 100, s.35.

⁵⁶⁸ *Schmidt/Lutter.*, AktG, Kommentar, I. Band §1-149, 3. Auflage, Otto Schmidt, 2015, §1, Rn.20, s.179

⁵⁶⁹ *Bürgers/Korber/Westermann.*, Aktiengesetz, Heidelberger Kommentar, 4.Auflage, 2017, §1, Rn.27, s.49.

⁵⁷⁰ *Emmerich/Habersack.*, Konzernrecht, 10.Auflage, C.H.Beck, München, 2013, §20, Rn. 13, s.6. კონცერნის ცნებისა და ზოგადად საკონცერნო სამართლის განვითარება უფრო ევოლუციურად, თანდათანობითი განვითარების სახით უნდა წარმოვიდგინოთ. მაგალითად 1965 წლის რეფორმა ნაწილობრივ ეყრდნობოდა იმ გზას, რომელიც 1937 წელს განხორციელებული ცვლილებებით იყო გაკვლეული. *Hüffer/Koch.*, Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §15,Rn.2, s.72. *Bruno J.C.* The German Law of Affiliated Enterprises, American Business Law Journal, Volume, 8 Issue 2, Fall 1970, 158-159.

დარდს“.⁵⁷¹ მარტივი გაგებით, იგი აღნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთი საწარმო მეორეში განსაზღვრულ წილს ფლობს,⁵⁷² თუმცა დღესდღეობით კონცერნები უფრო მეტს წარმოადგენენ, ვიდრე უბრალოდ კომპანიების მიერ ერთმანეთის წილების ფლობას. რეალურად ამ ტერმინის ქვეშ უნდა მოვიაზროთ ერთმანეთთან დახლართული ბმებით კავშირში არსებული საწარმოები, ამ საწარმოთა კომპლექსური ჯგუფები.

კონცერნებთან მიმართებაში იმავე გერმანელი კანონმდებლის მიზანი იყო, გაეთვალისწინებინა ახალი სოციალური გარემო, რომელშიც უფრო და უფრო მეტი განცალკევებული კორპორაციის კონცენტრაცია ხდებოდა ერთი ქოლგის ქვეშ და უამრავი, ფორმალურად განცალკევებული საზოგადოება დომინირებული იყო ერთი და იმავე კორპორაციების მიერ ან ისინი დაკავშირებულნი იყვნენ მათთან ხელშეკრულების საფუძველზე.⁵⁷³ დღესდღეობით საკონცერნო სამართლის მიზნად აღიარებულია იმ კონფლიქტების პრევენცია, რობლებიც შეიძლება წარმოიშვას მმართველი და კონტროლირებული საწარმოს პარტნიორებსა და აქციონერებს (მათ შორის მინორიტარ აქციონერებს) შორის.⁵⁷⁴

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კონცერნში ზოგადი, საყოველთაო გაჭოლვის პრინციპი გერმანულ კორპორაციულ ჯგუფთა სამართლისათვის უცხოა.⁵⁷⁵ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული გარემოებების არსებობისას შესაძლოა საუბარი პარტნიორის (ამ შემთხვევაში სხვა მმართველი ან/და მშობელი კორპორაციის) პასუხისმგებლობაზე. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საკონცერნო სამართლის ნორმები მარტო სააქციო საზოგადოების შესახებ კანონში არის მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ იმავე მშობელი სააქციო საზოგადოებების მიერ შვილობილი შპს-ების დაფუძნება და მათი მართვა საკმაოდ ხშირია, შპს-ს შესახებ კანონში კონცერნის მომაწესრიგებელი მსგავსი დებულებები არ არსებობს და ეს ხარვეზი შემდგომში

⁵⁷¹ Kluge F., Etymologisches Wörterbuch der Deutschen Sprache, 22. Auflage, De Gruyter, Berlin, 1989, s.403.

⁵⁷² ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი“, 2002, 213.

⁵⁷³ Dearborn M., Enterprise Liability: Reaviewing and Revitalizing Liability for Corporate Group, California Law Review, Volume 97, No. 1, February 2009, 215.

⁵⁷⁴ Bürgers/Korber/Fett., Aktiengesetz, Heidelberger Kommentar, 4.Auflage, 2017, §15, Rn.7, s.116.

⁵⁷⁵ Emmerich/Habersack., Konzernrecht, 10.Auflage, C.H.Beck, München, 2013, §20, Rn. 25, s.340.

სასამართლო პრაქტიკით შეივსო.⁵⁷⁶ გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონი ამომწურავად ადგენს კონცერნისა და აფილირებული კომპანიების სახეებს და ერთმანეთისგან განასხვავებს კომპანიათა შორის დამოკიდებულ ურთიერთობასა, როდესაც ერთი მეორეს აკონტროლებს (§17) და კორპორაციათა ჯგუფებს–კონცერნებს (§18). ამ უკანასკნელში ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის რამდენიმე საზოგადოების არსებობა ერთიანი მმართველობის (*einheitliche Leitung*) ქვეშ.⁵⁷⁷ ამასთანავე, არსებობს დებულებები ერთმანეთის აქციის მფლობელ საწარმოებზე (§19) და შეთანხმებები კონტროლის თაობაზე, რომელიც სახელშეკრულებო კონცერნს ქმნის (§§291-292). §15 პარაგრაფი იძლევა ზოგადად დაკავშირებული საწარმოების ცნებას. საკონცერნო-სამართლებრივი დებულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის §§302-303 პარაგრაფები, რომლებიც ადგენენ მმართველი საწარმოს ვალდებულებას, თავის თავზე აიღოს შვილობილის ვალდებულებები, §317 პარაგრაფი კი დე ფაქტო კონტროლისას მშობელს ავალდებულებს შვილობილის დანაკარგების ანაზღაურებას.

კონცერნი შესაძლებელია იყოს ფორმალური, ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებული (*Vertragskonzern*) ან ფაქტობრივად არსებული (*faktische Konzern*).⁵⁷⁸ სახელშეკრულებო კონცერნის დროს მმართველ (მაკონტროლებელ) და მართულ საწარმოებს შორის იდება მართვის ხელშეკრულება (*Beherrschungsvertrag*), რაც პირდაპირ განსაზღვრავს და ადგენს, რომ მართული კომპანია, ნაწილობრივ მაინც, საკუთარი დამოუკიდებელი ინტერესების გატარების თავისუფლების კარგავს. მარტოდენ მოგების გადაცემის ხელშეკრულება (*Gewinnabführungsvertrag*) საკმარისი არ არის.⁵⁷⁹ დე-ფაქტო კონცერნის დროს ხელშეკრულება არ არსებობს, თუმცა რეალურად მმართველ და

⁵⁷⁶ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 47.

⁵⁷⁷ *Hüffer/Koch.*, Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §18, Rn.8, s.96. *Schmidt/Lutter.*, AktG, Kommentar, I. Band §1-149, 3. Auflage, Otto Schmidt, 2015, §18, Rn.6, s.330. *Liebscher.*, Münchener Kommentar, GmbHG, Band I, §§1-34, C.H.Beck, München, 2018, Anh. §13, Rn.135, s.1195.

⁵⁷⁸ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 49.

⁵⁷⁹ *Hüffer/Koch.*, Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §18, Rn.3, s.95. საწინააღმდეგო მოსაზრებისათვის, რომ მოგების გადაცემის ხელშეკრულებაც (*Gewinnabführungsvertrag*) ითვლება საკონცერნო ხელშეკრულებად, იხილეთ: *Goette/Habersack/Kalss/Heider.*, Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§1-75, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2019, §1, Rn.66, s.148.

მართულ საწარმოებს შორის ჩამოყალიბებულია დამოკიდებულობითი ხასიათის ურთიერთობა (*Abhängigkeitsverhältnis*) ანუ ერთი დამოკიდებულია მეორეზე.⁵⁸⁰

იურიდიული პირი სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების სუბიექტად ითვლება იმ პირობით, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში იგი ნომინალურად მაინც საკუთარ ინტერესებს გაატარებს და არ იქნება სხვა პირის ინსტრუმენტი, ხელსაწყო, მხოლოდ რომელიმე კერძო მიზნის მიღწევის საშუალება. გერმანულ საკონცერნო სამართალში აღიარებულია რეალური საშიშროება იმისა, რომ დამოკიდებული საწარმო გაატარებს არა საკუთარ, არამედ მშობლის ინტერესებს, რომელიც შეიძლება ამ პირველის წინააღმდეგვე იყოს მიმართული.⁵⁸¹ იმ შემთხვევაში თუ კონცერნში შვილობილი კორპორაცია გამოყენებული იქნება მშობლის მიერ საკუთარი ინტერესების გასატარებელი ინსტრუმენტის სახით, მაშინ ლოგიკური იქნება, თუ მშობელი კომპანიის აქტივები ჩაანაცვლებს შვილობილი კორპორაციის აქტივებს მისივე ვალდებულებებისათვის.⁵⁸²

4.1.4.1. სახელშეკრულებო კონცერნი (*Vertragskonzern*)

სახელშეკრულებო კონცერნის ცნებას ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის §§291-292 პარაგრაფები. ასეთ სახელშეკრულებო კონცერნს საფუძვლად უდევს საწარმოო ხელშეკრულებები (*Unternehmensverträge*), რომლებიც მოიცავენ მართვის (*Beherrschungsvertrag*), მოგების გადაცემისა (*Gewinnabführungsvertrag*) და საწარმოს მართვის ხელშეკრულებებს (*Geschäftsführungsvertrag*).⁵⁸³ აღნიშნული

⁵⁸⁰ *Bürgers/Korber/Fett.*, Aktiengesetz, Heidelberger Kommentar, 4.Auflage, 2017, §311, Rn.5, s.2452.

⁵⁸¹ *Goette/Habersack/Kalss/Heider.*, Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§1-75, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2019, §1, Rn.65, s.148.

⁵⁸² *Müller K.*, Die Haftung der Muttergesellschaft für die Verbindlichkeitender Tochtergesellschaft im Aktienrecht, Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrecht, Band 6, Heft 1, 1977, 26.

⁵⁸³ *Hüffer/Koch.*, Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §291, Rn.1, s.1875.

ხელშეკრულებები ერთმანეთს არ გამორიცხავენ და მათი თანაარსებობა, გარკვეული პირობების დაკმაყოფილებით, სრულიად შესაძლებელია.⁵⁸⁴

საკონცერნო ხელშეკრულებით შვილობილი კომპანია აღარ ფუნქციონირებს საკუთარი ინტერესების გასატარებლად ან ყოველ შემთხვევაში, მისი მოქმედებები მხოლოდ საკუთარ ინტერესებს აღარ ითვალისწინებს, არამედ მხედველობაში მიიღება მშობელი კორპორაციის ინტერესებიც.⁵⁸⁵ ეს, თავის მხრივ, ავალდებულებს მშობელ (მაკონტროლებელ) კორპორაციას, რომ შვილობილის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების სანაცვლოდ, იზრუნოს შვილობილის გადახდისუნარიობაზეც. აღნიშნული მოიცავს იმ ვალდებულებებსაც, რომლებიც შესაძლებელია მმართველი კორპორაციის მოქმედებებითა და ბრალით არ იყოს გამოწვეული.⁵⁸⁶ ეს მით უფრო აქტუალურია მართვის ხელშეკრულების დადების დროს: მმართველ საწარმოს ეძლევა უფლება, პირდაპირ დაავალოს მართულს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება და მართული კომპანიაც პრინციპულად ვალდებული იქნება, შეასრულოს ასეთი დავალება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მის ინტერესებში არ იქნება.⁵⁸⁷

4.1.4.2. დე-ფაქტო კონცერნი

გერმანულ საკონცერნო სამართალში დე-ფაქტო კონცერნის ცნება სათავეს 1972 წლიდან იღებს, როდესაც სამართლებრივი სტრუქტურა, დაფუძნებული სააქციო საზოგადოების §311 და §317 პარაგრაფებზე, არ აღმოჩნდა არსებული საკონცერნო ურთიერთობისა და დამოკიდებულების სიტუაციის შესაფერისი.⁵⁸⁸ აღნიშნული ტერმინის ქვეშ დღეს მოიაზრება ისეთი სიტუაცია, როდესაც ხელშეკრულების

⁵⁸⁴ *Miller S.K.*, Piercing the Corporate Veil among Affiliated Companies in the European Community and in the U.S.: A Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, *American Business Law Journal*, Volume. 36, No. 1, Fall 1998, 102.

⁵⁸⁵ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, *Kluwer Law International*, Alphen aan den Rijn, 2007, 50.

⁵⁸⁶ *Dearborn M.*, Enterprise Liability: Reaviewing and Revitalizing Liability for Corporate Group, *California Law Review*, Volume 97, No. 1, February 2009, 218-219.

⁵⁸⁷ უარის თქმის უფლება მართულ კომპანიას აქვს უკანონო, თვით მართვის ხელშეკრულებისა თუ ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო დავალების შემთხვევაში. *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, *Kluwer Law International*, Alphen aan den Rijn, 2007, 50-51, fn. 107.

⁵⁸⁸ *Emmerich/Habersack.*, Konzernrecht, 10.Auflage, C.H.Beck, München, 2013, §28, Rn. 1, s.516-517.

არარსებობის მიუხედავად, ორ საწარმოს შორის რეალურად იგივე სახის ურთიერთობაა, ასეთი ხელშეკრულება რომ სახეზე ყოფილიყო. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ საწარმოთა ჯგუფს აქვს ერთიანი, ჩამოყალიბებული მიმართულება, რაიმე ერთიანი კონცეფცია, რომელსაც ისინი ეყრდნობიან და მას პრაქტიკაში განახორციელებენ, ვთქვათ, ფინანსურ მენეჯმენტში ან ცენტრალიზებული მმართველობითი ორგანოს შექმნით, მაშინ სახეზე იქნება დე-ფაქტო კონცერნი.⁵⁸⁹ დამოკიდებული ურთიერთობის ჩამოყალიბება, ხელშეკრულების დადების გარდა, ასევე შესაძლებელია აქციათა პაკეტის ერთპიროვნული ფლობით (*Alleinbesitz*).⁵⁹⁰ დე-ფაქტო კონცერნის პრეზუმფცია აგრეთვე ჩნდება აქციების პაკეტის უმრავლესობის მფლობელობის შემთხვევაში, რაც ნიშნავს იმას, რომ შვილობილი კომპანია მშობელზე დამოკიდებული ხდება.⁵⁹¹

გერმანული სამართალი დე-ფაქტო კონცერნის მიმართ, მისი არაფორმალური ხასიათის მიუხედავად, საკმაოდ მაღალ სტანდარტებს ადგენს. ასეთი კონცერნის დროს სპეციალური, ურთიერთობის მომაწესრიგებელი ხელშეკრულების არარსებობა გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. კონცერნში მონაწილე მხარეების უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრული არ არის და თუ მართულ საწარმოს სურს, რომ რაიმე კონკრეტული ტრანზაქცია გაასაჩივროს, როგორც მისთვის წამგებიანი გარიგება, პროცესუალურად ამის მტკიცების ტვირთი მთლიანად მასზე იქნება.⁵⁹²

დე-ფაქტო კონცერნის მეტად საინტერესო და წინამდებარე ნაშრომისათვის რელევანტური სახესხვაობა არის კვალიფიციური დე-ფაქტო შპს კონცერნი (*Qualifiziert faktischer GmbH-Konzern*). ის სასამართლო პრაქტიკამ *ავტოკრანის* საქმეზე გადაწყვეტილებით შექმნა.⁵⁹³ კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნის დროს იგულისხმება სიტუაცია, როდესაც კონცერნის მმართველობა იმდენად ინტენსიურად, შეიძლება

⁵⁸⁹ *Dearborn M.*, Enterprise Liability: Reviewing and Revitalizing Liability for Corporate Group, California Law Review, Volume 97, No. 1, February 2009, 219.

⁵⁹⁰ *Bürgers/Korber/Westermann.*, Aktiengesetz, Heidelberger Kommentar, 4.Auflage, 2017, §1, Rn.27, s.49.

⁵⁹¹ *Hofstetter K.*, Parent Responsibility for Subsidiary Corporations: Evaluating European Trends, The International and Comparative Law Quarterly, Volume 39, No. 3, July 1990, 581.

⁵⁹² *Miller S.K.*, Piercing the Corporate Veil among Affiliated Companies in the European Community and in the U.S.: A Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, American Business Law Journal, Volume. 36, No. 1, Fall 1998, 105.

⁵⁹³ BGH Urt. v. 16.09.1985, Az.: II ZR 275/84. ხელმისაწვდომია: <<https://research.wolterskluwer-online.de/document/8f7fe33f-bcb3-4db3-9363-c1cc1f9b0fa5>>, [15.11.2020]

ითქვას რომ პერმანენტულად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე,⁵⁹⁴ ერევა შვილობილის საქმიანობაში, რომ საბოლოო ჯამში ასეთი კონტროლისა და ზეგავლენის შედეგად დამდგარი ზარალის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია⁵⁹⁵ და ანაზღაურებად უბრალოდ აზრს კარგავს.⁵⁹⁶ ამის შედეგად, კონკრეტული მოქმედებების იზოლირება და მათი განყენებულად განხილვა შეუძლებელი ხდება და ასეთი რეგულარული და ყოვლისმომცველი ჩარევის შედეგად შვილობილი კორპორაცია მშობლის ფაქტობრივ სამეწარმეო დანაყოფად (*Betriebsabteilung*) გადაიქცევა.⁵⁹⁷ მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ფაქტობრივ კონცერნს შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სააქციო, აგრეთვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სს-ში აღნიშნული შესაძლებლობა კონკრეტული საკონცერნო ხელშეკრულების გარეშე სადავო და ნაკლებად სავარაუდოა და ასეთი დე-ფაქტო კონცერნის „მსხვერპლი“ საზოგადოებები უმეტესწილად შპს-ს ფორმით არიან წარმოდგენილნი.⁵⁹⁸ აღნიშნული ლიტერატურაში §311 პარაგრაფის „იმანენტურ სისუსტედ“ არის მოხსენიებული.⁵⁹⁹

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ სამართალში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თეორიების პრაქტიკული გამოყენებადობა საკმაოდ დაბალია. აღნიშნული მით უფრო სწორია 2007 წლის *ტრიპოტელის* პრეცედენტული გადაწყვეტილების შემდეგ, რომელსაც საფუძვლად ზოგადსამოქალაქო სამართლებრივი ნორმები დაედო. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ამ თეორიებს, ეყრდნობიან რა ისინი სამართლიანობის ზოგად არგუმენტებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის თაობაზე არსებულ სამართლებრივ-პოლიტიკურ წარმოდგენებს, რაიმე ფუნქციონალური კავშირი არ აქვთ რეალურ პრაქტიკასთან და უნებლიედ იმას უფრო

⁵⁹⁴ *Alting C.*, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative & International Law*, Volume 2, No. 2, Spring 1995, 241-242.

⁵⁹⁵ *Schmidt/Lutter/Vetter.*, AktG, Kommentar, II. Band, 3.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2015, §317, Rn.47, s.4107., *Emmerich/Habersack.*, Konzernrecht, 10.Auflage, C.H.Beck, München, 2013, §28, Rn. 16, s.523

⁵⁹⁶ OLG Köln, Urteil vom 15. Januar 2009, Az.: 18 U 205/07. ხელმისაწვდომია: <http://www.justiz.nrw.de/nrwe/olgs/koeln/j2009/18_U_205_07urteil20090115.html>, [15.11.2020]

⁵⁹⁷ *Rabe T.*, Liberalisierung und Deregulierung im Europäischen Binnenmarkt für Versicherungen, Duncker & Humboldt, Berlin, 1997, s.120.

⁵⁹⁸ *Alting C.*, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative & International Law*, Volume 2, No. 2, Spring 1995, 242.

⁵⁹⁹ *Bürgers/Korber/Fett.*, Aktiengesetz, Heidelberger Kommentar, 4.Auflage, 2017, §311, Rn.27, s.2459

ადასტურებენ, რომ რაიმე ჭეშმარიტი ერთიანი თეორიული საფუძველი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის, რომელიც ყველა ან თუნდაც უმრავლესი შემთხვევებისათვის იქნებოდა გამოსადეგი, დღესდღეობით არ არსებობს.⁶⁰⁰

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, გერმანულ სამართალში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ძირითადად ან საკონცერნო სამართლის ფარგლებში ხდება ან სამოქალაქო კოდექსის §826 პარაგრაფზე დაყრდნობით. სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ადგენს.⁶⁰¹ ამავე დროს, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 2007 წლის სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, პარტნიორს საზოგადოების მიმართ აქვს და არა უშუალოდ კრედიტორებისადმი, რაც ნიშნავს იმისა რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შედეგად დამდგარი გარე (ანუ კრედიტორებისადმი) ვალდებულება (*Durchgriffsausßenhaftung*) გერმანულ სამართალში აღარ არსებობს.⁶⁰² ამრიგად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა რეალურად ზოგადსამოქალაქო ნორმების საფუძველზე ხორციელდება.

გამასა და ტრიპოტელის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ საკორპორაციო სამართალში §826 პარაგრაფის (ზნეობის ნორმების დარღვევა) საფუძველზე პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხი სხვა სახის საქმეებშიც დადგა. მაგალითად, 2009 წლის 9 თებერვალს *სანიტარის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით,⁶⁰³ ლიკვიდაციის შესახებ არსებული ნორმების გაუფრთხილებლობით დარღვევა შეფასდა §826 პარაგრაფის საფუძველზე და პარტნიორს დაეკისრა საზოგადოებისათვის ანაზღაურების გადახდა.

ბუნებრივია, რომ მითითება ზნეობის ნორმების წინააღმდეგ საკმაოდ ზოგადი და ძველი დანაწესია. იმისათვის, რომ პრაქტიკაში გამოყენებული იყოს ეს დებულება, მიზანშეწონილი იქნება, თუკი ზნეობის ნორმების დარღვევაში ვიგულისხმებთ

⁶⁰⁰ Spindler/Stilz/Fock., AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 51, s.11.

⁶⁰¹ იხ. მაგალითად, *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, თარგმანი *დარჯანია თ.*, *ჭეჭელაშვილი ზ.*, თბილისი, 2014, 649-650.

⁶⁰² Spindler/Stilz/Fock., AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 64, s.14.

⁶⁰³ BGH, 09.02.2009 - II ZR 292/07, ხელმისაწვდომია: <<https://lexetius.com/2009,647>>, [15.11.2020].

არსებული ეკონომიკური თუ სამართლებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებასაც.⁶⁰⁴

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ფარგლები გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკაში მეტად შეზღუდულია არა მარტო აშშ-ს, არამედ გაერთიანებული სამეფოსთან შედარებითაც (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ). თუ აშშ-ში პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს იმავე დოქტრინალური თეორიებისა თუ კერძო პრეცედენტების საშუალებით ჩამოყალიბებულ ფაქტორებზე დაყრდნობით, გერმანიაში დღესდღეობით სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული მიდგომით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა რეალურად მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის §826-ე მუხლის საფუძველზე ხდება და ზოგადად პრაქტიკაში მისი როლი საკმაოდ მცირეა.⁶⁰⁵

4.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისადმი მიდგომები გაერთიანებულ სამეფოში

გაერთიანებულ სამეფოში, ისევე როგორც სხვა იურისდიქციებში, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრობლემური მხარეები, როგორც არის ბუნდოვნება და ტერმინოლოგიის სისუსტე, ასევე აქტუალურია, მაგრამ ამავდროულად მას რამდენიმე დამატებითი გართულებაც ემატება. იმავე ამერიკის შეერთებული შტატების სამართლისგან განსხვავებით, გაერთიანებულ სამეფოს სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს კონკრეტული დოქტრინალური ტესტები, როგორცაა „ალტერ ეგო“ ან „ინსტრუმენტალურობა“ და ბრიტანული სასამართლოები მიზნად ისახავენ არა აქციონერებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას, არამედ ყურადღებას სპეციფიკურად ამახვილებენ მხოლოდ განცალკევებული პიროვნულობის უგულებელყოფაზე, კომპლექსური თეორიული საფუძვლის გარეშე და ე.წ. იდენტიფიკაციაზე, როდესაც საბოლოო მიზანი

⁶⁰⁴ *Vandekerchove K.*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 141.

⁶⁰⁵ *Schmidt/Lutter.*, *AktG, Kommentar*, I. Band §1-149, 3. Auflage, Otto Schmidt, 2015, §1, Rn.19, s.179.

არის იმ რეალური ფაქტებისა და გარემოებების გარკვევა, რომელიც შესაძლოა დაფარული იყოს კორპორაციული საფარველით.⁶⁰⁶ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საქმეები წყდება იმაზე დაყრდნობით, ადგილი ჰქონდა არა თაღლითურ ქმედებას (შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებით) ან არის თუ არა კორპორაცია სინამდვილეში „თვალთმაქცობა“ და „თაღლითობა“.⁶⁰⁷

ფუნდამენტალური სასამართლო საქმე გაერთიანებული სამეფოს საკორპორაციო სასამართლოში არის *სალომონის* საქმე,⁶⁰⁸ რომლითაც საბოლოოდ დამტკიცდა პირისა და საზოგადოების განცალკევებულობა არა მარტო ერთპირიანი საზოგადოებების, (რომელსაც უშუალოდ ეხებოდა აღნიშნული გადაწყვეტილება), არამედ ზოგადად ყველა სხვა კორპორაციების შემთხვევაში.⁶⁰⁹ ისტორიულად ბრიტანულ სამართალში შესაძლოა გამოყოფილ იქნას რამდენიმე ეტაპი, როდესაც კორპორაციული საფარველის გაჭოლვისადმი რამდენიმე მიდგომა არსებობდა: ადრეული ექსპერიმენტაცია *სალომონის* გადაწყვეტილების შემდეგ, მეორე მსოფლიოს ომის შემდგომი პოპულარობა, რომელიც 1978 წელს დაგვირგვინდა საფარველის გაჭოლვის შესახებ გადაწყვეტილების⁶¹⁰ მიღებით და 1978 წლიდან დღემდე, როდესაც საფარველის გაჭოლვამ, თეორიული თვალსაზრისით, მიმზიდველობა დაკარგა და პრაქტიკაც მხოლოდ რამდენიმე კერძო შემთხვევით შემოიფარგლა, რომლებშიც განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომები იყო გამოყენებული.⁶¹¹

ბრიტანული საერთო სამართალი გაჭოლვის საკითხის მიმართ კონსერვატიულობითა და განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩევა და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს მას, თუ სახეზეა ან აშკარა „ფასადი“ ნამდვილი ფაქტების

⁶⁰⁶ *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 345-346.

⁶⁰⁷ *Levenberg P.N.*, The Mystery of the Corporate Veil: Comparing Anglo-American Jurisdictions, *Penn State Journal of Law and International Affairs*, Volume 7, No. 1, 2019, 140-149.

⁶⁰⁸ *Salomon v A Salomon & Co Ltd* [1896] UKHL 1, [1897] AC 22

⁶⁰⁹ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, *Kluwer Law International*, Alphen aan den Rijn, 2007, 66.

⁶¹⁰ *Woolfson v. Strathclyde Regi Council* [1978] SC 90 (HL) (Eng.). ხელმისაღწევად: <<http://www.uniset.ca/other/cs5/1978SLT159.html>>, [15.11.2020].

⁶¹¹ *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 334-335.

დასამალავად⁶¹² ან თუ ადგილი აქვს პარტნიორების მხრიდან აშკარა, დაუფარავ კონტროლს.⁶¹³ გაჭოლვა მიიჩნევა უკანასკნელ ზომად, როდესაც ელემენტარულად სხვა გამოსავალი აღარ რჩება.⁶¹⁴ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის კონტექსტში, იურიდიული პირის აღსანიშნავად სასამართლოების მიერ გამოიყენება ტერმინების ნამდვილი კორიანტელი, რომელთა ერთიან სისტემაში მოქცევა საკმაოდ გართულებულია.⁶¹⁵ იმ სამწუხარო, ქაოტურ მდგომარეობას, რომელიც არსებობს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სისტემატიზაციის კუთხით, ყველაზე კარგად გამოხატავს სარკასტული რემარკა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება ხშირად კერძო მოსამართლეზეა დამოკიდებული, მის მსოფლმხედველობაზე ან იმაზეც კი თუ საუბრეზე რა მიირთვა.⁶¹⁶

თუმცა ზემოაღნიშნული შეფასება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა, ვერ ვიტყვით, რომ მასში სიმართლის მარცვალ საერთოდ არ არის. ინოვაციური მეთოდების ნაცვლად, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიზნით ბრიტანელი მოსამართლეები ძირითადად ტრადიციულ ინსტრუმენტებს არჩევენ, როგორცაა ტრასტი და წარმომადგენლობა (*Agency*).⁶¹⁷ ამერიკული საკორპორაციო სამართლის მსგავსად ტერმინები, როგორცაა „თაღლითობა“ და „ფასადი“⁶¹⁸ ბრიტანულ სასამართლო პრაქტიკაში დღესაც გამოიყენება, თუმცა შეიძლება ითქვას კიდევ უფრო ნაკლები

⁶¹² *Woolfson v. Strathclyde Regi Council* [1978] SC 90 (HL) (Eng.). ხელმისაღწევად: <<http://www.uniset.ca/other/cs5/1978SLT159.html>>, [15.11.2020].

⁶¹³ *Hashem v Shayif & Anor* [2008] EWHC 2380 (Fam). ხელმიწადვწომია: <<https://www.familylawweek.co.uk/site.aspx?i=ed27725>>, [15.11.2020].

⁶¹⁴ *Kabour R.*, Revisiting the Inhibited Doctrine of Piercing the Corporate Veil in English Company Law, *King's Student Law Review*, Volume. 9, No. 2, 2019, 66.

⁶¹⁵ შეიძლება ითქვას, გაჭოლვის საქმეებში იურიდიული პირის დასახასიათებლად გამოყენებული ტერმინოლოგია მხოლოდ მოსამართლეთა ფანტაზიითა და მხატვრული ნიჭით თუ არის შემოსაზღვრული. იხ: *Pickering M.A.*, The Company as a Separate Legal Entity, *The Modern Law Review*, Volume 31, No. 5, September, 1968, 481-482.

⁶¹⁶ *Bourne N.*, *Bourne on Company Law*, 6th Ed., Routledge, London, 2013, 19.

⁶¹⁷ *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 337, 346.

⁶¹⁸ ვხვდებით კიდევ უფრო ფერად ეპითეტებს, როგორცაა: „ნიღაბი“ (“*mask*”) და „ხელსაწყო“ (“*device*”). „ნიღაბი“ იმ გაგებით, რომ პირი „ინიღბება“ სამართლისგან დასამალად. იხ: *Jones v Lipman* [1962] 1 WLR 832, მითითებულია: *French D., Mayson*, *French and Ryan on Company Law*, 34th Ed., Oxford University Press, Oxford, 2017, 140.

თეორიული დასაბუთებითა და სისტემატიზაციით.⁶¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული სასამართლოები ამერიკული საქმეების გადაწყვეტილებებიდან ზოგიერთი ფორმულირების გადმოღებაზე უარს არ ამბობენ,⁶²⁰ რაიმე რეალური კომპლექსური თეორიული დოქტრინა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის არ არსებობს ერთი გამონაკლისის გარდა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ბრიტანული სამართლით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის⁶²¹ საფუძველი შეიძლება იყოს სასამართლოს მოქმედება ან საკანონმდებლო ჩარევა.⁶²² ისევე როგორც გერმანიაში, კაპიტალური საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს ბოროტად გამოყენებას. თუ მაგალითად კომპანიის ჩამოყალიბება და მართვა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ ერთადერთი მიზნით, რომ მხარემ თავიდან აიცილოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მაშინ სასამართლოსათვის სრულიად ლოგიკური იქნება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა შეიძლება უგულებელყოფილი იყოს.⁶²³ ასეთ შემთხვევაში იშვიათი არ არის კომპანიას ეწოდოს „ფასადი“ ან „თვალთმაქცობა“.⁶²⁴

მიდგომა, რომელიც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიზნებისათვის კორპორაციას აღიქვამს „ფაქტების დასამალავად შექმნილ ფასადად“, საფუძვლად დაედო მეტად სპეციფიკურ ბრიტანულ „დოქტრინას“, მიღებულს გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს მიერ. პარალელურად, არსებობს წარსული მიდგომებიც, რომლებიც დღეს ნაკლებად აქტუალურია, თუმცა მათი განხილვა მაინც ინტერესის საგანს წარმოადგენს მათი განსაკუთრებული შინაარსის გამო.

⁶¹⁹ *Talbot L.*, *Critical Company Law*, Routledge-Cavendish, New York, 2007, 33-34.

⁶²⁰ მაგალითად საქმეზე *Gencor ACP Ltd & Ors v Dalby & Ors* [2000] EWHC 1560 (Ch) (27 July 2000) კომპანია მოხსენიებული იყო როგორც „ალტერ ეგო“. ხელმისაწვდომია: <http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/Ch/2000/1560.html>, [15.11.2020].

⁶²¹ გაერთიანებულ სამეფოში დოქტრინას მოიხსენიებენ უფრო როგორც „*lifting the corporate veil*“ ანუ „კორპორაციული საფარვლის მოხსნა“ და არა „გაჭოლვა“.

⁶²² *Davies P.L.*, *Gower and Davies' Principles of Modern Company Law*, 8th Edition, Sweet and Maxwell Ltd., London, 2008, 193-196.

⁶²³ იხ. *Gilford Motor Co Ltd v Horne* [1933] Ch 935, როდესაც კომპანია ჩამოყალიბებული იყო საწარმოს ყოფილი დირექტორის მიერ, ნაკისრი ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით. მსგავსი საქმეები: *Jones v Lipman* [1962] 1 WLR 832; *Adams v Cape Industries plc* [1990] Ch 433.

⁶²⁴ *Sealy L.*, *Worthington S.*, *Cases and Materials in Company Law*, 8th edition, Oxford University Press, Oxford, 2008, 63.

4.2.1. თავის არიდება (*Evasion*) და დამალვა (*Concealment*)

საინტერესოა რომ გაერთიანებული სამეფოს სამართალში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ერთ-ერთი საფუძვლის – ე.წ. კორპორაციის „ფასადურობის“ – მიმართ დოქტრინის თავისებური განახლება მოხდა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა წინაპირობების დაკონკრეტებას და ერთმანეთისგან განსხვავებული იქნა თავის არიდება (*Evasion*) და დამალვა (*Concealment*).⁶²⁵ თუ წინა საქმეებში მითითება ხდებოდა ზოგადად იმაზე, რომ კორპორაცია „ფასადს“ წარმოადგენდა, ახალი პრაქტიკა ყურადღებას ამახვილებს სწორედ თავის არიდების მომენტზე – საფარვლის გაჭოლვისათვის კორპორაციული სტრუქტურა გამოყენებულ უნდა იყოს უკვე არსებული ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით.⁶²⁶ მეორეს მხრივ, მარტოოდენ ფაქტების დამალვას შესაძლოა არ მოჰყვეს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა და ზოგადად არც ერთი ამ ორი ფაქტორიდან არ უნდა იქნას გაიგივებული კორპორაციული საფარვლის ავტომატურ გაჭოლვასთან. დამალვის შემთხვევაში, სასამართლოს მხოლოდ იმის უფლება აქვს, ნამდვილი აქტორებისა და მოქმედი პირების (*real actors*) ვინაობა დაადგინოს. ამ შემთხვევაში სასამართლო უბრალოდ იხედება კორპორაციული სტრუქტურის უკან და ასრულებს იმ რეალური ფაქტების კონსტანტაციას, რომლებიც ასეთი სტრუქტურის უკანაა დამალული.⁶²⁷ თავის არიდებას შეიძლება მოჰყვეს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, თუ არსებობს მოსარჩელის რაიმე ლეგიტიმური უფლება, რომლის განხორციელებაშიც სწორედ განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობა არის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი.⁶²⁸

⁶²⁵ *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC 34, [2013] 2 AC. ხელმისაწვდომია: <<https://www.bailii.org/uk/cases/UKSC/2013/34.html>>, [15.11.2020].

⁶²⁶ *Khimji M.F., Nicholls C.C.*, Piercing the Corporate Veil Reframed as Evasion and Concealment, U.B.C. Law Review, Volume 48, No. 2, 2015, 426.

⁶²⁷ *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC 34, [2013] 2 AC. ხელმისაწვდომია: <<https://www.bailii.org/uk/cases/UKSC/2013/34.html>>, [15.11.2020]. ამ შემთხვევაში შეიძლება პარალელი გავლებულ იქნას ზოგიერთი ავტორის მიერ ნახსენებ კორპორაციული სამოსელის უკან ე.წ. შეჭყეტვასთანაც (*Peeping*), ნამდვილი ფაქტების დადგენის მიზნით. იხ: *Ottolenghi S.*, From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring It Completely, *The Modern Law Review*, Volume 53, No. 3, May, 1990, 340-343.

⁶²⁸ (*The evasion principle is different. It is that the court may disregard the corporate veil if there is a legal right against the person in control of it which exists independently of the company's involvement, and a*

ამ მიდგომის ძირითადი კონტურები ასე თუ ისე გასაგებია, თუმცა იგი მაინც პრობლემებთანაა დაკავშირებული. ზოგიერთ სიტუაციაში ძალიან რთულია დამალვასა და თავის არიდებას შორის რაიმე განსხვავების პოვნა და ძალიან ხშირად თავის არიდების ყველაზე მარტივი და გავრცელებული გზა სწორედ დამალვაა.⁶²⁹ სხვები აღნიშნავენ რომ ადგილი ჰქონდა უბრალოდ ტერმინოლოგიის კოსმეტიკურ ცვლილებას: „ფასადი“ „დამალვად“ შეიცვალა და უბრალოდ დაემატა „თავის არიდება“.⁶³⁰ მიუხედავად ნაკლოვანებისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა რეალურად ეყრდნობა გარკვეულ სამართლებრივ პოლიტიკას და აშკარად უპირატესია ზოგად მეტაფორებთან შედარებით, როგორცაა „თვალთმაქცობა“ და „ფასადი“.⁶³¹

4.2.2. ერთიანი ეკონომიკური ერთეულის დოქტრინა

გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული თეორია არის „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ (*Single Economic Unit*) დოქტრინა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კორპორაციისა და მაკონტროლებელი ძალის ეკონომიკური ინტეგრირებულობის ხარისხზე. აღნიშნული მიდგომა ძირითადად ინგლისის სასამართლოებში გამოიყენებოდა,⁶³² თუმცა დღესდღეობით მან, სამწუხაროდ, აქტუალურობა დაკარგა. შინაარსობრივად ეს თეორია

company is interposed so that the separate legal personality of the company will defeat the right or frustrate its enforcement.“) იხ. *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC 34, [2013] 2 AC.

⁶²⁹ *Kabour R.*, Revisiting the Inhibited Doctrine of Piercing the Corporate Veil in English Company Law, *King's Student Law Review*, Volume. 9, No. 2, 2019, 62.

⁶³⁰ *Khimji M.F., Nicholls C.C.*, Piercing the Corporate Veil Reframed as Evasion and Concealment, *U.B.C. Law Review*, Volume 48, No. 2, 2015, 439.

⁶³¹ *Tan C., Wang J., Hofmann C.*, Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, *Berkeley Business Law Journal*, Volume 16, Issue 1, 2019, 153.

⁶³² თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებშიც არსებობს ანალოგიური დოქტრინები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, მაგალითად, შრომით დავებში იხილეთ ე.წ. ინტეგრირებულის საწარმოს (*Integrated Enterprise*) დოქტრინა და საწარმო ერთეულის (*Enterprise Entity*) წესი. იხ: *Presser S.B.*, The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006, 417-418. *Carolan J.P.*, Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 183-184.

მეტად საინტერესოა და მისი, თუნდაც ზოგადი განხილვის გარეშე დატოვება, არასწორი იქნებოდა.

როგორც არაერთხელ აღინიშნა წინამდებარე ნაშრომში, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დასაბუთება ძირითადად ეკონომიკური სარჩულით ახალი არ არის და ის უკვე პირველი დოქტრინალური ტესტების შემუშავების კვალდაკვალ ჟღერდებოდა იურიდიულ ლიტერატურაში. ამ მიდგომით წინა პლანზე დგება არა სამართლებრივად განცალკევებული იურიდიული პირი, არამედ მთლიანად საწარმო, რომელიც უკანონოდ მოქმედებს, სჩადის სამართალდარღვევას. სწორედ საწარმოს რეალური ეკონომიკური სახე და ბუნება არის ჭეშმარიტი და ამით კორპორაციული პიროვნულობისა თუ სხვა ორგანიზაციული (ამ შემთხვევაში) შინაარსმოკლებული იურიდიული „ფორმალობები“ ძალას კარგავს.⁶³³

„ერთიან ეკონომიკურ ერთეულად“ განხილვისათვის რაიმე კონკრეტული ფაქტორების სია და ჩამონათვალი არ არსებობს. წინაპირობები, რომლებიც მოცემულია სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ზოგადია და თითქმის ყველა ჩვეულებრივ შვილობილ კომპანიას შეეძლება შეეხოს. მაგალითად, *DHN*-ის საქმეზე⁶³⁴ გადაწყვეტილებაში, რომელიც აღნიშნული დოქტრინის დამფუძნებლად ითვლება,⁶³⁵ ნახსენები იყო შვილობილ კორპორაციებში მშობელი კომპანიის მიერ ყველა აქციის ფლობა, რაც განაპირობებდა მათ მჭიდრო კავშირსა და ბმას და ასევე აღნიშნული იყო, რომ ეს კომპანიები ერთიან ჯგუფს, რეალურად ამხანაგობებს წარმოადგენდნენ, რომელშიც სამივე ფაქტობრივად პარტნიორი იყო.⁶³⁶ ასეთი ზოგადი ახსნის პრობლემატიურობა გასაგებია – შვილობილ კომპანიათა უმეტესობაში მშობელი კომპანია ხშირად ფლობს ყველა აქციას, არათუ უმრავლესობას და ამ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ მათ შორის მყარი ბმაც და კავშირიც იქნება. თუ ასეთი ზოგადი და გაურკვეველი მიდგომით ვიხელმძვანელებთ, ეს დოქტრინა ფაქტობრივად ყველა

⁶³³ *Berle A.A.*, The Theory of Enterprise Entity, Columbia Law Review, Volume 47, No. 3, April 1947, 354.

⁶³⁴ *DHN Food Distributors Ltd v Tower Hamlets London Borough Council* [1976] 1 WLR 852.

⁶³⁵ *ზუბიტაშვილი ნ.*, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2014, 39.

⁶³⁶ *Wild C., Weinstein S., Smith and Keenan's Company Law*, 17th Ed, Pearson Education Limited, Harlow, 2016, 67.

შვილობილ კორპორაციაზე შეიძლება გავრცელდეს და ამგვარად კორპორაციის მიერ მეორის დაფუძნება ან დაუფლება, სამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

„ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ დოქტრინის უკეთ გასაგებად, გათვალისწინებული უნდა იყოს მშობელი და შვილობილი კორპორაციებისა და ზოგადად კორპორაციათა ჯგუფების როლი და მნიშვნელობა დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში. გეოგრაფიულ თუ პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო და რაც უფრო ყურადსაღებია, საგადასახადო ვალდებულებების თავის აცილებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის (ლეგალურად) გამოყენების სურვილით, კომპანიებს ხშირად სწორედ შვილობილი კომპანიების მეშვეობით ურჩევნიათ მოქმედება.⁶³⁷ შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას ამ დოქტრინის მნიშვნელობას კონკურენციის სამართალში, საიდანაც დოქტრინა წარმოიშვა. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით, პასუხისმგებლობა დააკისრა მშობელ კომპანიას შვილობილი კომპანიის ვალდებულებებისათვის იმ საფუძველით, რომ ეს ურთიერთდაკავშირებული კომპანიები წარმოადგენდნენ ერთიან ეკონომიკურ ერთეულს.⁶³⁸

ერთიან ეკონომიკურ ერთეულად მიჩნევის შემთხვევაში, მშობელ კომპანიას შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა შვილობილი კომპანიის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის. აქ ყურადღება ექცევა საქმის ეკონომიკურ რეალობას, თუმცა თავისთავად, თუ გავითვალისწინებთ, რომ კორპორაციულ ჯგუფებში აღიარებულია თითოეული საზოგადოების განცალკევებულობა და აღნიშნული ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ დოქტრინას სასამართლო მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს

⁶³⁷ *Kershaw D.*, *Company Law in Context: Text and Materials*, Oxford University Press, Oxford, 2009, 60.

⁶³⁸ *Koenig K.*, *An Economic Analysis of the Single Economic Entity Doctrine in EU Competition Law*, *Journal of Competition Law and Economics*, Volume 13, Issue 2, June 2017, 5.

თაღლითობასა ან/და უსამართლობას, კომპანიის „ფასადურობის“ დროს ან თუ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ზოგადად სამართლის ინტერესშია.⁶³⁹

ერთიანი ეკონომიკური ერთეულის თეორია დღესდღეობით ნაკლებად პოპულარულია, განსაკუთრებით 1990 წლის *ასბესტოსის* გახმაურებული საქმის⁶⁴⁰ შემდგომ, როდესაც სასამართლომ საფარვლის გაჭოლვაზე უარი განაცხადა სწორედ აღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით. თეორიას არასოდეს აკლდა კრიტიკოსები, რომლებიც მას *სალომონის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან რადიკალურ გადახრად აღიქვამდნენ და თვით საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტისათვის ძირგამომთხვრელად თვლიდნენ.⁶⁴¹ ამის მიუხედავად, არსებობენ ავტორებიც, რომლებიც იმედს გამოთქვამენ, რომ ამ თეორიის რეფორმულირებით, მისთვის მკაცრად განსაზღვრული ფარგლებისა და კარგად ჩამოყალიბებული თეორიული ბაზისის მიცემით, იგი შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს საკორპორაციო გაჭოლვის საქმეებში.⁶⁴²

4.2.3. სხვა მიდგომები

„ერთიანი ეკონომიკური ერთეულისა“ და თავის არიდების მიდგომების გარდა, შესაძლებელია ითქვას, რომ ერთადერთი სხვა სპეციფიკური მიდგომა არის აგენტის (წარმომადგენლის) (*Agency*) დოქტრინა, რომელიც ეყრდნობა საერთო სამართლის ძირითად პრინციპებს. ამ თეორიით შვილობილი კორპორაცია ან კორპორაცია ზოგადად წარმოადგენს აგენტს, რომლის მეშვეობითაც პირი საკუთარ მოქმედებებს ახორციელებს. აქ განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მშობელ-შვილობილ ან სხვა კორპორაციებს შორის არსებული ურთიერთობის შედეგად მიყენებულ ზიანზე, რაც შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურ ადგილს იკავებს დოქტრინაში. მარტოოდენ

⁶³⁹ *Davies P.L.*, Gower and Davies' Principles of Modern Company Law, 8th Edition, Sweet and Maxwell Ltd., London, 2008, 203-208.

⁶⁴⁰ *Adams v Cape Industries PLC* [1990] Ch 433.

⁶⁴¹ *Talbot L.*, Critical Company Law, Routledge-Cavendish, New York, 2007, 31.

⁶⁴² *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Volume 34, Issue 2, 2011, 390.

ფაქტობრივად არსებული ურთიერთობა არ არის საკმარისი, თუ აღნიშნულს რაიმე ზარალი არ მოჰყვა და ამ ზარალისთვის ანაზღაურების მიღების გზაზე განცალკევებული პიროვნულობა დაბრკოლებას წარმოადგენს.⁶⁴³

ამ თეორიის საილუსტრაციოდ გამოდგება ერთ-ერთ წამყვანი საქმე⁶⁴⁴, რომელშიც ფაქტი იმისა, რომ შვილობილ კორპორაციას არ ჰქონდა საკუთარი ბუღალტრული აღრიცხვა, მიღებული მოგება მიიჩნეოდა პირდაპირ მშობელი კომპანიის მოგებად და შვილობილი მშობელს უძრავი ქონების იჯარასაც კი არ უხდიდა, მიჩნეული იყო საკმარისად იმისათვის, რომ შვილობილი უბრალოდ „აგენტად“, „წარმომადგენლად“ შერაცხულიყო.⁶⁴⁵

საქმის ამგვარად გადაწყვეტას, როგორც უკვე აღინიშნა, ისევ იმავე პრობლემებისკენ მივყავართ, რაც ზოგადად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისთვის არის დამახასიათებელი – ბუნდოვნება, კონკრეტიკის ნაკლებობა და ტერმინოლოგიური გაურკვეველობა. კითხვები ჩნდება, მაგალითად, ამავე მიდგომის „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ თეორიასთან ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. თუ ავიღებთ იმავე ზემოაღნიშნულ გარემოებებს (განცალკევებული ბუღალტერიის არარსებობა, ქირის გადაუხდელობა), ასევე ლოგიკური იქნებოდა, თუ ზემოაღნიშნულ ორ კორპორაციას ჩვენ მივიჩნევდით „ერთიან ეკონომიკურ ერთეულად“, რადგან ისინი მთლიანობაში ეკონომიკურად კონსოლიდირებულნი და ინტეგრირებულნი იყვნენ. შესაბამისად, ორივე დოქტრინა ამ შემთხვევაში სწორი იქნებოდა ან უფრო სწორად, ორივე დოქტრინის თეორიული წინაპირობების დასაკმაყოფილებლად მოსამართლეს თავისუფლად შეეძლო შესაბამისი ფაქტებისა და მტკიცებულებების მოყვანა. ამგვარად კითხვა ისმევა „აგენტის“ დოქტრინისა და „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ თეორიის იდენტურობისა და მათ შორის შესაძლო განსხვავების თაობაზე, რომელზედაც ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არის.

შესაძლებელია „აგენტის“ მიდგომის განმასხვავებელ პირობად ჩაითვალოს ის, რომ მშობელი კორპორაცია უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის „თავი და ტვინი“,

⁶⁴³ *Talbot L.*, *Critical Company Law*, Routledge-Cavendish, New York, 2007, 35.

⁶⁴⁴ *Smith, Stone, and Knight Ltd v Birmingham Corporation* [1939] 4 All ER 116.

⁶⁴⁵ *Cassidy J.*, *Concise Corporations Law*, 5th Ed., The Federation Press, Sydney, 2006, 54-55.

რითაც პარალელი ივლება აშშ-ს ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალურობის დოქტრინასთან, როდესაც „თავი და ტვინი“ მშობელი კორპორაციაა.⁶⁴⁶ თუმცა ამ შემთხვევაშიც, ბუნდოვანია კავშირი სხვა თეორიებთან. როდესაც საუბარია იმავე „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ დოქტრინაზე, მიიჩნევა რომ, ასეთ ერთეულში შედიან როგორც მშობელი, ასევე შვილობილი. დომინანტური მდგომარეობაც, ბუნებრივია, უკავია მშობელს. საპირისპირო მდგომარეობა, როდესაც შვილობილი წარმოადგენს „თავსა და ტვინს“ უბრალოდ შეუძლებელია, თუ ჩვენ საერთოდ არ ვუფულებელყოფთ სიტყვების – „მშობლისა“ და „შვილობილის“ – ლექსიკურ მნიშვნელობებს.

ზემოაღნიშნული მიმოხილვის შემდეგ, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებული სამეფოს სამართალში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა არ სარგებლობს დიდი პოპულარობით, გამოიყენება იშვიათად და თეორიულად ნაკლებადაა დამუშავებული, იმავე აშშ-სა და გერმანიის სამართალთან შედარებით.⁶⁴⁷ არასისტემატიურობა, ანალიტიკური ჩარჩო-სტრუქტურის ნაკლებობა და არასრული კატეგორიზაცია წარმოადგენენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც საფარვლის გაჭოლვის გამოყენებადობას მკვეთრად ზღუდავენ.⁶⁴⁸ აღნიშნულს ემატება საკმაო სკეპტიციზმი ზოგადად კონცეფციისადმი, რაც ბუნებრივია, ნაწილობრივ მაინც, გამოწვეულია თვითონ ამავე არასისტემატიურობითა და ბუნდოვნებით.⁶⁴⁹

ზემოაღნიშნული მიმოხილვიდან აშკარაა, რომ გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ასევე იურიდიულ დოქტრინაში, განსაკუთრებულად დიდ ადგილს არ იკავებს. ამავდროულად ნიშანდობლივია გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების მიერ შემუშავებული საინტერესო მიდგომები, რომლებიც კორპორაციათა ეკონომიკურ

⁶⁴⁶ *Kabour R.*, Revisiting the Inhibited Doctrine of Piercing the Corporate Veil in English Company Law, *King's Student Law Review*, Volume. 9, No. 2, 2019, 65.

⁶⁴⁷ *Davies P., Worthington S.*, *Gower: Principles of Modern Company Law*, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 206.

⁶⁴⁸ *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 332.

⁶⁴⁹ *French D., Mayson S., Ryan C.*, *Mayson, French & Ryan on Company Law*, 33rd Ed., Oxford, Oxford University Press, 2016, 141-142.

ინტეგრაციაზე ამახვილებენ ყურადღებას („ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ მიდგომა). შესაძლებელია, უფრო ზოგადი ანალიტიკური სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბების მეშვეობით, აღნიშნული პრობლემები გამოსწორდეს, რადგან თვით ტრადიციული საერთო-სამართლებრივი ინსტიტუტების (ტრასტი, წარმომადგენლობა) მარეგულირებელი დებულებები უბრალოდ არ არის საკმარისი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვასთან დაკავშირებული ახლად აღმოცენებული პრობლემების გადასაჭრელად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი არ შემუშავდნენ და არ განვითარდნენ ამ კონკრეტული დანიშნულებით.⁶⁵⁰ შესაბამისად რთული იქნება მათი „მორგება“ ყველა სიტუაციაზე. იმავე აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების მიდგომებს შორის არის საკმარისი გადაკვეთის წერტილი იმისათვის, რომ მოხდეს ზოგიერთი ამერიკული დოქტრინალური ტესტის რეცეფცია გაერთიანებული სამეფოს სასამართლო პრაქტიკაში. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ იმავე ალტერ ეგოსა თუ ინსტრუმენტალურობის დოქტრინის კვალი აშკარად შეიმჩნევა იმ სასამართლო გადაწყვეტილებებსა თუ ნაშრომებში, რომლებშიც საუბარია კორპორაციაზე, როგორც ფასადსა თუ თვალთმაქცობაზე.⁶⁵¹

4.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

აშშ-ს სამართალში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკითხი დღესდღეობით მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, იგი უფრო მეტადაა დოქტრინალურ ჩარჩოებში მოქცეული და განვითარებული, ვიდრე, ვთქვათ, იმავე გაერთიანებულ სამეფოში.⁶⁵² სხვა იურისდიქციებისგან განსხვავებით,

⁶⁵⁰ *Whincup M.*, Inequitable Incorporation – the Abuse of A Privilege, 2 Company Law, 1981,159. მითითებულია: *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Volume 34, Issue 2, 2011, 355.

⁶⁵¹ *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Volume 34, Issue 2, 2011, 381-388.

⁶⁵² *Levenberg P.N.*, The Mystery of the Corporate Veil: Comparing Anglo-American Jurisdictions, Penn State Journal of Law and International Affairs, Volume 7, No. 1, 2019, 176. აღნიშნულ შეფასებას სხვა, არაამერიკელი

აშშ-ში ზოგადი სამართლის პოლიტიკის მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი არის საფარვლის გაჭოლვა უფრო მეტი კატეგორიის საქმეში და უფრო ხშირად ვიდრე სხვა ქვეყნებში.⁶⁵³ აღნიშნულია, რომ აშშ-ში საფარვლის გაჭოლვის ინსტიტუტში უფრო მეტი ფაქტორი და საკითხი მოიაზრება და განიხილება.⁶⁵⁴ კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს მეტ-ნაკლები სისტემატიზაცია და ჩარჩო-სტრუქტურა, რომელიც, შეიძლება ითქვას, აშშ-ს სხვა ქვეყნების ფონზე გამოარჩევს. აღნიშნული მოიცავს ე.წ. დოქტრინალურ ტესტებს, როგორცაა, იგივე „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ ტესტები, რომლებიც, მიუხედავად მათი ბოლომდე ჩამოყალიბებული ფორმებისა, მაინც მნიშვნელოვნად აადვილებენ მოსამართლეთა და პრაქტიკოს იურისტთა საქმეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თეორია მას შემდეგ შემუშავდა, რაც კორპორაციული პიროვნულობის თეორიამ მყარად გაიდგა ფეხი სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ თეორიაში. მანამდე, როგორც სხვა იურისდიქციებში, პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის რაიმე სპეციალური თეორიის ან დოქტრინის არსებობის საჭიროება არც იყო, რადგან პიროვნულობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტები არ იყო იურისპრუდენციაში საბოლოოდ ჩამოყალიბებული და აღიარებული – პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ანალოგიის სახით ხშირად მიმართავდნენ კერძო და საჯარო სამართლის დებულებებს.⁶⁵⁵ გაჭოლვის ინსტიტუტის საბოლოო

ექსპერტებიც ეთანხმებიან: *Ottolenghi S.*, From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring It Completely, *The Modern Law Review*, Volume 53, No. 3, May, 1990, 339.

⁶⁵³ ემპირიული მონაცემებიც აშკარად აჩვენებს საფარვლის გაჭოლვის უფრო მეტ სიხშირეს აშშ-ში, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკითხის განხილვა უფრო განზოგადებულ სოციალურ-პოლიტიკურ კრილში უნდა ჩაითვალოს სწორედ იმ მნიშვნელოვან თავისებურებად, რომელიც აშშ-ს საკორპორაციო სამართალს განასხვავებს სხვა სამართლებრივი სისტემებისგან, მათ შორის, ბრიტანეთის სამართლისგან. იხ: *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 350-351.

⁶⁵⁴ *Tan C., Wang J., Hofmann C.*, Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, *Berkeley Business Law Journal*, Volume 16, Issue 1, 2019, 161.

⁶⁵⁵ ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ პარალელი გაავლო რა მუნიციპალიტეტის უფლებასთან, გაეზარდა ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის გადასახადები, ანალოგიით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააქციო საზოგადოებასაც შეეძლო წინასწარგაუთვლელი თანხების დაფარვის დაკისრება აქციონერებისათვის. დაწვრილებით იხ: *Henretta J.A.*, Magistrates, Common Law Lawyers, Legislators, წიგნში: *The Cambridge History*

ფორმირების პერიოდად შეიძლება 1920-იანი წლების შუაგული და 1930-იანი წლების დასასრული მივიჩნიოთ, როდესაც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თემატიკაზე რამდენიმე სპეციფიკური წიგნი და მრავალი სტატია გამოქვეყნდა, რამდენიმე მნიშვნელოვან სასამართლო პრეცედენტთან ერთად.⁶⁵⁶

იურისდიქციულად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგადად სხვა საერთო სამართლის ქვეყნებშიც, როგორც წესი, ე.წ. სამართლიანობის სამართლის⁶⁵⁷ ქვეშაა მოქცეული, რაც აიხსნება იმით, რომ საფარვლის გაჭოლვა განიხილება, როგორც კორპორაციული სამოსელის პრივილეგიის ბოროტად გამოყენების შედეგად დამდგარი ზიანის გამოსასწორებელი მოქმედება, ერთგვარი რესტიტუცია (*remedy*).⁶⁵⁸

კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური წეს-წყობილებაც. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, როგორც 50 შტატისა და სხვა დამოკიდებული ტერიტორიებისგან შემდგარი ფედერაციული რესპუბლიკისათვის, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მხრივ, საკმაოდ მწვავე საკითხს წარმოადგენს შესაძლო კოლიზია ფედერალურ და შტატების სამართალს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სამართლებრივი სისტემის ძირითადი ბირთვი დღესდღეობითაც პრეცედენტული სამართლია, კანონმდებლობისა, და, განსაკუთრებით კი, შტატების კონსტიტუციასა და კანონებზე იერარქიულად უფრო მაღლა მდგარი ფედერალური სტატუტების

of Law in America, Volum I: Early America, Ed. *Grossberg M., Tomlins C.*, Cambridge University Press, Cambridge, 2008, 590.

⁶⁵⁶ *Blumberg P.I.*, *The Multinational Challenge to Corporation Law: The Search for a New Corporate Personality*, Oxford University Press, Oxford, 1993, 84. ზოგიერთი ავტორი პირველ მნიშვნელოვან სასამართლო პრეცედენტებს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შესახებ აგრეთვე 1920-იანი წლებით ათარიღებს: *Krendl C.S., Krendl J.R.*, *Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry*, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 8-9.

⁶⁵⁷ *Law of Equity*. საერთო სამართლის ქვეყნებში სამართლის დაყოფა ხდება პრეცედენტულ საერთო სამართლად (*Common Law*), რომელიც ინგლისში სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა და სამართლიანობის სამართლად (*Law of Equity*), რომელიც სამეფო კანცლერის მიერ გაცემული სპეციალური ბრძანებებისა და ედიქტების გავლენით აღმოცენდა, ძირითადად საერთო სამართლის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და გაურკვევლობის აღმოფხვრის მიზნით. უფრო კონკრეტულად აღნიშნული ინსტიტუტის რაობისა და ისტორიის შესახებ იხ: *Hudson A.*, *Equity and Trusts*, 8th Ed., Routledge, London, 2014, 3-43.

⁶⁵⁸ *Carolan J.P.*, *Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics*, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 176.

მნიშვნელობა იზრდება.⁶⁵⁹ საკითხს ართულებს ის ფაქტი, რომ ფედერალური კანონების (სტატუტების) უმრავლესობა მხოლოდ მოკლედ, არაპირდაპირ ან საერთოდ არც ეხება კორპორაციის ვალდებულებებისათვის პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემას, ხოლო შტატების ან საერთოდ ადგილობრივი ოლქების სასამართლოების დონეზე მიღებული პრეცედენტები მოქმედად ითვლება მხოლოდ აღნიშნული შტატის ან ადგილობრივი ოლქის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი პრეცედენტად მოყვანა ან მასზე მითითება სხვა შტატების სასამართლოების მიერაცაა შესაძლებელი. ამრიგად სხვადასხვა შტატის პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და აღნიშნული კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის პრობლემატიკასაც ეხება.⁶⁶⁰

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე დოქტრინალური თვალსაზრისით, უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც მყარად არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც კაპიტალური საზოგადოების კორპორაციული პიროვნულობის უგულებელყოფის განსაკუთრებული საშუალება, ლიტერატურაში კონკრეტული ფაქტორების, საფუძვლებისა და მეთოდების შესახებ დღესაც საკმაოდ დიდი დავა მიმდინარეობს.

არსებული ტესტები და დოქტრინები, რომლებიც, თუმცა კი აადვილებენ და ერთგვაროვანს ხდიან სასამართლოების მიერ ამ დელიკატურ საქმეებში გადაწყვეტილების მიღებას, უნაკლო სულაც არ არის. მართოდენ ტერმინოლოგიური აღრევის გამო, როგორც დავინახავთ, ლიტერატურაში მეტად სადავო საკითხია იმავე „ალტერ ეგოს“ დოქტრინის ურთიერთმიმართება სხვა მსგავს ინსტიტუტებთან. „ინსტრუმენტალურობისა“ და „ალტერ ეგოს“ დოქტრინებს თუმცა კი ცალ-ცალკე გამოყოფენ, იქვე აღნიშნავენ, რომ არსობრივად ეს ორი (ან შეიძლება საერთოდ სამი – ე.წ. ერთეულის დოქტრინის (*Entity doctrine*) ჩათვლით) – სინამდვილეში ერთი და იგივეა

⁶⁵⁹ აღნიშნულისა და ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში წყაროთა იერარქიის შესახებ იხ: *Farnsworth E.A., An Introduction to the Legal System of the United States, 4th Ed., Oxford, Oxford University Press, 69-72.*

⁶⁶⁰ *Vandekerchove K., Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 78.*

თეორიაა, რაც, რა თქმა უნდა, სვამს ლოგიკურ შეკითხვას, თუ რა საჭიროა მათი ცალკე გამოყოფა და დამატებით დაბნეულების შეტანა ისედაც ბუნდოვან საკითხში.⁶⁶¹

სამართლიანად მახვილდება ყურადღება იმ საფრთხეებზე, რომელიც ასეთ ტერმინოლოგიურ ქაოსს მოჰყვება. საბოლოოდ შეიძლება დადგეს შედეგი, როდესაც მოსამართლე სკრუპულოზურად, უკანასკნელი დეტალის ჩათვლით, კორპორაციის ჩამოყალიბების ან ზოგიერთი (შეიძლება საკმაოდ უმნიშვნელო) კორპორაციული ფორმლობის დაუცველობის მიზეზს იკვლევს.⁶⁶² თუ ეს მიზეზი პირადი პასუხისმგებლობის აცილებაა, მაშინ მოსამართლე შეიძლება ფსიქოლოგიურად უფრო მიდრეკილი იყოს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალური საზოგადოების ჩამოყალიბებას რეალურად სწორედ ამ სრულიად კანონიერი მიზნით აქვს ადგილი. პირის მიერ პირადი პასუხისმგებლობის შეზღუდვა, შესაბამისი კორპორაციული ერთეულის ჩამოყალიბების გზით, არათუ საეჭვო ან უკანონო, აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა⁶⁶³ და არ უნდა წარმოადგენდეს კაპიტალური საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კორპორაციათა განცალკევებულობის უგულებელყოფის ერთადერთ საფუძველს.⁶⁶⁴ უფრო მეტიც, დელიქტური ვალდებულებების თავიდან არიდების შემთხვევაშიც, აღნიშნული არ უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ კორპორაციული საფარველი გაიჭოლოს.⁶⁶⁵ შიში იმისა, რომ ასეთი გაჭოლვა ძალიან შორს წავა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს ძირს გამოუთხრის, გარკვეულწილად ხსნის იმ ორჭოფობას, რომელსაც

⁶⁶¹ *Blumberg P.I.*, *The Law of Corporate Groups: Statutory Law—General*, Little Brown and Company, Boston, Toronto, London, 1989, 35. ეს მოსაზრება ნაწილობრივ გაზიარებულია ამერიკის სასამართლო პრაქტიკაშიც: *Wm. Passalacqua Builders v. Resnick Developers* 933 F.2d 131 (2d Cir. 1991) ხელმისაწვდომია: <<https://casetext.com/case/wm-passalacqua-builders-v-resnick-developers>>, [15.11.2020]. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თეორიაში ასეთი ტერმინოლოგიური სიუხვე განპირობებულია თვითონ საერთო სამართლის ქვეყანათა სისტემით. რადგან სამართალშემოქმედებაში ძირითად როლს მოსამართლეები თამაშობენ, მათ გადაწყვეტილებებში, პრეცედენტების სისტემის არსებობის მიუხედავად, მსჯელობის თავისუფლების ფარგლები საკმაოდ ფართოა.

⁶⁶² *Gevurtz F.A.*, *Corporation Law*, West Group Publishing, St. Paul, Minnesota, 2000, 70-71.

⁶⁶³ საქმე *Walkovszky v. Carlton*, 223 N.E.2d 6 (1966) ამის ნათელი მაგალითია, როდესაც ტაქსის კომპანიის მიერ სხვადასხვა მცირე კომპანიის ჩამოყალიბება პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნით არ იქნა მიჩნეული, როგორც უსამართლობა ან კანონდარღვევა.

⁶⁶⁴ *Henn H.G., Stevens R.S.*, *Cases and Materials on the Laws of Corporations*, West Publishing Company, 1971, 270.

⁶⁶⁵ *Craig v. Lake Asbestos of Quebec, Ltd.*, 843 F.2d 145 (3d Cir. 1988). ხელმისაწვდომია: <<https://casetext.com/case/craig-v-lake-asbestos-of-quebec-ltd-2>>, [15.11.2020].

მოსამართლეები იჩენენ აღნიშნულ საქმეებში: ბუნებრივია მათი სურვილი, რომ ნებისმიერ უმნიშვნელო წვრილმანს განმტკიცებული სამართლებრივი ინსტიტუტების უგულვებლყოფა არ უნდა მოჰყვეს.

როგორც „ალტერ ეგოს“, ასევე „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინები არაერთხელ გამხდარა მწვავე კრიტიკის საგანი. ბევრი სამართალმცოდნე ამ მეტაფორების ნაცვლად ჩვეულებრივი ჩამონათვალებისა და ფაქტორების დადგენის მომხრეა, რომელთა არსებობის შემთხვევაში ადგილი ექნება საფარვლის გაჭოლვას. შესაბამისად, შეიძლება განვასხვავოთ, ერთის მხრივ, ეს მეთოდი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ფაქტორებს ჩამოთვლის, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა და მეორეს მხრივ ისეთი მიდგომები, რომლებიც უფრო ორგანიზებულ, დოქტრინალურ ხასიათს ატარებენ.⁶⁶⁶ სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდებს შორისაც ზღვარი მკვეთრად არაა გავლენიანი: ორივე გულისხმობს იმ ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც სახეზე უნდა იყოს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მეორე უფრო მეტად ორგანიზებულ, თეორიულ ხასიათს ატარებს და უფრო განზოგადებულადაა ჩამოყალიბებული, იმ დროს როდესაც პირველი უფრო ემპირიული დაკვირვების შედეგად დადგენილი უბრალო ჩამონათვალია.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ლიტერატურაში, აგრეთვე პრაქტიკაში ხშირად ისმის მოწოდება, რომ კორპორაციული საფარვლის მეთოდიკა კანონით ან რაიმე სტანდარტით დარეგულირდეს, სხვები მიუთითებენ მოქნილობის შენარჩუნების აუცილებლობაზე, რომ თავიდან იქნას აცილებული თადლითობა და უსამართლობა.⁶⁶⁷

კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა რეალურად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მხოლოდ და მხოლოდ ერთი საფუძველი და ეს დოქტრინები უბრალოდ მის რამდენიმე ნაირსახეობას წარმოადგენენ, დეტალურ განხილვას საჭიროებს. როგორც შემდგომში დავინახავთ, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საფუძველები ამ თეორიებისა მართლაც ერთია, ისინი მაინც განსხვავდებიან მნიშვნელოვან დეტალებში

⁶⁶⁶ *Gevurtz F.A.*, Corporation Law, West Group Publishing, St. Paul, Minnesota, 2000, 70-76.

⁶⁶⁷ *Sealy L., Worthington S.*, Cases and Materials in Company Law, 8th edition, Oxford University Press, Oxford, 2008, 53.

და ფოკუსირებას სხვადასხვა ელემენტებზე ახდენენ. ქვენოთ განხილული იქნება ორივე მიდგომა: როგორც ფაქტორთა უბრალო ჩამონათვალი, ასევე დოქტრინარული თეორიები.

გაჭოლვა უფულებელყოფს შეზღუდული პასუხისმგებლობისა და შესაბამისად კორპორაციული პიროვნულობის ინსტიტუტებს, რომლებიც თანამედროვე სამართლებრივი თუ ეკონომიკური დოქტრინის ქვაკუთხედს წარმოადგენენ. შესაბამისად ლოგიკურია, რომ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში მათ მიუთითონ ის საფუძველი, რომლებმაც მათ ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგომისაკენ უბიძგა. დროთა განმავლობაში ასეთი პრაქტიკის შედეგად, შესაძლებელი ხდება ასეთი საფუძვლების განზოგადება და ფაქტორებისა და საფუძვლების გარკვეული სიის შექმნა.

ასეთი ჩამონათვალები არაერთია და ისინი გარემოებებისა თუ ფაქტორების საკმაო სიუხვით გამოირჩევა: მათი რაოდენობა შესაძლოა მერყეობდეს შვიდიდან⁶⁶⁸ ცხრამეტამდე⁶⁶⁹, ოცამდე⁶⁷⁰ ან საერთოდ 31-მდეც კი.⁶⁷¹ ასეთი ფაქტორებია: კორპორაციისა და აქციონერების ქონების აღრევა, კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა, ცრუ წარმომადგენლობა, არასათანადო კაპიტალიზაცია და ა.შ.

ფაქტორების ჩამოთვლის მეთოდი, თუმცა უკეთესია ვიდრე საერთოდ არაფერი, მაინც საკმაოდ ბუნდოვანია და ბევრ პრობლემურ ასპექტს შეიცავს.⁶⁷² ჩამონათვალი უბრალოდ არ იძლევა იმ კონკრეტულ მიზეზებსა და დასაბუთებას, თუ რატომ უნდა მოჰყვეს აღნიშნული ფაქტორების არსებობას კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა.

⁶⁶⁸ *DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit* 540 F.2d 681, 685 (4th Cir. 1976). ხელმისაწვდომია: <<https://casetext.com/case/dewitt-truck-brokers-v-w-ray-flemming-fruit>>, [15.11.2020].

⁶⁶⁹ *Laya v. Erin Homes, Inc.*, 352 S.E.2d 93 (W. Va. 1986), ხელმისაწვდომია: <<https://www.courtlistener.com/opinion/1340530/laya-v-erin-homes-inc/>>, [15.11.2020].

⁶⁷⁰ *Associated Vendors, Inc. v. Oakland Meat Co.* [Civ. No. 20302. First Dist., Div. One. Dec. 17, 1962.] ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/california/court-of-appeal/2d/210/825.html>>, [15.11.2020]. იხილეთ კონკრეტულად: ხარაიშვილი ა., გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 138-139.

⁶⁷¹ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 52-55.

⁶⁷² ერთ-ერთი ავტორი ხუმრობით ასეთ ჩამონათვალებს *laundry list*-ს უწოდებს. აღნიშნული ინგლისურ ენაში ნიშნავს (ძალიან) გრძელ ჩამონათვალს. *Bainbridge S.M.*, Abolishing Veil Piercing, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 3, Spring 2001, 509.

ამგვარადვე, ისმის შეკითხვა, თუ რამდენად გამოყენებადია და უნივერსალურია კონკრეტულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში მოცემული ფაქტორები, თუ ის ძირითადად მხოლოდ იმ კონკრეტულ საქმეზე იყო მორგებული და ამ კონკრეტული საქმის გარემოებებითვე იყო განპირობებული.

ბოლოს, კითხვა ჩნდება თუ კერძოდ რომელი და რამდენი ფაქტორი უნდა იყოს საკმარისი საფარვლის გაჭოლვისათვის.⁶⁷³ ერთ-ერთი ავტორი ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და სწორ შედარებას აკეთებს: როგორც მოწამლვისას აღმოჩნდება რამდენიმე ნივთიერება ადამიანში, მაგრამ შეუძლებელია ზუსტად იმის თქმა, თუ რომლის მიღებას მოჰყვა მოწამვლა, ასევე კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას ასეთი უბრალო ჩამოთვლის მეთოდიკაც არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ მაინც რომელ კონკრეტულ ფაქტორს უნდა მოჰყვეს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა.⁶⁷⁴

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველ ეტაპზე გარემოებების ასეთი შეკრება და სიის სახით გადმოცემა გამართლებული იყო, თუნდაც საწყისი სისტემატიზაციის მიზნით, მაგრამ უბრალო ჩამონათვალი დღესდღეობით არ იძლევა იმ საჭირო კონტექსტს, რომელიც საშუალებას მისცემდა მოსამართლეს, იურისტს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, დაადგინოს ასეთი გარემოებებისა თუ ფაქტორების არსებობა მომავალ საქმეებში. საჭიროა თუნდაც ამ ჩამონათვალებზე დაყრდნობით, ამ გარემოებების გარკვეულ თეორიულ ჩარჩო-სტრუქტურაში ჩაქსოვა.

4.3.1. “ალტერ ეგოს” დოქტრინა

„ალტერ ეგო“ ლათინური ენიდან მოდის და ნიშნავს „მეორე მეს“. ⁶⁷⁵ ფრაზას ციცერონს მიაწერენ, რომელმაც თავის ნაწარმოებში „მეგობრობის შესახებ“⁶⁷⁶,

⁶⁷³ *Gevurtz F.A.*, Corporation Law, West Group Publishing, St.Paul, Minnesota, 2000, 72.

⁶⁷⁴ *Dobbyn J.F.*, A Practical Approach to Consistency in Veil-Piercing Cases, University of Kansas Law Review, Volume 19, No. 2, 1970, 189.

⁶⁷⁵ ლიტერატურაში ის ასევე თარგმნილია როგორც „მეორე პიროვნულობა“. იხ: *გულაშვილი ნ.*, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო

სავარაუდოდ ბერძნულიდან ნასესხები კონსტრუქციის („*allos ego*“ – „მეორე მე“) ზეგავლენით, გამოიყენა საკუთარი ნამდვილი მეგობრის, როგორც „მეორე მეს“ აღსანიშნავად, თუმცა შეცვლილი ფორმით (*alter idem*).⁶⁷⁷

დღესდღეობით „ალტერ ეგოს“ სხვადასხვა დატვირთვა აქვს: ფსიქოლოგიური, ლიტერატურული, სოციოლოგიური, კულტურული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – სამართლებრივი. საყოფაცხოვრებო, ყოველდღიურ გამოყენებაში სიტყვა ნიშნავს პირის მეორე სახეს, „მეორე მეს“, რომელიც მისი ნორმალური ან ნამდვილი სახისგან განსხვავდება. ამ შემთხვევაში უპრიანი იქნება გავიხსენოთ კორპორაციული პიროვნულობის თეორია, რომელიც იურიდიული პირის პიროვნულობას ათანაბრებს ფიზიკური პირის პიროვნულობასთან. სამართლის ფილოსოფოსებისათვის მორალურ და სამართლებრივ სფეროში არის განსხვავება ადამიანის „მე“-სა (ეგოსა) და „სხვა მე“-ს (ალტერ ეგოს) შორის. თუმცა ეს უკანასკნელი განზოგადებულ და არა კონკრეტულ ცნებას წარმოადგენს.⁶⁷⁸

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის „ალტერ ეგოს“ მნიშვნელობა განსაზღვრული იქნება იმ შინაარსით, რომლითაც იგი გამოიყენება კორპორაციული საფარვლის გაქოლვის საქმეებში. ამავდროულად, აქვე უნდა განვასხვავოთ ალტერ ეგოს დოქტრინა, რომელიც შესაბამისი ორნაწილიანი ტესტით არის განმტკიცებული ამერიკულ საკორპორაციო სამართალში და ალტერ ეგო, როგორც უბრალოდ შთაბეჭდილების მოსახდენად გაკეთებული ლამაზი მეტაფორა სასამართლოს მხრიდან, ყოველგვარი დოქტრინალური ტესტის გამოყენების გარეშე.⁶⁷⁹

სამართლის მიხედვით), წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ბურდული ი., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 83. თუმცადა ლათინური სიტყვა „ეგო“ სწორედ „მე“-ს ნიშნავს და განსხვავდება „პიროვნულობის“ კონცეფციისგან. შესაბამისად უფრო მიზანშეწონილია მისი, როგორც „მეორე მე“-დ, თარგმნა.

⁶⁷⁶ Cicero, *Laelius de Amicitia*, ძვ.წ. 44 წელი.

⁶⁷⁷ იხ: *Ciceronis M. T., De Re Pvblica, De legibvs, Cato Maior De Senectvte, Laelivs De Amicita*, Oxford University Press, 2006, 355. ასევე: *Cicero., De Amicitia (On Friendship) and Scipio's Dream, Trans. Peabody A.P., Little, Brown, and Company, Boston, 1887, 57.*

⁶⁷⁸ *Van Hoecke M., Soeteman A., Legal Philosophy in the Low Countries*, წიგნში: *A Treatise of Legal Philosophy and General Jurisprudence: Volume 12: Legal Philosophy in the Twentieth Century: The Civil Law World, Tome I: Language Areas, Ed. Pattaro E., Roversi C., Springer Verlag, Heidelberg, 2016, 800.*

⁶⁷⁹ *Vandekerchove K., Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 83.*

„ალტერ ეგოს“ დოქტრინას ზოგჯერ ორელემენტური ტესტად⁶⁸⁰ მოიხსენიებენ, რომ ის განსხვავებულ იქნას 1931 წელს ამერიკელი იურისტი *პაუელის* მიერ შემუშავებული სამელემენტური „ინსტრუმენტალურობის“ ტესტისგან.⁶⁸¹ „ალტერ ეგოს“ დოქტრინის საფუძვლები საკმაოდ ბუნდოვანია და შეიძლება ითქვას, რომ მისი წარმოშობის ისტორიას ამერიკისა და ინგლისის საკორპორაციო-სამართლებრივი დოქტრინის რამდენიმე კონკრეტულ საქმეზე მივყავართ, რომლებშიც ეს დოქტრინა მსგავსი, თუმცა არაიდენტური ფორმულირებებით გვხვდება. მაგალითად, 1915 წლის ერთ-ერთ საქმეზე ინგლისურმა სასამართლომ პირი კომპანიის „ალტერ ეგოდ“ მოიხსენია, თუმცა არ განმარტა, თუ კონკრეტულად რა იგულისხმებოდა ამაში, მხოლოდ ის რომ კორპორაციას, რეალურად სხეულის არმქონე სამართლებრივ აბსტრაქციას, რეალურად ფიზიკური პირი მართავდა, „კორპორაციული პიროვნულობის ნამდვილი ეგო და ცენტრი“.⁶⁸²

დოქტრინის ყველაზე ადრეული თეორიული ფორმულირება მოცემულია 1921 წლის *მინიფის* საქმეში,⁶⁸³ რომელიც „ალტერ ეგოს“ დოქტრინის კლასიკურ განმარტებას შეიცავს:

- (1) კორპორაცია არა მარტო უნდა იმყოფებოდეს პირის ზეგავლენის ქვეშ, არამედ უნდა იყოს ინტერესისა და მფლობელობის იმგვარი ერთიანობა, რომ აღნიშნული პირსა და კორპორაციას შორის ინდივიდუალურობა ანუ განცალკევებულობა აღარ უნდა არსებობდეს;
- (2) ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ კორპორაციის განცალკევებული არსებობის ფიქციისადმი ერთგულება გარკვეულ შემთხვევებში გამოიწვევს თაღლითობას ან წაახალისებს უსამართლობას.⁶⁸⁴

⁶⁸⁰ *Two-pronged test.*

⁶⁸¹ *Gevurtz F.A.*, Corporation Law, West Group Publishing, St.Paul, Minnesota, 2000, 76.

⁶⁸² “*the very ego and centre of the personality of the corporation.*” ობ.: *Lennard's Carrying Co Ltd v Asiatic Petroleum Co Ltd* [1915] AC 705. ხელმისაწვდომია: <<http://www.uniset.ca/other/cs2/1915AC705.html>>, [15.11.2020].

⁶⁸³ *Minifie v. Rowley*, 202 P. 673 (Cal. 1921). ხელმისაწვდომია: <<https://www.courtlistener.com/opinion/3309464/minifie-v-rowley/>>, [15.11.2020].

აღნიშნული „ალტერ ეგოს“ დოქტრინის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია და ფართოდ გამოიყენება აშშ-ს სასამართლო საქმეებში.⁶⁸⁵ ეს არ შემოიფარგლება მხოლოდ წმინდა საკორპორაციო დავებით, არამედ ვრცელდება სისხლისსამართლებრივ და საგადასახადო საქმეებზეც.⁶⁸⁶ ტესტის ეს ორი ნაწილი შესაძლებელია უფრო მცირე შემადგენელ ელემენტებადაც დავეყთ და უფრო დეტალურად განვიხილოთ.

4.3.1.1. ინდივიდუალურობის (განცალკევებულობის) არარსებობა

4.3.1.1.1. პირის ზეგავლენა

ტესტის პირველი მოთხოვნის წინაპირობაა, რომ კორპორაცია არამარტო პირის ზეგავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, არამედ ადგილი უნდა ჰქონდეს კორპორაციის ინდივიდუალურობის მოსპობას. რა თქმა უნდა, კონკრეტულ შემთხვევაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ინდივიდუალურობის მომსპობ⁶⁸⁷ „ზეგავლენად“. პარტნიორს საზოგადოებაზე ასეთი ზეგავლენის მოხდენის რამდენიმე ბერკეტი აქვს: პირველი არის აქციების ფლობა და ამ აქციებიდან გამომდინარე ხმის უფლება. მეორე, ეს არის კორპორაციის ყოველდღიური მმართველობა და კონტროლი, სადაც პირის აღმასრულებელი ძალაუფლება, როგორც წესი, გარკვეულწილად შეზღუდულია კორპორაციის წესდებით.

⁶⁸⁴ (“*First, that the corporation is not only influenced and governed by that person, but that there is such a unity of interest and ownership that the individuality, or separateness, of the said person and corporation has ceased; second, that the facts are such that an adherence to the fiction of the separate existence of the corporation would, under the particular circumstances, sanction a fraud or promote injustice.*“). იხ. *Minifie v. Rowley*, 202 P. 673 (Cal. 1921).

⁶⁸⁵ ყველა იმ სასამართლო საქმეთა ჩამონათვალი, რომელშიც ეს ორელემენტოანი ტესტი იქნა მითითებული, შორს წაგვიყვანს. მაგრამ მოკლე ჩამონათვალის სახით შეიძლება რამდენიმე მათგანის დასახელება: *Automotriz Del Golfo de Cal. v. Resnick*, 306 P.2d 1, 3 (Cal. 1957); *Belvedere Condominium Unit Owners' Ass'n v. R.E. Roark Cos.*, 617 N.E.2d 1075, 1085 (Ohio 1993); *State v. Angelo*, 800 P.2d 11 (Ariz. Ct.App. 1990); *Terre Du Lac Ass'n, Inc. v. Terre Du Lac, Inc.*, 737 S.W.2d 206, 218 (Mo. Ct. App. 1987).

⁶⁸⁶ *Leigh L.H.*, Notes of Cases: The Alter Ego of a Company, *Modern Law Review*, Volume 28, Issue 5, September 1965, 585.

⁶⁸⁷ აქ მიზანშეწონილი იქნებოდა პარალელის გავლება უკვე ნახსენებ გერმანულ “არსებობის გამანადგურებელ ჩარევასთან“ (*existenzvernichtender Eingriff*).

ერთ-ერთი კითხვა, რომლის დასმა აქ მიზანშეწონილი იქნებოდა, არის ის, თუ კერძოდ ვინ უნდა მოვიაზროთ იმ პირად, რომლის „ალტერ ეგოდაც“ მიიჩნევა კორპორაცია. ზოგადი თვალსაზრისით, ეს არის პირი, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა კორპორაციის საქმიანობაზე. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განხილვისას, ასეთად ხშირად აქციათა (წილების) უმრავლესობის მქონე აქციონერი/პარტნიორი ან/და მმართველი ორგანოს წევრი გვევლინება, რომლებსაც რეალურად შეუძლია კონტროლის განხორციელება და ამგვარად უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება.⁶⁸⁸ აქ კრიტიკული მომენტი არის მფლობელობა: მენეჯერები და დირექტორები, როგორც წესი, არ ფლობენ აქციათა პაკეტის უმრავლესობას, ყოველ შემთხვევაში, არა ღია სააქციო საზოგადოებებში. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ ფუნდამენტური, თვითონ კორპორაციის არსის შემცვლელი, გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფის პრეროგატივაა. მიუხედავად იმისა, რომ თვით „ალტერ ეგოს“ დოქტრინა არსობრივად ინდივიდუალისტურ ელემენტს შეიცავს („მეორე მე“), არასწორი იქნება თუ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებში მხოლოდ ერთი კონკრეტული ინდივიდისა თუ პირისა ძიებაზე გამახვილდება ყურადღება. „ალტერ ეგოდ“ სრულიად შესაძლებელია ნაგულისხმევი იყოს როგორც ერთი კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ასევე პირთა ჯგუფები ან/და ორგანოები.⁶⁸⁹

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას მნიშვნელოვანია არა იმდენად პირის ნომინალური თანამდებობა და პოზიცია, არამედ ის რეალური უფლებები, რომლებიც მას გააჩნია. საფარვლის გაჭოლვის ძირითადი არსიც სწორად გარედან არსებული მდგომარეობის უკან „ჩახედვა“ და რეალური სიტუაციის დადგენაა. შესაბამისად, „პირის ზეგავლენა“ საკმარისად ზოგადი ტერმინია, რომ მასში მოაზრებულ იქნას არა

⁶⁸⁸ Leigh L.H., Notes of Cases: The Alter Ego of a Company, Modern Law Review, Volume 28, Issue 5, September 1965, 585.

⁶⁸⁹ საინტერესოა ე.წ. გუნდური წარმოების თეორია, რომლის თანახმადაც, აქციონერები არ წარმოადგენენ ერთადერთ ჯგუფს, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი ინტერესები განახორციელონ კორპორაციულ ურთიერთობებში, სრულიად შესაძლებელია ხელმძღვანელებმაც, დასაქმებულებმაც და კრედიტორებმაც არსებითი წვლილი შეიტანონ და ზეგავლენა მოახდინონ კორპორაციაზე. იხილეთ: რამიშვილი ა. კორპორაციულობა, როგორც ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემის განმსაზღვრელი ელემენტი, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, № 2, 2012, 186-192.

მარტო კორპორაციის შიდა (მეწილეები, აქციონერები, დირექტორები), არამედ „გარე პირებიც“ (მაგ. კრედიტორები) რომელთაც ასევე შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე.

რა თქმა უნდა, რადგანაც ტესტის პირველი ნაწილი ამ პირისა და საზოგადოებას შორის ზღვრის წაშლას ითხოვს, ლოგიკურია, რომ პირს გარკვეული კავშირი მაინც უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ეს იქნება წილთა ან აქციათა უმრავლესობის ან აბსოლუტური უმრავლესობის მქონე პარტნიორები ან კორპორაციის მმართველობითი, მენეჯერული წრეები.

4.3.1.1.2. ინტერესისა და საკუთრების ერთიანობა

აღნიშნული პირობის თანახმად, კორპორაციისა და დომინანტი პირების ინტერესი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, უფრო მეტიც, უნდა იყოს საკუთრების სრული ერთიანობა. ამ უკანასკნელში სავარაუდოდ მოიაზრება კორპორაციის ფლობა თვითონ დომინანტი პარტნიორის ან მშობელი კორპორაციის მიერ. ტესტი ყურადღებას აქცევს ინტერესსა და საკუთრებას ზოგადად და არ საუბრობს კონკრეტულად ქონებისა და კაპიტალის ერთიანობაზე, რაც სავარაუდოდ კონტექსტუალურად ისედაც იგულისხმება.

ბუნებრივია, მრავალი ფაქტორი შეიძლება მიუთითებდეს ინტერესებისა და საკუთრების ერთიანობაზე. როგორც არაერთხელ აღინიშნა, თვითონ კაპიტალური საზოგადოებაც, არასამართლებრივი თვალსაზრისით, ფიქციას წარმოადგენს და პარტნიორები მას მართლაც საკუთარი ინტერესების გასატარებლად იყენებენ. ისევე, როგორც ზეგავლენის კუთხით, პრაქტიკაში იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც კაპიტალური საზოგადოებისა და მისი მფლობელის/მმართველის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. აღნიშნული განსაკუთრებით ხშირად ხდება ერთკაციანი საწარმოების შემთხვევაში. მთავარი აქ არის, ის, რომ ასეთი ინტერესების გატარებაში მინიმალურ დონეზე მაინც დაცული იყოს ის კრიტერიუმები, რომლებიც სამართლის

თვალში კორპორაციის, როგორც ცალკე პიროვნულობის მქონე სუბიექტის არსებობას, საფუძვლიანად განამტკიცებს.

დოქტრინით ინტერესებისა და საკუთრების ერთიანობაზე შესაძლოა ზოგადად მიუთითებდეს კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, კორპორაციისა და პარტნიორების პირადი აქტივების შერევა, კორპორაციის მმართველობით ორგანოებს შორის კომპეტენციებისა და ფუნქციების არასათანადო დადგენა ან საერთოდ განუსაზღვრელობა და ა.შ. საბოლოო ჯამში, საჭიროა, რომ ეს ერთიანობა იმ დონეზე არსებობდეს, რომ კორპორაციას თავისი ინდივიდუალურობა ჰქონდეს დაკარგული ანუ რეალურად პირი და კორპორაცია ერთმანეთისგან არ უნდა იყვნენ განცალკევებულები. ტესტის ეს ნაწილი საინტერესოა იმ მხრივ, რომ კორპორაციის ინდივიდუალურობა არის ნახსენები. ინდივიდუალურობის განვრცობა კერძო ფიზიკური ადამიანის იქით იშვიათია, თუმცა აღნიშნული ენობრივ თუ ეროვნულ თავისებურებებზეც არის დამოკიდებული. ბუნებრივია, თუ ინდივიდუალურობას ჩვენ განვმარტავთ, როგორც განსაკუთრებულობას, როგორც რაღაცას, რაც სუბიექტს თვისობრივად ახასიათებს და მას განასხვავებს ან როგორც განუსახიერებლობას ან განუმეორებლობას,⁶⁹⁰ მაშინ საკმაოდ რთული იქნება სამართლებრივ ფიქციაში ასეთი ინდივიდუალური ნიშნების ამოცნობა. საკითხი იმისა, თუ კერძოდ რა არის კაპიტალური საზოგადოების „ინდივიდუალურობა“, როგორ შეიძლება ასეთი „ინდივიდუალურობის“ გამოყოფა საზოგადოების მმართველი ორგანოებისა და საერთო კრებისგან ან შეიძლება თუ არა საერთოდ კორპორაციას ასეთი ინდივიდუალურობა გააჩნდეს, სადავო საკითხად უნდა ჩაითვალოს.

თუ კორპორაციის ინდივიდუალურობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, პრობლემური კონცეფციაა, ნაკლებად სადავოა კორპორაციისა და მასში შემავალი პირების განცალკევებულობა. დოქტრინაში საკმარისად არის იდენტიფიცირებული ის მახასიათებლები, რომლებიც კორპორაციის (სამართლებრივ) განცალკევებულობას უზრუნველყოფს. ასეთებს შესაძლოა წარმოადგენდეს კორპორაციული ფორმალობები,

⁶⁹⁰ ანუ ის, რაც არ შეიძლება რომ ხელახლა შეიქმნას, იქნეს წარმოდგენილი, განმეორებული ან განსახიერებული (*non-instantiability*) იხ. *Gracia J.J.E., Individuality: An Essay on Foundations of Metaphysics*, State University of New York Press, Albany, 1988, 234.

საკუთარი კაპიტალი და სხვა. სწორედ ასეთი განცალკევებულობის არსებობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ტესტის თანახმად – ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტალური საზოგადოება იურიდიული ფიქციის დონეზეც კი არ უნდა არსებობდეს.

ამგვარად ის ფაქტი, რომ ტესტში ექვივალენტურადაა მიჩნეული ინდივიდუალურობა და განცალკევებულობა და ისინი, როგორც ჩანს, გაიგივებულნი არიან ერთმანეთთან („ინდივიდუალურობა ანუ განცალკევებულობა“), დამატებითი გაურკვევლობისა და ბუნდოვნების შემომტანია. კორპორაციის „ინდივიდუალურობა“ ზედმეტად მოუხელთავი, ეფემერული კონცეფციაა, რომლის არსებობაც კი სადავოა და ის სრულიადაც არ არის „განცალკევებულობის“ პირდაპირი სინონიმი. მიზანშეწონილი იქნებოდა ყურადღების გამახვილება სწორედ „განცალკევებულობაზე“, რაც მრავალ იურისდიქციაში განმტკიცებულია კორპორაციის სავალდებულო მახასიათებლების (მათ შორის ფორმლობების) შესახებ საკანონმდებლო დებულებებით. თუ კორპორაციის „ინდივიდუალურობა“ სადავოა, ასეთი არ არის კორპორაციის „განცალკევებულობა“, რადგანაც ამ უკანასკნელს მყარი სამართლებრივი, სოციოლოგიური და თეორიული ბაზისი უდგას.

4.3.1.2. ფიქციისადმი ერთგულება

როგორც უკვე აღინიშნა, არასამართლებრივად იურიდიული პირი ნამდვილად წარმოადგენს ფიქციას. იგი იქმნება ფიზიკური ინდივიდუალური პირების მიერ, არსებობს მანამ ეს სანამ ეს პირები (იშვიათ შემთხვევაში –მესამე პირები) არ მიიღებენ გადაწყვეტილებას მისი დასრულების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც ყოველთვის ფიგურირებენ ეს კერძო პირები. შესაბამისად ასეთი ნატურალისტური თვალსაზრისით, იურიდიული პირი მართლაც ფიქციას წარმოადგენს, რომელსაც, ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანი სამართლებრივ-თეორიული საფუძველი გააჩნია, რომლის ხელაღებით უარყოფა არასწორი იქნებოდა.

როდესაც ტესტი საუბრობს ფიქციისადმი ერთგულებაზე, აქ იგულისხმება სტანდარტული სამართლებრივი მიდგომა – იურიდიული პირის ფიქცია უნდა იყოს დაცული სხვადასხვა მიზეზის გამო, თუ ამ ფიქციისადმი ერთგულებას არ მოჰყვება

მკვეთრად უარყოფითი, არასამართლიანი შედეგი დაზარალებული პირისთვის. ის, თუ რა შეიძლება იყოს ასეთი რეზულტატი, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე იქნება დამოკიდებული, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, მათი განზოგადება შესაძლებელია.

„ალტერ ეგოს“ ტესტის მეორე ნაწილი ადგენს იმ ფაქტებისა და გარემოებების არსებობის აუცილებლობას, რომლებიც უნდა მიუთითებდნენ, რომ ფიქციისადმი ერთგულებას მოჰყვება თაღლითობისა და უსამართლობის წახალისება. აქ უსაფუძვლო არ იქნებოდა ტესტის კრიტიკა იმის გამო, რომ ის ასეთ ზოგად დანაწესს იძლევა, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ტესტის დანიშნულებაც ზუსტად მისი ზოგადი გამოყენებადობაა და ზედმეტ კონკრეტიკას შეიძლება უარყოფითი ეფექტიც გამოეწვიოს. აქ ბალანსი უნდა იყოს დაცული იმ მხრივ, რომ ტესტი არც ზედმეტად სპეციფიკური იყოს, რაც მის პრაქტიკულ გამოყენებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა და არც ძალიან ზოგადი, რაც მას უბრალო ფუჭ, ბანალურ დებულებად გადაქცევდა. ბუნებრივია ისიც, რომ ტესტი ყოველ ჯერზე ვერ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს უსამართლობის ან თაღლითობის წახალისებას, ეს მოსამართლემ საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე, საქმის გარემოებების, კანონის, პრეცედენტებისა და სხვა ფაქტორების მხედველობაში მიღებით უნდა გადაწყვიტოს.

საინტერესოა, რომ სიტყვიერი ფორმულირება არ მიანიშნებს რეალურად რაიმე დანაშაულის ან უსამართლობის განხორციელებაზე, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ კორპორაციული პიროვნულობის ფიქციის შენარჩუნებამ არ უნდა წახალისოს (ზოგადად) უსამართლობა. ამ მხრივ ტესტი მართლაც მოქნილია, რადგან კორპორაციული გაჭოლვისას იშვიათი არაა ისეთი შემთხვევა, როდესაც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, პირი რაიმე დანაშაულს ან თაღლითობას არ სჩადის და მისი ქმედება არ ეწინააღმდეგება კანონს, თუმცაღა ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაჭოლვაზე უარის თქმას მაინც მოჰყვება უსამართლობა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის მიზნებს. გაჭოლვის არსიც მდგომარეობს სამართლიანობის აღდგენაში სწორედ ასეთ არა უკანონო, მაგრამ მაინც უსამართლო შემთხვევების დროსაც.

4.3.1.3. „ალტერ ეგოს“ დოქტრინის პრობლემური ასპექტები

ზემოაღნიშნული მოკლე მიმოხილვიდან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ „ალტერ ეგოს“ მიდგომას საკმაოდ აქვს დადებითი თვისებები: ის წონასწორობას იცავს ზოგადობასა და სპეციფიკურობას შორის და ამგვარად მოქნილიცაა და გამოყენებადიც. დოქტრინა აგრეთვე სასამართლოებს აძლევს საშუალებას, თითოეულ შემთხვევაში თვითონვე განსაჯონ, რამდენად შესაძლებელია „უსამართლო“ ან „თაღლითური“ შედეგის დადგომა. თუმცა ეს უკანასკნელი დოქტრინის სუსტ წერტილსაც წარმოადგენს და დოქტრინაც იდეალურისგან შორსაა.

„ალტერ ეგოს“ დოქტრინის სერიოზულ ნაკლი მაინც მისი ბუნდოვნება და საფარვლის გაჭოლვის შემდეგ პასუხიმგებლობის საკითხია. დოქტრინა მოითხოვს მხოლოდ მფლობელობისა და ინტერესების ერთიანობასა და უსამართლობის „წახალისების“ შესაძლებლობას, რაც კითხვას სვამს, კონკრეტულად რომელმა პირებმა უნდა აგონ პასუხი. ლოგიკურია, რომ თუ სააქციო საზოგადოებაში დომინანტი აქციონერის მოქმედებების გამო კორპორაციული საფარველი გაჭოლვილი იქნება, ამის გამო მინორიტარმა პარტნიორმა, რომელიც საერთოდ არც მონაწილეობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აღნიშნულისთვის პასუხი არ უნდა აგოს.⁶⁹¹ მაგრამ იმავე „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინისგან განსხვავებით, რომელიც თავისი მეორე პირობით პირდაპირ მიუთითებს აქტიური ელემენტის არსებობაზე (რაც თავის მხრივ მიანიშნებს იმას, რომ პასუხისმგებელია ამ აქტიური ქმედების *განმახორციელებელი* პირი), იგივეს თქმა არ შეიძლება ალტერ ეგოს დოქტრინაზე, რომელიც უბრალოდ ზოგად სტატიკურ მდგომარეობას აღწერს კორპორაციასა და მის აქციონერებს შორის.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა მოითხოვს არა მარტო კონკრეტულ ქმედებას, არამედ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას კორპორაციის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. „ალტერ ეგოს“ დოქტრინით

⁶⁹¹ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 866.

აღნიშნული მოთხოვნილი არ არის, ორივე ელემენტი ასე ვთქვათ სტატიკურია: სახეზე უნდა იყოს სპეციფიკური მდგომარეობა (განცალკევებულობის არქონა კონტროლის გამო) და სტატუს-ქვოს შენარჩუნებით დამდგარი უსამართლობა ან თაღლითობა. ასეთი ზოგადი აღწერილობა ამ დოქტრინის უარყოფით მხარედ უნდა შეფასდეს.

4.3.2. ინსტრუმენტალურობის⁶⁹² დოქტრინა

როდესაც საუბარია კორპორაციაზე, როგორც ინსტრუმენტზე, გასათვალისწინებელია, რომ ფართო გაგებით, პარტნიორებისათვის ის მართლაც ერთგვარი საშუალება, ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის ფორმაა, უხეშად რომ ვთქვათ, სწორედაც რომ საკუთარი ინტერესების გამტარებელი „ინსტრუმენტი“.⁶⁹³ რა თქმა უნდა, თვითონ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა ამგვარად არ უნდა იყოს გაგებული.

თუნდაც ზოგადად კორპორაცია იყოს აქციონერების „ინსტრუმენტი“, საჭიროა დაცულ იქნას ის ფორმალობები და დებულებები, რომელსაც კანონმდებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ინსტრუმენტის, როგორც სამართლებრივი ფიქციის, რეალური არსებობის „ილუზიის“ შესაქმნელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კორპორაცია აქაც თავის „პიროვნულობას“ კარგავს, თუ იგი გამოყენებული იქნება ისეთი უკანონო მიზნებისათვის, რომლებიც სასამართლოთა აზრით საკმარისად სერიოზულია და ითხოვს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას.⁶⁹⁴

თვითონ დასახელებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ამ დოქტრინით ყურადღება მახვილდება კაპიტალური საზოგადოების, როგორც ინსტრუმენტის, ხელსაწყოს

⁶⁹² ალტერნატიულად: „ინსტრუმენტალური დოქტრინა“. იხ: *გულაშვილი ნ.*, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, *რედ. ბურდული ი.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 84.

⁶⁹³ *Carolan J.P.*, Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 180.

⁶⁹⁴ *Meiners R.E., Mofsky J.S., Tollison R.D.*, Piercing the Veil of Limited Liability, *Delaware Journal of Corporate Law*, Volume 4, 1979, 354.

გამოყენებაზე. ამ დოქტრინის გამოგონებას *ფრედერიკ პაუელს* მიაწერენ, რომელმაც თავის 1931 წლის წიგნში, „*მშობელი და შვილობილი კორპორაციები*“, ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძვლების დოქტრინალური ჩარჩოები.⁶⁹⁵ *პაუელს* ეკუთვნის სამართლებრივი ტესტი, რომლის საშუალებითაც შეიძლება შემოწმდეს, წარმოადგენს თუ არა კაპიტალური საზოგადოება ინსტრუმენტს მმართველი მეწილის, აქციონერისა თუ სხვა პირის ხელში. საკმაო ხნის განმავლობაში, ამ მიდგომის საფუძველზე, ნებისმიერ საქმეზე, რომელშიც შეიმჩნეოდა პარტნიორთა დომინანტური მდგომარეობა და კონტროლი, იყენებდნენ სწორედ ამ ე.წ. ინსტრუმენტალურობის თეორიას. თუ ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს, კორპორაციული ფორმალობათა დარღვევას ან ზოგადად იდენტობათა აღრევას, მაშინ იყენებდნენ ე.წ. იდენტურობის წესებს, რომელშიც „ალტერ ეგოს“ გარკვეული ელემენტები მოიაზრებოდა *მინიფის* საქმის გავლენით.⁶⁹⁶ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა თავდაპირველად შემუშავებული და გათვლილი იყო მშობელ-შვილობილ კორპორაციებზე, თუმცა შემდგომში საფარვლის გაჭოლვის სხვა შემთხვევებზეც გავრცელდა, მათ შორის დახურულ კაპიტალურ საზოგადოებებზეც.⁶⁹⁷

„ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა შეიძლება რამდენიმე ელემენტად დავყოთ:

1) მშობელი კომპანიის (ან დომინანტი აქციონერის) სრული დომინანტობა და კონტროლი შვილობილ კორპორაციაზე; 2) უსამართლო, თაღლითური ან უკანონო ქმედება განხორციელებული მშობელი კომპანიის მიერ შვილობილი კომპანიის საშუალებით 3) მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანი სარჩელის სახით.⁶⁹⁸ შემდგომში აღნიშნული სამი ფაქტორი უფრო დაკონკრეტდა და მას უფრო ვრცელი სიაც მოჰყვა.⁶⁹⁹

⁶⁹⁵ *Powell F.*, Parent and Subsidiary Corporations. Chicago, Callaghan, 1931, მითითებულია: *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 81.

⁶⁹⁶ *Dobbyn J.F.*, A Practical Approach to Consistency in Veil-Piercing Cases, University of Kansas Law Review, Volume 19, No. 2, 1970, 186-187.

⁶⁹⁷ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, Denver Law Journal, Volume 55, Number 1, 1978, 11.

⁶⁹⁸ *F.J. Powell*, Parent and Subsidiary Corporations: Liability of a Parent Corporation for the Obligations of Its Subsidiary 4-6 (1931). მითითებულია: *O'Kelley C.R.T., Thompson R.B.*, Corporations and Other Business Associations: Cases and Materials, 3rd Ed., Aspen Law & Business, Gaithersburg, 1999, 584.

⁶⁹⁹ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 82.

აღნიშნულმა მიდგომამ საკმაო გამოხმაურება ჰპოვა და წიგნის გამოცემიდან სულ რაღაც ხუთ წელიწადში ნიუ იორკის სასამართლომ *ლოუვენდალის*⁷⁰⁰ საქმეზე სწორედ ინსტრუმენტალურობის დოქტრინა გამოიყენა. ეს საქმე დღემდე რჩება ამერიკულ საკორპორაციო სამართალში ერთ-ერთ ყველაზე მითითებად და ციტირებად საქმედ.⁷⁰¹

ქვემოთ მიზანშეწონილი იქნებოდა „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის სამი ძირითადი ელემენტის ცალ-ცალკე განხილვა, მთლიანი დოქტრინის არსის და მიზნის ანალიზისთვის.

4.3.2.1. ინსტრუმენტალურობის დოქტრინის ელემენტები

4.3.2.1.1. დომინანტობა და კონტროლი

უპირველეს ყოვლისა, მშობელი კორპორაციის თუ აქციონერის დომინანტური მდგომარეობა ფაქტობრივად აბსოლუტური უნდა იყოს იმ დონეზე, რომ რეალურად ამ შვილობილ კორპორაციის საქმეებში მშობელი უხეშად ერეოდეს.⁷⁰² კორპორაციას საკუთარი გონება, საზრისი არ უნდა ჰქონდეს, რაც, რა თქმა უნდა, ზოგადად პრობლემატურია პრაქტიკაში, რადგან არც ერთ იურიდიულ პირს, ნატურალურ ფიქციას, არ გააჩნია საკუთარი „ინდივიდუალური“ გონი – თუნდაც ყველაზე დიდ კორპორაციებში რეალური გადაწყვეტილების მიმღები მაინც რამდენიმე პირი ან ორგანოა.⁷⁰³

დომინანტური მდგომარეობა ზოგადად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ან დომინანტი ძალა შვილობილ კორპორაციაში აქციათა საკმარის პაკეტს ფლობს, რაც საშუალებას აძლევს მას ზემოქმედება მოახდინოს მასზე ან თუ ორივე კორპორაციას ჰყავს საერთო დირექტორები და მენეჯერები, რაც ყოველდღიურ

⁷⁰⁰ *Lowendahl v Baltimore & Ohio Railroad* 247 A.D. 144, 287 N.Y.S. 62, aff'd, 272 N.Y. 360, 6 N.E.2d 56 (1936).

⁷⁰¹ იმ საქმეების ჩამონათვალი, რომლებშიც მოხდა მითითება *ლოუვენდალის* საქმეზე იხ: *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 13, fn. 40.

⁷⁰² *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, *Kluwer Law International*, Alphen aan den Rijn, 2007, 81.

⁷⁰³ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil." *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 864.

საქმიანობაში ამ ორ, თეორიულად განცალკევებულ პირს შორის ზღვარს შლის. კონტროლის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ აქციების უმრავლესობას მინდობილობით გადასცემენ მინორიტარ აქციონერს⁷⁰⁴ ან შესაძლებელია კორპორაციის საკონტროლო პაკეტი მხოლოდ ჩვეულებრივი უმრავლესობა იყოს (აქციათა 51%).⁷⁰⁵ რაც მთავარია, კონტროლს ადგილი უნდა ჰქონდეს კონკრეტულად იმ ტრანზაქციის შემთხვევაშიც, რომელსაც ასაჩივრებს მოსარჩელე და არა ზოგადად. თუ მშობელი კორპორაცია შვილობილზე გადაჭარბებულ კონტროლს ახდენს ზოგადად, მაგრამ ასეთი კონტროლი არ გამოვლინდა იმ კონკრეტულ აქტში, რომელიც გასაჩივრებულია და რომლის დროსაც საფარვლის გაჭოლვა არის მოთხოვნილი, ასეთი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება და საფიქრებელია, რომ არც საფარველი გაიჭოლება, ყოველ შემთხვევაში არა „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის თანახმად.⁷⁰⁶

აქვე აღსანიშნავია, რომ მარტოდენ ფაქტი იმისა, რომ მშობელი კორპორაცია აქციების უმრავლესობას ან თუნდაც მთლიანობას ფლობს, არასაკმარისია აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.⁷⁰⁷ მშობელ-შვილობილი კორპორაციების შემთხვევაში, მშობელი კომპანიის დომინანტური მდგომარეობა აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა, შესაბამისად იმისათვის, რომ აღნიშნული ტესტის პირობა დაკმაყოფილდეს, საჭიროა არა მარტო იმის დადგენა, რომ მშობელი შვილობილის ზოგად პოლიტიკასა და ფინანსურ საკითხებში ერევა, არამედ ის, რომ ასეთი

⁷⁰⁴ *Dobbyn J.F.*, A Practical Approach to Consistency in Veil-Piercing Cases, *University of Kansas Law Review*, Volume 19, No. 2, 1970, 190-191.

⁷⁰⁵ *Ampex Corp. v. Office Electronics, Inc.*, 24 Ill. App. 3d 21 (Ill. App. Ct. 1974). აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ მიუთითა შვილობილ კორპორაციაზე, როგორც ინსტრუმენტსა და ალტერ ეგოზე. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლი სრული არ იყო და მშობელი კორპორაცია ფლობდა აქციების მხოლოდ ჩვეულებრივ უმრავლესობას, სამეწარმეო საქმიანობაში ადგილი მაინც ჰქონდა შვილობილის აღრევას მშობელ კორპორაციაში და ამიტომ სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა საფარვლის გაჭოლვა. აღნიშნული აჩვენებს, რომ „კონტროლისა“ და „დომინანტური“ მდგომარეობის გამოყენებისათვის არ არის საჭირო აქციების სრული პაკეტის ან თუნდაც ხმების კვალიფიციური უმრავლესობის ფლობა. ხელმისაწვდომია: <<https://casetext.com/case/ampex-corp-v-office-electronics-inc>>, [15.11.2020].

⁷⁰⁶ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 16.

⁷⁰⁷ *Rudorfer M.*, Piercing the Corporate Veil: A Sound Concept, GRIN Verlag, Norderstedt, 2006, 5.

აბსოლუტური ხასიათის ჩარევას ადგილი აქვს შვილობილის ყოველდღიურ საქმიანობაშიც.⁷⁰⁸

კონტროლის ან დომინანტობის ფაქტორის გათვალისწინებისას აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული თვითონ კორპორაციის ფიქტიური ხასიათი. როგორც უკვე აღინიშნა, ნატურალისტური თვალსაზრისით, იურიდიული პირი არ არსებობს, ის მხოლოდ სამართლებრივი ფიქციაა. შესაბამისად, მის უკან აუცილებლად დგას ადამიანური ელემენტი. აღნიშნული განსაკუთრებით სწორია დახურული კორპორაციების შემთხვევაში. შესაბამისად, არსობრივად კონტროლი ყოველთვის სახეზეა და რეალური კორპორაციული „ნების“ არსებობის მტკიცება, არასამართლებრივი თვალსაზრისით, რომელიც განსხვავდება მასში შემავალი პირების ნებისგან ან ამ ნებისგან სრულიად ავტონომიურია, არასწორი პოზიცია იქნებოდა.⁷⁰⁹

რაც შეეხება იურიდიულ პერსპექტივას, ამ მხრივ თითოეულ კონკრეტულ საქმეზე იქნება დამოკიდებული, თუ რა იქნება მიჩნეული იმგვარ დომინანტურ მდგომარეობად, რომელიც სცილდება „ჩვეულებრივს“ და აკმაყოფილებს ტესტის პირველ ნაწილს. როდესაც სპეციფიკური ფაქტორების ჩამოწერა ხდება, შეიმჩნევა მათი გადაკვეთა იმ ფაქტორებთან, რომლებსაც ცალკეულ საქმეებში სასამართლოები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ცალკე საფუძვლად იყენებენ.⁷¹⁰

⁷⁰⁸ *Smith D.G.*, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, *Brigham Young University Law Review*, Volume 2008, No. 4, 2008, 1172-1173.

⁷⁰⁹ *Millon D.*, Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, *Emory Law Journal*, Volume 56, Number 5, 2007, 1333.

⁷¹⁰ მაგალითად, ინსტრუმენტალურობის დოქტრინის ავტორის *პუელის* მიერ ჩამოწერილი გარემოებებში, რომლებიც მიუთითებენ პარტნიორის დომინანტ მდგომარეობაზე, არასათანადო კაპიტალიზაცია და კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობაცაა მოხსენიებული. აღნიშნული საფუძვლები და, განსაკუთრებით კი, არასათანადო კაპიტალიზაცია არაერთ სასამართლო საქმეში მიჩნეული იყო საკმარის საფუძვლად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის. იხ. *F. Powell*, supra note 24, ch.6. მითითებულია: *Carolan J.P.*, Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 180, fn.27. ეს კონკრეტული საფუძვლები უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

4.3.2.1.2. უსამართლო, უკანონო მოქმედება

ინსტრუმენტალურობის დოქტრინის თანახმად დამატებით საჭიროა, რომ შვილობილი კორპორაცია რაიმე უსამართლო თუ უკანონო მიზნებისათვის იყოს გამოყენებული, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც ასევე მოჰყვება ზარალი. ტესტი აგრეთვე მოითხოვს, რომ სახეზე იყოს რეალური ქმედება, რაშიც გამოიხატა შვილობილი კორპორაციის, როგორც მშობელი კორპორაციის ინსტრუმენტის, როლი. თუ ასეთი ქმედება სახეზეა არაა, მაშინ ამ დოქტრინის საფუძველზე კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა არ მოხდება.⁷¹¹ ამავდროულად აუცილებელი არაა, რომ ეს როლი პირდაპირ ჩანდეს კონკრეტულად რომელიმე ქმედებაში. მასზე შესაძლოა მიანიშნებდეს სხვა გარემოებებიც, როგორცაა იურიდიული პირის ადგილმდებარეობა, ფინანსური რესურსების აღრევა ან არასაკმარისი კაპიტალიზაცია.⁷¹² ასეთი თაღლითური თუ უკანონო მოქმედების ზუსტი და დეტალური ჩამონათვალი არ არსებობს იმ მარტივი მიზეზით, რომ კონკრეტული ჩამონათვალის დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა რომ თაღლითებს ექნებოდათ შესაძლებლობა, თავი დაეძვრინათ სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან რაიმე ხარვეზის გამოძებნით.⁷¹³

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს საქმეები, რომლებშიც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას ადგილი აქვს არა კონკრეტულად რომელიმე საკანონმდებლო დებულებით დადგენილი ვალდებულებისაგან თავის არიდების გამო, არამედ ზოგადად საჯარო წესრიგისა და პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებისათვის. ასე მაგალითად, ზოგიერთი კომპანია ხელოვნურად ქმნის შვილობილ კორპორაციას, ამ შვილობილი კორპორაციის საშუალებით აწარმოებს პროდუქციას და დისტრიბუციასაც მისავე საშუალებით ეწევა. მიზანი კი სასამართლო პროცესის გართულება და დროში გაწელვაა, თუ ადგილი ექნება პროდუქტის უსაფრთხოებიდან გამომდინარე დელიქტსა

⁷¹¹ მაგალითისათვის იხ: *Pauley Petroleum, Inc. v. Continental Oil Co.*, 239 A.2d 629 (1968). ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/delaware/supreme-court/1968/239-a-2d-629-3.html>>, [15.11.2020].

⁷¹² *Navarro J.M.L.*, *Piercing the Corporate Veil in Latin American Jurisprudence: A Comparison with Anglo-American Method*, Routledge, London, 2016, 56-57.

⁷¹³ *Presser S.B.*, *The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil*, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006, 428.

და ანაზღაურების მოთხოვნას. ამ ხერხით შესაძლებელი იქნება პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან მისგან ათავის არიდება.⁷¹⁴

ტესტის აღნიშნული პირობის უფრო მკაცრი ინტერპრეტაციაც არსებობს, რომელიც მოითხოვს „ინსტრუმენტი“ კორპორაციის მხოლოდ და მხოლოდ უკანონო თუ თაღლითური ქმედებისათვის არსებობას.⁷¹⁵ აღნიშნული კითხვას აჩენს: თუ მაგალითად, შვილობილი კორპორაცია თავდაპირველად არ იქმნება რაიმე თაღლითური მიზნისათვის, არამედ სრულიად ლეგიტიმური მიზეზით არსებობს, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდება, რომ იგი შესანიშნავ „ინსტრუმენტს“ წარმოადგენს ასეთი უკანონო ქმედების განსახორციელებლად, იქნება თუ არა ინსტრუმენტალურობის დოქტრინა ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში გამოყენებული? უდავოა, რომ ასეთი მოთხოვნა ზედმეტად მკაცრად უნდა ჩაითვალოს და უფრო მიზანშეწონილი იქნება იმის დადგენა, გამოყენებულ იქნა თუ არა კაპიტალური საზოგადოება, როგორც „ინსტრუმენტი“, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენდა თუ არა იგი ამას დაფუძნების დროს ან არსებობის პირველ ეტაპებზე.

4.3.2.1.3. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

მესამე ელემენტი შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანია „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინაში და მის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. თუნდაც რომ ადგილი ჰქონდეს ტოტალურ კონტროლსა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას უკანონო თუ უსამართლო მიზნებისათვის, აღნიშნული საკმარისი არ იქნება საფარვლის გაჭოლვისათვის.⁷¹⁶ საჭიროა დადგეს ზარალი – შედეგი – რომელიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იქნება ჩადენილ ქმედებასთან. აღნიშნული ელემენტის გარეშე, დოქტრინის თანახმად, კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუმცა წინამდებარე

⁷¹⁴ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 16.

⁷¹⁵ *Smith D.G.*, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, *Brigham Young University Law Review*, Volume 2008, No. 4, 2008, 1180.

⁷¹⁶ *Carolan J.P.*, Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 181.

პირობა შესაძლოა ბანალური და თავისთავადი ჩანდეს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრეცედენტები სხვაგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევიან – სასამართლო პრაქტიკაში დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც პარტნიორის სამართალდარღვევას არანაირი კავშირი არ ჰქონდა მოსარჩელის ზარალთან და სასამართლომ მაინც დააკისრა მას პირადი პასუხისმგებლობა.⁷¹⁷ აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება და შესაძლებელია ასეთი კავშირის მოთხოვნის დაწესებით მოსარჩელებზე მტკიცების ზედმეტად მძიმე ტვირთი გადავიდეს და მათ სამართლებრივი კომპენსაციისა და უფლებრივი რესტიტუციის საშუალება მოესპოთ.

როდესაც საუბარი რაიმეს „ინსტრუმენტი“ გამოყენებაზე, ბუნებრივია ისმის შეკითხვა, თუ რა მიზნით და რისთვის გამოიყენება რაიმე „ინსტრუმენტის“ სახით. დღევანდელი ეკონომიკური საქმიანობის მრავალმხრივობის გათვალისწინებით აშკარაა, რომ ყველა შესაძლო ვარიანტის წინასწარ გათვლა ვერც სასამართლოსა და ვერც სასამართლო დოქტრინას ვერ ძალუძს, თუმცა ზოგადად „ინსტრუმენტად“ გამოყენების მიზანი ყოველთვის გადის რაიმე უკანონო თუ უსამართლო მიზნის მიღწევაზე, რომელიც უფრო გამარტივებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის თავისებურებებით. ამ მიზნებიდან ყველაზე გავრცელებულად პასუხისმგებლობისგან თავის არიდება უნდა იყოს მიჩნეული.

პასუხისმგებლობა ზოგადად შესაძლოა იყოს სახელშეკრულებო, დელიქტური, საკანონმდებლო და ა.შ. აქედან ზოგადად დელიქტური და საკანონმდებლო პასუხისმგებლობის არიდების შემთხვევაში უფრო მეტია შანსი, გაიჭოლოს კორპორაციული საფარველი. საკანონმდებლო ვალდებულების შემთხვევაში განსაკუთრებით, თუ აშკარაა მხარის განზრახვა, ოსტატურად გვერდი აუაროს

⁷¹⁷ *Sea-Land Servs., Inc. v. Pepper Source*, 993 F.2d 1309. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ საქმე „ალტერ ეგოს“ დოქტრინის ორსაფეხუროვანი ტესტით გადაწყდა, რაც არ მოითხოვს რაიმე მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას.

მოთხოვნებს ცალკე კორპორაციული სუბიექტის გამოყენებით, მაშინ აღნიშნულს უდავოდ მოჰყვება საფარვლის გაჭოლვა.⁷¹⁸

მარტივად შეიძლება იმის დანახვა, რომ ინსტრუმენტალურობის დოქტრინა საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს ადგენს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის, რაც ერთის მხრივ, კორპორაციული პიროვნულობისა შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტების ცენტრალური როლის გათვალისწინებით გასაგებია. ასეთი გაჭოლვა ფაქტობრივად უკიდურესი ზომაა, რომელსაც მიმართავენ სასამართლოები. მეორეს მხრივ, ავტორთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ თვითონ ამ ტესტის მრავალმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია იძლევა საშუალებას, რომ უკანონო ან უსამართლო მოქმედებაში მრავალი ქმედება იქნას მოცული და ამით უზრუნველყოფილი იქნება ამ ტესტის მოქნილობა.⁷¹⁹

ამავდროულად ქმედებისა და შედეგის დადგომის მოთხოვნის დაწესებით ეს დოქტრინა საკმაოდ ავიწროებს საფარვლის გაჭოლვის შესაძლებლობას და შეიძლება ითქვას მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში დაჰყავს ის, როდესაც ადგილი აქვს დანაშაულებრივ ქმედებას და ამ ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს.

რადგან ეს თეორია უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს კონტროლსა და დომინანტურ მდგომარეობაზე და ის *პაუელის* მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სწორედ მშობელ-შვილობილ კორპორაციებთან მიმართებაში, შესაბამისად, ამერიკის სასამართლოები მას ყველაზე მეტად სწორედ კორპორაციულ ჯგუფებთან მიმართებაში იყენებენ, ვიდრე კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სხვა საქმეებში.

⁷¹⁸ *Sundaco, Inc. v. State*, 463 S.W.2d 528 (Tex. App. 1970). პირი ცალკე შვილობილი კორპორაციის ჩამოყალიბებით ცდილობდა, გვერდი აეველო იმ საკანონმდებლო ნორმისათვის, რომელიც კრძალავდა მაღაზიის მუშაობას შაბათ-კვირას. სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია ეს „*მხოლოდ ინსტრუმენტად ან ეშმაკობად კანონისგან თავის არიდების მიზნით*“. („*A mere device or subterfuge to evade the law.*“) ხელმისაწვდომია: <<https://www.courtlistener.com/opinion/1723871/sundaco-inc-v-state/>> [15.11.2020].

⁷¹⁹ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 30.

4.3.2.2. ინსტრუმენტალურობის დოქტრინის პრობლემური საკითხები

ინსტრუმენტალურობის დოქტრინა უდავოდ საინტერესოა თეორიული თვალსაზრისით, თუმცა გარკვეული დადებითი მხარეების მიუხედავად, მის გამოყენებასთან დაკავშირებით მაინც შეკითხვები არსებობს.

პირველი შეკითხვა, რაც ისმევა არის ის, თუ რა უნდა იყოს კერძოდ ის ქმედება, რომელშიც ვლინდება შვილობილი კორპორაციის, როგორც ინსტრუმენტის, როლი და საითკენ უნდა იყოს იგი მიმართული – შიდა თუ გარე სამართლებრივი პროცესების მიმართ. *პაულისა* და მის შემდგომ თეორეტიკოსების შემუშავებული და ამ უკანასკნელთა მიერ დახვეწილი სიის თანახმად, ეს ქმედება, როგორც ჩანს, უნდა იყოს გარეთ მიმართული მოსარჩელის საწინააღმდეგოდ.

ტესტში გაურკვეველობის შეტანა შეუძლია აგრეთვე იმ ფაქტს, რომ დომინანტობა და კონტროლი უსამართლო მოქმედებისგან განსხვავებულია ანუ სახეზე უნდა იყოს ორივე ფაქტორი. თუ ჩვენ ავიღებთ მაგალითად შემთხვევას, როდესაც შვილობილი კორპორაციის აქციონერთა კრებაში უხეშად ჩაერია მშობელი კორპორაცია, კორპორაციულ ფორმალობათა დარღვევით და შედეგად მიაღებინა გადაწყვეტილება, ინსტრუმენტალურობის დოქტრინით, ეს მხოლოდ პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილებად (დომინანტური პოზიცია და კონტროლი) უნდა ჩაითვალოს თუ, რადგანაც დაირღვა ნორმები კორპორაციული ფორმალობის შესახებ, უნდა მიჩნეულ იქნას ეს აგრეთვე ტესტის მეორე ელემენტის სახეზე არსებობად (უკანონო ან უსამართლო ქმედება)?

აღნიშნული განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით, რომ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, თვით ის ფაქტი, რომ შვილობილი კორპორაცია დაფუძნებული იყო პასუხისმგებლობის (ამ შემთხვევაში დელიქტური) თავიდან აცილებისათვის, თავისთავად მიჩნეულ იქნა უსამართლო, უკანონო მოქმედებად ტესტის მეორე მოთხოვნის შესაბამისად.⁷²⁰ შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ქმედება, რომლითაც ვლინდება მშობელი კორპორაციის

⁷²⁰ *Parker v. Bell Asbestos Mines, Ltd.*, 607 F. Supp. 1397 (E.D. Pa. 1985).

დომინანტური მდგომარეობა და სრული კონტროლი, აგრეთვე წარმოადგენს იმ უკანონო მოქმედებასაც, რომელშიც აშკარად ჩანს შვილობილი კორპორაციის, როგორც ინსტრუმენტის, როლი. ამავდროულად, დოქტრინით სრულიად შესაძლებელი და გამართლებული იქნებოდა კონტროლისა და უკანონო ქმედებას შორის ზღვრის დადება, როდესაც მოქმედება მიჩნეული იქნებოდა კონტროლისა და დომინანტური მდგომარეობის გამოხატულებად, ხოლო ტესტის მეორე ფაქტორის დაკმაყოფილების მიზნით საჭირო იქნებოდა სხვა, მეორე უკანონო მოქმედება. მაგალითისათვის, არასათანადო კაპიტალიზაცია ან აქტივების არაკეთილსინდისიერი გადაცემაც პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ასევე მოცული იქნებოდა ტესტის ამ მეორე მოთხოვნით, მაგრამ ტესტის საკმაოდ ზოგადი ფორმულირების გამო, შესაძლებელია ის დომინანტური მდგომარეობისა და კონტროლის გამოხატულებადაც მიჩნეულიყო. ამგვარად, პრაქტიკაში რეალურად შეიძლება ამ ორი ფაქტორის აღრევას ჰქონდეს ადგილი, როდესაც რთულია ამა თუ იმ მოქმედების ტესტის პირველი თუ მეორე წინაპირობისთვის მიკუთვნება.

ზოგადად, იმავე მშობელი-შვილობილი კორპორაციების კონტექსტში, ტესტის ამ ორი საფუძვლის ერთმანეთისგან განსხვავების მიზეზი შეიძლება მარტივად აიხსნას. შვილობილი კორპორაციები დღეს აპრობირებული პრაქტიკაა და ძალიან ხშირად მშობელი კორპორაცია ასეთ საზოგადოებებში წარმოადგენს ერთადერთ მეწილეს ან აქციონერს. ლოგიკურია, რომ აქაც შეიძლება საუბარი იყოს დომინანტური თუ საკონტროლო პოზიციის შესახებ ტესტის პირველი მოთხოვნის შესაბამისად. მაგრამ აღნიშნული არ იქნებოდა სწორი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იყოს გამოყენებული. შესაბამისად, ძირითადი ყურადღება აქ უნდა გამახვილდეს მეორე და მესამე მოთხოვნებზე: ადგილი უნდა ჰქონდეს შვილობილი კორპორაციის, როგორც ინსტრუმენტის გამოყენებას და მას უნდა მოჰყვეს შესაბამისი შედეგი. ტესტის პირველი ფაქტორი, ამ მხრივ, უკვე არსებული სიტუაციის კონსტანტირებისათვის არის გამიზნული: ბუნებრივია შვილობილ კორპორაციაში მშობელი დომინანტურ

მდგომარეობაში იქნება, მაგრამ მარტოოდენ ეს არ უნდა აყოს საკმარისი გაჭოლვისთვის: ადგილი უნდა ჰქონდეს უკანონო ქმედებასაც.

ბოლო შეკითხვა ეხება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მოთხოვნას. ზოგიერთი ავტორი მას მეტისმეტად მკაცრად მიიჩნევს და აცხადებს, რომ პირდაპირი კონტროლისა და დომინანტური მდგომარეობის ფაქტიდან ზარალის დამტკიცება შესაძლოა ვერ მოხდეს, თუნდაც რომ სახეზე ამკარა იყოს მოპასუხე მხარის მოქმედებები მიმართული მოსარჩელესათვის ზიანის მიყენებისაკენ.⁷²¹ იმისათვის, რომ ტესტის მოქმედება უსაფუძვლოდ არ შეიზღუდოს, მიზანშეწონილი იქნება, თუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისას ყურადღება მიექცევა მიზეზის *ადეკვატურობას* შედეგთან მიმართებაში, როდესაც პირის ქმედებას მოჰყვება შედეგის დადგომის ალბათობის ამაღლება. უფრო გავრცელებული და მიღებული ექვივალენტურობის (*condition-sine-qua-non*) ფორმულირებისგან განსხვავებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ამ ადეკვატურობის თეორიით⁷²² გამოირიცხება ისეთი გარემოებები, რომლებიც ირელევანტურია კონკრეტული შემთხვევისათვის, თუნდაც შედეგის დადგომაში მათ გარკვეული წვლილი მიუძღვოდეთ.⁷²³

4.3.3. ურთიერთმიმართება ალტერ ეგოს დოქტრინასა და ინსტრუმენტალურობის დოქტრინას შორის

როგორც დავინახეთ, ალტერ ეგოს და ინსტრუმენტალურობის დოქტრინებს შორის საკმაო მსგავსებაა. ზოგიერთი ავტორი მათ „თითქმის“ იდენტურად მიიჩნევს.⁷²⁴ საკმაო რაოდენობის სასამართლო საქმეში „ალტერ ეგო“ და „ინსტრუმენტალურობა“

⁷²¹ *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 18.

⁷²² გერმანულ სამართალში ცნობილი, როგორც ადეკვატურობის თეორია (მოდღვრება) – *Adäquanztheorie*.

⁷²³ აღნიშნულ თეორიასთან დაკავშირებით იხ: *Dam C.V.*, *European Tort Law*, 2nd Ed., Oxford University Press, 2013, 312-313. *Lange H., Schiemann G.*, *Schadersatz*, 3. Auflage, Mohr Siebeck, Tübingen, 2003, 82-94.

⁷²⁴ *Blumberg P.I., Strasser K.A., Georgakopoulos N.L., Gouvin E.J.*, *Blumberg on Corporate Groups*, 2nd Ed. 2019-2 Supplement, Walter Kluwer, 2019, 11-27. *Krendl C.S., Krendl J.R.*, Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978, 14-15. ზოგიერთ სასამართლო საქმეზეც გამოტანილ გადაწყვეტილებაში ეს ორი დოქტრინა მოიხსენიება სინონიმებად. მაგ. *De Witt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit* 540 F.2d 681, 685 (4th Cir. 1976). ხელმისაწვდომია: <<https://www.courtlistener.com/opinion/1723871/sundaco-inc-v-state/>>, [15.11.2020].

მართლაც ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება.⁷²⁵ ორივე შემთხვევაში კაპიტალური საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, არ განიხილება ცალკე განცალკევებულ პირად, არამედ წარმოადგენს სხვა პირის ან პირთა ჯგუფების საკუთრებას, კონტროლის ობიექტს და მაშასადამე აღარ შეუძლია ეფექტურად საკუთარი კორპორაციული პიროვნულობის ხორცშესხმა რეალურ ცხოვრებაში.

ასეთი ურთიერთმიმართების არსებობის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ინსტრუმენტალურობის დოქტრინას“ ზოგჯერ უპირისპირებენ წარმომადგენლის (*Agency*) თეორიასაც, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, როდესაც კორპორაცია მშობელი კორპორაციის ან რომელიმე სხვა პირის უბრალოდ აგენტი, წარმომადგენელია. სხვა თუ არაფერი ეს გამოხატავს იმ მსგავსებას რაც ამ თეორიებს შორის არსებობს იმ დონემდე, რომ მათ შორის განსხვავებების დანახვა გამოცდილ იურისტებსა და მოსამართლეებსაც კი უჭირთ.

ამავდროულად, აქ აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რაც ამ ორ, საკმაოდ მსგავს დოქტრინას, ერთმანეთისგან მაინც განასხვავებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის განსხვავებულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება. თვითონ დასახელებებიდან გამომდინარე, „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა ფოკუსირებას ახდენს კაპიტალური საზოგადოების, როგორც “ინსტრუმენტზე”. ინსტრუმენტის ფუნქცია, როგორც აღვნიშნეთ, უცილობლად დაკავშირებულია გარკვეულ დადებით ქმედებასთან, რომლის ფარგლებშიც კორპორაცია გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, თუ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინას ლოგიკურად მივყვებით, მაშინ გამოდის, რომ სახეზე აუცილებელია რაიმე ქმედების არსებობა, რომელშიც აშკარაა კაპიტალური საზოგადოების, როგორც უბრალო ინსტრუმენტის,

⁷²⁵ მაგალითისათვის იხ: *Hamilton v. Water Whole Intern. Corp.* 302 Fed. App'x 789, 793-94 (10th Cir. 2008). ხელმისაწვდომია: <<https://casetext.com/case/hamilton-v-water-whole-intern-corp>>, [15.11.2020]; *Mid-South Management Co. v. Sherwood Development Corp.* 649 S.E.2d 135 (S.C. Ct. App. 2007). ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/south-carolina/court-of-appeals/2007/4271.html>>, [15.11.2020]. *Victoria Elevator Co. v. Meriden Grain Co.* 283 N.W.2d 509 (1979). ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/south-carolina/court-of-appeals/2007/4271.html>>, [15.11.2020]; *Elec. Power Bd. v. St. Joseph Valley Struct.* 691 S.W.2d 522 (1985). ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/tennessee/supreme-court/1985/691-s-w-2d-522-2.html>>, [15.11.2020]; *Van Dom Co. v. Future Chem. & Oil Corp.*, 753 F.2d 565, 569-70 (7th Cir. 1985). ხელმისაწვდომია: <<https://openjurist.org/753/f2d/565/van-dorn-company-v-future-chemical-and-oil-corporation-van-dorn-company-a->>, [15.11.2020].

გამოყენების ფუნქცია. აღნიშნულს არ ითვალისწინებს ალტერ ეგოს დოქტრინა, სადაც ყურადღება მახვილდება მარტო კონტროლსა და საკუთრებაზე ანუ უკვე არსებულ მდგომარეობაზე. სრულიად შესაძლებელია, კორპორაცია ე.წ. ცარიელი კორპორაცია იყოს, მას არ ჰქონდეს დაცული არანაირი კორპორაციული ფორმალობები და ა.შ., მაგრამ არ იყოს გამოყენებული დომინანტი პარტნიორის მიერ რაიმე უკანონო ან უსამართლო მიზნისათვის ან შესაძლოა საერთოდ არ იყოს გამოყენებული, როგორც ინსტრუმენტი, რადგან როგორც აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ რაღაც საგანი ინსტრუმენტი იყოს, უნდა არსებობდეს რაღაც რისთვისაც აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება, რაც უეჭველად რაიმე ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედებას) გულისხმობს.

მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ალტერ ეგოს დოქტრინის მეორე პირობა, რომელიც ხაზს უსვამს „თაღლითობის ან უსამართლობის წახალისებას“, როგორც უარყოფით შედეგს, თუ კორპორაციული საფარველი გაჭოლვილი არ იქნება. შედარებისათვის, ინსტრუმენტალურობის დოქტრინა ითხოვს, რომ თვითონ მოქმედება იყოს ჩადენილი თაღლითური მიზნისათვის, ხოლო შედეგი კი შეიძლება იყოს ზიანი ან მეორე მხარის მიერ უსაფუძვლოდ ან დაუმსახურებლად მიღებული მატერიალური სარგებელი.⁷²⁶

ბოლოს, ყურადღება უნდა გამახვილდეს „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის მესამე პირობაზე. აქაც ალტერ ეგოს დოქტრინა უფრო ლიბერალური მიდგომაა და არ მოითხოვს რაიმე მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას პირის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და დაზარალებულისათვის მიყენებულ ზიანს შორის. უკვე ნახსენები იყო სასამართლო საქმე,⁷²⁷ რომელშიც იმავე ალტერ ეგოს დოქტრინით კორპორაციული საფარველი გაჭოლვილ იქნა, მიუხედავად მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობისა. თუ სასამართლო მიმართავდა ინსტრუმენტალურობის დოქტრინას, მაშინ მესამე წინაპირობა აღნიშნულს შეუძლებელს გახდიდა. საჭირო იქნებოდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რასაც მოითხოვს ინსტრუმენტალურობის, თუმცა არა ალტერ ეგოს, დოქტრინა.

⁷²⁶ *Bainbridge S.M.*, Abolishing Veil Piercing, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 3, Spring 2001, 508-509.

⁷²⁷ *ib. იქვე* fn. 436.

ამ ორ დოქტრინას შორის შეპირისპირებისას მათი წარმოშობის ადგილიცა და ტერიტორიული გავრცელებაც უნდა იქნას გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამერიკის შეერთებულ შტატებშია აღმოცენებულია, შტატების სასამართლოები პრაქტიკაში ძირითადად ან ერთს ან მეორეს მიჰყვებიან. მაგალითად, ინსტრუმენტალურობის უფრო მკაცრი მოთხოვნები ნიუ-იორკის შტატში გამოიყენება, იმ დროს როდესაც, ალტერ ეგო ძირითადად კალიფორნიის შტატშია გავრცელებული.⁷²⁸

ყველაზე საინტერესოა ამ ორი თეორიის (სავარაუდოდ უნებლიე) სინთეზი, რომელიც მოითხოვს, როგორც კორპორაციის არასათანადო (*undue*) დომინაციასა და კონტროლს და აგრეთვე იმას, რომ კორპორაცია იყოს ხელსაწყო (*device*)⁷²⁹ ან თვალთმაქცურად არსებობდეს უსამართლობის შენიღბვისათვის, თაღლითობისა და რაიმე დანაშაულის დამალვის მიზნით.⁷³⁰ როგორც ვხედავთ, პირველი პირობა, ამხვილებს რა ყურადღებას გადამატებულ კონტროლზე, ფაქტობრივად ინსტრუმენტალურობის დოქტრინის პირველი პირობის პერიფრაზია იმ დროს, როდესაც მეორე პირობა, მიუხედავად სიტყვა „ინსტრუმენტისა“ („ხელსაწყო“) შინაარსობრივად უფრო ახლოს დგას ალტერ ეგოს დოქტრინის ასევე პირველ პირობასთან, რომელიც ითხოვს ცალკე კორპორაციის არარსებობას, დომინანტი აქტორის მდგომარეობის გამო.

როგორც ვხედავთ, მსგავსებების მიუხედავად, აღნიშნული დოქტრინალური მიდგომები განსხვავდება ერთმანეთისგან. ყურადღებას ამხვილებენ რა სხვადასხვა კრიტერიუმებზე და შეიცავენ რა მსგავს, თუმცა არა იდენტურ წინაპირობებს, ისინი წარმოადგენენ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიმართ არსებულ ძირითად მიდგომებს. თუ ალტერ ეგოს დოქტრინა უფრო ლიბერალურია, გათვლილი უფრო არსებულ სტატიკურ მდგომარეობაზე, რომელიც არ მოითხოვს რაიმე აქტიურ მოქმედებას დომინანტი პარტნიორის მხრიდან, ინსტრუმენტალურობის დოქტრინის

⁷²⁸ Bainbridge S.M., Abolishing Veil Piercing, Journal of Corporation Law, Volume 26, No. 3, Spring 2001, 508-509.

⁷²⁹ სიტყვა *device* უფრო ხშირად ითარგმნება, როგორც ხელსაწყო, მოწყობილობა, მაგრამ კონტექსტის გათვალისწინებით სიტყვა „ინსტრუმენტი“ აქ უფრო ახლოს დგას ინგლისურ შინაარსთან და ხაზს უსვამს, რომ კორპორაცია მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად.

⁷³⁰ იხ. მაგალითად *Perpetual Real Estate Services, Inc. v. Michaelson Properties, Inc.*, 974 F.2d 545 (4th Cir. 1992); ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/974/545/437549/>>, [15.11.2020].

წინაპირობებით არა მარტო ქმედება, არამედ ამ ქმედების განხორციელების შედეგიც უნდა იყოს მოცული და აუცილებელია სახეზე იყოს აშკარა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

აღნიშნული განსხვავება არ წარმოადგენს მარტო თეორიულ დისკუსიას. მას შეიძლება რეალურად მოჰყვეს განსხვავებული შედეგები სასამართლო პრაქტიკაში. ნამდვილი შეკითხვა შეიძლება არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი დოქტრინა უნდა იყოს არჩეული ან უნდა იყოს თუ არა არჩეული საერთოდ. ორივე დოქტრინა დღესდღეობით პარალელურად არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ამ ქვეყნის ფედერალური წყობილება და ამა თუ იმ შტატის მიდრეკილება ალტერ ეგოს თუ ინსტრუმენტალურობის დოქტრინისკენ. თეორიულად ამ ორი დოქტრინის ერთდროული გამოყენება შესაძლებელია, „ალტერ ეგოს“ როგორც უფრო „გამარტივებული: ტესტის და „ინსტრუმენტალურობის“, როგორც უფრო მკაცრი ვარიანტის. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ორ დოქტრინას შორის ბევრი მსგავსება და გადაკვეთის წერტილია და ისინი ერთმანეთს პირდაპირ არ ეწინააღმდეგებიან. არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა უფრო მკაცრია.

პრაქტიკაში სამწუხაროდ მათი ერთდროული გამოყენება, მით უმეტეს საქართველოსა და სხვა უნიტარული ქვეყნებისათვის პრობლემატური იქნება, რადგან სასამართლოებს ექნებათ ფართო დისკრეცია ამა თუ იმ შემთხვევაში მიმართონ უფრო „მარტივ“ თუ „რთულ“ ტესტს, არჩევანი კი შესაძლებელია მოსამართლის პირადი დამოკიდებულებით ან სხვა რაიმე ფაქტორითაც იყოს ნაკარნახევი, თუ ადგილზე უფრო მყარი და მკაფიო დანაწესი არ იქნება. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკაშიც დაბნეულობას გამოიწვევს, რადგან რთული იქნება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებში რაიმე წინასწარი ვარაუდი, თუ კონკრეტულად რომელ მიდგომას მიმართავს სასამართლო. „ალტერ ეგოს“ დოქტრინის საკმაოდ ლიბერალური სიტყვიერი ფორმულირება დამატებით საფრთხეს შეიცავს იმ კუთხითაც, რომ შესაძლებელია ზედმეტად გაფართოვდეს გაჭოლვის საფუძვლები. შემთხვევა, როდესაც ერთკაციანი შპს-ს ან სხვა მცირე დახურული კორპორაციის საფარველი იჭოლვება მხოლოდ და

მხოლოდ ყველაზე რუდიმენტალურ ფორმალობათა დაუცველობის გამო, რადგან აღნიშნულმა შესაძლოა წახალისოს „უსამართლობა“, სამწუხაროდ სრულიად წარმოუდგენელი არ არის.

4.3.4. საფარვლის გაჭოლვის სხვა მეთოდები

„ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინები წარმოადგენენ საფარვლის გაჭოლვის ძირითად თეორიებს აშშ-ს სამართალში, თუმცა ამავდროულად არსებობს სხვა ნაკლებად გავრცელებული მიდგომებიც, რომელთა ურთიერთმიმართებაც ამ ორთან სამწუხაროდ საკმაოდ ბუნდოვანია. როგორც აღინიშნა, ტერმინოლოგიური გაურკვეველობის გამო სრულიად შესაძლებელია იგივე „ალტერ ეგოს“ თუ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინა იქნას გამოყენებული, ოღონდ სხვა სახელის ქვეშ. ამავდროულად, შესაძლებელია ამ ორი დოქტრინის მხოლოდ მცირედი მოდიფიკაცია მოხდეს, გაჭოლვის საქმის სხვა ასპექტებზე ფოკუსირებითა და ახალი მხატვრული მეტაფორის მოფიქრებით, რაც რეალურად არ ახდენს ზეგავლენას თვითონ მიდგომის შინაარსზე, თუმცა კი ზედაპირზე მაინც დამატებით გაურკვეველობას იწვევს.

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის უპრიანი იქნებოდა ამ სხვა მიდგომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანების მოკლედ მიმოხილვა, მათი „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინასთან მსგავსებებისა თუ განსხვავებების საილუსტრაციოდ.

4.3.4.1. ცარიელი კორპორაცია (*Dummy, Shell Corporation*) და თვალთმაქცური კორპორაცია (*Sham Corporation*)

იმ მრავალფეროვანი მეტაფორებიდან, რომლებიც გამოიყენება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებში შეიძლება ითქვას, რომ „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინები დომინირებენ. ამავდროულად, არსებობს სხვა

მიდგომებიც, რომლებიც მიუხედავად ამ ორთან გადაკვეთის მრავალი წერტილისა, ზოგიერთი მოსამართლისა და სამართალმცოდნის მიერ მაინც ითვლებიან კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ცალკე საფუძვლად.

ზოგადად იმავე „ალტერ ეგოსა“ თუ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინებისგან განსხვავებით, რთულია „ცარიელ კორპორაციას“ (*Dummy, Shell Corporation*) ან „თვალთმაქცურ“ კორპორაციას (*Sham Corporation*) დოქტრინები ეწოდოს ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით. ლიტერატურაში მათი თეორიული განხილვა იშვიათია და მათ არსებობას უფრო მოსამართლეთა და სამართლის თეორეტიკოსთა მდიდარ ლექსიკონს უნდა ვუმადლოდეთ.

თვით სიტყვები *Dummy* ან *Sham* მიანიშნებს კორპორაციაში შინაარსის ნაკლებობაზე, სიცარიელეზე.⁷³¹ აღნიშნული მათ, სემანტიკურად მაინც, აახლოებს „ალტერ ეგოსთან“. *Dummy* ან *Sham* კორპორაციებთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერმინებს ხშირად უფრო საკორპორაციო დანაშაულთა საქმეებში იყენებენ. მაგალითისათვის, როდესაც საუბარი სპეციალურად ფულის გათეთრების, უკანონო გადარიცხვის⁷³² ან გადასახადებისგან თავის არიდების ან ქონების გაფორმების მიზნით⁷³³ შექმნილ ცარიელ კორპორაციებზე მიდის, რომლებსაც სხვა რაიმე დანიშნულება არ გააჩნიათ. ამ მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ *Dummy* კიდევ უფრო აშკარა ინსტრუმენტია დომინანტი თუ მაკონტროლებელი პარტნიორის ხელში და მის მიმართ რაიმე „მეორე პიროვნულობის“ ცნების მისადაგებაზე საუბარიც ზედმეტია, რადგან მას საერთოდ პიროვნულობისა თუ განცალკევებულობის რაიმე ნასახიც არ გააჩნია. ის არის უბრალოდ ხელსაწყო, ინსტრუმენტი, რაც აღნიშნულ მიდგომას შინაარსობრივად გარკვეულწილად აახლოებს ამჯერად ინსტრუმენტალურობის დოქტრინასთანაც.

ზემოაღნიშნული ორი „დოქტრინის“ გადაკვეთა „ალტერ ეგოსთან“ თუ „ინსტრუმენტალურობასთან“ მაინც ძალიან ხშირია, რაც მათ ურთიერთჩანაცვლებას

⁷³¹ *Gevurtz F.A.*, Corporation Law, West Group Publishing, St.Paul, Minnesota, 2000, 70.

⁷³² *Clinard M.B., Yeager P.C.*, Corporate Crime, Transaction Publishers, New Brunswick, 2010, 172.

⁷³³ *Pratt J.W., Kulsrud W.N.*, Corporate, Partnership, Estate and Gift Taxation, 2013 Edition, Cengage Learning, South Western, 2013, 1-6.

ხშირად იწვევს სასამართლო პრაქტიკაში.⁷³⁴ აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილი იქნება სიცხადის შეტანა საერთო ცნების განსაზღვრით, რადგან აშკარაა რომ არც „ცარიელი“ და არც „თვალთმაქცური“ მიდგომა არ წარმოადგენს ცალკე, თავისთავად არსებულ თეორიას, არამედ ზემოაღნიშნული ორი მთავარი დოქტრინის მხოლოდ უმნიშვნელო ვარიაციაა და მათი რეალური ეფექტიც მხოლოდ გაურკვევლობის შეტანაა საკორპორაციო სამართლის ამ ისედაც გაუგებარ და ეკლექტურ ნაწილში.

4.3.4.2. იდენტურობის (*Identity*) და წარმომადგენლობის (*Agency*) თეორიები

საფარვლის გაჭოლვის კიდევ ერთი დოქტრინა, რომლის განხილვაც საჭიროა, არის ე.წ. „იდენტურობის“ (*Identity*) დოქტრინა, რომელიც აგრეთვე *პაუელს* მიეწერება.⁷³⁵ ეს დოქტრინა ფოკუსირებას ახდენს კონტროლის ეკონომიკურ ნაწილზე, როდესაც კორპორაციებს ჰყავთ საერთო მენეჯერები, დირექტორები, აქციონერები, მესაკუთრეები და რომელთა შემთხვევაშიც კორპორაციული ფორმლობების დაცვა არ ხდება.⁷³⁶ სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც ამ ტერმინოლოგიას იყენებენ, სიმრავლით არ გამოირჩევა და იმ საქმეებზეც კი სადაც ეს ტერმინია ნახსენები, ის აღნიშნულია „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინასთან ერთად.⁷³⁷ ლიტერატურაში ამ დოქტრინის თაობაზე მაღალი წარმოდგენის არ არიან და ზოგიერთი ავტორი მას

⁷³⁴ მაგალითად საქმეზე *Sampsell v. Imperial Paper & Color Corp.*, 313 U.S. 215 (1941) კორპორაცია მოხსენიებული იყო „თვალთმაქცურ“ (“*Sham*”) კორპორაციად, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი დასაბუთება ნაწილობრივ ინსტრუმენტალურობისა და ალტერ ეგოს დოქტრინის მოთხოვნებსაც შეესაბამებოდა, რადგანაც პირმა კორპორაცია ინსტრუმენტის სახით გამოიყენა ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით და თვითონ სასამართლომაც აღნიშნა, რომ კორპორაცია იმდენად იყო „ასიმილირებული“ დომინანტ პარტნიორთან, რომ ეს კორპორაცია მის პირად „ჯიბეს“ (“*Pocket*”) წარმოადგენდა. ხელმისაწვდომია: <<https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/974/545/437549/>>, [15.11.2020].

⁷³⁵ *Vandekerchove K.*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 83.

⁷³⁶ *Angelo Tomasso, Inc.*, 187 Conn. at 544, 577-78, 447 A.2d at 406, 421. მითითებულია: *Blumberg P.I., Strasser K.A., Georgakopoulos N.L., Gouvin E.J.*, *Blumberg on Corporate Groups*, 2nd Ed. 2019-2 Supplement, Walter Kluwer, 2019, 11-31.

⁷³⁷ მაგ. საქმეზე *Silverston v Norwich Savings Society* No CV 94 0049340 S (Jan. 19, 1995) „ინსტრუმენტალურობისა“ და „იდენტურობის“ დოქტრინა ერთმანეთის სინონიმებად არის წარმოჩენილი. ხელმისაწვდომია: <<https://www.casemine.com/judgement/us/5914848fadd7b049344b8d25>>, [15.11.2020].

მოიხსენიებს, როგორც უბრალოდ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის ტრადიციული ელემენტების რეფორმულირებას, რომელიც, ყურადღებას ამახვილებს რა ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მეწარმეობის პრინციპებზე, მორგებულია მჭიდროდ აფილირებულ კომპანიებსა და კორპორაციათა ჯგუფებს.⁷³⁸

„ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინების, ასევე მათი ვარიაციების გარდა, საერთო სამართალში ვხვდებით სხვა მიდგომებსაც, რომლებიც თვისობრივად არ წარმოადგენენ საკორპორაციო სამართლის ნაწილს, თუმცა იმავე საფარვლის გაჭოლვის საქმეებში ზოგიერთი მის გამოყენებას მიზანშეწონილად მიიჩნევს. ინგლისელ კოლეგების მსგავსად, ამერიკულმა სასამართლოებმაც არაერთხელ გაამახვილეს ყურადღება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას წარმომადგენლობით (*Agency*) მიდგომაზე. აღნიშნული მიდგომის უკეთ გასაგებად საჭიროა, უფრო ნათლად წარმოჩინდეს *Agency*-ს საერთო-სამართლებრივი კონცეფცია, რომელიც განსხვავდება კონტინენტური სამართლის „წარმომადგენლის“ ინსტიტუტის უფრო ერთმნიშვნელოვან გაგებისგან.

წარმომადგენლობად (*Agency*) საერთო სამართალში მოიაზრება სპეციალური ფიდუციური (ნდობაზე დამყარებული) ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც ერთი პირი (პრინციპალი, *principal*) თანხმობას აცხადებს წარმოდგენილ იქნას მეორე პირის (აგენტი, *agent*) მიერ და ამ მეორე პირის მხრიდანაც თანხმობას აქვს ადგილი.⁷³⁹ იმისათვის რომ დავადგინოთ, ადგილი აქვს თუ არა ასეთ ურთიერთობას, საკმარისია დავამოწმოთ არა თვით კონტროლის ფაქტი, არამედ მიმდობის (წარმოდგენილის) უფლება, აკონტროლის საკუთარი აგენტი.⁷⁴⁰

ძირითადი განსხვავება საერთო-სამართლებრივ და კონტინენტურ-სამართლებრივ მიდგომებს შორის მდგომარეობს მესამე პირის მიერ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის აღქმაში. თუ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში საჭიროა არა მარტო წარმოდგენილის მინდობილობა და უფლებამოსილების მინიჭება,

⁷³⁸ *Blumberg P.I., Strasser K.A., Georgakopoulos N.L., Gouvin E.J.*, Blumberg on Corporate Groups, 2nd Ed. 2019-2 Supplement, Walter Kluwer, 2019, 11-32.

⁷³⁹ Restatement of the Law of Agency, Third Edition, 2006, §1.1.

⁷⁴⁰ *Gregory W.A.*, The Law of Agency and Partnership, 3rd Ed., West Publishing, St.Paul, Minnesota, 2001, 4.

არამედ მესამე მხარის ცოდნა, რომ წარმოდგენილი პირი ასეთი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. საერთო-სამართლებრივ ქვეყნებში მხოლოდ და მხოლოდ ასეთი უფლებამოსილების გამოყენების ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ სახეზე ჰქმნარიტად იყოს წარმომადგენლობა.⁷⁴¹ იგივე ამხანაგურ საზოგადოებათა სამართალი⁷⁴² საერთო სამართლის ქვეყნებში დაფუძნებულია სწორედ წარმომადგენლობაზე – თითოეული პარტნიორი არსობრივად სხვა პარტნიორის აგენტი, წარმომადგენელია.⁷⁴³

თვით წარმომადგენლობის ინსტიტუტიც გაცილებით უფრო ადრე წარმოიშვა და განვითარდა, ვიდრე საკორპორაციო-სამართლებრივ ინსტიტუტთა უმრავლესობა. იგივე „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინებსაც საკმაო გადაკვეთის წერტილი აქვთ საერთო სამართლებრივ *Agency*-სთან და შეიძლება ითქვას, რომ მისი ზეგავლენა გაჭოლვის ამ ორი დოქტრინის განვითარებაზე აშკარაა.⁷⁴⁴

ისევე როგორც „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ თეორიები, სასამართლო საქმეებსა და დოქტრინაშიც ხშირად კონტროლის ქვეშ მოქცეულ კაპიტალურ საზოგადოებას მაკონტროლებელი კორპორაციის „აგენტად“ (წარმომადგენლად) მოიხსენიებს. თუ დადგინდება რომ კორპორაცია დომინანტი პარტნიორის ან სხვა პირის „აგენტს“ წარმოადგენდა, მაშინ აღარ იქნება საჭირო „ალტერ ეგოს“, „ინსტრუმენტალურობის“ ან ზოგადად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სხვა დოქტრინების მოხმობა, რადგან წარმომადგენლობის სამართლით პრინციპალი იქნება პასუხისმგებელი აგენტის მოქმედებებზე.⁷⁴⁵

საერთო-სამართლებრივი *Agency*-ს მეშვეობით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია აგენტსა და პრინციპალს შორის აშკარა თანხმობა და ერთიანობა მოქმედების განხორციელების თაობაზე. აგენტი არა მარტო უნდა მოქმედებდეს პრინციპალის სახელით, არამედ ამ უკანასკნელს საკუთარი

⁷⁴¹ *Verhagen H.*, Agency and Representation, წიგნში: *Elgar Encyclopedia of Comparative Law*, Ed. *Smits J.M.*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2006, 54.

⁷⁴² *Partnership Law*.

⁷⁴³ *Davies P., Worthington S.*, Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 4.

⁷⁴⁴ *Halabi S.F.*, Veil-Piercing's Procedure, *Rutgers University Law Review*, Volume 67, No. 4, Summer 2015, 1010.

⁷⁴⁵ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil – Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, No. 2, Winter 1985, 191.

ნება აშკარად უნდა ჰქონდეს გამოვლენილი. საკორპორაციო სამართლის კონტექსტში აღნიშნული შესაძლოა განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენდეს მშობელ-პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნით იქმნება. შესაბამისად, იმავე მშობელ კორპორაციასა და შვილობილს შორის რაიმე სპეციფიკური შეთანხმება და ხელშეკრულება წარმომადგენლობაზე შეიძლება არ არსებობდეს, თუნდაც აშკარა იყოს, რომ პირველი მეორეს აკონტროლებს.⁷⁴⁶

კორპორაციის წარმომადგენლად ან აგენტად მიჩნევა, კავშირშია „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინებთან. თუ „ალტერ ეგოს“ შემთხვევაში კორპორაცია დომინანტი პარტნიორის „მეორე მეა“, მთლიანად მოკლებული საკუთარ არსებობას და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის თანახმად კი, კორპორაცია არის ინსტრუმენტის ფუნქციის მქონე საშუალება, აგენტის (*Agency*) თეორიით, კორპორაცია მხოლოდ წარმომადგენელია დომინანტი ძალის ხელში. აქ აშკარად შეინიშნება მსგავსება თეორიებს და განსაკუთრებით კი „ინსტრუმენტალურობისა“ და აგენტის თეორიას შორის.

აღნიშნული მიდგომის გამოყენება თუმცა სერიოზულ გაურკვევლობას იწვევს, რადგანაც, საერთო-სამართლებრივი *Agency* კონტინენტური სამართლის ქვეყნების წარმომადგენლობის ან ნდობის ინსტიტუტის სრულ ექვივალენტს არ წარმოადგენს და ამავდროულად შესაძლო გართულება მოჰყვეს სიტუაციას, როდესაც შვილობილი კორპორაცია ან სხვა კორპორაცია მშობელთან სწორედ *Agency*-ს ურთიერთობით არის დაკავშირებული, ანუ ის, როგორც *ცალკე არსებული* იურიდიული პირი, სპეციალური წარმომადგენლობითი შეთანხმების საფუძველზე, უფლებამოსილია, ამ მშობელი თუ სხვა მაკონტროლებელი კორპორაციის მიერ, რომ გამოვიდეს წარმომადგენლად, რაც აკრძალული, ბუნებრივია, არ არის. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება ბუნდოვნება შეიტანოს იმაში, თუ კერძოდ რა გაგებით აქვს ადგილი *Agency*-ს ურთიერთობას: საკორპორაციო სამართლისა და შესაბამისად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის

⁷⁴⁶ *Blumberg P.*, *Accountability of Multinational Corporations: The Barriers Presented by Concepts of the Corporate Juridical Entity*, *Hastings International and Comparative Law Review*, Volume 24, Issue 3, Spring 2001, 307.

კუთხით თუ, უკვე არსებული *Agency*-ის შემთხვევაში, ჩვეულებრივი წარმომადგენლობითი ურთიერთობის კონტექსტში.

წარმომადგენლობის თეორია გამოყენებულია როგორც აშშ-ს, ასევე გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების მიერ და მიუხედავად გარკვეული სარგებელისა, კონსენსუსი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული მიდგომა უბრალოდ არ არის ზედგამოჭრილი კორპორაციული საფარვლისა და კორპორაციული პიროვნულობის უგულებელყოფის შემთხვევებისათვის.⁷⁴⁷

4.3.5. კერძო საფუძვლები და ფაქტორები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის

წინა თავში განხილული იყო კონკრეტული დოქტრინები, რომლებიც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თეორიულ საფუძველს ქმნიან. ეს თეორიული პოსტულატები, შემუშავებული სამართალმცოდნეების ან მოსამართლეების მიერ, ცდილობენ გარკვეულწილად მოაწესრიგონ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკმაოდ ქაოტური სფერო წარმატებულობის სხვადასხვა ხარისხით.

სამწუხაროდ, საფარვლის გაჭოლვასთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობაში ასეთი სისტემატიური მიდგომა უფრო გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე წესს. გაცილებით უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოყვანილია მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კონკრეტული საფუძველი ისე, რომ საერთოდ არ არის რაიმე მინიშნება ან მცდელობაც კი, ეს საფუძველი რაიმე სისტემატიურ ჩარჩოში იყოს მოქცეული. ასეთი შემთხვევების სიხშირიდან გამომდინარე უპრიანი იქნებოდა რამდენიმე ყველაზე გავრცელებული ასპექტის განხილვა და იმის განსაზღვრა, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს მათ და საფარვლის გაჭოლვას შორის.

⁷⁴⁷ *Cheng T.K.*, *The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines*, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 356.

4.3.5.1. დავის საფუძვლის მნიშვნელობა: დელიქტი და ხელშეკრულება

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისას სამართლებრივი დავის სახისა და საფუძვლის მნიშვნელობა უკვე არაერთხელ აღინიშნა. დელიქტისა და სახელშეკრულებო დავების შემთხვევაში შესაძლებელია კორპორაციის საფარვლის გაჭოლვის განსხვავებული შედეგები დადგეს, რადგან გარკვეულ გარემოებათა მიზეზით, პირველ შემთხვევაში კრედიტორის ინტერესების დაცვა დგება პირველ პლანზე, რასაც შესაძლოა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უგულებელყოფა მოჰყვეს იმ დროს, როდესაც სახელშეკრულებო დავისას თვით კრედიტორების მიერ საკუთარი ნებით კორპორაციასთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა მათ წილ პასუხისმგებლობასაც აკისრებს და ამგვარად ამცირებს გაჭოლვის ალბათობასაც.

ზოგადად დელიქტური ვალდებულება კორპორაციისა და მისი კრედიტორებისათვის მეტად არასასურველია, რადგან მისი პროგნოზირება და საინვესტიციო რისკებში გათვალისწინება საკმაოდ რთულია. თვით ყველაზე საუკეთესო მენეჯმენტის პირობებშიც, მოულოდნელი და უეცარი დელიქტური ვალდებულებების წარმოშობა არ უნდა გამოირიცხოს. რაც უფრო სარისკო საქმიანობას ეწევა საზოგადოება, მით უფრო მეტად აისახება ეს ინვესტორების გადაწყვეტილებაზეც, განახორციელონ შენატანი და შებამისად გაწიონ რისკი, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ვალდებულებების სრულ დაზღვევას არ ექნება ადგილი.⁷⁴⁸

კორპორაციული გაჭოლვის საქმეებში დავის საფუძვლის მნიშვნელობა განპირობებულია ნებელობითა და ინფორმაციული ასიმეტრიულობით. დელიქტის დროს დაზარალებულ მხარეს არ გამოუხატავს ნება, რაიმე სამართლებრივად მბოჭავ ურთიერთობაში შესულიყო მეორე მხარესთან. ძალიან ხშირად, როდესაც საუბარია კორპორაციების პასუხისმგებლობაზე დელიქტურ საქმეებში, მოსარჩელე დაზარალებულმა არაფერი არ იცის მოპასუხე კორპორაციის შესახებ. მას არც იმის შესაძლებლობა ჰქონდა, მოლაპარაკებები გაემართა ასეთ კორპორაციასთან, მიეღო

⁷⁴⁸ *Leebron D.W.*, Limited Liability, Tort Victims, and Creditors, *Columbia Law Review*, Volume 91, No. 7, November 1991, 1585, 1600.

პირადი გარანტიები ან საკუთარი (პოტენციური) მოთხოვნის უზრუნველყოფის რაიმე საშუალება. ამის საპირისპიროდ, ხელშეკრულების დადებისას, მეორე კონტრაქტის მხარე საკუთარი სურვილით შედის სახელშეკრულებო ურთიერთობაში და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა, წინასწარ მოითხოვოს ფინანსური ანგარიშები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მაშასადამე, ლოგიკურია, რომ თუ საფუძველი, რომლითაც მოსარჩელე ანაზღაურებას ითხოვს, დელიქტიდან გამომდინარეობს, მაშინ მოსამართლეები უფრო მეტი სიმპათიით უნდა იყვნენ განწყობილნი მისდამი, რადგან ასეთი მოსარჩელე ნებაყოფლობით არ შევიდა აღნიშნულ კორპორაციასთან სამართლებრივ ურთიერთობაში.⁷⁴⁹

აღნიშნული მიდგომა პრობლემებისგან თავისუფალი სულაც არ არის. თვით ის მოსაზრება, რომ მოსამართლე ავტომატურად უფრო მეტი სიმპათიით უნდა იყოს განწყობილი მოსარჩელის მიმართ დელიქტურ საქმეებში, ვიდრე ვალდებულებითა თუ სახელშეკრულებოში ეჭვქვეშ დგება. უფრო სწორი და გამართლებული იქნებოდა, მაგალითად, იმ კერძო ფაქტებისა და გარემოებების შესწავლა, რომლებსაც მივყავართ ამ ხელშეკრულება–დელიქტის დიქტომიისაკენ.⁷⁵⁰ აქ ყურადღება მიექცეოდა არა საქმის საფუძველსა და კონკრეტულ ნორმებს (ვალდებულებითი თუ დელიქტი), არამედ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ხელშეკრულების მხარეს ყველა შემთხვევაში უფრო მეტი წინდახედულობა უნდა გამოეჩინა და საკუთარი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა საშუალებებიც გამოეყენებინა.

კონტრაქტის კრედიტორების მიმართ სამართლებრივი მიდგომა ზოგადად რთული და კომპლექსურია: ისინი საკუთარი ნებით შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში კომპანიასთან და შეემლოთ წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს მოეთხოვათ ფინანსური თუ სხვა ინფორმაცია. თუ აღნიშნული ინფორმაცია მოთხოვნილი იყო ან კრედიტორმა სხვანაირად იცოდა მოვალის სავალალო ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მაშინ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება, თუ რაიმე სხვა სერიოზულ სამართალდარღვევას ან/და

⁷⁴⁹ *Gevurtz F.A.*, Corporation Law, West Group Publishing, St. Paul, Minnesota, 2000, 73.

⁷⁵⁰ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Oregon Law Review, Volume 76, No. 4, Winter 1997, 859.

დანაშაულს არ ექნება ადგილი. თუ ინფორმაცია მოთხოვნილი არ იყო, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიძიოს აღნიშნულის მიზეზი.

კომერციულ ტრანზაქციათა უმეტესობა ეხება ისეთი აქტივების გასხვისებას, რომელთა შემთხვევაშიც მიზანშეწონილი იქნებოდა უბრალო პრეზუმფცია იმისა, რომ მოვალე კორპორაცია გადახდისუნარიანია. სხვა შემთხვევაში, თუ ყოველ ჯერზე საჭირო იქნებოდა კორპორაციის ფინანსებისა და აქტივების დეტალური ძიება, აღნიშნული სერიოზულად გაზრდიდა ხელშეკრულების დადების ფასს კრედიტორისათვის. თუ მოვალე კორპორაცია არ იმყოფება ფინანსურად სახარბიელო მდგომარეობაში, უფრო ლოგიკური იქნება, რომ იგი ამის შესახებ კრედიტორებს ატყობინებს და არა პირიქით – რომ თვითონ კრედიტორების ვალდებულებაა კორპორაციის ფინანსების დეტალური გამოკვლევის წარმოება.⁷⁵¹ მეორეს მხრივ, თუ კრედიტორი გადაწყვეტს სხვა (მაგალითად საჯაროდ ხელმისაწვდომ) ინფორმაციას დაეყრდნოს ან უბრალოდ საკუთარი არასწორი განსჯის გამო არ გამოითხოვს საჭირო ფინანსურ ინფორმაციას, გონივრულია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ის კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას უკვე ვერ მოითხოვს.⁷⁵²

4.3.5.2. არასათანადო კაპიტალიზაცია

კაპიტალური საზოგადოების, როგორც ცალკე იურიდიული პიროვნულობის მქონე პირის, კაპიტალიზაციის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. ისტორიულად, სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ჩამოყალიბებამდე, სამეწარმეო საზოგადოებათა უმრავლესობა ამხანაგობის ან ამხანაგობის მსგავსი გაერთიანებებისგან შედგებოდა, რომლებიც ცალკე პირებად საერთოდ არ მიიჩნეოდნენ და რომლებშიც კაპიტალიზაციის საკითხი მთლიანად დამოკიდებული იყო მასში შემავალი ფიზიკური პირების გადახდისუნარობაზე.

⁷⁵¹ *Easterbrook F.H., Fischel D.R., Limited Liability and the Corporation, The University of Chicago Law Review, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 113.*

⁷⁵² *Gevurtz F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Oregon Law Review, Volume 76, No. 4, Winter 1997, 885.*

დღესდღეობით კაპიტალიზაციისა და მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები საკორპორაციო სამართლებრივი საკითხებში ცენტრალურ ადგილს იკავებს. თუ ჩვენ გამოვიყენებთ სამართლებრივ ფიქციას და ქონების საკითხსაც ფიზიკური პირიდან ანალოგიურად იურიდიულ პირზე გადავიტანთ, მაშინ ლოგიკურია იმ შეკითხვის დასმა, უნდა იყოს თუ არა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები და თუ კი, როგორ უნდა განისაზღვროს თანხის მინიმალური ოდენობა. არასათანადო კაპიტალიზაციისადმი ყურადღება, როგორც აშშ-ში, ასევე გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, გასაგები გახდება, თუ საკითხს ჩვენ კრედიტორთა ვალდებულებების შესრულების ჭრილში განვიხილავთ. თუ იგივე საკორპორაციო ფორმალობების დაცვასა ან დომინანტურ მდგომარეობას რაიმე პირდაპირი კავშირი არ აქვს დელიქტით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან, მაშინ არასათანადო კაპიტალიზაცია უფრო გადაცდომად ან დარღვევად უნდა იყოს მიჩნეული, რომელსაც არ უნდა მოჰყვეს საფარვლის გაჭოლვა. მეორეს მხრივ, თუ კორპორაცია საერთოდ მოკლებულია კაპიტალს, აღნიშნული ფაქტორი შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი სინამდვილეში დომინანტი პარტნიორის უბრალო ინსტრუმენტი ან ალტერ ეგოა და გაჭოლვის ალბათობაც უკვე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

ზოგადად, თუ ცალკე კორპორაციულ პიროვნულობასა და შეზღუდულ პასუხისმგებლობას მივიჩნევთ, როგორც გარკვეულ სამართლებრივ „პრივილეგიას“, მაშინ აღნიშნულის მიღებისათვის პარტნიორები მზად უნდა იყვნენ სათანადო საზღაურიც გაიღონ. თუ აქციონერთა პასუხისმგებლობა ისედაც შეზღუდულია და ისინი გაცილებით უფრო დაცულნი არიან რისკებისგან (აქვე ხაზგასასმელია შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც რისკის ექსტერნალიზაციის საშუალება), მაშინ სულ მცირე, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ, არის ის, რომ იზრუნონ კორპორაციის სათანადო კაპიტალიზაციაზე.⁷⁵³

⁷⁵³ ზოგიერთი ავტორი სწორედ ასე განიხილავს შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სათანადო კაპიტალიზაციის საკითხს – როგორც კომპრომისსა და თავისებურ ტრანზაქციას. აქციონერებს არ შეუძლიათ მიიღონ „ყველაფერი“ (იგულისხმება შეზღუდული პასუხისმგებლობა, შეზღუდული რისკი, ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა მოგების მიღების მიზნით) და სანაცვლოდ არაფერი

თვით ფაქტი იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართული პირები იმგვარად ახორციელებენ ამ საქმიანობას, რომ არანაირად არ ზრუნავენ თავიანთი საწარმოს ფინანსურ ვალდებულებებზე ან მას საერთოდ იყენებენ პასუხისმგებლობისგან თავის არიდებისათვის, ისე რომ არ რჩება არანაირი კაპიტალი ვალდებულებების დასაფარავად, უდავოდ წარმოადგენს ცალკე კორპორაციული პიროვნულობის ფორმის ბოროტად გამოყენებას და საფარვლის გაჭოლვის საფუძველს.⁷⁵⁴

აქვე აღსანიშნავია არასათანადოდ კაპიტალიზირებული კორპორაციის საშიშროება, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება პარადოქსულად ჩანდეს: რაც უფრო ნაკლებ კაპიტალს ფლობს საზოგადოება, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ასეთი კორპორაცია რისკიან საქმიანობას განახორციელებს.⁷⁵⁵ მიზეზი, ამ ერთი შეხედვით ალოგიკური მოვლენისა, სინამდვილეში საკმაოდ მარტივია: მცირე კაპიტალის შემთხვევაში პარტნიორებსა და დირექტორებს დასაკარგიც უფრო ნაკლები აქვთ, ხოლო გარისკვისას კი არის ძალიან მცირე ალბათობა მაინც იმისა, რომ მათ გაუმართლებთ და მიიღებენ მოგებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვაა, თუ კონკრეტულად როგორ უნდა განისაზღვროს, ადგილი აქვს თუ არა არასათანადო კაპიტალიზაციას საზოგადოებაში. სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია უამრავ რისკთან, რაც ნიშნავს იმას, რომ წარუმატებლობაც მას ხშირად თან სდევს, ისევე როგორც არც თუ ისე იშვიათია აქტივების სიმცირე. რა თქმა უნდა, მარტოოდენ ეს ფაქტი არ უნდა წარმოადგენდეს პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.⁷⁵⁶ საჭიროა არის სხვა დამატებითი ფაქტორების არსებობაც, როგორცაა აქტივების განზრახ

არ გასცენ. იხ. *Latty E.R.*, *Subsidiaries and Affiliated Corporations: A Study in Stockholders' Liability*, Foundation Press, Chicago, 1936, 120. მითითებულია: *Carolyn, J.* Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 194.

⁷⁵⁴ *Gelb H.*, *Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor*, *Chicago-Kent Law Review*, Volume 59, Issue 1, December 1982, 3, fn.13.

⁷⁵⁵ *Easterbrook F.H., Fischel D.R.*, *Limited Liability and the Corporation*, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 113.

⁷⁵⁶ არასათანადო კაპიტალიზაცია, რადგან ის პირდაპირ არის დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებასთან, შესაძლოა ითქვას, რომ განსაკუთრებულია სხვა ფაქტორებთან შედარებით. შესაძლებელია მარტოოდენ არასაკმარისი კაპიტალიზაციის გამო მოხდეს საფარვლის გაჭოლვა, თუნდაც სახეზე საერთოდ არ ან ნაკლებად იყოს სხვა ფაქტორები. იხ. *Minton v. Cavaney*, 364 P.2d 473 (1961).

გადაცემა და დამალვა ან რაიმე ისეთი ფაქტი, რომელიც მიუთითებს კორპორაციის პიროვნულობის ნაკლებობაზე ან საერთოდ არარსებობაზე (დომინანტი პარტნიორის სრული კონტროლი, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა და ა.შ.).

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ტერმინ „კაპიტალში“, როგორ წესი, მოიაზრება თვითონ პარტნიორების მიერ შეტანილი თანხები და ის არ მოიცავს კრედიტით აღებულ სახსრებს, რადგან ეს უკანასკნელი კრედიტორების მოთხოვნას ექვემდებარება და დასაბრუნებელია.⁷⁵⁷ თუმცა ამასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი, კატეგორიული პასუხი არ არსებობს. ავტორთა გარკვეული ნაწილი ემხრობა ასეთი აქტივების კაპიტალში ჩათვლას, რადგან იმ კონკრეტული მომენტისთვის ისინი მაინც წარმოადგენენ აქციონერებისთვის ხელმისაწვდომ ფულად რესურსს და მათი გამოყენებით აქციონერები შესაბამის რისკს წევენ. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ გარკვეულწილად ასეთი ნასესხები თანხის უკან დაბრუნება კრედიტორებისათვის შესაძლებელია გაკოტრების შემთხვევაშიც.⁷⁵⁸

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომავალი ვალდებულებების, განსაკუთრებით კი დელიქტური ვალდებულებების, წინასწარ განჭვრეტა და განსაზღვრა პრობლემებთანაა დაკავშირებული და ამავდროულად, ამის დასაბალანსებლად არსებობს დაზღვევის შესაძლებლობაც, შესაძლოა საწყის საჭირო კაპიტალად მიჩნეულ იყოს ის თანხა, რომელიც საკმარისია საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისათვის, რაც აგრეთვე სუბიექტური იქნება თვით ამ საწარმოს საქმიანობის სფეროსა და სიდიდის გათვალისწინებით.⁷⁵⁹

ბუნებრივია ალტერნატიული გზა, რომელიც საკორპორაციო სამართლის დასაბამიდანვე არსებობს არის აუცილებელი მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა, რომელიც დღესდღეობით ზოგიერთ იურისდიქციაში სადავო საკითხია. ერთის მხრივ, მინიმალური საწესდებო კაპიტალი იქნებოდა ის მცირედი გარანტია,

⁷⁵⁷ *Millon D.*, Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, *Emory Law Journal*, Volume 56, Number 5, 2007, 1337.

⁷⁵⁸ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 890.

⁷⁵⁹ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil - Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, no. 2, Winter 1985, 186.

რომელიც უზრუნველყოფდა კრედიტორების მოთხოვნების სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ფუნქციონირების პირველ ეტაპზე მაინც. მეორეს მხრივ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა გამოიწვევს სამეწარმეო საქმიანობაში პოტენციურად ჩართული ადამიანების შემცირებას. საბოლოო ჯამში ის სარგებელი და ეფექტურობა, რასაც მინიმალური საწესდებო კაპიტალი იძლევა საზოგადოებისთვის გადაწონილი იქნებოდა იმ უფრო მაღალი ბარიერებით, რაც იარსებებდა ახალი კაპიტალური საზოგადოებების შექმნისათვის.⁷⁶⁰ მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეფექტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სავალდებულო კაპიტალი არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ ხელი შეუშალოს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას. შესაბამისად, ზღვარი, როგორც წესი, საკმაოდ დაბალია, რომ თვით ყველაზე პატარა საწარმომაც დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.⁷⁶¹ ბუნებრივია არარეალური იქნება იმის პრეზუმფცია რომ ასეთი მინიმალური საწესდებო კაპიტალით კრედიტორთა ვალდებულებების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი რაიმე ფორმით.

მეორე მნიშვნელოვანი კითხვაა, არის თუ არა მარტოოდენ არასათანადო კაპიტალიზაცია საკმარისი იმისათვის, რომ პირების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. დღევანდელი დოქტრინაცა და სასამართლო პრაქტიკაც იხრება იმისკენ, რომ თუ ადგილი არ აქვს განზრახ კორპორაციის აქტივების გადატანას ან პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით სხვა რაიმე თაღლითურ და უკანონო ქმედებას, მაშინ მხოლოდ არასათანადო კაპიტალიზაცია კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის არასაკმარისი საფუძველი უნდა იყოს.⁷⁶²

⁷⁶⁰ *Huss R.J.*, Revamping Veil Piercing for All Limited Liability Entities: Forcing the Common Law Doctrine into the Statutory Age, *University of Cincinnati Law Review*, Volume 70, No. 1, Fall 2001, 129.

⁷⁶¹ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 884.

⁷⁶² *DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit 540 F.2d 681, 685 (4th Cir. 1976)*. ხელმისაწვდომია: <<https://casetext.com/case/dewitt-truck-brokers-v-w-ray-flemming-fruit>>, [15.11.2020]. (“*The conclusion to disregard the corporate entity may not, however, rest on a single factor, whether undercapitalization, disregard of corporation's formalities, or what-not, but must involve a number of such factors.*”). თუმცა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დაფიქსირებულია გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც მხოლოდ არასათანადო კაპიტალიზაციაც საკმარისი აღმოჩნდა. იხ: *Minton v. Canavey*, 364 P.2d 473 (1961). *Carolan, J.* Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 193.

უფრო მეტიც, იმისათვის, რომ არასათანადო კაპიტალიზაცია იმ ერთ-ერთ ფაქტორადაც რომ ჩაითვალოს, რომელსაც საფარვლის გაჭოლვამდე მივყავართ, საჭიროა, რომ ასეთი დარღვევის მასშტაბი საკმაოდ დიდი იყოს. მხედველობაში მიღებული უნდა იყოს აგრეთვე ასეთი დარღვევის დაწყების დრო, მიზეზი, ხანგრძლივობა, დაზღვევის არსებობა და არარსებობა და ა.შ.⁷⁶³ შესაბამისად შეუძლებელია შემუშავებულ იქნას რაიმე ერთიანი სტანდარტი თუ დებულება, რომლითაც ზუსტად იქნება განსაზღვრული საზოგადოების არასათანადო კაპიტალიზაცია.

თვითონ ასეთი არასაკმარისი კაპიტალიზაციაც შესაძლოა გამოწვეული იყოს არაადეკვატური ან განზრახი მოქმედებით. პირველის შემთხვევაში ის გაჭოლვისათვის არასაკმარის საფუძვლად უნდა იყოს მიჩნეული. მეორე შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა უფრო თანმიმდევრულია და, როგორც წესი, შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისკენ იხრება.⁷⁶⁴ დამატებით აღსანიშნავია, რომ არასაკმარისი კაპიტალიზაციის ფაქტორი აგრეთვე შეიძლება გადაებას თაღლითობისა და უკანონობის კრიტერიუმს. თუ საზოგადოების კაპიტალიდან აქტივების სწრაფად დაცლა ხდება პასუხისმგებლობის არიდების მიზნით, აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს, როგორც უკანონობა და თაღლითობა.

სასამართლოები აგრეთვე ყურადღებას აქცევენ კაპიტალის გადაცემას, დაცლას (ე.წ. *withdrawal* ან *siphoning*), რაც შეიძლება მიანიშნებდეს პასუხისმგებლობისგან თავის არიდებაზე და აკმაყოფილებდეს იმავე “ინსტრუმენტალურობის” ტესტის მეორე მოთხოვნას. აქ თვითონ კაპიტალის გამოყენებასაც მნიშვნელობა ენიჭება. თუ აქტივებს პარტნიორები გამოიყენებენ საკუთარი თავისათვის დივიდენდების გასაცემად, იმგვარად რომ კაპიტალი აღარ იქნება საკმარისი ვალდებულებების დაკმაყოფილებისათვის, მით უმეტეს თუ ეს განზრახ იქნება ჩადენილი, მაშინ უცილობლად უნდა დადგეს საკორპორაციო საფარვლის გაჭოლვის საკითხი. აქ

⁷⁶³ *Gelb H.*, Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor, *Chicago-Kent Law Review*, Volume 59, Issue 1, December 1982, 14-15.

⁷⁶⁴ *Dobbyn J.F.*, A Practical Approach to Consistency in Veil-Piercing Cases, *University of Kansas Law Review*, Volume 19, No. 2, 1970, 192.

გამონაკლისად შეიძლება მიჩნეული იყოს შემთხვევა, როდესაც აქტივების გამოყენება ხდება საწარმოში დასაქმებულ პირთათვის შრომის ანაზღაურების გასაცემად, რაც შესაძლოა არ წარმოადგენდეს პარტნიორებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების ავტომატურ საფუძველს.⁷⁶⁵

როდესაც საკითხი ეხება არასათანადო კაპიტალიზაციას, ლოგიკურად ისმევა შეკითხვა, თუ რა თანხა უნდა ჩაითვალოს არასათანადოდ და რომელ მომენტში. სამწუხაროდ, რაიმე ობიექტური მათემატიკური მაჩვენებლის ან პარამეტრის შემუშავება მუდმივად ცვლად და ეკონომიკურად დივერსიფიცირებულ კერძო სექტორში ფაქტობრივად შეუძლებელია. არასათანადო კაპიტალიზაციად, როგორც წესი, მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როდესაც აქტივები არ არის საკმარისი ვალდებულებების დასაფარავად, რაც ნამდვილად არ წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას სამეწარმეო საქმიანობაში. *მინტონის* საქმეზე ნახსენები იყო არასაკმარისი კაპიტალი, რომელიც იყო „უმნიშვნელო [მიზეზული – “trifling”] განსახორციელებელ საქმიანობასა და დანაკარგის რისკთან შედარებით“.⁷⁶⁶ აღნიშნული განმარტება, ერთის მხრივ კარგია იმით, რომ მხედველობაში იღებს სამეწარმეო საქმიანობის სახეს, მაგრამ სიტყვა „უმნიშვნელო“ ან „მიზეზული“ ძალიან სუბიექტურია და ფართოდ შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული. სხვა კრიტერიუმები ეყრდნობა ფინანსური ექსპერტების და ანალიტიკოსების შეფასებებს, რომ არსებული კაპიტალი ამა თუ იმ საწარმოსათვის არასაკმარისია ან ფაქტორად ასახელებენ ისეთ შემთხვევას, როდესაც აქციონერი საზოგადოებას კრედიტს სთავაზობს და იმავე კრედიტის მიღება საწარმოს გარე წყაროებიდან არ შეუძლია.⁷⁶⁷

დროის პერიოდთან დაკავშირებით გამოთქმული იყო მოსაზრებაც, რომ კაპიტალი არა მარტო კორპორაციის დაფუძნებისას უნდა იყოს „ადექვატური“, არამედ კომპანიამ უნდა იზრუნოს, რომ ეს ასეთად დარჩეს შემდგომში სამეწარმეო საქმიანობის

⁷⁶⁵ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil - Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, no. 2, Winter 1985, 178.

⁷⁶⁶ „trifling compared with the business to be done and the risks of loss“. *ob. Minton v. Cavaney*, 364 P.2d 473, 475 (Cal. 1961).

⁷⁶⁷ *Castro S.R.B.*, Undercapitalization as a Factor in Piercing the Corporate Veil in Contract Cases: Balancing Risks and Incentives, *Philippine Law Journal*, Volume 74, No. 4, June 2000, 641.

დროსაც, რაც საკმაოდ მკაცრი მოთხოვნაა და ალბათ არარეალურიც.⁷⁶⁸ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ კაპიტალიზაციის მკაცრ კრიტერიუმს მარტო დაფუძნების დროს გამოვიყენებთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალურად ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით ხდება აქტივების გადაცემა. სხვა შემთხვევაში, საწყისი კაპიტალის მუდმივად შენარჩუნების მოთხოვნა უარყოფითად აისახებოდა ამ საწარმოს საქმიანობაზე, ხელს შეუშლიდა სარისკო ინვესტიციების განხორციელებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში ახალი კორპორაციების ჩამოყალიბებას, აქტივების არასაკმარისად მოგროვებისა და ხარჯების მიზეზით მათი შენარჩუნების ფიზიკური შეუძლებლობის გამო.⁷⁶⁹

4.3.5.3. კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა

კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა ხშირად ფიგურირებს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებში. თუ კორპორაცია თავს არ იწუხებს იმ ყველაზე მნიშვნელოვან ფორმალობათა შესრულებით, რომელიც თვისობრივად უნდა ახასიათებდეს ამ კორპორაციას (აქციათა ემისია, საერთო კრების ჩატარება, ოქმის შედგენა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები), მაშინ ეს სწორედ კორპორაციის შინაარსის ნაკლებობაზე მიუთითებს, რაც აადვილებს საფარვლის გაჭოლვას. აღნიშნული მიდგომის მიმართაც ლიტერატურაში დამოკიდებულება არაერთმნიშვნელოვანია. თუ ერთი ნაწილისათვის ფორმალობათა დაუცველობა კორპორაციის არარსებობის ერთ-ერთი ცენტრალური გარემოებაა, სხვები მიუთითებენ, რომ კონკრეტულ ფორმალობათა დაუცველობა უფრო სერიოზული პრობლემების მიმანიშნებელი შეიძლება იყოს, როგორც არის არასაკმარისი კაპიტალიზაცია ან თაღლითური ტრანზაქციები.⁷⁷⁰ ამ შემთხვევაში ზოგადად სიფრთხილეა საჭირო,

⁷⁶⁸ *Presser S.B.*, The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006, 413-414.

⁷⁶⁹ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil – Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, no. 2, Winter 1985, 188.

⁷⁷⁰ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 867-868.

რადგანაც არც თუ ისე იშვიათად კორპორაციას შეიძლება ფორმალობები არ ჰქონდეს დაცული პარტნიორთა სიმცირის გამო (განსაკუთრებით ეს ეხება შპს-სა და ე.წ. დახურულ კორპორაციებს) ან შეიძლება ადგილი ჰქონდეს უბრალოდ კატასტროფულად არაადეკვატურ და ცუდ კორპორაციულ მართვას და არა ფორმის ბოროტად გამოყენებასა თუ უკანონო ქმედებას.

უკვე აღინიშნა, რომ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ძირითადი წინაპირობა არის ის, რომ კორპორაცია რეალურად არ არსებობს როგორც იურიდიული ფიქცია კი, რომ სასამართლო კი არ ცვლის თვითნებურად ფაქტებს, არამედ მხოლოდ არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით იღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. კორპორაცია კი რეალურად არ არსებობს, რადგან მას არ გააჩნია საკუთარი განცალკევებული არსებობა. ამიტომაც საინტერესოა, რომ საფარვლის გაჭოლვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემცა არა ერთადერთ ფაქტორად დასახელებულია ფორმალობათა დაუცველობა. თვითონ სიტყვა „ფორმალობაც“ აქ ყურადსაღებია, რადგან ის თვითონვე აღნიშნავს რაიმე ისეთ მოვლენას ან საქციელს, რომელიც რეალურ შინაარსს მოკლებულია, მხოლოდ გარეგანი ფორმის შენარჩუნებით არის ნაკარნახევი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – კორპორაციულ ფორმალობათა დაცვა ან დაუცველობა ირელევანტურია, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას პირდაპირი კავშირი არ აქვს კრედიტორთა ვალდებულებების დაკმაყოფილებასთან. საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კრების ჩაუტარებლობა უშუალოდ არ იწვევს ვალდებულების შეუსრულებლობას, თაღლითობას ან ზიანს და უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს თვით აქციონერებისათვის, ვიდრე გარე კრედიტორებისათვის.⁷⁷¹ ის უფრო დამატებითი ფაქტორია, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს დომინანტი პარტნიორისა და კორპორაციას შორის განცალკევებულობის ნაკლებობაზე, თუმცა მართოდენ ფორმალობათა დაუცველობის საფუძველზე კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, მით უმეტეს დახურულ კორპორაციებსა და შპს-ებში, სადაც ფორმალობათა

⁷⁷¹ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil – Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, no. 2, Winter 1985, 177. *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 869-870.

მიმართ დამოკიდებულება განსხვავდება მსხვილ სააქციო საზოგადოებებში არსებული სიტუაციისგან, მიზანშეწონილად არ უნდა ჩაითვალოს.

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვას შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს, თუ ფორმალობები დაცულია, მაგრამ სახეზეა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საფუძვლები გაჭოლვისათვის (როგორცაა არასაკმარისი კაპიტალიზაცია).⁷⁷² ამის მიუხედავად, ფორმალობათა ტექნიკური ხასიათისა და რაც მთავარია, პრაქტიკაში დახურული კორპორაციების მიერ მათი ხშირად ნაწილობრივი დაუცველობის გამო, ზოგიერთი კომენტატორი საკმაოდ ნეგატიურად არის განწყობილი იმის მიმართ, რომ ფორმალობათა დაცვას საერთოდ ყურადღება მიექცეს, თუნდაც როგორც დამატებით ფაქტორს, ყოველ შემთხვევაში იმ დოზით, რომ მთლიანად უგულებელყოფილი იყოს შინაარსი, რაც ამ ფორმალობების უკან დგას.⁷⁷³ ზოგიერთი ავტორი უფრო შორსაც მიდის და თვით ყველაზე ცენტრალური კორპორაციული ფორმალობების დაუცველობის დროსაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის მიზანშეწონილობას, თუ სახეზე სხვა ყურადსაღები გარემოებებიც არ არის.⁷⁷⁴

ზოგადად, იმისათვის რომ ადგილი არ ჰქონდეს გაჭოლვას, არ არის საჭირო დაცული იყოს ყველა კორპორაციული ფორმალობა. ასეთი მოთხოვნა პრობლემებს წარმოშობდა დახურულ კორპორაციებსა და მცირე და საშუალოს ზომის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სადაც შესაძლებელია, საქმიანობის გამარტივებისა და დროის დაზოგვის მიზნით, ზოგიერთ ფორმალობას არ იცავდნენ. ამის საპირისპიროდ, რამდენიმე ფაქტი მაინც უნდა უნდა მეტყველებდეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმალობები დაცულია, რომ კორპორაციას აქვს საკუთარი არსებობა,

⁷⁷² საქმეზე *Fisser v. International Bank*, 282 F.2d 231, (2d Cir. 1960). სასამართლომ უარი თქვა კორპორაციული პიროვნულობის უგულებელყოფაზე არასაკმარისი კაპიტალიზაციის მიზეზით, რადგან „სულ მცირე დაცული იყო“ ამ კორპორაციის არსებობის ფორმალობები და მოსარჩელემ მხარემ იცოდა რომ მან ხელშეკრულება არასაკმარისი კაპიტალის მქონე შეიღობილ კომპანიასთან დადო, ხელმისაწვდომია: <<https://www.casemine.com/judgement/us/59149d2eadd7b0493464c8cd>>, [15.11.2020].

⁷⁷³ *Dobbyn J.F.*, A Practical Approach to Consistency in Veil-Piercing Cases, *University of Kansas Law Review*, Volume 19, No. 2, 1970, 189. *Carolan, J.* Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, *University of Florida Law Review*, Volume 27, No. 1, Fall 1974, 186-187.

⁷⁷⁴ *Millon D.*, Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, *Emory Law Journal*, Volume 56, Number 5, 2007, 1335.

განცალკევებული რაობა ამ ფორმალობათა შესრულებით და მაშინ საფარვლის გაჭოლვაც გამოირიცხება.⁷⁷⁵

იმ შემთხვევებში, როდესაც გასათვალისწინებელი იქნება კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, როგორც საფუძველი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის, ყურადღება უნდა მიექცეს გარემოებებს, თუ რატომ არ სრულდება აღნიშნული გარემოებები და მიანიშნებს ეს თუ არა იმაზე, რომ კორპორაცია მართლაც მხოლოდ დომინანტი პარტნიორის „ინსტრუმენტი“ თუ „ალტერ ეგოა“. მთავარია აღნიშნული კორპორაციული ფორმალობების დაცვა რელევანტური იყოს ეგზისტენციალური თვალსაზრისით – ანუ მათი შესრულება ან შეუსრულებლობა ზეგავლენას უნდა ახდენდეს კაპიტალური საზოგადოების, როგორც საკუთარი, განცალკევებული იურიდიული პიროვნულობის მქონე სუბიექტის არსზე. შესაბამისად, ასეთი ფორმალობა ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანი უნდა იყოს. რაც უფრო მეტი ფორმალობაა დაცული და აშკარაა, რომ მიზანიც თვალთმაქცური არაა, მით უფრო მეტია შანსი იმისა, რომ კორპორაციული პიროვნულობა უგულებელყოფილი არ იქნება.⁷⁷⁶

ფორმალობათა დაუცველობა და არასათანადო კაპიტალიზაცია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებია და აშკარა გადაკვეთასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მათ შორის პარადოქსულ კოლიზიასაც ჰქონდეს ადგილი. მაგალითად, დივიდენდების გაცემა აქციონერებზე არასათანადო კაპიტალიზაციის შემთხვევაში შესაძლებელია მიჩნეული იყოს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის

⁷⁷⁵ საქმეზე *Berkey v. Third Avenue Railroad Co.* 2d 643, 650 (8th Cir. 1957), cert. denied, 354 U.S. 923 (1959). 244 N.Y. 84, 155 N.E. 58, 217 N.Y.S. 156 (1926) სასამართლომ უარი თქვა გაჭოლვაზე რადგან შვილობილ კორპორაციაში დაცული იყო ისეთი გარკვეული ფორმალობები, როგორცაა მაგალითად ცალკე საბანკო ანგარიში, რომლიდანაც ხდებოდა დასაქმებულთათვის ხელფასების გაცემა. ეს, მიუხედავად იმისა, რომ მშობელი კომპანია შვილობილზე საკმაოდ დიდ კონტროლს ახორციელებდა.

⁷⁷⁶ მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ საერთო კრების სავალდებულო ყოველწლიური მოწვევა, რომელიც კანონითაა განმტკიცებული და წარმოადგენს საზოგადოების მთავარ „საკანონმდებლო“ ორგანოს, ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შესაძლოა მიგვანიშნოს საზოგადოების „ინსტრუმენტალურობასა“ თუ „ალტერ ეგოობაზე“. მაგრამ ასეთი ფუნდამენტური ფორმალობის შემთხვევაშიც, მისი დაუცველობა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს „ინსტრუმენტთან“ ან „ალტერ ეგოსთან“, განსაკუთრებით კი მცირე ან საშუალო საწარმოების შემთხვევაში, რომლებშიც პარტნიორები და მმართველები ხშირად ერთი და იგივე პირები არიან და საერთო კრების ჩატარებას უბრალოდ აზრი ეკარგება (განსაკუთრებით ე.წ. ერთკაციან კაპიტალურ საზოგადოებებში – როგორც შპს-ში, ასევე სს-ში, თუმცა უფრო ხშირად მაინც პირველში).

საფუძვლად. მაგრამ, რადგანაც ასეთ დივიდენდების გაცემა კორპორაციებისათვის ნორმალურია, გარკვეული თვალსაზრისით, ფორმლობაც კი, მათი გაუცემლობა შესაძლოა მიჩნეული იყოს ასევე ფორმლობათა დაუცველობად და საფარვლის გაჭოლვის სხვა საფუძვლად.⁷⁷⁷ იმისათვის რომ, ცნობილი იგავისა არ იყოს, არ შეიქმნას ისეთი ნახევრადკომიკური სიტუაცია, როდესაც კორპორაციის ნებისმიერი ქმედება კორპორაციის საფარვლის გაჭოლვის წინაპირობა ხდება, წინა პლანზე კონტექსტი და საქმის კონკრეტული გარემოებები უნდა გამოვიდეს. სხვა ავტორები მიუთითებენ, რომ იმავე ახალი აქციების გაუცემლობა გაჭოლვის უფრო სერიოზულ გარემოებაზე, კერძოდ არასათანადო კაპიტალიზაციაზე, მიანიშნებს და არა უბრალოდ ფორმლობის დაუცველობაზე და უმჯობესი იქნება, თუ ეს ფორმლობა არასათანადო კაპიტალიზაციის პირობაშივე მოექცევა, იმის ნაცვლად რომ მათ შორის კოლიზიას ჰქონდეს ადგილი.⁷⁷⁸

4.3.5.4. თაღლითური ქმედება, კანონდარღვევა და შეცდომაში შეყვანა (*Misrepresentation*)

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითურ ქმედებას, კანონდარღვევასა და შეცდომაში შეყვანას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებებია, მიზანშეწონილი იქნებოდა მათი ერთად თავმოყრა და განხილვა, რადგან, ამა თუ იმ დონეზე, ეს სამივე იდეა იკვეთება ანგლო-ამერიკულ *fraud*-ში.⁷⁷⁹ საკორპორაციო სამართალშიც მას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე უბრალოდ თაღლითობა (სისხლისსამართლებრივი დანაშაული) და მოიცავს საერთო-სამართლებრივ შეცდომაში (*Misrepresentation*) შეყვანასაც.⁷⁸⁰ საინტერესოა, რომ შეცდომაში შეყვანას სამეცნიერო ლიტერატურაში

⁷⁷⁷ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil – Do Corporations Provide Limited Personal Liability, UMKC Law Review, Volume 53, no. 2, Winter 1985, 178.

⁷⁷⁸ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil." Oregon Law Review, Volume 76, No. 4, Winter 1997, 867-868.

⁷⁷⁹ *Fraud* საკმაოდ ფართო ცნებებს მოიცავს, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი, ასევე სისხლისსამართლებრივი კუთხით. მისი როგორც „თაღლითობა“-დ თარგმნა, თუმცა სწორია, მთლიანად არ გამოხატავს ამ ტერმინის სისავსეს. ხშირად ის უნდა ითარგმნოს, როგორც „მოტყუება“ ან „სიყალბე“.

⁷⁸⁰ *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Volume 34, Issue 2, 2011, 357.

მცირე ადგილი ეთმობა, იმ დროს, როდესაც ის კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად მოხსენიებული ფაქტორია.⁷⁸¹

ზემოაღნიშნული მიზეზი რთულია ფაქტორად იქნას მოხსენიებული, მაგრამ რადგანაც საფარვლის გაჭოლვა დღემდე ბუნდოვანი და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი დოქტრინაა, არც თუ ისე იშვიათად სასამართლო პარტნიორის ქცევაზე დაყრდნობითაც იღებს გადაწყვეტილებას საფარვლის გაჭოლვაზე. მაგალითად, თაღლითობისა და შეცდომაში შეყვანის ფაქტი სასამართლო პროცესისას აძლიერებს მოსარჩელის პოზიციას და ამაღლებს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ალბათობას.⁷⁸² აღნიშნული შეიძლება იყოს თაღლითობა ან უკანონო ქმედება ან უბრალოდ არაკეთილსინდისიერი ქცევა. არსებობს პრეცედენტიც, როდესაც პარტნიორს პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრა საგადასახადო დანაშაულისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე კრედიტორის მოთხოვნა საერთოდ არანაირად არ ეხებოდა ამ საკითხს. აღნიშნული შესაძლებელია ფარულ საშიშროებასაც შეიცავდეს იმ კუთხით რომ, თუ ეს მიდგომა ფართოდ გავრცელდება სხვა შემთხვევებზე, სასამართლოები უფრო მიმართულნი იქნებიან პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისკენ ნებისმიერი სამართალდარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა კითხვის ქვეშ დააყენოს მთლიანად შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსებობაც.⁷⁸³ შეზღუდული პასუხისმგებლობა წარმოადგენს პრინციპს, რომელიც მოქმედებს საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში. მარტოოდენ ფაქტი იმისა, რომ ადგილი აქვს სამართალდარღვევას, თაღლითობასა ან თუნდაც დანაშაულს, არ უნდა წარმოადგენდეს ავტომატურ საფუძველს იმისათვის, რომ კორპორაციული საფარველი გაიჭოლოს.

⁷⁸¹ *Matheson J.H.*, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, *Berkeley Business Law Journal*, Volume 7, Issue 1, June 2010, 32.

⁷⁸² *Oh P.*, Veil-Piercing, *Texas Law Review*, Volume 89, 2010, 137.

⁷⁸³ *Gevurtz F.A.*, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil." *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997, 858.

4.4. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა საქართველოში

4.4.1. საფარვლის გაჭოლვის საკანონმდებლო საფუძვლები

შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი ქართულ სამართალში მკვეთრადაა გამოხატული.⁷⁸⁴ ძირითად ნორმას წარმოადგენს 1994 წელს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც „კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.“⁷⁸⁵ ის, თუ კონკრეტულად რა ქმედება ჩაითვლება ასეთ „ბოროტად გამოყენებად“, კანონი არ განსაზღვრავს. ამკარაა, რომ იგი ზედმეტად ფართოდ არ უნდა იყოს განმარტებული, რადგანაც ეფექტი ეკონომიკურ ურთიერთობაზე მეტად უარყოფითი იქნებოდა.⁷⁸⁶

ზოგადად ბოროტად გამოყენების სამართლებრივ საფუძველს კერძო სამართალში წარმოადგენს სსკ-ის 115-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სხვისთვის მართოდენ ზიანის მიყენების მიზნით უფლების ბოროტად გამოყენება. აღნიშნული მუხლის თანახმად, უფლების გამოყენების ერთადერთი მიზანი აუცილებლად უნდა იყოს სხვისთვის ზიანის მიყენება. რაც ამ მუხლის თანახმადვე აკრძალულია. ამგვარად, კოდექსით პირს ეძლევა არა მარტო უფლების გამოყენების აბსოლუტური უფლება, არამედ ამავდროულად სხვისი უფლებების პატივისცემისა და გულისხმიერების ვალდებულებაც.⁷⁸⁷ საკორპორაციო სამართალშიც უფლების ბოროტად გამოყენება

⁷⁸⁴ რამიშვილი ა. კორპორაციულობა, როგორც ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემის განმსაზღვრელი ელემენტი, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, № 2, 2012, 178.

⁷⁸⁵ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994.

⁷⁸⁶ ზუბიტაშვილი ნ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2014, 53.

⁷⁸⁷ მალრაძე გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2017, 154.

უმუშაოდ დაკავშირებულია იმ მოვალეობებთან, რომლებიც პირებს გააჩნიათ საზოგადოებისა და სხვა პარტნიორების მიმართ, განსაკუთრებით კი გულისხმიერებისა და ერთგულების მოვალეობებთან.⁷⁸⁸

აღსანიშნავია, რომ კანონის თავდაპირველი რედაქცია ასეთ დაზუსტებას შეიცავდა: „ბოროტად გამოყენების“ შემთხვევებად „უწინარეს ყოვლისა“ სახელდებოდა „საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება“.⁷⁸⁹ ამ ძველი დანაწესების ნაკლოვანებები აშკარაა. უპირველეს ყოვლისა, გაურკვეველია, მართოდენ ზემოაღნიშნული ორი ფაქტორი უნდა ყოფილიყო თუ არა „ბოროტად გამოყენების“ შემთხვევებად მიჩნეული თუ არსებობდა სხვა საფუძვლებიც, რაზეც სავარაუდოდ მიუთითებდა კიდევ სიტყვები „უწინარეს ყოვლისა“. თუკი კანონით იგულისხმებოდა, რომ სხვა საფუძვლებიც იყო, კერძოდ რა საფუძვლები იყო ესენი და არის თუ არა ეს საფუძვლები „მეორეხარისხოვანი“ ნორმაში დაკონკრეტებულ ორ „უპირველეს“ საფუძველთან შედარებით? დამატებით პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ ნორმა „ბოროტად გამოყენების“ დაკონკრეტებისას მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობებით იფარგლებოდა (ქონების/კაპიტალის შერევა და არასრული ჩამოყალიბება) და არაფერი იყო ნათქვამი ფორმალური მხარეების დაუცველობაზე ან საფარვლის გაჭოლვის ზოგად დოქტრინაში აღნიშნულ სხვა გარემოებებზე.

შემდგომში 1999 წლის 9 ივნისის კანონით⁷⁹⁰ პარტნიორთა მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების „ბოროტად გამოყენებად“ დასახელებული იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც საბუღალტრო წიგნები არ იქნებოდა იმგვარად წარმოებული, რომ ცალსახად შესაძლებელი იქნებოდა დასკვნის გამოტანა საზოგადოების ზუსტ ქონებასა და ვალდებულებებზე. ეს ნორმა ალბათ კიდევ უფრო ვიწროდ უნდა ჩაითვალოს პირვანდელ რედაქციასთან შედარებით, რადგან აქ უკვე პირდაპირ მახვილდება ყურადღება საბუღალტრო წიგნებსა და ქონების განცალკევებაზე

⁷⁸⁸ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009, 266.

⁷⁸⁹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994.

⁷⁹⁰ სსმ, I, 1999, N 24, მუხლი 110, ამოქმედდა 1999 წლის 1 სექტემბერს.

და საერთოდ არაფერია ნათქვამი კაპიტალის ფორმირებაზე. 1999 წლის ამ ცვლილებებით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საფუძვლად მოიაზრებოდა მხოლოდ ქონების (მაგ. ავტომობილის ან ბინის) არევა, როდესაც ბუნდოვანი იყო, ეკუთვნოდა თუ არა ეს ქონება კერძო აქციონერს თუ საზოგადოებას.⁷⁹¹

ბოლოს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ქართულმა დებულებამ დღევანდელ სახე 2008 წლის 14 მარტის სამართლებრივი რეფორმების შედეგად მიიღო, როდესაც რაიმე კერძო შემთხვევის ნაცვლად, გაჭოლვის საფუძვლად განისაზღვრა უბრალოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.⁷⁹² ასეთი დებულება, თუმცაღა მოიცავს უფრო მეტ შესაძლო შემთხვევას და საფუძველში არასწორი არ არის, ზედმეტად ზოგადია იმისათვის, რომ ნათლად და გარკვევით მოაწესრიგოს საკორპორაციო სამართლის ეს ისედაც სადავო და ბუნდოვანი ინსტიტუტი. კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს კანონმდებლის მიერ არჩეული სიტყვიერი ფორმულირებაც. საფარვლის გაჭოლვის საფუძვლად აღიარებულია არა თვით შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის, არამედ სამართლებრივ-ორგანიზაციული *ფორმის* ბოროტად გამოყენება, რაც ზოგიერთი ავტორის აზრით, ზედმედატ ვიწრო და შემზღუდავი ფორმულირებაა, რაც საბოლოო ჯამში სიტუაციას გაართულებს სასამართლო პრაქტიკაში.⁷⁹³

დღესდღეობით არსებობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი პროექტი,⁷⁹⁴ რომლის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პირი (კომანდიტი, შპს-ს, სს-ისა და კოოპერატივის პარტნიორები) პასუხს აგებდეს პირადად, თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა ბოროტად იქნება გამოყენებული და სამეწარმეო საზოგადოებას არ ექნება შესაძლებლობა თვითონ დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

⁷⁹¹ *ჭანტურია ლ., ნინიძე თ.*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, 64-65.

⁷⁹² მუხლი 33, საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი N5913-სსმ I, 26.03.2008.

⁷⁹³ *ქირია ა.*, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ბურდული ი., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 38.

⁷⁹⁴ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები, 13/08/2020; აღნიშნული კანონპროექტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?fbclid=IwAR3HYFK5dWIF6vpxHx3ZWNIx_FqMzC3nBWAKTBNKTFY-IIgshLNeMm4agqA&publication=0>, [15.11.2020].

ამ დანაწესის განხილვისას რამდენიმე მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, კანონპროექტი პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას „გამონაკლის შემთხვევად“ მიიჩნევს, რაც როგორც წინამდებარე ნაშრომში უკვე ნაჩვენები იყო, შეესაბამება კორპორაციული საფარვლის გაქოლვის შესახებ გაბატონებულ კონცეპტუალურ მოსაზრებას დოქტრინაში. მეორე მომენტი არის ბოროტად გამოყენების მოთხოვნა, რაც დღესდღეობით „მეწარმეთა შესახებ“ მოქმედი კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ფაქტობრივად სიტყვა-სიტყვით განმეორებას წარმოადგენს.⁷⁹⁵ რაც მთავარია, დღეს არსებულ რედაქციისგან განსხვავებით, კანონპროექტი მეორე წინაპირობასაც ამატებს საფარვლის გაქოლვისათვის: თვითონ საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. უკანასკნელი ორი წინაპირობა კუმულაციურია ანუ საჭიროა, რომ სახეზე იყოს როგორც სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, ასევე საზოგადოების შეუძლებლობა, დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა.

უკანასკნელი წინაპირობის შეტანა სიახლე იქნებოდა ქართულ საკორპორაციო სამართალში და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვებოდა კორპორაციული საფარვლის გაქოლვის პრაქტიკაში. უპირველეს ყოვლისა, კანონპროექტის ამ მუხლით იგულისხმება, რომ კრედიტორი ვალდებული იქნება, პარტნიორისგან პირადად მოთხოვნის წაყენებამდე, ჯერ საზოგადოებისათვის მიმართოს და მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებისგან ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ფიზიკური შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება პარტნიორისთვის მოთხოვნის წაყენება. ამ პრაქტიკული ცვლილების გარდა, მისი შედეგები სამართლის თეორიისთვისაც მნიშვნელოვანია.

როგორც უკვე აღინიშნა, საფარვლის გაქოლვის იდეის უკან დგას მარტივი თეზისი, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მას დაეკისრება პირადი პასუხისმგებლობა, რადგან ამგვარი

⁷⁹⁵ („6. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.“)

„ბოროტად გამოყენება“ იმდენად სერიოზულია, რომ ფორმალობის დაცვა უსამართლობა იქნებოდა. აქ იგულისხმება რომ მარტოდენ ასეთი ბოროტად გამოყენება საკმარისი უნდა იყოს, რომ სამართლებრივი ფიქცია – კორპორაციული პიროვნულობა – უგულვებელყოფილ იქნას. კანონპროექტით კი ნიშანდობლივია, რომ ეს ფორმალობა ამ შემთხვევაშიც კი გარკვეულწილად დაცულია: თუნდაც ადგილი ჰქონდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას, კრედიტორი მაინც, უპირველეს ყოვლისა, მიმართავს საზოგადოებას, ანუ პარტნიორის მიერ ჩადენილი ქმედებით არ ხდება ავტომატურად საზოგადოების პიროვნულობის უგულვებელყოფა. თვითონ საზოგადოება ჯერ კიდევ იურიდიულად არსებობს და მოთხოვნის წაყენება მისთვის ხდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას არ შეუძლია ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება, შესაძლებელი იქნება პირადად პარტნიორისგან მოთხოვნა. კანონპროექტში ამ დამატებითი წინაპირობის შეტანით უნდა მივიჩნიოთ, რომ ნაბიჯი გადადგმულია იურიდიული პირის ფორმალური კონცეფციის თეორიული განმტკიცებისაკენ.

გარდა 27-ე მუხლის მეორე პუნქტისა, კანონპროექტი აგრეთვე შეიცავს სააქციო საზოგადოებაში აქციონერის მიერ ბოროტად გამოყენების გამო პასუხისმგებლობის დაყენების შესაძლებლობას. აღნიშნული ნორმა უფრო კონკრეტულად აწესრიგებს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შესაძლებლობას. კანონპროექტის 178-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ „სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.“ დომინანტურობის მახასიათებლად ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მიიჩნევა აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის „პრაქტიკული შესაძლებლობა“ მოახდინოს „გადამწყვეტი ზეგავლენა“ პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი არ აკონკრეტებს თუ რა არის ასეთი „პრაქტიკული შესაძლებლობა“, სავარაუდოა, რომ აქ კენჭისყრისას ხმათა უბრალო ან კვალიფიციური უმრავლესობა უნდა იგულისხმებოდეს.

საინტერესოა 178-ე მუხლის მესამე პუნქტიც, რომლის თანახმადაც პირი, რომელიც განზრახ გამოიყენებს თავის ძალაუფლებას ან სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრზე ისეთ ზემოქმედებას განახორციელებს, რომელსაც სააქციო საზოგადოებისათვის ზიანი მოჰყვება, ვალდებული იქნება ასეთი ზიანი აანაზღაუროს. აღნიშნული პუნქტი გარკვეულწილად შეიძლება დამაბნეველი იყოს, რადგან მცირე სახეცვლილებით ასეთი დანაწესი უკვე არის მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი პუნქტები ზიანის მიმყენებლად საზოგადოების აქციონერს ასახელებენ, ხოლო მესამე პუნქტი მხოლოდ ზოგადად პირს ახსენებს. შესაბამისად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მესამე პუნქტის ქვეშ მოხვდება ყველა ის შემთხვევა, რომლის დროსაც ზოგადად რომელიმე პირი, რომელიც სააქციო საზოგადოების არც აქციონერია და არც მმართველი ორგანოს წევრი (რომლის პასუხისმგებლობა ამავე მუხლის მეოთხე პუნქტითაა განსაზღვრული) აგებს პასუხს. ამავე მუხლით ასევე დადგენილია პასუხისმგებლობა იმ პირისთვის, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მესამე პუნქტში მითითებულ ამ „გარე“ პირზე, რომლისგანაც მან სარგებელი მიიღო.

ამგვარად შეიძლება ითქვას რომ 178-ე მუხლი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს პირადი პასუხისმგებლობის საკითხს სააქციო საზოგადოებაში. თუმცაღა შესაძლებელია რომ მუხლის პუნქტებს შორის მნიშვნელოვანი საერთო ელემენტებისა და ზოგადად გადაკვეთის გამო, პრაქტიკაში გაურკვეველი გახდეს მაინც რომელი პუნქტით უნდა დაეკისროს ამა თუ იმ პირს პასუხისმგებლობა. ამ მუხლით მიზანშეწონილი იქნებოდა დეტალურად იმის დაზუსტება, თუ კერძოდ რომელ პირებზეა საუბარი, იმისათვის რომ თავიდან აცილებული იყოს შესაძლო გაუგებრობა.

4.4.2. საფარვლის გაჭოლვის სასამართლო პრაქტიკა

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე ქართული სასამართლო პრაქტიკა მეტად მწირია. ძალიან რთულია მას რეალურად პრაქტიკაც კი ეწოდოს.⁷⁹⁶ ყველაზე მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ამ საკითხზე 2015 წლის 6 მაისის ორი გადაწყვეტილება.⁷⁹⁷ ამ გადაწყვეტილებებით დადგინდა, რომ გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით საზოგადოების გამოყენება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული რეალურად იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის პირველი სასამართლო პრეცედენტი საქართველოში.⁷⁹⁸ ყურადსაღებია, რომ სასამართლომ გამოიყენა ფორმულირება „ალტერ ეგო“ და აღნიშნა, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როდესაც კომპანია წარმოადგენს პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“.⁷⁹⁹ წინამდებარე ნაშრომში როგორც დავინახეთ, მიუხედავად თვისობრივი მსგავსებებისა, „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინები ერთმანეთის იდენტურები არ არიან, მით უმეტეს აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. აქ გარკვეულ დაბნეულებას იწვევს სიტყვა „ფიქციის“ გამოყენებაც. ის რომ იურიდიული პირი რეალურად ფიქციას წარმოადგენს ყოველგვარი გაჭოლვის გარეშე, ეს თვით რეალისტური კავშირის თეორიითაც იგულისხმება – საკუთარი ბუნებრივი გონი და თვითცნობიერება იურიდიულ პირს უბრალოდ არ გააჩნია. სავარაუდოა რომ აქ სასამართლომ სიტყვა „fiction“ პირდაპირ თარგმნა, რომელიც ინგლისურ ენაზე ნიშნავს

⁷⁹⁶ მალრაძე გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2017, 161.

⁷⁹⁷ (საქმე № ას-1307-1245-2014 და საქმე № ას-1158-1104-2014). აღნიშნული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა იხ: *ჟანტურია ლ.*, პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სცენარი), წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ.: თოდუა ნ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 406-417.

⁷⁹⁸ *ჟანტურია ლ.*, პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სცენარი), წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ.: თოდუა ნ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 407.

⁷⁹⁹ საქმე №ას-1307-1245-2014. იხილეთ: [http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-mnishvnelovani-ganmarteba78-\(1\).pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-mnishvnelovani-ganmarteba78-(1).pdf), [15.11.2020].

როგორც „ფიქცია“ იურიდიული გაგებით, მაგრამ ასევე რაიმე „არარსებულს“, „არანამდვილს“. სავარაუდოდ, სწორედ ეს მეორე „ფიქცია“ უნდა ვიგულისხმოთ აქ, ანუ იურიდიული პირი, რომელიც არ არსებობს როგორც იურიდიული ფიქციაც კი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში აგრეთვე ნახსენები იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სხვა ასევე ფართოდ გავრცელებული საფუძვლებიც, როგორცაა არაადექვატური კაპიტალიზაცია და ასევე კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა, რაც ამ საქმეს ფაქტობრივად ფუძემდებლურ პრეცედენტად აქცევს ქართული საკორპორაციო-სამართლის პრაქტიკაში, თუნდაც მასში გარკვეული პრობლემური ასპექტებიც შეინიშნებოდეს.

მაგალითად, ამ კონკრეტულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პარტნიორების მოქმედება მიმართული იყო საგადასახადო ვალდებულებების თავიდან აცილებისაკენ, ის გამოყენებული იყო, როგორც „ინსტრუმენტი“. წინამდებარე ნაშრომში უკვე აღინიშნა, რომ „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინები ერთმანეთისგან სემანტიკური მნიშვნელობითაც განსხვავდებიან. თუ „ალტერ ეგო“ თავის თავში გულისხმობს „მეორე პიროვნულობას“, რაიმე არსებულ, სტატიკურ მდგომარეობას, „ინსტრუმენტალურობა“ უცილობლად რაიმე მოქმედებაზე მიუთითებს, რადგანაც სახეზე უნდა იყოს ქმედება, რომლის დროსაც კომპანია გამოიყენება, როგორც „ინსტრუმენტი“. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ ჩათვალა, რომ ინსტრუმენტის ანალოგია უფრო სწორად ასახავდა არსებულ მდგომარეობას, ვიდრე თუნდაც ანალოგია „ალტერ ეგო“-სთან, რადგან საქმის გარემოებები აშკარად მიუთითებდნენ პარტნიორთა *აქტიურ* ძალისხმევაზე, აერიდებინათ საგადასახადო დავალიანება, რისთვისაც საშუალება და ინსტრუმენტი სწორედ კომპანია და მისი თვისობრივი მახასიათებელი – შეზღუდული პასუხისმგებლობა იყო.⁸⁰⁰ ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ ქართულმა სასამართლომ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის ტესტი გამოიყენა. აქ, საუკეთესო

⁸⁰⁰ იურიდიულ ლიტერატურაშიც უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სწორედ „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინის ჭრილში ხედავენ. იხ: *მახარობლიშვილი გ.*, კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ.: *თოდუა ნ.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 437.

შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ამ თეორიული ბირთვის, მისი ძირითადი მნიშვნელობისა და არსის სესხებას პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4.4.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის სამართლებრივი პოლიტიკა და მომავალი საქართველოში

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა ასევე უნდა განხილული იყოს იმ თანამედროვე კონტექსტში, რომელიც დღესდღეობით ქვეყანაშია. მაგალითად, ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში პირველი ნამდვილი სასამართლო პრეცედენტების შემდგომ, უკვე ეჭვქვეშ არის დაყენებული მარტოოდენ დელიქტის საფუძველით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის შესაძლებლობა ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, თუ ადგილი არ ექნება თვითონ კორპორაციის დე-ფაქტო არარსებობას.⁸⁰¹ არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც საფარვლის გაჭოლვის სამართლებრივ პოლიტიკაზე ახდენენ ზეგავლენას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასეთი ფაქტორი არის ქვეყნის სწრაფვა ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ისტორიული მნიშვნელობის მქონე ასოცირების შეთანხმება. ასოცირების მიზანია „ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე, მათ შორის, ევროკავშირის პოლიტიკაში, პროგრამებსა და სააგენტოებში საქართველოს მონაწილეობის გაზრდის გზით“.⁸⁰² საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის უაღრესად

⁸⁰¹ იგულისხმება სიტუაცია, როდესაც იურიდიული პირი უბრალოდ არც არსებობს და ასე ვთქვათ „გასაჭოლიც“ უბრალოდ არაფერია. იხ: *ხარაიშვილი ა.*, გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017, 141.

⁸⁰² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წლის 27 ივნისი, მუხლი 1.2., ქვეპუნქტი (ა), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [15.11.2020].

მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირის სამართალთან და ზოგად სამართლებრივ პოლიტიკასთან დაახლოება.

უშუალოდ საკორპორაციო სამართლის კუთხით ასოცირების შეთანხმების რამდენიმე მუხლია ყურადსაღებია. უპირველეს ყოვლისა, შეთანხმების მეექვსე თავი მთლიანად ეხება „კორპორაციულ სამართალს, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტსა და ასევე კორპორაციულ მმართველობას“. გარდა ჩვეულებრივი პრაქტიკული დანაწესისა, გაცვალონ ინფორმაცია და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, ამ თავით მეტად მნიშვნელოვანია 316-ე მუხლის (a) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები ითანამშრომლებენ „აქციონერთა, კრედიტორთა და სხვა ბიზნეს პარტნიორთა დაცვის“ კუთხით აღნიშნულ სფეროში „ევროკავშირის წესების შესაბამისად“ და ასევე იმავე მუხლის (c) ქვეპუნქტი, რომელიც მხარეებს თანამშრომლობას მოიაზრებს კორპორაციული მმართველობის პოლიტიკის შემდგომი განვითარების მხრივ და რომ ამ სფეროში ადგილი უნდა ჰქონდეს ევროკავშირის წესებთან და რეკომენდაციებთან ეტაპობრივ დაახლოებას. ბოლოს, 231-ე მუხლის (e) ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობაზეც შეთანხმდნენ.⁸⁰³ ასოცირების შეთანხმებას ასევე თან სდევს დასაახლოებელი კანონმდებლობის ჩამონათვალი დანართ XXVIII-ში. შესაბამისად, აქ მიზანშეწონილი იქნება ზოგადად მიმოხილულ იქნას ევროკავშირის საკორპორაციო სამართალიც და გაერთიანების მიდგომები კორპორაციული საფარვლის გაქოლვისადმი.

ევროკავშირის საკორპორაციო სამართლის ძირითადი მარეგულირებელი აქტი არის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიერ 2017 წლის 14 ივნისს მიღებული დირექტივა 2017/1132, რომელიც საკორპორაციო სამართალთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს აწესრიგებს.⁸⁰⁴ აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ

⁸⁰³ აღნიშნულს ასევე ეხება 239-ე მუხლის (g) ქვეპუნქტიცა და ასევე 352-ე მუხლიც. შეთანხმების 349-ე მუხლის (j) ქვეპუნქტი ეხება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

⁸⁰⁴ ევროპის პარლამენტისა და ევროსაბჭოს 2017 წლის 14 ივნისის (EU) 2017/1132 დირექტივა საკორპორაციო სამართლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. (ინგ. Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law, [2017] OJ L 169/46. დირექტივა შეგიძლიათ იხილოთ: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32017L1132>>, [15.11.2020].

რეგულაციამ, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ, ჩაანაცვლა ის საკანონმდებლო აქტები, რომელთაც დაახლოება გათვალისწინებული იყო მანამდე დადებული ასოცირების შეთანხმებით.⁸⁰⁵ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის აქ მნიშვნელოვანია მეშვიდე მუხლის მეორე პუნქტი რომელიც ადგენს სამართლებრივი პიროვნულობის მიღებამდე შესრულებული ქმედებებისათვის პირების პირად პასუხისმგებლობას. გარდა ამ წინარესაკორპორაციო ვალდებულებისა, დირექტივა რაიმე კონკრეტულ დანაწესს არ შეიცავს კორპორაციული საფარვლის გაქოლვაზე. ზოგადად საფარვლის გაქოლვის კონკრეტული საკითხები არ არის ევროკავშირის დონეზე ჰარმონიზებული და დამოკიდებულია თითოეული წევრი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაზე.

წინამდებარე ნაშრომში უკვე მიმოხილული იყო ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იურისდიქციის – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროკავშირის უკვე ყოფილი წევრი-ქვეყნის – გაერთიანებული სამეფოს მიდგომები კორპორაციული საფარვლის გაქოლვასთან მიმართებაში. ამ ორი ქვეყნის წესებისა და დებულებების ანალიზითა და მათი მხედველობაში მიღებით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ქართული ეროვნული მიდგომა საფარვლის გაქოლვისადმი, რაც არა მარტო ასოცირების შეთანხმებით აღებულ ზოგად ვალდებულებებს შეასრულებს, არამედ იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპული ინსტიტუტების რეცეფციისა და ევროინტეგრაციისკენ.

4.5. კორპორაციული საფარვლის გაქოლვის დამატებითი ასპექტები

4.5.1. საფარვლის შებრუნებული და ნებაყოფლობითი გაქოლვა

კორპორაციული საფარვლის გაქოლვა, მიუხედავად დოქტრინალური თუ თეორიული ბუნდოვნებისა, მაინც შეიძლება გაგებულ იქნას შეზღუდული პასუხისმგებლობისა და კორპორაციული პიროვნულობის ინსტიტუტების ბუნებრივი განვითარების ისტორიულ და ინსტიტუციონალურ ჭრილში. როგორც აღვნიშნეთ,

⁸⁰⁵ აქ იგულისხმება დირექტივები 82/891/EEC, 89/666/EC და 2009/101/EC. 2017 წლის დირექტივამ აგრეთვე ჩაანაცვლა სხვა საკანონმდებლო აქტებიც, როგორცაა დირექტივები 2011/35/EC და 2012/30/EC.

საჭიროა მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს არ დაუშვას კაპიტალური საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება უსამართლო ან უკანონო მიზნებისათვის. ამით იმთავითვე ხდება პრეზუმფცია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა თვითონ აქციონერის ან მმართველის ინტერესებშია, რომელიც ამ კორპორაციას, როგორც „ინსტრუმენტს“, ისე იყენებს.

ამიტომ მეტად საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც კორპორაციული პიროვნულობის კონცეფციიდან გამომდინარე თვითონ კაპიტალური საზოგადოების აქციონერებს ან მმართველი ორგანოების წევრებს სურთ, რომ „საკუთარი“ კაპიტალური საზოგადოების ქონებას მისწვდნენ და მათი პირადი კრედიტორების მოთხოვნები დააკმაყოფილონ. ასეთი პარადოქსული შემთხვევები „კორპორაციული საფარვლის ნებაყოფლობით გაჭოლვითა“⁸⁰⁶ ცნობილი. აღნიშნულისგან განსხვავებით „შებრუნებული“ გაჭოლვა აღნიშნავს იმ შემთხვევას, როდესაც კერძო აქციონერებისა თუ პარტნიორების ქონებაზე პასუხისმგებელი თვითონ კორპორაციაა, რაც „ტრადიციული“ კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საწინააღმდეგო შემთხვევას წარმოადგენს, რადგან ამ უკანასკნელში საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი თვითონ პარტნიორები არიან.⁸⁰⁷

ამ ორიდან კორპორაციული საფარვლის „შებრუნებული“ გაჭოლვა იმითაა საინტერესო, რომ თუ „კლასიკურ“ შემთხვევებში დომინანტი აქციონერი თუ პარტნიორი აღიქმება, როგორც არაკეთილსინდისიერი ან თუნდაც კანონის დამრღვევი მხარე, რომელიც შეზღუდულ პასუხისმგებლობას ბოროტად იყენებს, აქ ის პირიქით დაზარალებულის პოზიციაში გამოდის, როდესაც კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობა მის ფინანსურ თუ სხვა მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

⁸⁰⁶ *Voluntary Veil Piercing*. იხ: *Cheng T.K.*, *The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines*, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 34, Issue 2, 2011, 372.

⁸⁰⁷ *Youabian, E.*, *Reverse Piercing of the Corporate Veil: The Implications of Bypassing Ownership Interest*, *Southwestern University Law Review*, Volume 33, No. 4, 2004, 574. აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ შებრუნებული საფარვლის გაჭოლვის ქვეშ ზოგიერთი ავტორი მოიაზრებს იმ შემთხვევებს, როდესაც აქციონერები თვითონ ითხოვენ „საკუთარი“ კორპორაციის პიროვნულობის იგნორირებას ანუ ე.წ. ნებაყოფლობით გაჭოლვას. შესაბამისად ამ ორის ერთმანეთში აღრევას ლიტერატურაშიც აქვს ადგილი. მაგალითისათვის იხილეთ: *Gervurtz F.A.*, *Corporation Law*, West Group Publishing, St.Paul, Minnesota, 2000, 111.

ასეთი შემთხვევები, თუმცა ძალიან იშვიათია, კიდევ ერთხელ ადასტურებს შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ზოგადად კორპორაციული პიროვნულობის კონცეფციისა და სამართლებრივი ფიქციის სიძლიერეს, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ უხეშ ეკონომიკურ ინსტრუმენტს არ წარმოადგენს და თეორიული სამართლებრივი და სოციოლოგიური საფუძვლის მეშვეობით უფრო კომპლექსური და მრავალმხრივი ფენომენია.⁸⁰⁸

ასეთი მრავალმხრივობის უდავო მტკიცებულებას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ სრულიად შესაძლებელია, იშვიათ შემთხვევებში, კორპორაციული პიროვნულობის უგულებელყოფა პარტნიორებისა და აქციონერებისთვის სასარგებლოც კი იყოს და გარკვეული შეღავათების მიღების საშუალებაც მიეცეთ თუნდაც იმ საფასურად, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობით ისინი უკვე ვეღარ ისარგებლებენ.⁸⁰⁹ ასეთი არაორთოქსული შემთხვევები მართლაც იშვიათია და შეიძლება დადგეს მხოლოდ სპეციფიკური გარემოებების არსებობისას. როგორც ნებაყოფლობითი, ასევე შებრუნებული გაჭოლვა, გარკვეულწილად თავდაყირა აყენებს მთლიანად კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის დოქტრინის თეორიულ საფუძვლებს, რადგან თვითონ კორპორაციის აქციონერებსა თუ პარტნიორებს სურთ მისი უგულებელყოფა სარგებლის მიღების მიზნით. საინტერესოა, რომ იმავე მშობელი კორპორაციის მიერ კრედიტორის მოთხოვნისამებრ გაცემული გარანტია შვილობილი კორპორაციისადმი, რომ ის მას თავდებად უდგას ვალდებულების შესრულებისას, შესაძლოა აგრეთვე მიჩნეული იყოს ნებაყოფლობით გაჭოლვად, რადგან შვილობილი კორპორაციის

⁸⁰⁸ მაგალითად, საქმეზე *Cargill, Inc. v. Hedge* 375 N.W.2d 477 (1985) საქმეზე სასამართლომ განიხილა დაქორწინებული წყვილის საქმე, რომელმაც საკუთარ საკუთრებაში არსებული მიწა ახალჩამოყალიბებულ კორპორაციაზე გააფორმა. ფინანსური სიძნელეების შემდეგ წყვილმა გადაწყვიტა მიემართა სასამართლოსათვის, იმ მოთხოვნით რომ ფერმა, თუმცა გაფორმებული იყო რა კორპორაციაზე, მაინც სინამდვილეში მათი იყო და შესაბამისად, მათი მიწა კრედიტორებისგან იყო დაცული ე.წ. საკარმიდამო გამონაკლისის გზით (*Homestead Exemption*). სასამართლომ მათ ნება მისცა, „საკუთარი“ კორპორაციის საფარველი გაეჭოლათ და აღნიშნა, რომ ცოლ-ქმარსა და კორპორაციას შორის არსებული ახლო ურთიერთობის გამო, კორპორაცია მხოლოდ წყვილის „ალტერ ეგოს“ წარმოადგენდა. საქმე იხილეთ: <<https://law.justia.com/cases/minnesota/supreme-court/1985/c2-84-445-2.html>>, [15.11.2020]. აგრეთვე: *Crespi G.S.*, The Reverse Pierce Doctrine: Applying Appropriate Standards, *Journal of Corporation Law*, Volume 16, 1990, 41-42.

⁸⁰⁹ *Davies P., Worthington S.*, Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 199.

პარტნიორი მშობელი კორპორაცია რეალურად ამ კონკრეტული კრედიტორის მიმართ ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას.⁸¹⁰

ზემოხსენებული, ამავდროულად, არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, რომ აღნიშნული სახის საქმეებზე სასამართლოები კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაზე მარტივად თანხმდებიან. პირიქით – ამ შემთხვევაში თამასა კიდევ უფრო მაღლაა, რადგან შესაძლებელია დაზარალებულ კრედიტორები. სასწორზე აგრეთვე დგას პარტნიორთა და კორპორაციის ერთმანეთისგან განცალკევებულობის პრინციპიც, საწარმოს კაპიტალის დაცვის ნორმებთან ერთად.⁸¹¹ თვით ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ თვითონ ჩამოაყალიბა კორპორაცია შესაბამისი უპირატესობების მიღების მიზნით და ახლა უცებ „გადაიფიქრა“, რადგანაც საკუთარი შეცდომების ან სხვა გარემოებათა გამო ვეღარ სარგებლობს იმ უპირატესობით, რასაც განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობა და შეზღუდული პასუხისმგებლობა იძლევა, როგორც წესი, მოსამართლეებს ასეთი მოსარჩელის მიმართ სიმპათიით არ განაწყობს.⁸¹² უფრო მეტიც, რადგან კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებში, მათ შორის შებრუნებულშიც, ივარაუდება, რომ პირი კაპიტალურ საზოგადოებას იყენებდა, როგორც „ინსტრუმენტს“ ან „ალტერ ეგოს“ სხვადასხვა მიზნის მიღწევისთვის, არ იცავდა კორპორაციული ფორმლობებს, ჰქონდა არასაკმარისი კაპიტალიზაცია, ნებაყოფლობითი გაჭოლვით იქმნება იმის საშიშროება, რომ, მიუხედავად ამ დარღვევებისა, ეს პირი, დასჯისა და პასუხისგების მაგიერ, დაჯილდოებული და წახალისებული იქნება.⁸¹³

თუ აშშ-ს სამართალში საფარვლის შებრუნებული გაჭოლვა უკიდურესად იშვიათ, მაგრამ არა წარმოუდგენელ შემთხვევად აღიქმება, გერმანულ სამართალში აღნიშნული კორპორაციული საფარვლის შებრუნებული გაჭოლვა (*Umgekehrter Haftungsdurchgriff*)

⁸¹⁰ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 16.

⁸¹¹ *Schwerdtfeger/Buß.*, Gesellschaftsrecht, Kommentar, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, 2015, §13, Rd.28, s.686.

⁸¹² *Gevurtz F.A.*, Corporation Law, West Group Publishing, St.Paul, Minnesota, 2000, 111. ასეთი „გადაფიქრების“ მიმართ სასამართლოების, განსაკუთრებით კი ინგლისური სასამართლოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. იხილეთ: *Cheng T.K.*, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Volume 34, Issue 2, 2011, 373.

⁸¹³ *Crespi G.S.*, The Reverse Pierce Doctrine: Applying Appropriate Standards, Journal of Corporation Law, Volume 16, 1990, 51.

ფაქტობრივად დაუშვებელია.⁸¹⁴ ზოგიერთი კომენტატორი მას პირდაპირ კაპიტალური საზოგადოების ძირითადი პრინციპის – კაპიტალის დაცვის წინააღმდეგ მიმართულ დარღვევადაც (*Verstoß*) კი აფასებს.⁸¹⁵ თუ რაიმე ქმედება პირდაპირ კორპორაციის სახელით არ არის განხორციელებული, მაშინ სამართლებრივად ადგილი არ რჩება საზოგადოების პასუხისმგებლობისათვის.⁸¹⁶ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ვალდებულების არსებობის დადასტურების შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი იმაზე, რომ სააქციო საზოგადოება პასუხს აგებდეს საკუთარი აქციონერების ვალდებულებებისათვის.⁸¹⁷ გერმანულ ლიტერატურაში შებრუნებული გაჭოლვა განსხვავებულია „მეწარმისათვის ხელსაყრელი გაჭოლვისაგან“ (*gesellschafterfreundlicher Durchgriff*). ამ კონკრეტულ სიტუაციაში საწარმოს მმართველი მენეჯერი ან მმართველი (*Gesellschaftergeschäftsführer*) ზარალდება და მისი ამ დაზარალებით თვითონ საწარმოსაც ადგება ზიანი. ზარალი შეიძლება გამოხატული იყოს იმაში, რომ მმართველს არ აძლევენ მის კუთვნილ გასამრჯელოს (*Vergütung*) ან იმ თანხას, რომელსაც იგი მიიღებდა მომგებიანი კონტრაქტის დადებისას, რომ არა ზიანის დადგომის ფაქტი.⁸¹⁸ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებული მმართველი მენეჯერი ცდილობს არა საზოგადოების ხარჯზე კრედიტორების ვალდებულების დაკმაყოფილებას, არამედ თვით საზოგადოებას წარუდგენს მოთხოვნას, მაგალითად, დაკარგულ დივიდენდზე ან მისთვის გადახდილ ინდემნიფიკაციის (ანაზღაურების) თაობაზე.⁸¹⁹

აშშ-სა და გერმანიას შორის სადღაც შუაში დგას გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკა, რომელიც ზოგადად ისედაც სიფრთხილით გამოირჩევა კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკითხის მიმართ და ეს სიფრთხილე შებრუნებულ და

⁸¹⁴ *Spindler/Stilz/Fock.*, AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015, §1, Rn. 75, s.15. *Lutter/Hommelhoff/Bayer.*, GmbH-Gesetz, Kommentar, 19.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016, §13, Rn. 47, s.429.

⁸¹⁵ *Roth/Altmeppen*, GmbHG, Kommentar, 9.Auflage, C.H.Beck, München, 2019, §13, Rn.152, s.272.

⁸¹⁶ *Schwerdtfeger/Buß.*, Gesellschaftsrecht, Kommentar, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, 2015, §13, Rd.28, s.686.

⁸¹⁷ *Hüffer/Koch.*, Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016, §1, Rn.20, s.8.

⁸¹⁸ *Bork/Schäfer/Weller/Discher.*, GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015, §13, Rn.57, s.322

⁸¹⁹ *Michalski/Heidinger/Leible/Schmidt/Lieder.*, GmbHG, Kommentar, Band I, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017, §13, Rn. 480, s.1187.

ნებაყოფლობით გაჭოლვაზეც ვრცელდება. აღნიშნულის მიუხედავად ასეთი გაჭოლვის იშვიათი შემთხვევები ინგლისის სასამართლო საქმეებშიც არის დაფიქსირებული.⁸²⁰

4.5.2. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა მშობელ-შვილობილ კორპორაციათა კონტექსტში

ზოგადი პრინციპის თანახმად, მშობელი და შვილობილი კორპორაცია წარმოადგენენ სრულიად განცალკევებულ სუბიექტებს და მშობელი კორპორაცია პასუხს არ აგებს შვილობილის მოქმედებებზე.⁸²¹ ამის მიუხედავად, როგორც დავინახეთ კორპორაციულ ჯგუფებში საფარვლის გაჭოლვა უცნობი მოვლენა არ არის და აღნიშნულს რამდენიმე არგუმენტი უდევს საფუძვლად.

შვილობილი კორპორაციების დაფუძნების მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს: ადმინისტრაციული მართვის გამარტივება, აქტივების გადანაწილება სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება, პასუხისმგებლობის შეზღუდვა და გადასახადების გადახდისგან თავის აცილება.⁸²² არანაკლებ მნიშვნელოვანია აქტივების იზოლირება, რომელიც შემდგომში თვით ამ შვილობილი კორპორაციისათვის უზრუნველყოფილი სესხის გადაცემისათვის იქნება გამოყენებული, რაც ზოგადად მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა მეთოდებზე უფრო მოსახერხებელია.⁸²³

უპირველეს ყოვლისა, საფარვლის გაჭოლვა კორპორაციულ ჯგუფებში უნდა განსხვავებულ იქნას საფარვლის გაჭოლვისგან მშობელ-შვილობილ კორპორაციებში. პირველი ამკარად უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს მეორეს. იმისათვის, რომ წარმატებულად მოხდეს მშობელი და შვილობილი კორპორაციების განცალკევება და კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თავიდან აცილება, საჭიროა ზოგადად იმ

⁸²⁰ *Vandekerchove K.*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007, 75.

⁸²¹ *United States v. Bestfoods*, 524 U.S. 51 (1998). იხ: <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/524/51/>>, [15.11.2020].

⁸²² *Landers J.M.*, A Unified Approach To Parent, Subsidiary, and Affiliate Questions in Bankruptcy, *The University of Chicago Law Review*, Volume 42, Number 4, Summer, 1975, 589.

⁸²³ *Leebron D.W.*, Limited Liability, Tort Victims, and Creditors, *Columbia Law Review*, Volume 91, No. 7, November 1991, 1614.

პირობების დაკმაყოფილება, რომელთა შესრულებაც მიუთითებს შვილობილი კორპორაციის რეალურ არსებობაზე, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ მშობლის „ალტერ ეგო“ ან „ინსტრუმენტი“ არ არის, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული წინამდებარე ნაშრომში გერმანიისა და აშშ-ს სამართლებრივი მიდგომების მიმოხილვისას.

შვილობილი კომპანიის დაარსებითა და მასზე აქტივებისა და სპეციფიკური უფლებამოსილებებისა თუ ვალდებულებების გადაცემით ყველაზე მეტად არის საშიშროება, რომ მოხდება რისკის ექსტერნალიზაცია მთლიანად კრედიტორებზე. შესაბამისად კორპორაცია ლოგიკურად შეეცდება ყველაზე სარისკო ოპერაციები გადასცეს თავის შვილობილ კორპორაციას, განახორციელოს ისინი შვილობილის საშუალებით, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში თვითონვე იქნება პასუხისმგებელი, როგორც ცალკე იურიდიული პირი და ისიც შეზღუდულად აგებს პასუხს საკუთარი ქონებით.⁸²⁴

არსებობს რამდენიმე გზა, რომ მშობელმა კორპორაციამ შვილობილზე ზეგავლენა მოახდინოს. ყველა შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს იმგვარი ჩარევა, რაც შვილობილის დამოუკიდებლობასა ან საერთოდ ცალკე არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. შესაძლებელია მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მშობელი კორპორაციისათვის ან ზოგადად კორპორაციათა ჯგუფისათვის ხელსაყრელი, მაგრამ საზიანო შვილობილისათვის ან გადახდისუუნარობისას მშობელი უარს აცხადებდეს შვილობილის ხსნაზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის ფინანსური რესურსი არსებობდეს.⁸²⁵

იმავე ამერიკულ კორპორაციათა ჯგუფის სამართალში ჩამოყალიბებულია რამდენიმე მიდგომა, იმის დასადგენად, თუ რა დონეზე ერევა მშობელი შვილობილი საქმიანობაში და როგორ უნდა იქნას შეფასებული შვილობილი მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ მშობელი კომპანიის სასარგებლოდ არის დადებული. ერთ-ერთი ასეთი არის „სამართლიანობის ტესტი“ და

⁸²⁴ *Hansmann H., Kraakmann R., Toward Unlimited Shareholder Liability for Corporate Torts, The Yale Law Journal, Volume 100, No. 7, May, 1991, 1920.*

⁸²⁵ *Davies P., Worthington S., Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 228-229.*

აგრეთვე მეტაფორული “*arms-length test*”, რომელიც აღნიშნულ ხელშეკრულებას იმის მიხედვით აფასებს, სხვა ჰიპოთეტურ სიტუაციაში ორი დამოუკიდებელი, მიახლოებით თანაბარ პოზიციაში მყოფი მხარე თუ დადებდა იმავე ხელშეკრულებას.⁸²⁶ შესაბამისად მშობელი კორპორაციის მიერ შვილობილისათვის საქონლის ან მომსახურებისათვის გადახდილი ფასი მიჩნეული იქნება სამართლიანად, თუ ასეთი დამოუკიდებელი ჰიპოთეტური კომპანიაც შვილობილთან იმავე ფასზე შეთანხმდებოდა.⁸²⁷

ასეთი ურთიერთობების დროს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თავიდან აცილების მარტივი ზომები შეიძლება იყოს: საკმარისი ფინანსური რესურსების მქონე შვილობილი ერთეულის არსებობა, კომპანიათა ყოველდღიური საქმიანობისა და დოკუმენტაციის განცალკევება, კორპორაციულ ფორმალობათა (მაგ. საერთო კრება) და ამ ორი კორპორაციული სუბიექტის ცალკე წარმომადგენლობა იმგვარად, რომ გარეშე მესამე პირები სათანადოდ ინფორმირებულნი არიან ამ ორის განცალკევებულობის შესახებ.⁸²⁸ მეორეს მხრივ, თუ მშობელი ერთპიროვნულად ფლობს შვილობილ კორპორაციას, თუ მათ ჰყავთ საერთო მენეჯერები და დირექტორები და მართვა სრულიად ინტეგრირებული/კონტროლირებულია პერსონალისა და აქტივების ჩათვლით, იმგვარად რომ მარტო შვილობილი არის არასათანადოდ კაპიტალიზირებული, აღნიშნული სრულიად საკმარისი საფუძველია კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის.⁸²⁹

აქ აღსანიშნავია, რომ კომენტატორთა ნაწილის აზრით, „კორპორაციის საფარვლის გაჭოლვისა“ და მსგავსი მეტაფორული ფორმულირებისგან გათავისუფლებამ საშუალება მისცა ევროპულ (იმავე გერმანულ) სასამართლოებს ყურადღება გაემახვილებინათ ცენტრალურ ფაქტორზე – კონტროლზე.⁸³⁰ რეალურად სწორედ სრული კონტროლი

⁸²⁶ *Bonanno J.B.*, The Protection of Minority Shareholders in a Konzern under German and United States Law, *The Harvard International Law Journal*, Volume 18, No. 1, Winter 1977, p. 165-166.

⁸²⁷ *Alting C.*, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative & International Law*, Volume 2, No. 2, Spring 1995, 222.

⁸²⁸ *Douglas W.O., Shanks C.M.*, Insulation from Liability Through Subsidiary Corporations, *Yale Law Journal*, Volume 39, 1929, 196-197.

⁸²⁹ *Downs R.C.*, Piercing the Corporate Veil – Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, no. 2, Winter 1985, 191-192.

⁸³⁰ *Hofstetter K.*, Parent Responsibility for Subsidiary Corporations: Evaluating European Trends, *The International and Comparative Law Quarterly*, Volume 39, No. 3, July 1990, 593.

შვილობილ კომპანიაზე, რომელსაც თავის მხრივ მოჰყვება მისი ფაქტობრივი ინკორპორაცია მშობელ საზოგადოებაში, წარმოადგენს ძირითად ფაქტორს კორპორაციული საფარვლის გაჭოლვისათვის. ამერიკული სასამართლო პრაქტიკაშიც არაერთგან მოხსენიებული ფაქტორებიდან კონტროლი ასევე გამოყოფილია, როგორც ძირითადი საფუძველი, თუმცადა ასეთი კონტროლი ტოტალური უნდა იყოს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ შვილობილსა და მშობელ კორპორაციებს ერთი და იმავე პირებისაგან შემდგარი მმართველი ორგანოები აქვთ, არ არის საკმარისი იმისათვის რომ შვილობილის იურიდიული განცალკევებულობა უგულვებელყოფილ იქნას. უფრო მეტიც, თუნდაც აღნიშნულს ემატებოდეს შვილობილის 100%-იანი მფლობელობა, მართოდენ ეს ორი ფაქტორი არ იქნება საკმარისი გაჭოლვისათვის იმის გათვალისწინებით, რომ მშობელ-შვილობილ კომპანიებში აღნიშნულ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი.⁸³¹

მშობელ-შვილობილ კორპორაციათა კონტექსტში საფარვლის გაჭოლვისას უნდა იყოს ასევე გათვალისწინებული იგივე გარემოებები, რაც ზოგადად კორპორაციათა საფარვლის გაჭოლვის დროს. ასეთ სიტუაციებში საფარვლის გაჭოლვა ვერ იქნება გამოყენებული ფართო მასშტაბით, რადგანაც შვილობილი კორპორაციები, განსაკუთრებით კი მცირე ზომის, ხშირად ფუძნდებიან უფრო რისკიან საქმიანობებში ჩასართავად. უფრო ლოგიკურია, რომ სასამართლოებმა შვილობილი კორპორაციის პიროვნულობა უგულვებელყონ მაშინ, როდესაც რისკები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე იქნებოდა, თუ მოცემული კორპორაცია ცალკე საწარმო იქნებოდა და არა შვილობილი.⁸³²

⁸³¹ *Alting C.*, Piercing the Corporate Veil in American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative & International Law*, Volume 2, No. 2, Spring 1995, 228.

⁸³² *Easterbrook F.H., Fischel D.R.*, Limited Liability and the Corporation, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985, 111.

4.5.3. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა შრომით დავებში

კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საქმეებში საინტერესოა ის სპეციფიკა, რასაც მასაც შრომისსამართლებრივი ურთიერთობები აძლევს. სწორედ ასეთი სპეციალური შემთხვევებისათვის ჩამოყალიბდა ე.წ. ინტეგრირებული საწარმოს (*Integrated enterprise*) თეორია, რომელიც ინგლისის საკორპორაციო სამართალში შემუშავებული „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ დოქტრინის მსგავსია, იმ განსხვავებით რომ ის ყურადღებას ამახვილებს შრომით ურთიერთობებზე. შეიძლება ითქვას, რომ იგი შრომითი ურთიერთობებისათვის სპეციფიკურად შექმნილი კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის ტესტია.⁸³³ აღნიშნული ტესტი შედგება ოთხი ელემენტისგან, რომელიც ყურადღებას ისევ ამახვილებს დომინანტი პარტნიორის მიერ კორპორაციის ფლობასა და ასევე ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. ასეთი კრიტერიუმებია ოპერაციათა ურთიერთკავშირი, საერთო მენეჯმენტი, შრომითი ურთიერთობების ცენტრალიზებული კონტროლი და საერთო მესაკუთრე.⁸³⁴

როგორც ვხედავთ, ამ ოთხ ფაქტორში რამდენიმე დოქტრინის ტესტის სინთეზს აქვს ადგილი. თუმცა აქ ყურადღება მახვილდება სწორედ კონტროლსა და საკუთრებაზე და მოთხოვნა, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს რაიმე უსამართლო მოქმედებას, აქ უგულებელყოფილია. თუ ასეთი სრული კონტროლის ფაქტი შრომით დავებში დადასტურებული იქნება, აღნიშნული ტესტი იძლევა საშუალებას, გაჭოლვილ იქნას კორპორაციული საფარველი.⁸³⁵

⁸³³ *Pearson v. Component Tech. Corp.*, 247 F.3d 471, 486 (3d Cir. 2001). ხელმისაწვდომია: <<https://openjurist.org/247/f3d/471/thomas-pearson>>, [15.11.2020].

⁸³⁴ „*The controlling criteria, set out and elaborated in Board decisions, are interrelation of operations, common management, centralized control of labor relations and common ownership.*“. *Radio & Television Broad. Technicians Local 1264 v. Broad. Serv.*, 380 U.S. 255, 256 (1965). ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტმა ეს ოთხი ფაქტორი უფრო განავრცო და ხუთ ფაქტორად ჩამოაყალიბა: 1) საერთო მესაკუთრე; 2) საერთო დირექტორები ან/და ოფიცრები; 3) დე-ფაქტო კონტროლი; 4) პერსონალის მიმართ არსებული პოლიტიკის ერთიანობა, რომელიც საერთო წყაროდან მომდინარეობს და 5) ოპერაციათა ურთიერთდამოკიდებულება. იხ: Electronic Code of Federal Regulations, Title 20 – Employee Benefits (20 C.F.R.) §639.3(a)(2) (2002). <<https://www.law.cornell.edu/cfr/text/20/639.3>>, [15.11.2020].

⁸³⁵ *Presser S.B.*, *The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil*, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006, 418.

აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს საინტერესო შემთხვევაც – თუ კაპიტალური საზოგადოება მხოლოდ ერთი პირისგან შედგება, მაშინ იმავე კორპორაციული პიროვნულობის პრინციპიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია ამ პირმა, როგორც ფიზიკურმა ინდივიდმა, დადოს შრომითი ხელშეკრულება კომპანიასთან, რომლის წარმომადგენელიც ამ შემთხვევაში თვითონვე არის. საკუთარ თავთან გარიგების დადების პრობლემის გარდა, აღნიშნული წარმოშობს სამართლებრივ პარადოქსს იმ თვალსაზრისით, რომ შრომითი ურთიერთობებისათვის ცენტრალური ელემენტი – დასაქმებულის დაქვემდებარება (სუბორდინაცია) დამსაქმებლისადმი – სახეზე არ არის.⁸³⁶

4.5.4. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა საერთაშორისო კონტექსტში

კაპიტალურმა საზოგადოებამ გრძელი გზა განვლო. ის ჩანასახოვანი მდგომარეობა, რაც არსებობდა კომპლექსურ ამხანაგობებში, შემდგომში განვითარდა ადრეულ სააქციო საზოგადოებებში, რომელთა კორპორაციული პიროვნულობაცა და შეზღუდული პასუხისმგებლობაც მხოლოდ მეოცე საუკუნეში განმტკიცდა საბოლოოდ. ეკონომიკურად დღეს კორპორაცია მსოფლიო ეკონომიკის ძრავაა და მუდმივად მზარდ და ცვალებად სამყაროში, ისიც განიცდის ცვლილებებს. დღესდღეობით ასეთი განვითარების ახალი ფაზა არის მულტინაციონალური, მულტიკორპორაციული ერთეულები, რომლებიც ხშირად თვითონვე აფუძნებენ შვილობილ კორპორაციებს ან ახორციელებენ მათში საკონტროლო პაკეტის შექმნას. შესაბამისად კორპორაციათა, როგორც მარტო, განყენებულად არსებული ერთეულების ატომისტური ხედვა, რომელიც დომინირებდა მეცხრამეტე საუკუნეში დღეს ჩანაცვლდა კომპლექსური სამეწარმეო ქსელებით, რომლებშიც სხვა შემადგენელ ელემენტებს ეძლევათ მნიშვნელოვანი ავტონომია, ხოლო მართვა და ორგანიზაცია კი ხორციელდება ერთიანი

⁸³⁶ *Davies P., Worthington S.*, Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016, 200. იხილეთ ასევე შენ.53.

ცენტრალური სტრატეგიის საშუალებით, რომელიც საბოლოო ჯამში მშობელი კორპორაციისგან მომდინარეობს.⁸³⁷

ფიზიკური პირის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭიროა ფაქტებისა და გარემოებების დადგენა. კონცერნში, მშობელი და შვილობილი კორპორაციების ზოგჯერ ძალიან კომპლექსურ ქსელში, რომელშიც იურიდიულად თითოეულს საკუთარი განცალკევებული პიროვნულობა გააჩნია, ქმედების რომელიმე ერთეულისათვის შერაცხვის პროცესი საგრძნობლად რთულდება და არც სამართლებრივი სისტემა არის მზად ამისათვის, მით უმეტეს დღევანდელი მულტინაციონალურ კორპორაციებთან მიმართებაში.⁸³⁸

კორპორაციული ჯგუფების შესახებ სასამართლო პრაქტიკის შექმნის შემდეგ ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კონცესიის, აგრეგატისა და რეალური კავშირის თეორიების შემდეგ მწიფდება ახალი დამოკიდებულება კორპორაციებისადმი, რომელშიც ხაზი გაესმევა არა მარტო იმას, რომ კორპორაცია ნამდვილად არსებობს, არამედ მედლის მეორე მხარესაც: საერთაშორისო კორპორაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლებიც სწორედ კორპორაციული ჯგუფების სახით მოქმედებენ, სასამართლოები უფრო მეტად გადაიხრებიან იმისკენ, რომ კორპორაციული ჯგუფები ჩაითვალოს ერთ პირად (რაც პარალელს ავლებს გაერთიანებულ სამეფოში არსებულ „ერთიანი ეკონომიკური ერთეულის“ მიდგომასთან).⁸³⁹ სხვა ქვეყნების იურისდიქციებში უკვე შეინიშნება განსხვავებული მიდგომები საერთაშორისო კორპორაციათა ვალდებულების დაკისრების საკითხისადმი: 1984 წლის *ბჰოპალის* ტრაგედიის შემდგომ, ინდოეთის სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა მთლიანად კორპორაციული ჯგუფის პასუხისმგებლობა, თუ მულტინაციონალური კორპორაციების ინდოეთში დაფუძნებული შვილობილი კომპანიების საშიში და საფრთხის შემცველ საქმიანობას

⁸³⁷ *Antunes J.E.*, The Liability of Polycorporate Enterprises, Connecticut Journal of International Law, Volume 13, No. 2, Spring 1999, 203.

⁸³⁸ *Blumberg P.*, Accountability of Multinational Corporations: The Barriers Presented by Concepts of the Corporate Juridical Entity, Hastings International and Comparative Law Review, Volume 24, Issue 3, Spring 2001, 300.

⁸³⁹ *Blumberg P.I.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Supplement. U. S. Law in an Era of Democratization, 1990, 51.

ზიანი მოჰყვებოდა.⁸⁴⁰ აგრეთვე საინტერესოა ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის მიდგომაც, სადაც კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა არა საგამონაკლისო, არამედ ნორმალური მოვლენაა და მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციის აქტივები არასაკმარისია დასაქმებულთა, მომხმარებელთა ან გარემოს დაზიანების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.⁸⁴¹

V. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული იყო იურიდიული პირის და განსაკუთრებით კი, კორპორაციისა და კაპიტალური საზოგადებოების ონტოლოგიური არსი, არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ასევე სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ჭრილში. ნაჩვენები იყო, რომ იურიდიული პირი კომპლექსური ფენომენია, რომელიც, თუმცა იურიდიულად აღიარებულია როგორც ფიზიკურ, ნატურალ პიროვნებასთან გათანაბრებული, მასში შემაგალი წევრებისგან განცალკევებული ერთეული, რეალურად იგი, ბუნებრივი თვალსაზრისით, არ წარმოადგენს საკუთარი ცნობიერების მქონე იმ რაღაცას, რომელსაც შეუძლია საკუთარი განცალკევებულების აღქმა და ავტონომიურად მოქმედება. ამავდროულად, ფილოსოფიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით, აქტუალურია საკითხი, რამდენად შეიძლება ასეთი პირი ნატურალისტური გადმოსახედიდანაც, გარკვეულწილად მაინც გამოეყოს მის წევრებს და რაღაც *სხვა* იყოს, თუნდაც არა სრულიად დამოუკიდებელი ერთეული.

კორპორაციისა და იურიდიული პირის განვითარება შემდგომში განხილული იყო ასევე ისტორიულ ჭრილშიც. უძველესი პერიოდიდან დაწყებული, გაგრძელებული ძველრომაული სამართლითა და დამთავრებული დღევანდელი პერიოდით, იურიდიული პირის კონცეფცია თანდათანობით ჩამოყალიბდა და განვითარების

⁸⁴⁰ *Dearborn M.*, Enterprise Liability: Reviewing and Revitalizing Liability for Corporate Group, California Law Review, Volume 97, No. 1, February 2009, 227-229.

⁸⁴¹ *Armour J., Hertig G., Kanda H.*, Transactions with Creditors, წიგნში: *Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E.*, The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach, 3rd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 116.

საინტერესო და რთული გზა გამოიარა. დიდი ხნის განმავლობაში, იურიდიული პირის მთლიანად ჩამოცილება მისავე წევრებისგან და მისი განყენებულად აღქმა წარმოადგენდა მხოლოდ აბსტრაგირებულ, ანთროპომირფიზირებულ იდეას, რომლის მხოლოდ ჩანასახი თუ შეინიშნებოდა რომაულ სამართალში (იმავე *Universitas*-ისა თუ *Societas publicanorum*-ის შემთხვევაში). რეალურად ამ იდეას საფუძველი მხოლოდ შუა საუკუნეებში ჩაეყარა და საბოლოო გამოხატულება, მე-17 საუკუნის ინგლისური და ჰოლანდიური სააქციო საზოგადოებებიდან დაწყებული და მე-19 საუკუნეში გერმანიაში სამართლებრივი ინოვაციის სახით შემოტანილი შპს-ით დამთავრებული, მარტოდმარტო თანამედროვე ეპოქაში ჰპოვა.

ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, ნაშრომში განხილული იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალური საზოგადოების ერთ-ერთი ცენტრალური ნიშნისა და მახასიათებლის–შეზღუდული პასუხისმგებლობის–ანალიზის საფუძველზე. ნაჩვენები იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მნიშვნელობა, როგორც სოციალური, ასევე, რაც მთავარია, ეკონომიკური კუთხიდან. შეზღუდული პასუხისმგებლობით ინვესტორებს ეძლევათ საშუალება, საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღონ იმგვარად, რომ წარუმატებლობის შემთხვევაშიც, პასუხი აგონ არა მთლიანად თავიანთი პირადი ქონებით, არამედ განსაზღვრული შენატანებით. საბოლოო ჯამში ეს ახალისებს ინვესტიციებსა და ეკონომიკურ განვითარებას. ეს ინსტიტუტი მჭიდროდაა დაკავშირებული და გადაბმული იურიდიული პირისა და კორპორაციის განცალკევებული პიროვნულობის კონცეფციასთან და შესაბამისად, კორპორაციის მთლიანი არსიც ამგვარი საკუთარ ვალდებულებებზე თვითონვე პასუხისმგებელი ერთეულის ლოგიკურად თანმიმდევრულ ჩარჩო-სტრუქტურაში ჯდება.

ამავდროულად, უკვე შეზღუდული პასუხისმგებლობის იდეის ჩამოყალიბებისა და მომწიფებისთანავე, არსებობდა გამართლებული ეჭვი, რომ ეს ინსტიტუტი ბოროტად იქნებოდა გამოყენებული არაკეთილსინდისიერი პირების მიერ. გირკეს რეალისტური კავშირის თეორიის ფაქტობრივად საყოველთაო რეცეფციის შემდგომაც, ეს ეჭვი არ გაქრა და პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ უფრო გამყარდა კიდევ იმ კერძო

პრეცედენტებით, რომელთა დროსაც სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულნი კრედიტორები და უსამართლოდ ისარგებლეს კორპორაციაში შემავალმა პირებმა. იმისათვის რომ ეს პრობლემა გადაწყვეტილიყო, სამართალმა, გამონაკლისის სახით, დაუშვა საზოგადოებაში შემავალი პირებისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ამგვარად კორპორაციული პიროვნულობის უარყოფის შესაძლებლობა, ე.წ. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საშუალებით.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილული იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა სხვადასხვა იურისდიქციებში, უმეტესწილად იმ ქვეყნებში, რომლებშიც ამ მხრივ შესაბამისი კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და იურიდიული ლიტერატურა არსებობს: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. თითოეულის შემთხვევაში განხილული იყო საფარვლის გაჭოლვის წარმოშობის ისტორია, სასამართლო პრეცედენტები და ეროვნული მიდგომები ამ მეტად პრობლემურ და აქტუალურ საკითხთან მიმართებაში. ნაშრომში ძირითადი ყურადღება მიექცა ამერიკის შეერთებული შტატების წიაღში აღმოცენებულ „ალტერ ეგოსა“ და მის მომიჯნავე „ინსტრუმენტალურობის“ დოქტრინებს, რომლებიც დღესდღეობით კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის თეორიულად ყველაზე მეტად დამუშავებულ კონცეფციებს წარმოადგენენ. მიუხედავად მათ შორის მნიშვნელოვანი მსგავსებებისა, ამ ორს შორის სერიოზული განსხვავებებიც არსებობს, რადგანაც ისინი სხვადასხვა ფაქტორსა და გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას და სამართლებრივი შედეგიც შეიძლება სრულიად სხვადასხვა დადგეს. აღნიშნული დოქტრინებიდან ერთ-ერთის რეცეფციით ასევე შეიძლება ადგილი ჰქონდეს საფარვლის გაჭოლვის მიმართ სასამართლოსა და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის არსებული სამართლებრივი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის გამოხატვასაც.

ნაშრომში ასევე განხილული იყო კორპორაციული საფარვლის გაჭოლვაც საქართველოში, რომელსაც, თუმცა ის დღესდღეობით ძალიან ახალი კონცეფციაა, უკვე აქვს მყარი საკანონმდებლო საფუძველი და უახლესი პრეცედენტებით ისახება კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის საკითხთან მიმართებით ერთიანი ეროვნული

მიდგომის კონტურები, რაც, თავის მხრივ, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ევროკავშირთან 2014 წელს დადებული ასოცირების შეთანხმებისა და ზოგადად ევროკავშირში გაერთიანებისკენ სწრაფვის კონტექსტშიც.

ბოლოს, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოში თანდათანობით ფორმულირებული საფარვლის გაქოლვის დოქტრინა, დაფუძნებული იგი იქნება „ალტერ ეგოზე“, „ინსტრუმენტალურობაზე“ თუ სხვა რაიმე მიდგომაზე, უთოუდ დიდ სარგებელს მიიღებს საერთაშორისო და წამყვანი განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, რაც საშუალებას მისცემს მას, რომ უკეთესად გაიაზროს იურიდიული პირისა და კორპორაციების და განსაკუთრებით კი, კაპიტალური საზოგადოებების არსი და მნიშვნელობა და მათ მიმართ ერთიანი, თანმიმდევრული და თეორიული პოსტულატებით გამყარებული დამოკიდებულება ჰქონდეს. წინამდებარე ნაშრომის მიზანიც იყო სწორედ შედარებით-სამართლებრივი მიდგომის საფუძველზე მიმოეხილა საკორპორაციო საფარვლის გაქოლვის სიტუაცია რამდენიმე მნიშვნელოვან იურისდიქციაში, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული მიზნის უფრო სწრაფად და სრულყოფილად მიღწევა.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

ბურდული/ეგნატაშვილი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, *რედ. ჭანტურია ლ.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017.

ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010.

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი: სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, *თარგმანი დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ.*, თბილისი, 2014.

ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002.

ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984.

ინგლისურ ენაზე:

Andenas M., Wooldridge F., European Comparative Company Law, Cambridge University Press, Cambridge, 2009.

Ando C., Law, Language, and Empire in the Roman Tradition, Philadelphia, University of Pennsylvania Press, 2011.

Angell J.K., Ames S., Treatise on the Law of Private Corporations Aggregate, 8th Ed., Little, Brown, and Company, Boston, 1866.

Aubet M.A., Commerce and Colonization in the Ancient Near East, Cambridge University Press, Cambridge, 2013.

Ávila H., Theory of Legal Principles, Springer Velrag, Dordrecht, 2007.

Ayer A.J., The Concept of Person and Other Essays, Macmillan Education, London, 1963.

Badian E., Publicans and Sinners: Private Enterprise in the Service of the Roman Republic, Cornell University Press, Ithaca, New York, 1972.

Balmer J.M.T., Greyser S.A., (Ed.), Revealing the Corporation: Perspectives on Identity, Image, Reputation, Corporate Branding, and Corporate-level Marketing, Routledge, London, 2003.

Bauman R.A., Lawyers in Roman Transitional Politics: A Study of Relations between the Roman Jurists and the Emperors from Augustus to Hadrian, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1985.

Berger A., Encyclopedic Dictionary of Roman Law, The American Philosophical Society, Philadelphia, 1953.

Berman H.J., Law and Revolution: The Formation of the Western Legal Tradition, Harvard University Press, Cambridge, 1983.

Birks P., The Roman Law of Obligations, Oxford University Press, Oxford, 2014.

Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Book I: Of the Rights of Persons, Ed. *Prest W.*, Oxford University Press, Oxford, 2016.

Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Book III: Of Private Wrongs,, Ed. *Prest W.*, Oxford University Press, Oxford, 2016.

Blois L., Rich J., (Ed.), The Transformation of Economic Life under the Roman Empire, Proceedings of the Second Workshop of the International Network Impact of Empire (Roman Empire, c. 200 B.C. - A.D. 476), Nottingham, July 4-7, 2001, Amsterdam, 2001.

Blumberg P.I., Strasser K.A., Georgakopoulos N.L., Gouvin E.J., Blumberg on Corporate Groups, 2nd Ed. 2019-2 Supplement, Walter Kluwer, 2019.

Blumberg P.I., The Law of Corporate Groups: Statutory Law—General, Little Brown and Companz, Boston, Toronto, London, 1989.

Blumberg P.I., The Corporate Personality in American Law: A Summary Review, The American Journal of Comparative Law, Volume 38, Supplement. U. S. Law in an Era of Democratization, 1990.

Blumberg P.I., The Multinational Challenge to Corporation Law: The Search for a New Corporate Personality, Oxford University Press, Oxford, 1993.

Boethius., The Theological Tractates, The Consolation of Philosophy, The Loeb Classical Library, Tran. *Stewart H.F., Rand E.K.*, Harvard University Press, Cambridge, 1968.

Bottomley S., The Constitutional Corporation: Rethinking Corporate Governance, Ashgate Publishing, Aldershot, 2007.

Bourne N., Bourne on Company Law, 6th Ed., Routledge, London, 2013.

Buckland W.W., A Text-book of Roman law from Augustus to Justinian, Cambridge University Press, Cambridge, 1921.

Burgess A., Alemanno A., Zinn J.O., (Ed.), Routledge Handbook of Risk Studies, Routledge, London, 2016.

Burr V., The Person in Social Psychology, Psychology Press, Hove, 2002.

Cafaggi F., Nicita A., Pagano U., (Ed.), Legal Orderings and Economic Institutions, Routledge, London, 2007.

Carrithers M., Collins S., Lukes S., (Ed.), The Category of the Person: Anthropology, Philosophy, History, Cambridge University Press, Cambridge, 1985.

Cassidy J., Concise Corporations Law, 5th Ed., The Federation Press, Sydney, 2006.

Choper J.H., Coffe J.C. Jr., Gilson R.J., Cases and Materials on Corporations, 5th Ed., Aspen Publishers, Inc., Gaithersburg, 2000.

Choudhury B., Petrin M., Understanding the Company: Corporate Governance and Theory, Cambridge, Cambridge University Press, 2017.

Cicero., De Amicitia (On Friendship) and Scipio's Dream, Trans. Peabody A.P., Little, Brown, and Company, Boston, 1887.

Cicero M. T., De Re Publica, De legibus, Cato Maior De Senectute, Laelius De Amicitia, Oxford University Press, 2006.

Clinard M.B., Yeager P.C., Corporate Crime, Transaction Publishers, New Brunswick, 2010.

Coase R.H., The Nature of the Firm, Economica, Volume 4, Issue 16, November, 1937.

Coke, E., Selected Writings and Speeches of Sir Edward Coke, Volume I, Ed. Sheppard S., Indianapolis, Liberty Fund, 2003.

Crook J., Law and Life of Rome, Cornell University Press, Ithaca, New York, 1967.

Cutler H., (Ed.), Shame, Responsibility and the Corporation, Haven, New York, 1986.

Dam C.V., European Tort Law, 2nd Ed., Oxford University Press, 2013.

Dan-Cohen M., Rights, Persons and Organizations: A Legal Theory for Bureaucratic Society, University of California Press, Berkeley, 1986.

Davies P., Worthington S., Gower: Principles of Modern Company Law, 10th Ed., Sweet and Maxwell, London, 2016.

Davies P.L., Gower and Davies' Principles of Modern Company Law, 8th Edition, Sweet and Maxwell Ltd., London, 2008.

Dennett D.C., Brainstorms: Philosophical Essays on Mind and Psychology, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, 1981.

Descartes R., Principles of Philosophy, Tran., *Miller V.R., Miller R.P.*, Kluwer Academic Publishers, Dordrecht, 1982.

Dewey J., The Later Works, 1925-1953, Volume 2: 1925-1927, Carbondale, Southern Illinois University Press, 2008.

Duff P.W., Personality in Roman Private Law, Cambridge, Cambridge University Press, 1938.

Dworkin R., Taking Rights Seriously, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, 1977.

Erdkamp P., (Ed.), The Cambridge Companion to Ancient Rome, Cambridge University Press, Cambridge, 2013.

Farnsworth E.A., An Introduction to the Legal System of the United States, 4th Ed., Oxford, Oxford University Press. 2010.

Felmeth A.X., Horwitz M., Guide to Latin in International Law, Oxford University Press, Oxford, 2009.

Fenyves A., Karner E., Koziol H., Steiner E., (Ed.), *Tort Law in the Jurisprudence of the European Court of Human Rights*, De Gruyter, Berlin, 2011.

Finley M.I., *The Ancient Economy*, University of California Press, Berkeley, 1999.

French D., Mayson S., Ryan C., *Mayson, French & Ryan on Company Law*, 33rd Ed., Oxford, Oxford University Press, 2016.

Freund E., *The Legal Nature of Corporations*, University of Chicago Press, Chicago, 1897.

Gevurtz F.A., *Corporation Law*, West Group Publishing, St.Paul, Minnesota, 2000.

Gierke O., *Political Theories of the Middle Age*, Tran. *Maitland F.W.*, Cambridge, Cambridge University Press, 1900.

Goetzmann W.N., Rouwenhorts K.G., (Ed.), *The Origins of Value: The Financial Innovations That Created Modern Capital Markets*, Oxford University Press, Oxford, 2005.

Gracia J.J.E., *Individuality: An Essay on Foundations of Metaphysics*, State University of New York Press, Albany, 1988.

Gray G.C., *The Nature and the Sources of Law*, 2 Ed., The Macmillan Company, New York, 1921.

Gregory W.A., *The Law of Agency and Partnership*, 3rd Ed., West Publishing, St.Paul, Minnesota, 2001.

Grossberg M., Tomlins C., (Ed.), The Cambridge History of Law in America, Volum I: Early America, Cambridge University Press, Cambridge, 2008.

Gruen E.S., The Last Generation of the Roman Republic, University of California Press, Berkeley, 1995.

Hamilton R.W., Cases and Materials on Corporations, Including Partnerships and Limited partnerships, 5th Ed. West Publishing Co., St. Paul, Minnesota, 1994.

Hamilton S.N., Impersonations: Troubling the Person in Law and Culture, University of Toronto Press, Toronto, 2009.

Harland P., Greco-Roman Associations: Texts, Translations, and Commentary, Volume II: North Coast of the Black Sea, Asia Minor, De Gruyter, Berlin, 2014.

Hawk B., Law in Commerce in Pre-Industrial Societies, Brill – Nijhoff, Leiden, 2015.

Henderson G.C., The Position of Foreign Corporations in American Constitutional Law; A Contribution to the History and Theory of Juristic Persons in Anglo-American Law, Harvard University Press, Cambridge, 2015.

Henn H.G., Stevens R.S., Cases and Materials on the Laws of Corporations, West Publishing Company, 1971.

Hobbes T., Leviathan, or The Matter, Forme & Power of A Commonwealth, Ecclesiastical and Civill, Penguin Classics, London, 1985.

Hollander D.B., Money in the Late Roman Republic, Brill, Leiden, 2007.

Horwitz M. J., *The Transformation of American Law, 1870-1960: The Crisis of Legal Orthodoxy*, Oxford University Press, 1992.

Hudson A., *Equity and Trusts*, 8th Ed., Routledge, London, 2014.

Kantorowitz E.H., *The King's Two Bodies*, Princeton, Princeton University Press, 2016.

Kaser M., *Roman Private Law*, 4th Edition, *Trans. Dannenbring R.*, University of South Pretoria, Pretoria, 1984.

Kershaw D., *Company Law in Context: Text and Materials*, Oxford University Press, Oxford, 2009.

Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Pargendler M., Ringe W., Rock E., *The Anatomy of Corporate Law: A Comparative and Functional Approach*, 3rd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017.

Lafollette H., (Ed.), *The Oxford Handbook of Practical Ethics*, Oxford University Press, Oxford, 2005.

Latty E.R., *Subsidiaries and Affiliated Corporations: A Study in Stockholders' Liability*, Foundation Press, Chicago, 1936.

List C., Pettit P., *Group Agency: The Possibility, Design, and Status of Corporate Agents*, Oxford University Press, Oxford, 2011.

Liu J., *The Guilds of Textile Dealers in the Roman West*, Brill, Leiden, 2009.

Locke J., *An Essay Concerning Human Understanding*, Volume I, Clarendon Press, Oxford, 1894.

Lopez R.S., Raymond I.W., *Medieval Trade in the Mediterranean World*, Columbia University Press, New York, 2001.

Lucas J.R., *Responsibility*, Clarendon Press, Oxford, 1993.

Martinez-Torrón J., *Anglo-American Law and Canon Law Canonical Roots of the Common Law Tradition*, Duncker & Humblot, Berlin, 1998.

Mouritsen H., *Plebs and Politics in the Late Roman Republic*, Cambridge University Press, Cambridge, 2001.

Mousourakis G., *Fundamentals of Roman Private Law*, Springer Verlag, Berlin, 2012.

Navarro J.M.L., *Piercing the Corporate Veil in Latin American Jurisprudence: A Comparison with Anglo-American Method*, Routledge, London, 2016.

O'Kelley C.R.T., Thompson R.B., *Corporations and Other Business Associations: Cases and Materials*, 3rd Ed., Aspen Law & Business, Gaithersburg, 1999.

Olivecrona K., *Three Essays in Roman Law*, Munksgaard, Copenhagen, 1949.

Ostroukh A., *Russian Society and its Civil Codes: A Long Way to Civilian Civil Law*, *Journal of Civil Law Studies*, Volume 6, Number 1, 2013.

Parkinson J.E., Corporate Power and Responsibility: Issues in the Theory of Company Law, Clarendon Press, Oxford, 1993.

Pattaro E., Roversi C., (Ed.), A Treatise of Legal Philosophy and General Jurisprudence: Volume 12: Legal Philosophy in the Twentieth Century: The Civil Law World, Tome I: Language Areas, Springer Verlag, Heidelberg, 2016.

Perry J.S., The Roman Collegia: The Modern Evolution of Ancient Concept, Brill, Leiden, 2006.

Plutarch, Plutarch's Lives, Volume I: Theseus and Romulus. Lycurgus and Numa. Solon and Publicola (Loeb Classical Library No. 46), *Trans. Perrin B.*, Harvard University Press, Cambridge, 1967.

Posner R. Economic Analysis of Law, 3rd Ed., Walters Luwer, 1986.

Powell F., Parent and Subsidiary Corporations. Chicago, Callaghan, 1931.

Pratt J.W., Kulsrud W.N., Corporate, Partnership, Estate and Gift Taxation, 2013 Edition, Cengage Learning, South Western, 2013.

Rich E.E., Wilson C.H., (Ed.), The Cambridge Economic History of Europe, Volume IV: The Economy of Expanding Europe in the Sixteenth and Seventeenth Centuries, Cambridge University Press, Cambridge, 1967.

Robertson D.H., Control of Industry, Nisbet and Co., Ltd., London, 1923.

Rovane C., *The Bounds of Agency: An Essay in Revisionary Metaphysics*, Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1998.

Rudorfer M., *Piercing the Corporate Veil: A Sound Concept*, GRIN Verlag, Norderstedt, 2006.

Scholar R., Tadié A., (Ed.), *Fiction and the Frontiers of Knowledge in Europe, 1500–1800*, Ashgate Publishing, Padstow, 2010.

Scruton R., *A Short History of Modern Philosophy*, 2nd Ed., Routledge, London, 2002.

Sealy L., Worthington S., *Cases and Materials in Company Law*, 8th Edition, Oxford University Press, Oxford, 2008.

Skinner Q., *From Humanism to Hobbes: Studies in Rhetoric and Politics*, Cambridge University Press, Cambridge, 2018.

Smith A., *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*, Volume II, Ed. *Cannan E.*, Methuen & Co., London, 1904.

Smits J.M., (Ed.) *Elgar Encyclopedia of Comparative Law*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2006.

Spaak T., *A Critical Appraisal of Karl Olivecrona's Legal Philosophy*, Springer Verlag, Stockholm, 2014.

Strawson P.F., *Individuals: An Essay in Descriptive Metaphysics*, Routledge, London, 1990.

- Talbot L.*, *Critical Company Law*, Routledge-Cavendish, New York, 2007.
- Thomas, J.*, *Textbook of Roman Law*, North Holland, Amsterdam, 1976.
- Tierney B.*, *Foundations of the Conciliar Theory: The Contribution of Medieval Canonists from Gratian to Medieval Schism*, Brill, Leiden, 1998.
- Tomasic R., Bottomley S., McQueen R.*, *Corporations Law in Australia*, The Federation Press, Sydney, 2002.
- Tuomela R.*, *Social Ontology: Collective Intentionality and Group Agents*, Oxford University Press, Oxford, 2013.
- Vandekerchove K.*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007.
- Veenhof K.R.*, *Aspects of Old Assyrian Trade and Its Terminology*, Brill, Leiden, 1972.
- Venticinque P.F.*, *Honor Among Thieves: Craftsmen, Merchants, and Associations in Roman and Late Roman Egypt*, University of Michigan Press, Ann Harbor, 2016.
- Wells H.*, (Ed.), *Research Handbook on the History of Corporate and Company Law*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2018.
- Williams B.*, *Descartes: The Project of Pure Inquiry*, Routledge, London, 2005.

Witting C.A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge, Cambridge University Press, 2018.

Zimmermann R., The Law of Obligations: Roman Foundations of Civil Tradition, Oxford University Press, Oxford, 1996.

გერმანულ ენაზე:

Ausbüttel F.M., Untersuchungen zu den Vereinen im Westen des Römischen Reiches, M. Laßleben, Kallmünz, 1982.

Baumbach/Hueck/Fastrich, GmbHG, 21. Auflage, C.H.Beck, München, 2017.

Bork/Schäfer/Weller/Discher., GmbHG, Kommentar, 3.Auflage, RWS Verlag, Köln, 2015.

Bürgers/Korber/Westermann., Aktiengesetz, Heidelberger Kommentar, 4.Auflage, 2017.

Cohn M., Zum Römischen Vereinsrecht: Abhandlungen aus der Rechtsgeschichte, Habilitationsschrift, Weidmannsche Buchhandlung, Berlin, 1873.

Coing H., Europäisches Privatrecht, Band I: Älteres Gemeines Recht, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1985.

Dahm G., Strafrecht Italiens im ausgehenden Mittelalter: Untersuchungen über die Beziehungen zwischen Theorie und Praxis im Strafrecht des Spätmittelalters, namentlich im XIV. Jahrhundert, Walter de Gruyter & Co, Leipzig and Berlin, 1931.

Egelhaaf-Gaiser U., Schäfer., (Ed.), Antike Vereine: Studien und Texte zu Antike und Christentum, Mohr Siebeck, Tübingen, 2002.

Emmerich/Habersack., Konzernrecht, 10.Auflage, C.H.Beck, München, 2013.

Erman/Wilhelmi., BGB, Kommentar, Band II, 15.Auflage, Otto Schmidt, Köln, 2017.

Fleckner A. M., Antike Kapitalvereinigungen, Ein Beitrag zu den konzeptionellen und historischen Grundlagen der Aktiengesellschaft, Böhlau Verlag GmbH & Cie, Köln, 2010.

Gehrlein/Born/Simon/Maul., GmbHG, Kommentar, 4.Auflage, Carl heymanns Verlag, München, 2019.

Gierke O., Das Deutsche Genossenschaftsrecht, Erster Band: Rechtsgeschichte der Deutschen Genossenschaft, Weidmannsche Buchhandlung, Berlin, 1868.

Gierke O., Das Deutsch Genossenschaftsrecht, Dritter Band: Die Staats- und Korporationslehre des Alterthums und des Mittelalters und ihre Aufnahme in Deutschland, Berlin, 1881.

Goette/Habersack/Kalss/Heider., Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Band 1, §§1-75, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2019.

Grigoleit H., Gesellschafterhaftung für interne Einflussnahme im Recht der GmbH: Dezentrale Gewinnverfolgung als Leitprinzip des dynamischen Gläubigerschutzes, C.H.Beck, München, 2006.

Gummert H., Weipert L., Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 2: Kommanditgesellschaft, GmbH & Co. KG, Publikums-KG, Stille Gesellschaft, 5. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2019.

Habersack/Wagner., Münchener Kommentar, Band 6, 7. Auflage, C.H.Beck, 2017.

Hausmanniger H., Selb W., Römisches Privatrecht, 6. Auflage, Böhlau Verlag, Wien, 1991.

Heidel/Fischer., Aktienrecht und Kapitalmarktrecht, 4. Auflage, Nomos, Baden-Baden, 2014.

Hegel G.W.F., Grundlinien der Philosophie des Rechts, oder Naturrecht und Staatswissenschaft im Grundrisse, Werke in 20 Bänden mit Registerband, Band 7, Suhrkamp Verlag, Frankfurt am Main, 2004.

Henssler/Strohn/Servatius., Gesellschaftsrecht, 2. Auflage, C.H.Beck, München, 2014.

Henssler/Strohn/Verse., Gesellschaftsrecht, 3. Auflage, C.H.Beck, 2016.

Hessmann/Tillmann/Mueler-Thuns/Schiessel., Handbuch GmbH & Co. KG, 20. Auflage, Otto Schmidt Verlag, Köln, 2009.

Hirte/Mülbert/Roth/Bachmann., AktG, Großkommentar, Band 1, §§1-22, 5. Auflage, De Gruyter, Berlin, 2017.

Holzhammer R., Roth M., Gesellschaftsrecht, 2. Auflage, Wien, Springer, 1997.

Hüffer/Koch., Aktiengesetz, 12. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2016.

Jauernig/Teichmann., BGB, Kommentar, 17. Auflage, C.H.Beck, München, 2018.

Kaser M., Das Römische Privatrecht, Erster Abschnitt, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1971.

Kelsen H., Reine Rechtslehre, 2. Auflage, Österreichische Staatsdruckerei, Wien, 1992.

Kluge F., Etymologisches Wörterbuch der Deutschen Sprache, 22. Auflage, De Gruyter, Berlin, 1989.

Lange H., Schiemann G., Schadersatz, 3. Auflage, Mohr Siebeck, Tübingen, 2003.

Larenz K., Methodenlehre der Rechtswissenschaft. 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg GmbH, 1991.

Lehmann K., Die Geschichtliche Entwicklung des Aktienrechts bis zum Code de Commerce, Carl Heymanns Verlag, Berlin, 1895.

Liebscher., Münchener Kommentar, GmbHG, Band I, §§1-34, C.H.Beck, München, 2018.

Litschen K., Die Juristische Person im Spannungsfeld von Norm und Interesse: am Beispiel der Gesellschafterhaftung in der GmbH, Peter Lang, Frankfurt am Main, 1999.

Lutter/Hommelhoff/Bayer., GmbH-Gesetz, Kommentar, 19. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2016.

Malmendier U., *Societas Publicanorum: Staatliche Wirtschaftsaktivitäten in den Händen privater Unternehmer*, Böhlau Verlag GmbH, Köln, 2002.

Matschernus G., *Die Durchgriffshaftung wegen Existenzvernichtung in der GmbH*, Nomos, Baden-Baden, 2007.

Mehr R., *Societas und Universitas: Römischrechtliche Institute in Unternehmensgesellschaftsrecht vor 1800*, Böhlau Verlag, Köln, Weimar, Wien, 2008.

Meyer J., *Haftungsbeschränkung im Recht der Handelsgesellschaften*, Heidelberg Springer, 2000.

Michalski/Funke., *GmbHG Kommentar, Band I*, Verlag C.H.Beck, München, 2010.

Michalski/Heidinger/Leible/Schmidt., *GmbHG, Kommentar, Band I*, C.H.Beck, 3. Auflage, München, 2017.

Mülhens J., *Der Sogenannte Haftungsdurchgriff im Deutschen und Englischen Recht: Unterkapitalisierung und Vermögensentzug*, Mohr Siebeck, Tübingen, 2006.

Priester/Mayer/Wicke/Böhm, *Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3: Gesellschaft mit beschränkter Haftung*, 5. Auflage, C.H.Beck, München, 2018.

Prütting/Wegen/Weinreich/Schaub., *BGB, Kommentar*, 12. Auflage, Luchterhand Verlag, Köln, 2017.

Rabe T., Liberalisierung und Deregulierung im Europäischen Binnenmarkt für Versicherungen, Duncker & Humboldt, Berlin, 1997.

Raguß G., Der Vorstand einer Aktiengesellschaft: Vertag und Haftung Vorstandsmitgliedern, 2. Auflage, Springer-Verlag, Berlin, 2009.

Roth/Altmeyden., GmbHG, Kommentar, 9. Auflage, C.H.Beck, München, 2019.

Rowedder/Schmidt-Leithoff/Pentz., GmbHG; 6. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2017.

Savigny F.C. System des Heutigen Römischen Rechts, Band II, Berlin, 1840.

Schmidt K., Gesellschaftsrecht, 4. Auflage, Carl Heymanns Verlag KG, Köln, 2002.

Schmidt/Lutter., AktG, Kommentar, I. Band §1-149, 3. Auflage, Otto Schmidt, 2015.

Scholz/Bitter, GmbHG, 12. Auflage, Otto Schmidt, Köln, 2018.

Schwerdtfeger/Buß., Gesellschaftsrecht, Kommentar, 3. Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, 2015.

Schwind F., Römisches Recht. Teil 1: Geschichte. Rechtsgang. System des Privatrechtes, Springer Verlag, Wien, 1950.

Serick R., Rechtsform und Realität Juristischer Personen, De Gruyter Verlag, Berlin, 1955.

Soergel/Höhn., BGB, Band 12, §§ 823-853, 13. Auflage, W.Kohlhammer Verlag, Stuttgart, 1999.

Sohm R., Institutionen des Romisches Recht, 17. Auflage, Duncker & Humblot, Berlin, 1949.

Spindler/Stilz/Fock., AktG, Kommentar, Band I §§1-149, 3. Auflage, C.H.Beck, München, 2015.

Staudinger/Oechsler., BGB, Kommentar, §826-829; ProdHaftG, Unerlaubte Handlungen, Buch 2, De Gruyter, Berlin, 2018.

Wachter/Franz., AktG, Kommentar, 2. Auflage, RWS Verlag, Köln, 2014.

Wazlawik T., Die Konzernhaftung Der Deutschen Muttergesellschaft für die Schulden Ihrer US-amerikanischen Tochtergesellschaft: Eine Rechtsvergleichung, Mohr-Siebeck, Tübingen, 2004.

Windbichler C., Gesellschaftsrecht, 24. Auflage, C.H.Beck, München, 2017.

Wolf/Neuner., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Auflage, C.H.Beck, München, 2016.

რუსულ ენაზე:

Ельяшевич В., Юридическое Лицо, Его Происхождение и Функции в Римском Частном Праве, Санкт-Петербург, Типолитогр. Шредера, 1910.

სამეცნიერო სტატიები:

ქართულ ენაზე:

ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009.

გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), წიგნში: წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, *რედ. ბურდული ი.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

ზუბიტაშვილი ნ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2014.

ლაზარაშვილი ლ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკანონმდებლო რეგულირების ისტორია ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო სამართალი, აღმანახი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ოქტომბერი 1998.

მადრაძე გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2017.

მახრობლიშვილი გ., კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ.: *თოდუა ნ.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

რამიშვილი ა. კორპორაციულობა, როგორც ქართული საკორპორაციო სამართლის სისტემის განმსაზღვრელი ელემენტი, სამართლის ჟურნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, № 2, 2012.

ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. *ბურდული ი.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

ჭანტურია ლ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სცენარი), წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ.: *თოდუა ნ.*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

ხარაიშვილი ა., გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2017.

ინგლისურ ენაზე:

Abatino B., Dari-Mattiacci G., Perotti E.C., Depersonalization of Business in Ancient Rome, *Oxford Journal of Legal Studies*, Volume 31, No. 2, 2011.

Allen, W. T., Jacobs J.B., Strine L., The Great Takeover Debate: A Meditation on Bridging the Conceptual Divide, *University of Chicago Law Review*, Volume 69, No. 3, Summer 2002.

Alting C., Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, *Tulsa Journal of Comparative & International Law*, Volume 2, No. 2, Spring 1995.

Ankum H., Societas Omnium Bonorum and Dos in Classical Roman Law, *Israel Law Review*, Volume 29, Issue 1-2, 1995.

Antunes J.E., The Liability of Polycorporate Enterprises, *Connecticut Journal of International Law*, Volume 13, No. 2, Spring 1999.

Bainbridge S.M., Abolishing Veil Piercing, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 3, Spring 2001.

Balsdon J., Roman History, 65-50 B.C.: Five Problems. *Journal of Roman Studies*, Volume 52, Issue 1-2, November 1962.

Berger R., "Disregarding the Corporate Entity" for Stockholders' Benefit, *Columbia Law Review*, Volume 55, No. 6, June, 1955.

Berle A.A., The Theory of Enterprise Entity, Columbia Law Review, Volume 47, No. 3, April 1947.

Berman E.M., West J.P., Responsible Risk-Taking, Public Administration Review, Volume 58, No. 4, July – August, 1998

Blair M.M., Locking in Capital: What Corporate Law Achieved for Business Organizers in the Nineteenth Century, UCLA Law Review, Volume 51, No. 2, December 2003.

Blumberg P., Accountability of Multinational Corporations: The Barriers Presented by Concepts of the Corporate Juridical Entity, Hastings International and Comparative Law Review, Volume 24, Issue 3, Spring 2001.

Bonanno J.B., The Protection of Minority Shareholders in a Konzern under German and United States Law, The Harvard International Law Journal, Volume 18, No. 1, Winter 1977.

Broekaert W., Joining Forces: Commercial Partnerships or Societates in the Early Roman Empire, *Historia: Zeitschrift für Alte Geschichte*, Band 61, Heft 2, 2012.

Bruno J.C. The German Law of Affiliated Enterprises, American Business Law Journal, Volume, 8 Issue 2, Fall 1970.

Brunt P.A., The 'Fiscus' and Its Development, The Journal of Roman Studies, Volume 56, 1966.

Campbell R.B., Limited Liability for Corporate Shareholders: Myth or Matter-of-Fact, Kentucky Law Journal, Volume. 63, No. 1, 1975.

Carolan J.P., Disregarding the Corporate Fiction in Florida: The Need for Specifics, University of Florida Law Review, Volume 27, No. 1, Fall 1974.

Carr C.T., Early Forms of Corporateness, *Ϝοροδοιο*: Select Essays in Anglo-American Legal History, Volume III, Association of American Law Schools, Little, Brown, and Company, Boston, 1909.

Castro S.R.B., Undercapitalization as a Factor in Piercing the Corporate Veil in Contract Cases: Balancing Risks and Incentives, Philippine Law Journal, Volume 74, No. 4, June 2000.

Cataldo B.F., Limited Liability With One-Man Companies and Subsidiary Corporations, Law and Contemporary Problems, Volume 18, No. 4, 1953.

Cesar F.J., Popular Autonomy and Imperial Power in Bartolus of Saxoferrato: An Intrinsic Connection, Journal of the History of Ideas, Volume 65, No. 3, July 2004.

Cheng T.K., The Lifting of Corporate Veil Doctrine in Hong Kong: An Empirical, Comparative and Development Perspective, Common Law World Review, Volume. 40, No. 3, 2011.

Cheng T.K., The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Volume 34, Issue 2, 2011.

Clark R.C., The Duties of the Corporate Debtor to Its Creditors, Harvard Law Review, Volume 90, No. 3, January, 1977.

Crespi G.S., The Reverse Pierce Doctrine: Applying Appropriate Standards, *Journal of Corporation Law*, Volume 16, 1990.

Crowther N.B., The Collegium Poetarum at Rome: Fact and Conjecture, *Latomus*, Volume 32, Issue 3, 1973.

Dearborn M., Enterprise Liability: Reaviewing and Revitalizing Liability for Corporate Group, *California Law Review*, Volume 97, No. 1, February 2009.

Demos R., Legal Fictions, *International Journal of Ethics*, Volume 34, No. 1, October, 1923.

De Vries H.P., Juenger F.K., Limited Liability Contract: The GmbH, *Columbia Law Review*, Volume 64, No. 5, May, 1964.

Dignam A., Oh P.B., Disregarding the Salomon Principle: An Empirical Analysis, 1885–2014, *Oxford Journal of Legal Studies*, Volume 39, No. 1, 2019.

Dobbyn J.F., A Practical Approach to Consistency in Veil-Piercing Cases, *University of Kansas Law Review*, Volume 19, No. 2, 1970.

Dodd E.M., The Evolution of Limited Liability in American Industry: Massachusetts, *Harvard Law Review*, Volume 61, No. 8, September, 1948.

Douglas W.O., Shanks C.M., Insulation from Liability Through Subsidiary Corporations, *Yale Law Journal*, Volume 39, 1929.

Downs R.C., Piercing the Corporate Veil – Do Corporations Provide Limited Personal Liability, *UMKC Law Review*, Volume 53, No. 2, Winter 1985.

Easterbrook F.H., Fischel D.R., Limited Liability and the Corporation, *The University of Chicago Law Review*, Volume 52, No. 1, Winter, 1985.

Easterbrook F.H., Fischel D.R., The Corporate Contract, *Columbia Law Review*, Volume 89, No. 7, Contractual Freedom in Corporate Law, November, 1989.

Finkelstein C.O., When the Rule Swallows the Exception, *Quinnipiac Law Review*, Volume 19, 2000.

Frankfurt H.G., Freedom of the Will and the Concept of a Person, *The Journal of Philosophy*, Volume. 68, No. 1, January 14, 1971.

French P.A., The Corporation as a Moral Person, *American Philosophical Quarterly*, Volume 16, No. 3, July, 1979.

Fuller W., The Incorporated Individual: A Study of the One-Man Company, *Harvard Law Review*, Volume 51, No. 8, June, 1938.

Gabba E., The Collegia of Numa: Problems of Method and Political Ideas, *The Journal of Roman Studies*, Volume 74, 1984

Gallagher S., The Natural Philosophy of Agency, *Philosophy Compass*, Volume 2, Issue 2, 2007.

Gelb H., Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor, *Chicago-Kent Law Review*, Volume 59, Issue 1, December 1982.

Gelderblom O., Jong A., Jonker J., The Formative Years of the Modern Corporation: The Dutch East India Company VOC, 1602-1623, *The Journal of Economic History*, Volume 73, Issue 4, 2013.

Gevurtz F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, *Oregon Law Review*, Volume 76, No. 4, Winter 1997.

Goedecke W.R., Corporations and the Philosophy of Law, *The Journal of Value Inquiry*, Volume 10, Issue 2, June 1976.

González J., Crawford M.H., The Lex Irnitana: A New Copy of the Flavian Municipal Law, *The Journal of Roman Studies*, Volume 76, 1986.

Goodpaster K.E., The Concept of Corporate Responsibility, *Journal of Business Ethics*, Volume 2, Issue 1, February 1983.

Green R.M., Shareholders as Stakeholders: Changing Metaphors of Corporate Governance, *Washington and Lee Law Review*, Volume 50, No. 4, Fall 1993.

Guinnane T., Harris R., Lamoreaux N.R., Rosenthal J., Putting the Corporation in its Place, *Enterprise and Society*, Volume 8, Issue, 3, 2007.

Halabi S.F., Veil-Piercing's Procedure, *Rutgers University Law Review*, Volume 67, No. 4, Summer 2015.

Halpern P., Trebilcock M., Turnbull S., An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law, *The University of Toronto Law Journal*, Volume 30, No. 2, Spring, 1980.

Handlin O., Handlin M.F., Origins of the American Business Corporation, *The Journal of Economic History*, Volume 5, No. 1, May, 1945.

Hansmann H., Kraakmann R., Toward Unlimited Shareholder Liability for Corporate Torts, *The Yale Law Journal*, Volume 100, No. 7, May, 1991.

Hansmann H., Kraakman R., Squire R., Law and the Rise of the Firm, *Harvard Law Review*, Volume 119, 2005.

Hansmann H., Kraakmann R., Squire R., Incomplete Organizations: Legal Entities and Asset Partitioning in Roman Commerce, *ECGI Working Paper Series in Law*, Paper No. 271/2014, October, 2014.

Harris R., The Formation of the East India Company as a Cooperation-Enhancing Institution, *Working Paper Series*, Buchmann Faculty of Law, Tel Aviv University, 2006.

Harris R., The Transplantation of the Legal Discourse on Corporate Personality Theories: From German Codification to British Political Pluralism and American Big Business, *Washington and Lee Law Review*, Volume 63, Issue 4, 2006.

Harris R., The Institutional Dynamics of Early Modern Eurasian trade: The Commenda and the Corporation, *Journal of Economic Behavior & Organization*, Volume 71, 2009.

Harris R., The Private Origins of the Private Company: Britain 1862–1907, Oxford Journal of Legal Studies, Volume 33, No. 2, Summer 2013.

H.F.J., Review of Personality in Roman Private Law by P. W. Duff, The Cambridge Law Journal, Volume 7, N° 1, 1939.

Hoeflich M.H., Savigny and His Anglo-American Disciples, The American Journal of Comparative Law, Volume 37, No. 1, Winter, 1989.

Hoffmann D.N., Personhood and Rights, Polity, Volume 19, No. 1, Autumn, 1986.

Hofstetter K., Parent Responsibility for Subsidiary Corporations: Evaluating European Trends, The International and Comparative Law Quarterly, Volume 39, No. 3, July 1990.

Holdsworth W.S., English Corporation Law in the 16th and 17th Centuries, The Yale Law Journal, Volume 31, No. 4, February, 1922.

Huss R.J., Revamping Veil Piercing for All Limited Liability Entities: Forcing the Common Law Doctrine into the Statutory Age, University of Cincinnati Law Review, Volume 70, No. 1, Fall 2001.

Ireland P., Grigg-Spall I., Kelly D., The Conceptual Foundations of Modern Company Law, Journal of Law and Society, Volume 14, No. 1, Critical Legal Studies, Spring, 1987.

Ireland P., Capitalism without the Capitalist: The Joint Stock Company Share and the Emergence of the Modern Doctrine of Separate Corporate Personality, The Journal of Legal History, Volume 17, Issue 1, 1996.

Iwai K., Persons, Things and Corporations: The Corporate Personality Controversy and Comparative Corporate Governance, *The American Journal of Comparative Law*, Volume 47, No. 4, Autumn, 1999.

Kabour R., Revisiting the Inhibited Doctrine of Piercing the Corporate Veil in English Company Law, *King's Student Law Review*, Volume. 9, No. 2, 2019.

Khanna V., The Economic History of Organizational Entities in Ancient India, *Michigan Law and Economics Research Paper N° 05-014*, Updated Version, University of Michigan.

Khimji M.F., Nicholls C.C., Piercing the Corporate Veil in the Canadian Common Law Courts: An Empirical Study, *Queen's Law Journal*, Volume 41, No. 1, Fall 2015.

Khimji M.F., Nicholls C.C., Piercing the Corporate Veil Reframed as Evasion and Concealment, *U.B.C. Law Review*, Volume 48, No. 2, 2015.

Kim S.M., Characteristics of Soulless Persons: The Applicability of the Character Evidence Rule to Corporations, *University of Illinois Law Review*, Volume 2000, Issue 3, 2000.

Koenig K., An Economic Analysis of the Single Economic Entity Doctrine in EU Competition Law, *Journal of Competition Law and Economics*, Volume 13, Issue 2, June 2017.

Krendl C.S., Krendl J.R., Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, *Denver Law Journal*, Volume 55, Number 1, 1978.

Ladd J., Morality and the Ideal of Rationality in Formal Organizations, *The Monist*, Volume 54, Issue 4, 1970.

Landers J.M., A Unified Approach To Parent, Subsidiary, and Affiliate Questions in Bankruptcy, *The University of Chicago Law Review*, Volume 42, Number 4, Summer, 1975.

Larsen M.T., Individual and Family in Old Assyrian Society, *Journal of Cuneiform Studies*, Volume 59, 2007.

Laube D., Societas as Consensual Contract, *The Cambridge Law Journal*, Volume 6, No. 3, 1938.

Leebron D.W., Limited Liability, Tort Victims, and Creditors, *Columbia Law Review*, Volume 91, No. 7, November 1991.

Leigh L.H., Notes of Cases: The Alter Ego of a Company, *Modern Law Review*, Volume 28, Issue 5, September 1965.

Levenberg P.N., The Mystery of the Corporate Veil: Comparing Anglo-American Jurisdictions, *Penn State Journal of Law and International Affairs*, Volume 7, No. 1, 2019.

Livermore S., Unlimited Liability in Early American Corporations, *Journal of Political Economy*, Volume 43, No. 5, October 1935.

Machen A. W., Corporate Personality, *Harvard Law Review*, Volume 24, No. 4, February 1911.

Maitland F.W., Moral Personality and Legal Personality, *Journal of the Society of Comparative Legislation*, Volume 6, No. 2, 1905.

Malmendier U., Law and Finance "at the Origin", *Journal of Economic Literature*, Volume 47, No. 4, December 2009.

Manne H.G., Our Two Corporation Systems: Law and Economics, *Virginia Law Review*, Volume 53, No. 2, March 1967.

Manning R.C., Corporate Responsibility and Corporate Personhood, *Journal of Business Ethics*, Volume 3, No. 1, February, 1984.

Mark G.A., The Personification of the Business Corporation in American Law, *The University of Chicago Law Review*, Volume 54, No. 4, Autumn, 1987.

Matheson J.H., Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, *Berkeley Business Law Journal*, Volume 7, Issue 1, June 2010.

McDonald H.P., Principles: The Principles of Principles, *The Pluralist*, Volume 4, No. 3, Fall 2009.

Meiners R.E., Mofsky J.S., Tollison R.D., Piercing the Veil of Limited Liability, *Delaware Journal of Corporate Law*, Volume 4, 1979.

Michael D.C., To Know a Veil, *Journal of Corporation Law*, Volume 26, No. 1, Fall 2000.

Miller S.K., Piercing the Corporate Veil among Affiliated Companies in the European Community and in the U.S.: A Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, *American Business Law Journal*, Volume. 36, No. 1, Fall 1998.

Miller S.T., The Reasons for Some Legal Fictions, *Michigan Law Review*, Volume 8, No. 8, June, 1910.

Millon D., Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability, *Emory Law Journal*, Volume 56, Number 5, 2007.

Mischel W., Schoda Y., A Cognitive-Affective System Theory of Personality: Reconceptualizing Situations, Dispositions, Dynamics, and Invariance in Personality Structure, *Psychological Review*, Volume 102, No. 2, April 1995.

Note – Corporations: Attorney-Director-Officer as Alter Ego of Undercapitalized Corporation, *Duke Law Journal*, Volume 1962, No. 3, Summer, 1962.

Note – Piercing the Corporate Law Veil: The Alter Ego Doctrine under Federal Common Law, *Harvard Law Review*, Volume 95, No. 4, February, 1982.

Note – What We Talk about When We Talk about Persons: The Language of a Legal Fiction, *Harvard Law Review*, Volume 114, No. 6, April 2001.

Oh P.B., Veil-Piercing, *Texas Law Review*, Volume 89, No. 1, November 2010.

Orbach B., Rebling G.C., The Antitrust Curse of Bigness, 85 *Southern California Law Review*, 2012.

Ottolenghi S., From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring It Completely, *The Modern Law Review*, Volume 53, No. 3, May, 1990.

Pickering M.A., The Company as a Separate Legal Entity, *The Modern Law Review*, Volume 31, No. 5, September, 1968.

Poitras G., Geranio M., Trading of Shares in the Societates Publicanorum?, *Explorations in Economic History*, Volume 61, July 2016.

Posner R.A., The Rights of Creditors of Affiliated Corporations, *The University of Chicago Law Review*, Volume 43, No. 3, Spring, 1976.

Post G., Parisian Masters as a Corporation, 1200-1246, *Speculum*, Volume 9, No. 4, Oct., 1934.

Presser S.B., The Bogalusa Explosion, Single Business Enterprise, Alter Ego, and Other Errors: Academics, Economics, Democracy, and Shareholder Limited Liability: Back towards a Unitary Abuse Theory of Piercing the Corporate Veil, *Northwestern University Law Review*, Volume 100, No. 1, 2006.

Pryor J.H., The Origins of the Commenda Contract, *Speculum*, Volume 52, Issue 1, 1977.

Radin M., Fundamental Concepts of the Roman Law, *California Law Review*, Volume 13, Issue 2, January 1925.

Radin M., The Endless Problem of Corporate Personality, *Columbia Law Review*, Volume 32, No. 4, April 1932.

Ramsay I.M., Noakes D.B., Piercing the Corporate Veil in Australia, *Company and Securities Law Journal*, Volume 19, 2001.

Raymond R.L., The Genesis of the Corporation, *Harvard Law Review*, Volume 19, No. 5, March, 1906.

Ribstein L.E., Limited Liability and Theories of the Corporation, *Maryland Law Review*, Volume 50, Issue 1, 1991.

Ripken S.K., Corporations Are People Too: A Multi-dimensional Approach to the Corporate Personhood Puzzle, *Fordham Journal of Corporate & Financial Law*, Vol. 15, No. 1, 2009.

Sano M., Collegia Through Their Funeral Activities: New Light on Sociability in the Early Roman Empire, *Espacio Tiempo y Forma Serie II Historia Antigua*, Issue 25, 2012.

Schauer F., Exceptions, *University of Chicago Law Review*, Volume 58, No. 3, Summer 1991.

Schmitthoff M., The Origin of the Joint-Stock Company, *The University of Toronto Law Journal*, Volume 3, No. 1, 1939.

Scruton R., Finnis J., Corporate Persons, *Proceedings of the Aristotelian Society*, Supplementary Volumes, Volume 63, 1989.

Seymour E.B., Jr., The Historical Development of the Common-Law Conception of a Corporation, *The American Law Register (1898-1907)*, Volume 51, No. 9, Volume 42 New Series, September, 1903.

Smith D.G., Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, Brigham Young University Law Review, Volume 2008, No. 4, 2008.

Speidel M.A., Roman Army Pay Scales, The Journal of Roman Studies, Volume 82, November 1992.

Tamen M., Kinds of Persons, Kinds of Rights, Kinds of Bodies, Cardozo Studies in Law and Literature, Volume 10, No. 1, Summer, 1998.

Tan C., Wang J., Hofmann C., Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives, Berkeley Business Law Journal, Volume 16, Issue 1, 2019.

Teichmann J., The Definition of Person, Philosophy, Volume 60, No. 232, April, 1985.

Thompson R.B., Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, Cornell Law Review, Volume 76, No. 5, 1991.

Thompson R.B., The Limits of Liability in the New Limited Liability Entities, Volume 32, No. 1, Spring 1997.

Udovitch A.L., At the Origins of the Western Commenda: Islam, Israel, Byzantium?, Speculum, Volume 37, No. 2, April, 1962.

Ullmann W., The Delictal Responsibility of Medieval Corporations, Law Quarterly Review, Volume 64, Issue 1, January, 1948.

Werner W., Corporation Law in Search of its Future, Columbia Law Review, Volume 81, No. 8, December 1981.

Whincup M., Inequitable Incorporation – the Abuse of A Privilege, 2 Company Law, 1981,159.

Wild C., Weinstein S., Smith and Keenan’s Company Law, 17th Ed, Pearson Education Limited, Harlow, 2016.

Wormser I.M., Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Volume 12, No. 6, June 1912.

Youabian, E., Reverse Piercing of the Corporate Veil: The Implications of Bypassing Ownership Interest, Southwestern University Law Review, Volume 33, No. 4, 2004.

გერმანულ ენაზე:

Hübner U., Der Durchgriff bei juristischen Personen im europäischen Gesellschafts- und Unternehmensrecht, Juristenzeitung, Band 33, Zeitschriftenheft 21, 1978.

Lieder J., Zur Haftung wegen existenzvernichtenden Eingriffs, Deutsche Zeitschrift für Wirtschafts- und Insolvenzrecht, Band 15, Heft 8, August 2005.

Müller K., Die Haftung der Muttergesellschaft für die Verbindlichkeitender Tochtergesellschaft im Aktienrecht, Zeitschrift für Unternehmens- und Gesellschaftsrecht, Band 6, Heft 1, 1977.

Walther H.G., Die Konstruktion den Juristischen Person durch die Kanonistik im 13. Jahrhundert, წიგნში: Selbstbewußtsein und Person im Mittelalter: Symposium des Philosophischen Seminars der Universität Hannover vom 24. bis 26. Februar 2004, Verlag Königshausen & Neumann GmbH, Würzburg, 2005.

Wieacker F., Haftungsformen des römischen Gesellschaftsrechts, Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtsgeschichte: Romanistische Abteilung (SZ), Band 54, Heft 1, 1934.

სასამართლო პრაქტიკა:

ქართულ ენაზე:

№ სს-1158-1104-2014 [06.05.2015].

№ სს-1307-1245-2014 [06.05.2015].

ინგლისურ ენაზე:

Adams v Cape Industries plc [1990] Ch 433.

Ampex Corp. v. Office Electronics, Inc., 24 Ill. App. 3d 21 (Ill. App. Ct. 1974).

Associated Vendors, Inc. v. Oakland Meat Co. [Civ. No. 20302. First Dist., Div. One. Dec. 17, 1962.]

Automotriz Del Golfo de Cal. v. Resnick, 306 P.2d 1, 3 (Cal. 1957).

Bank of Augusta v. Earle, 38 U.S. 519 (1839).

Belvedere Condominium Unit Owners' Ass'n v. R.E. Roark Cos., 617 N.E.2d 1075, 1085 (Ohio 1993).

Berkey v. Third Avenue Railway Co 244 N.Y. 602 (1927).

Cargill, Inc. v. Hedge 375 N.W.2d 477 (1985)

Case of Sutton's Hospital, 10 Rep. 32. ; 77 Eng Rep 960, 973.

Craig v. Lake Asbestos of Quebec, Ltd., 843 F.2d 145 (3d Cir. 1988).

Daimler Co Ltd v Continental Tyre and Rubber Co (Great Britain) Ltd [1916] 2 AC 307.

DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit 540 F.2d 681, 685 (4th Cir. 1976).

DHN Food Distributors Ltd v Tower Hamlets London Borough Council [1976] 1 WLR 852.

Edmunds v Brown & Tillard (1668) 1 Lev 237.

Elec. Power Bd. v. St. Joseph Valley Struct. 691 S.W.2d 522 (1985).

Fisser v. International Bank, 282 F.2d 231, (2d Cir. 1960).

Gas Lighting Improvement Co Ltd v Inland Revenue Commissioners, (1923) AC 723 at 740 – 741.

Gencor ACP Ltd & Ors v Dalby & Ors [2000] EWHC 1560 (Ch) (27 July 2000).

Gilford Motor Co Ltd v Horne [1933] Ch 935.

Hamilton v. Water Whole Intern. Corp. 302 Fed. App'x 789, 793-94 (10th Cir. 2008).

Hashem v Shayif & Anor [2008] EWHC 2380 (Fam).

HL Bolton (Engineering) Ltd v TJ Graham & Sons Ltd, [1957] 1 QB 159.

Ioviero v. Ciga Hotels, 101 A.D.2d 852 (1984).

Jones v Lipman [1962] 1 WLR 832.

Laya v. Erin Homes, Inc., 352 S.E.2d 93 (W. Va. 1986),

Lee v Lee's Air Farming Ltd., [1960] UKPC 33.

Lennard's Carrying Co Ltd v Asiatic Petroleum Co Ltd [1915] AC 705.

Littlewoods Mail Order Stores v. Inland Revenue Commissioners, [1969] 1 W.L.R. 1241 (A.C.) at 1254.

Louis K. Liggett Co. v. Lee, 288 U.S. 517 (1933).

Lowendahl v Baltimore & Ohio Railroad 247 A.D. 144, 287 N.Y.S. 62, aff'd, 272 N.Y. 360, 6 N.E.2d 56 (1936).

Mason v. Pewabic Mining Co., 133 U.S. 50 (1890).

Mid-South Management Co. v. Sherwood Development Corp. 649 S.E.2d 135 (S.C. Ct. App. 2007).

Minifie v. Rowley, 202 P. 673 (Cal. 1921).

Minton v. Cavaney, 364 P.2d 473 (Cal. 1961).

Northern Securities Co. v. United States, 193 U.S. 197 (1904).

Parker v. Bell Asbestos Mines, Ltd., 607 F. Supp. 1397 (E.D. Pa. 1985).

Pauley Petroleum, Inc. v. Continental Oil Co., 239 A.2d 629 (1968).

Pearson v. Component Tech. Corp., 247 F.3d 471, 486 (3d Cir. 2001).

Perpetual Real Estate Services, Inc. v. Michaelson Properties, Inc., 974 F.2d 545 (4th Cir. 1992).

Prest v Petrodel Resources Ltd [2013] UKSC 34, [2013] 2 AC.

Radio & Television Broad. Technicians Local 1264 v. Broad. Serv., 380 U.S. 255, 256 (1965).

Salomon v A Salomon & Co Ltd [1897] AC 22.

Sampsell v. Imperial Paper & Color Corp., 313 U.S. 215 (1941)

Santa Clara County v. Southern Pacific Railroad Company, 118 U.S. 394 (1886).

Sea-Land Servs., Inc. v. Pepper Source, 993 F.2d 1309.

Silverston v Norwich Savings Society No CV 94 0049340 S (Jan. 19, 1995)

Smith, Stone, and Knight Ltd v Birmingham Corporation [1939] 4 All ER 116.

State v. Angelo, 800 P.2d 11 (Ariz. Ct.App. 1990).

State v. Standard Oil Co., 49 Ohio 137 (1892), 30 N.E. 279.

Sundaco, Inc. v. State, 463 S.W.2d 528 (Tex. App. 1970).

Terre Du Lac Ass'n, Inc. v. Terre Du Lac, Inc., 737 S.W.2d 206, 218 (Mo. Ct. App. 1987).

Union Pacific Ry. Co. v. Chicago, R.I. & P. Ry. Co., 163 U.S. 564 (1896).

United States v. Bestfoods, 524 U.S. 51 (1998).

United States v. Milwaukee Refrigerator Transit Co., 142 F.2d 247, 255 (E.D. Wis.1905).

Van Dom Co. v. Future Chem. & Oil Corp., 753 F.2d 565, 569-70 (7th Cir. 1985).

Victoria Elevator Co. v. Meriden Grain Co. 283 N.W.2d 509 (1979).

Walkovszky v. Carlton, 223 N.E.2d 6 (1966).

Wm. Passalacqua Builders v. Resnick Developers 933 F.2d 131 (2d Cir. 1991)

Woolfson v. Strathclyde Regi Council [1978] SC 90 (HL) (Eng.).

Zaist v. Olson, 1 54 Onn. 563 , 227 A.2d 552 (1962).

გერმანულ ენაზე:

BGH,GMBHR 1961, 161, 162 [29.06.1961].

BGH, II ZR 275/84 [16.09.1985].

BGHZ 149, 10, II ZR 178/99 (“Bremen Vulkan”) [17.02.2001].

BGH, II ZR 3/04 („Trihotel“) [16.07.2007].

BGH, II ZR 264/06 [28.04.2008].

OLG Köln, 18 U 205/07 [15.01.2009].

BGH, II ZR 292/07 [09.02.2009].

ნორმატიული და სხვა მასალა:

ქართულ ენაზე:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები, 13/08/2020.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014, ვებგვერდი, 11/09/2014.

ინგლისურ ენაზე:

Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 relating to certain aspects of company law, [2017] OJ L 169/46.

Electronic Code of Federal Regulations, Title 20 – Employee Benefits (2002)

MBCA (Model Business Corporation Act), 2002.

Restatement of the Law of Agency, Third Edition, 2006.

გერმანულ ენაზე:

AktG (Aktiengesetz), 06.09.1965, GBI 1 1089, FNA 4121-1.

BGB (Das Bürgerliche Gesetzbuch), 18.08.1896, BGBl 42, FNA 400-2,

GmbHG (Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung), 20.05.1898,
RGBl 369, 846, FNA 4123-1.

HGB (Handelsgesetzbuch), 10.05.1897, RGBl 219, FNA 4100-1.